

ე. მეტრეველი

მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის
ისტორიისათვის

(XI—XVII სს.)

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ელენე მეტრეველის წიგნი „მასალები პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI—XVII საუკუნეებში“ წარმოადგენს იერუსალიმის ქართული ხელნაწერებიდან გადმოღებულ მინაწერთა (მოსახსენებელთა) პუბლიკაციას.

მინაწერთა შორის არის მოსახსენებელი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა, რომელსაც ზოგი მკვლევარი შოთა რუსთველად მიიჩნევს.

ეს მასალა მნიშვნელოვანი პირველწყაროა მღადარო კულტურული ტრადიციის მქონე პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის და პალესტინა-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შესწავლისათვის.

ისტორიულ-ფილოლოგიური და პალეოგრაფიული ღიებებით ავტორი შეეცადა დაეთარილებინა ამ მინაწერთა უმრავლესობა და ეჩვენებინა მათი ისტორიული ღირებულება.

წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) შესავალი, 2) გამოკვლევა, 3) ტექსტები, 4) კომენტარი, 5) პალეოგრაფიული ალბომი და 6) საძიებელი.

რედაქტორი ი. ლ. აბულაძე

წ ი ნ ა ს ი ტ ე ვ ა ო ბ ა

იერუსალიმის ქართული კოლონია და მისი ლიტერატურული პროდუქცია დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ეს ყურადღება სავსებით დამსახურებულია, ვინაიდან იერუსალიმის კოლონიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში და ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ზრდასა და განმტკიცებას.

დაწყებული XVIII საუკუნიდან ქართველი მოგზაურები თუ გეცნიერები ცდილობენ თავი მოუყარონ ცნობებსა და მასალებს იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა და სიძველეთა შესახებ. პროფ. ა. ცაგარელი კი შეეცადა სისტემაში მოეყვანა მანამდე ცნობილი და მის მიერ ახლად მოპოვებული მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის სახით.

ბევრი გააკეთა იერუსალიმის ქართული კოლონიის ლიტერატურული პროდუქციის გამოვლენის, პუბლიკაციისა და შესწავლის თვალსაზრისით აკად. ნ. მარზა. ამ კოლონიისადმი გეცნიერული ინტერესი დღესაც არ შენელებულა; ამის მიუხედავად ჩვენთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი მასალები იმდენად მცირეა, რომ დღეისათვის იერუსალიმის ქართული კოლონიის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიის სრულად გათვალისწინება მაინც შეუძლებელია. ამიტომ მასალების გამოვლენა და შესწავლა თანამედროვე ეტაპზე პირველი რიგის საქმეა. ამ მიმართულებით კი ძალზე ბევრია გასაკეთებელი:

შესასწავლია იერუსალიმის ქართული ხუროთმოძღვრება; დასადგენია მრავალრიცხოვანი ქართული მონასტრების მდებარეობა, მათი აშენების დრო და აღმაშენებლის ვინაობა. საგანგებო შესწავლას თხოულობს კედლის ნახტვრობა და ეპიგრაფიკა.

შესასწავლია ჯვარისა და სხვა ქართული მონასტრების ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციები, რომლებიც ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქო ბიბლიოთეკაში.

გამოსავლენი და შესასწავლია რუს და უცხოელ მოგზაურთა და ისტორიკოსთა ცნობები იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.

ამ თვალსაზრისით არც ქართული ისტორიული დოკუმენტები და სხვა რიგის ისტორიული ძეგლებია ბოლომდე დამუშავებული.

დაბოლოს, რაც ცნობილი და გამოქვეყნებულია, ისიც უფრო საფუძვლიან შესწავლასა და შეფასებას თხოულობს ახალი მასალების შუქზე.

მასალათა წინამდებარე ნაკვეთი წარმოადგენს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპთა პუბლიკაციას. ალაპთა ერთი ნაწილი კრებულში ქვეყნდება პირველად (ტიშენდორფისეული ნუსხის მიხედვით), უდიდესი ნაწილი კი ადრეც იყო გამოქვეყნებული. 1914 წელს ალაპები გამოსცა ნ. მარმა მის მიერვე მიღებული იერუსალიმის სვინაქსარის (№ 24—25) მიხედვით. ამ ტექსტების განმეორებითი პუბლიკაციის საბაბი ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის გამოჩენა გახდა. ტიშენდორფისეული ნუსხა, გარდა იმისა, რომ მას საკუთარი ისტორიული ღირებულება აქვს, დაგვეხმარა სვინაქსარის ალაპთა დათარიღებაში და ამ გზით იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ზოგი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში. ამან გავგაბედინა ნ. მარის მიერ ერთხელ გამოცემული ტექსტების ხელმეორე პუბლიკაცია.

წინამდებარე წიგნი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: ალაპთა ტექსტები, მათი კომენტარები, პალეოგრაფიული აღბომი და გამოკვლევა. გამოკვლევაში ჩვენ ვეხებით ალაპთა და-

თარიღების პრინციპებს ზოგადად და ალაპთა მნიშვნელობას იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლისათვის.

კომენტარებში ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ თითოეული ალაპის დაწერის დრო მეტნაკლები სიზუსტით, მოხსენიებულ პირთა ვინაობა და მათი დამსახურება იერუსალიმის ქართული კოლონიის წინაშე. მიუხედავად ჩვენი ცდისა, კომენტარები ყოფილიყო სრული, ისინი მაინც ვერ ამოსწურავენ ალაპთა მასალით ნაკარნახევ საქართველოს ეკონომიური თუ სოციალური ისტორიის, ქრონოლოგიისა თუ გენეალოგიის ყველა საკითხს, ვინაიდან მრავალ შემთხვევაში თითოეული მათგანი უფრო ფართო, მონოგრაფიულ დამუშავებას თხოულობს სპეციალისტ ისტორიკოსთაგან.

ჩვენ არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ აქ გამოთქმული ყველა ვარაუდი გამართლდება. ვარაუდად გამოთქმული მოსაზრებები კი კომენტარებში ბევრია, ვინაიდან მასალა ყოველთვის არ იძლევა საშუალებას უფრო მტკიცე დასკვნებისათვის. მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს იმედი, რომ იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მასალების წინამდებარე ნაკვეთი ამ სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო და კულტურული კერების ისტორიით დაინტერესებულ პირთ, ისე ისტორიკოსთა ფართო წრეს.

გ ა მ რ კ კ ჯ ე კ ა

მოსახსენებელთა სახეები

საქართველოში თუ საქართველოს გარეთ ქართული მონასტრების შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო ის შეწირულებები, რომელთაც ღებულობდნენ მონასტრები მეფეების, მსხვილი ფეოდალების, შეძლებული მოხელეებისა თუ ერისკაცებისაგან. შეწირულებით შემომწირველი ზრუნავდა როგორც მონასტრის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე საკუთარი სულის ცხოვრებაზე ალაპების, მოსახსენებლების, წირვისა თუ პანაშვილის განწესების სახით. იმის მიხედვით, თუ რა დამსახურება მიუძღოდა შემომწირველს მონასტრისადმი, იწერებოდა შესაფერისი ფორმის ალაპი თუ მოსახსენებელი. მონასტრისა და ეკლესიაში ამა თუ იმ პირის სულზე ზრუნვა მონასტრისადმი გაწეული სამსახურითა და ფულადი დახმარებით იზომებოდა. გარკვეული ფასი ღირდა ალაპი, კარგაღებული ალაპი, პანაშვიდი, მოსახსენებლის დადება თუ შემომწირველის სახელის სულთა მატრიანეში ჩაწერა. შემომწირულებათა აღრიცხვისათვის ეკლესია-მონასტრებს გააჩნდათ თავისებური სააღრიცხვო დავთრები, სადაც ამა თუ იმ სახით აღიბეჭდებოდა შემომწირველის ღვაწლი და ეკლესიისა თუ მონასტრის კრებულის ვალდებულება შემომწირველის მიმართ.

ქართულ ეკლესია-მონასტრებში ამგვარი „დავთრების“ ორი ტიპი გაირჩეოდა. ერთია — მოსახსენებლები და სულთა მატრიანეები, ხოლო მეორე — ალაპები. მოსახსენებლები ჰქონდა ყველა ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ეკლესიასა და მონასტრს. იერუსალიმის ქართულ მონასტრებში მოსახსენებლები უნახავს და გამოუყენებია კიდევ ისინი, როგორც სანდო ისტორიული წყარო, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ტ. გაბაშვილს. ტ. გაბაშვილი თავისი „მიმოსღვის“ იმ თავში, სადაც მოთხრობილია „თუ ვის მიერ აღმშენეს იერუსალემს მონასტრნი“, თავისი ცნობების წყაროდ არაერთხელ ასახელებს მოსახსენებლებს: „მონასტერი წმიდისა გიორგისი ურიათ უბანში

დადიანთა აღშენებული და მოსაქსენებელი მუნვე არს“¹, ე. ი. დადიანი, როგორც აღმშენებელი წმ. გიორგის ეკლესიისა, ჩაწერილია მონასტრის მოსახსენებელში. ანალოგიური ვითარებაა სხვა შემთხვევებში: „წმიდისა დიმიტრის მონასტერი (აუშენებია) ქსნის ერისთავს შალვას, ვირშელს, ივანეს და მათი მოქსენებაც მუნ არს“. „მონასტერი წმიდისი ეკატერინესი, (აშენებული) ფანასკერტელისა-ციციშვილისა ამილლაბარისა და მაჩაბელთ, მოქსენება მუნ არს“².

ტიმოთე გაბაშვილი ასახელებს მხოლოდ იმ მოსახსენებლებს, რომლებიც მას უნახავს. მოსახსენებლები კი უნდა ჰქონოდა იერუსალიმის ყველა ქართულ მონასტრს. სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოღწეულა მოსახსენებელთა არც ის სამი წიგნი, რომლებსაც ასახელებს ტიმოთე გაბაშვილი.

ჩვენთვის ცნობილი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალები მოწმობენ, რომ მოსახსენებელთა ორი სახე არსებობდა. ერთი — კერძო მოსახსენებელი, დადებული ამა თუ იმ პირისათვის, ოჯახისათვის, ანდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ამგვარი მოსახსენებლები უმთავრესად ხელნაწერთა მინაწერების სახით იწერებოდა. ამ სახის მოსახსენებელთა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ჯვაროსნების ტამბლიერთა ორდენის წევრთა მოსახსენებლები, დაწერილი ე. წ. „გოლგოთას სვინაქსარის“ პირველ გვერდზე³. ასევე კერძო დანიშნულებისაა მეორე ტიპის მოსახსენებელი, — „ლოცვაჲ შესუენებულთა მამათა და ძმათა ჩუენთათჳს“, — გიორგი მეფის ასულის ქეთაონის სულთა მოსახსენებელი, რომელიც 1954 წელს ვრცელი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ქრ. შარა-

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, ტექსტი გა-
მოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებ-
ლები დაურთო ელ. მერტრეველმა, 1956, გვ. 81.

² იქვე, გვ. 81.

³ ე. მ. ტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი.
მუზეუმის მოამბე, XV—B, გვ. 45.

შიცემ⁴. ორივე მოსახსენებელი კერძო ხასიათისაა. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ ერთი დაწერილია ჯვარის მონასტრის კრებულის განკარგულებით, ხოლო მეორე შედგენილია როგორც ლოცვა-მოსახსენებელი ქეთაონის განკარგულებითა და კარნახით მისი აღზრდილის ზებედეს მიერ.

გარდა ამ კერძო მოსახსენებლებისა არსებობდა სამონასტრო მატიანები. სამონასტრო მატიანები, რომლებიც, ჩვეულებრივ, იქმნებოდა დიდსა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მონასტრებში, კრებულია იმ მოსახსენებლებისა, რომლებიც იკითხებოდა წირვის დროს საამისოდ განკუთვნილ დღეებში. ამგვარი მოსახსენებლები წლებისა და ზოგჯერ საუკუნეთა მანძილზე იწერებოდა. ერთად თავმოყრილი მოსახსენებლები ქმნიან მონასტრის „სულთა მატიანეს“. „მოსახსენებელი და მატიანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ, რომელი-ესე აღმოიკითხვის ყოველთა შაბათთა“ — ვკითხულობთ სინის მთის მონასტრის სულთა მატიანის მეორე ნაკვეთის სათაურად.

როგორც აღვნიშნეთ, სულთა მატიანე გარკვეული გეგმითაა შედგენილი. ეს ცხადყო ჩვენამდე მოღწეული სულთა მატიანეების შედგენილობის შესწავლამ. ძველი „სულთა მატიანეებიდან“ დღესდღეობით ცნობილი და გამოკვეყნებულია: 1. სინის მთის ქართველთა მონასტრის სულთა მატიანე⁵, გერგეტის სულთა მატიანე⁶, ნიკორწმიდის სულთა მატიანე⁷, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სულთა მატიანე⁸. ამათგან ყველაზე ძველია და ამიტომ ფორმის თვალსაზრისით ყველაზე უკეთ გამოკვეთილი „სინის მონასტრის სულთა მატიანე“. ამ მატიანის შინაგანი კომპოზიციონისა და აგების პრინციპების ფარგლებში თავსდება „გერგეტის სულთა მატიანე“ და „ნიკორწმიდის სულთა მატიანე“. „ჯვარის მონასტრის სულთა მატიანე“ კი უფრო გვიანდელია და ამიტომ

არც მისდევს ზუსტად „სინის სულთა მატიანის გეგმას.

სინის სულთა მატიანე იწყება შესავლით — ედრება მონასტრის კრებულისადმი, რათა კრებულმა არ მოშალოს ამ უდაბნოსადმი (სინისადმი) შემოვედრებულ პირთა მოხსენიება. შესავლის შემდეგ იწყება მოსახსენებელთა სიები, დაყოფილი ნაკვეთებად. თითოეული ნაკვეთის სათაურია: „მოქსენებისათვის და განსვენებისათვის“. საფიქრებელია, რომ თითოეული ნაკვეთი იკითხებოდა თითო ჯერად.

თავიდანვე თითოეულ ნაკვეთსა და ნაკვეთის შიგნითა ნაწილებს შორის მატიანეში დატოვებული იყო თავისუფალი ადგილები, რათა დროთა ვითარებაში მათი შევსების შესაძლებლობა ყოფილიყო. მატიანე მართლაც ივსებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ. ამიტომ სულთა მატიანეში აშკარად გამოიყოფა მატიანის ძირითადი ფენა, დაწერილი ერთი ძირითადი ხელით, და ამის გვერდით მოგვიანო პლასტები, დაწერილი მატიანის შემგვებთა სხვადასხვა ხელით.

სულთა მატიანის ნაკვეთებში გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა. თითოეულ ნაკვეთში მოსახსენებლები რაიმე პრინციპის მიხედვით ერთიანდება (მხედველობაში გვაქვს მატიანის ძირითადი ფენა).

სინის მთის მონასტრის სულთა მატიანე იწყება მეფეთა მოსახსენებლებით. მხოლოდ მეფეთა მოსახსენებლებს უკავიათ პირველი ორი მონაკვეთი (გამონაკლისია პირველი ნაკვეთის უკანასკნელი მოსახსენებელი, დიდი შანშე ათაბაგისა, რომელიც თავისი მნიშვნელობის გამო, ჩანს, მეფეებთან არის გათანასწორებული).

მესამე ნაკვეთში მთავარია დედოფალთა მოსახსენებლები: თამარის, რუსუდანის, მართასი, ბორენასი, ბურდუხანისა და შვენიერ-ყოფილი მაკრინესი.

მეოთხე ნაკვეთში თავმოყრილია ზედგენიძეთა მოსახსენებლები.

მეხუთე ნაკვეთში — დადიანთა და ათაბაგთა. მეექვსე ნაკვეთში — მთავარეპისკოპოსთა და კათალიკოზთა.

მეშვიდე ნაკვეთში — მატიანის გადაშვრის ელია ჩიდანის ძისა და მის ნათესავთა.

მერვე ნაკვეთში — ჯვარის მამათა.

ამის შემდეგ იწყება უკვე კერძო პირთა მოსახსენებლები, რომელთა დალაგებაში რაიმე პრინციპის დაქერა ვერ ხერხდება.

მოსახსენებელთა ნაკვეთებს შიგნით, უმრავლეს შემთხვევაში, დატულია ქრონოლოგიური პრინცი-

⁴ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.): მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 259—260.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 241—251.

⁶ ქრ. შარაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 263—288.

⁷ ექ. თაყაიშვილი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმიდის ხელნაწერში. ამონაბეჭდი „კავკასიონიდან“, პარიზი, 1939.

⁸ ნ. მარო, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, 1914, გვ. XIX—XXV.

პი, თუმცა ეს ყველაზე ერთნაირი სიმტკიცით ვერ ითქმის. ამჟამად დატულია ეს პრინციპი სულთა მატრიანის მეორე ნაკვეთში, ბაგრატიონთა მოსახსენებელში; ასევე კათალიკოზთა და მთავარეპისკოპოსთა მოსახსენებელში. მასალათა სიმტკიცის გამო გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ მრავალი მონაცემის მიხედვით დატული უნდა იყოს ქრონოლოგია ჯვარის მამათა მოსახსენებელშიც (იხ. აქვე ჯვარის მამათა ქრონოლოგია). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულთა მატრიანის მონაკვეთებს შორის დატოვებული ადგილების შევსება ხდება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ. ეს ჩანაწერები ქმნიან დამოუკიდებელ ფენებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც საგნობრივი და არც ქრონოლოგიური ძირითადი ფენის ნაკვეთებთან.

შესავლის გარდა ზოგიერთ სულთა მატრიანეს დაბოლოებაც მოეპოვება. ეს დაბოლოება ერთგვარად ასრულებს სულთა მატრიანის კომპოზიციას და მას გამოკვეთილი საბის ისტორიულისა და ლიტერატურული ხასიათის ძველად წარმოგვიდგენს. ასეთი დაბოლოება აქვს „გერგეტის სულთა მატრიანეს“. დასასრული ლოცვის სახეს ატარებს: ლოცვა მონასტრის მოსაყვამე მიმართ, ხოლო კრულვა მონასტრის მხვეჭავთა და წინააღმდეგომთა მიმართ⁹.

ამდენად, სულთა მატრიანეების შესწავლა და ისტორიული დამუშავება უნდა ხდებოდეს მათი შედგენილობის გათვალისწინებით, პლასტებისა და ნაკვეთების მიხედვით. ხოლო თუ რამდენად მნიშვნელოვანი ცნობების მიღება შეიძლება მატრიანეთა ამგვარი დამუშავების შედეგად, ამას ადასტურებს ქრ. შარაშიძის მიერ გერგეტის სულთა მატრიანეზე წარმოებული მუშაობის შედეგები. ჩვენ კი სულთა მატრიანისა და მოსახსენებელთა ტიპების განხილვა დაგვიკირდა იმისათვის, რომ უფრო ამჟამად გამოკვეთილიყო ალაპთა, ე. ი. მოსახსენებელთა მეორე ტიპის თავისებურებები.

* * *

ტერმინი ალაპი ბერძნული *ἀλαπί*-დან მომდინარეობს და ნიშნავს სიყვარულის ტრაპეზს, განკუთვნილს სამონასტრო კრებულისათვის მიცვალბულის მოსახსენებლად. ამ ტერმინით მოინათლა მთლიანად მოსახსენებელიც, სადაც შემოწვირველის მოხსენებისათვის, გარდა წირვისა თუ

პანაშვიდისა, ნავარაუდები იყო ალაპიც, ე. ი. ტრაპეზი.

ვინაიდან ალაპის განწესება ხდებოდა წლის ყოველ დღეზე, ამიტომ ალაპის ჩასაწერად ჩვეულებრივ იყენებდნენ ისეთ ხელნაწერს, სადაც ლიტურგიკული მასალა დალაგებული იქნებოდა წლის მთელ მანძილზე, და, მასასადამე, მას შეედლო, ერთგვარად, კალენდრის როლი შეესრულებინა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოსახერხებელი იყო სვინაქსარი, რომელიც შეიცავს მღვდელთმსახურების განრიგს, როგორც წლის ყოველ დღეზე, ასევე მოძრავ დღესასწაულებზეც.

ამა თუ იმ პირისათვის განწესებული წირვის, პანაშვიდისა თუ ალაპის გადახდა ისევე სავალდებულო იყო, როგორც სვინაქსარით გათვალისწინებული მღვდელთმსახურების პრაქტიკის ყველა სხვა ელემენტის შესრულება. ამიტომაც, რომ ალაპი იწერებოდა სწორედ სვინაქსარის გვერდებზე და იმ დღის გასწვრივ, როდესაც ის უნდა შესრულებულიყო.

ალაპების ჩასაწერად სვინაქსარების გამოყენება ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართულ მონასტრებში. ჩვენამდე მოაღწია ალაპების შემცველმა რამდენიმე სვინაქსარმა. ესენია: იერუსალიმის სვინაქსარი (ნ. მარის გამოცემული, რ. ბლაიკის იერუსალიმის ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით №№ 24—25). ზემოთ დასახელებული „გოლგოთას სვინაქსარი“, რომელიც აგრეთვე ჯვარის მონასტრის კრებულის მიერ განწესებულ მოსახსენებლებსა და ალაპებს შეიცავს და სამხრეთ საქართველოს ორი სვინაქსარი—ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები A—97 და A—193.

ალაპები იწერება არა ვაშლი ტექსტის სახით, როგორც ეს სულთა მატრიანეების შემთხვევაში გვაქვს, არამედ ცალ-ცალკე, სვინაქსარის ფურცლის კიდეებზე, ალაპისათვის განკუთვნილი დღის გასწვრივ. საალაპედ განკუთვნილ სვინაქსარებში ალაპები იწერება წლებისა და საუკუნეების მანძილზე. ხელნაწერი ამასობაში ძველდება, იხვევა, მინაწერების გადაღეული ტექსტები ძნელად საკითხავი ხდება. ამიტომ მათი განახლებისა და თავმოყრის მიზნით ზოგჯერ ალაპების ტექსტებს ცალკე იწერდნენ, მათთვის განკუთვნილ დღეებზე მითითებით. ამ გზით იქმნებოდა წიგნები, რომლებიც ალაპთა ტექსტებს მოიცავდნენ. ამგვარი საალაპე წიგნის ნიმუშია ათონის ივერიის მონასტრის ალაპები.

ათონის ალაპების უძველესი ფენის გადამწერი თავის ანდერძში გვაცნობს: „ლოცვა ყავ, იმაო

⁹ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

დეკანოზო, ... რამეთუ ესე აღაპნი აქა-იქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად, ხოლო მე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა ჩემსა შავ დეკანოზობასა გადავწერენ დაწყობით, ვითა ჯერ-იყო. არარაა შეგვიმატებია და არცა რაა დაგკლია, თუნიერ ცუდთა სიტყუათა. სხუაჲ ყოველი პირველსაებრ სწერია¹⁰. საფიქრებელია, რომ ათონის ივერიის მონასტრის აღაპები რამდენიმე სხვადასხვა ხელნაწერზე (სვინაქსარზე) იწერებოდა, რის გამოც მღვდელთსახურების დროს მათი ძებნა „საჭირო“ იყო. მათი მოხმარების გაადვილების მიზნით და ამავე დროს, ალბათ, მათი განახლების მიზნითაც, იოანე თავლაინეს განუზრახავს „დაფანჩულად“ დაწერილი აღაპების თავმოყრა და მათი კალენდარულ რიგზე დალაგება ისე, როგორც ეს დედანში იყო.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ სხვადასხვა ხელნაწერის, უფრო კი სვინაქსარების ფურცელზე დატანილი აღაპების ერთად თავმოყრა ჯვარის მონასტერშიც ყოფილა პრაქტიკაში. რა თქმა უნდა, შესწავლისა და ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა ამგვარ ნუსხებს, არამედ დედნებს. ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ჯვარის მონასტრის აღაპები სწორედ ასეთ დედანს (იერუსალიმის სვინაქსარს) ეყრდნობა.

ჯვარის მონასტრის აღაპები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის

ისტორიული მასალის სიუხვის თვალსაზრისით ჯვარის მონასტრის აღაპებს ანალოგიური ხასიათის ძეგლებს შორის ერთი უპირველესი ადგილი უნდა მიეკუთვნოს.

ამ აღაპებს აკად. ნ. მარმა მიაკვლია 1902 წელს იერუსალიმში ყოფნის დროს. მიუხედავად მცირე დროისა, რომელიც მის განკარგულებაში იყო, იერუსალიმში მან სხვა მრავალ მასალასთან ერთად, გადმოიწერა ჯვარის მონასტრის აღაპთა და მოსახსენებელთა პალეოგრაფიულად შეტად რთული და თავისებური ტექსტები, რომლებიც 1914 წელს ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა¹¹, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ ფილოლოგიურსა და ისტორიულ მეცნიერებას.

¹⁰ ათონის ივერიის მონასტრის აღაპები, 1901, გვ. 273—274.

¹¹ ნ. მარის, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, პეტერბურგი, 1914.

ნ. მარის გამოცემაში გაერთიანებულია ოთხი სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი აღაპები და მოსახსენებლები. გამოცემის ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს აღაპებს, რომლებიც ნ. მარმა გადმოიღო იერუსალიმის № 24—25 ხელნაწერიდან (ბლეიკის ნუმერაციით). ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდლის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს. სვინაქსარი დაწერილია მეოთხრთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის კლასიკური ნუსხურით. ხელნაწერის ტექსტი მრავალ ადგილას გაცხოველებულია სხვა მოგვიანო XIII—XIV სს. ხელით.

ხელნაწერის ფურცლებზე დაწერილია 313 აღაპი ნ. მარის გამოცემის მიხედვით და 318 აღაპი ჩვენი გამოცემის მიხედვით. გარდა ამისა ხელნაწერში არის საკმაო რაოდენობით გადასული აღაპები, რომელთა ამოკითხვა ვერ ხერხდება.

გარდა სვინაქსარული აღაპებისა, ნ. მარმა თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში გამოაქვეყნა იმავე ჯვარის მონასტრის მოსახსენებლები უკვე სხვა ხელნაწერთა ფრაგმენტების მიხედვით. ესენია: ა) მოსახსენებლები, რომლებიც აღმოჩნდნენ დაზიანებული სვინაქსარის რესტავრირებულ კიდეებზე (სვინაქსარის კიდეები რესტავრირებულია სხვა ხელნაწერის ფურცლებით, რომლებიც მოსახსენებელთა ტექსტებს მოიცავენ)¹². ბ) მოსახსენებელთა სია, რომელიც ლავრენტი ოკრიბელის ცნობით¹³ შედგენილი უნდა ყოფილიყო დოსითეოს პატრიარქის დროს XVII ს¹⁴. გ) მოსახსენებელთა ერთფურცლიანი სია. ნ. მარი მას უწოდებს „лист из поминальной рукописи“, დაწერილი ნუსხურით¹⁵.

ყველა ზემოთ დასახელებული ტექსტი ნ. მარის მიერ დიდი სიზუსტითა და ფილოლოგიური სიფაქიზით არის გადმოწერილი და გამოქვეყნებული.

აღაპთა ტექსტებს ნ. მარმა დაურთო აღაპთა ნიმუშების რამდენიმე ტაბულა და აღაპებში დასახელებულ პირთა საძიებლები.

ამ ძეგლის მნიშვნელობაზე ნ. მარი ჯერ კიდევ თავის წინასწარ ანგარიშში წერდა: „В Синодике выше трехсот памятей. Громадное большинство жертвователей— грузинские цари и царьичи,

¹² ნ. მარის, აღაპნი, გვ. XVII—XIX.

¹³ Цагарели, Памятники Грузинской старины в Святой земле и на Синае, ППС, т. IV, в. 1, 1888 გვ. 189—191.

¹⁴ ნ. მარის, დასახ. ნაშრომი, გვ. XIV—XXV.

¹⁵ ნ. მარის, აღაპნი, გვ. XXV—XXVIII.

высшие иерархи грузинские и абхазские, сановники, князья, княгини, члены исторических родов, духовные писатели и вообще выдающиеся церковные и политические деятели и часто деятельности Грузии. Имена многих из них узнаем в первых из этого Синодика¹⁶.

ამ სტრიქონების დაწერის 12 წლის შემდეგ ნ. მარმა ჯვარის მონასტრის ალაპები გამოაქვეყნა, მაგრამ თავი აარიდა მათ ისტორიულსა და ფილოლოგიურ შესწავლა-დამუშავებას. ჩანს, ის ვარაუდობდა, რომ კვლავ დაუბრუნდებოდა ალაპებს. ალაპების გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „По содержанию памятник представляет также значительный и разнообразный интерес. Собственные имена дают любопытный материал для вопроса о грузинизации армянской знати. Палестиноведы найдут кое-что поучительное для себя. К этим вопросам предполагаю вернуться в другом месте. Предварительно хотелось бы только успеть обнародовать и другие мелкие тексты из той же экспедиции, имеющие отношение к Палестине“¹⁷.

ამჯერად ნ. მარი უფრო ვიწრო ლინგვისტური თვალსაზრისით აფასებს ალაპებს. სინამდვილეში ჯვარის მონასტრის ალაპები პირველხარისხოვან მასალას შეიცავენ ქართველოლოგიური მეცნიერების მრავალი დარგისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ალაპების ტექსტები გამოცემულია ნ. მარისთვის ჩვეული ფილოლოგიური სიზუსტით, ამ გამოცემით სარგებლობა მაინც მეტად გაძნელებულია, ვინაიდან მას არა აქვს კომენტარებული საძიებელი და ალაპებში ქრონოლოგიური ფენები არ არის გამოყოფილი, რის გამოც ეს შესანიშნავი მასალა დიდად კარგავს თავის ღირებულებას. მცირერიცხოვანი პალეოგრაფიული ხასიათის შენიშვნები კი, რომელსაც ნ. მარი გზადაგზა ურთავს ალაპებს, ხშირად მკითხველის დეზორიენტაციას იწვევს. ნ. მარი ზოგჯერ ისეთ ალაპზე წერს: „написано паздней рукой“, რომლის პალეოგრაფიული დათარიღება ადრეული, XIII—XIV საუკუნეებით სრულიად უტყვია. ნ. მარის ნაშრომის ეს სუსტი მხარე განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც

შესაძლებელი გახდა ალაპთა შემცველი ხელნაწერის ფოტოპირების მიღება და გაცნობა¹⁸.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლისა, ნ. მარის გამოცემამ უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას ისევე, როგორც პალესტინასა და სინაზე მის მიერვე მოპოვებული სხვა მასალების პუბლიკაციამ. საწყენია მხოლოდ ის, რომ ნ. მარმა ვერ შეასრულა თავისი თავდაპირველი განზრახვა და აღარ დაუბრუნდა ალაპებს მათი უფრო სრული და მეცნიერული დამუშავების მიზნით.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის იერუსალიმის სვინაქსარის ფოტოპირი, რომელიც ამ ალაპების საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ალაპები, თავისი შედგენის წესის გამო, ბევრად უფრო მრავალფეროვანსა და მდიდარ მასალას გვაწვდიან, ვინემ მოსახსენებლები და თუნდაც სულთა მატრიანეები. ამავე დროს ისინი უფრო მეტ შესაძლებლობასაც იძლევიან იქ დაკულ ცნობათა დათარიღებისა და შეფასებისათვის.

სულთა მატრიანეებისა და მოსახსენებლებისაგან განსხვავებით ალაპი იწერებოდა შემომწირველისაგან მიღებული შეწირულებისთანავე. ალაპი ერთგვარად იურიდიული დოკუმენტია, დადებული მონასტრის კრებულსა და შემომწირველს შორის. ამ დოკუმენტის მიხედვით მონასტერი მიღებული შემოწირულებისა თუ სხვა სახის დახმარების სანაცვლოდ თავის თავზე იღებდა მთელ რიგ ვალდებულებებს შემომწირველის სულზე ზრუნვისათვის. ჩვეულებრივ ეს ვალდებულება რომ მტკიცედ ყოფილიყო დაკული, ამისთვის ხშირად ალაპს მიწერილი ჰქონდა კრულვა ეკლესიის იმ მსახურთა მიმართ, რომლებიც დაარღვევდნენ ამ ვალდებულებას. მაგრამ ეს საქმეს ყოველთვის როდი შეელოდა; კრებულის განწყობილი ალაპები ხშირად შეუსრულებელი რჩებოდა იმის გამო, რომ მონასტერს საამისო ეკონომიური შესაძლებლობა არ გააჩნდა.

ალაპები წლების მანძილზე დიდი რაოდენობით იწერებოდა; ზოგ დღეზე რამდენიმე ალაპია განწყობილი სვინაქსარის ფურცლებზე. ალაპი მონასტრის კრებულისათვის ტრაპეზის გადახდას ვარაუდობდა, სატრაპეზო ხარჯი კი მონასტრის

¹⁶ Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джавахишвили, и в Иерусалиме в поездку 1902 г., гл. 46.

¹⁷ ნ. მარი, ალაპნი, გვ. VII.

¹⁸ 1955 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ მიიღო ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები და მათ შორის ჯვარის მონასტრის ალაპების შემცველი სვინაქსარის მიკროფილმიც (№ 24—25).

სახსრებიდან უნდა გაღებულიყო შემოწირულების ანგარიში. ამას მონასტერი ყოველთვის ვერ ახერხებდა, ამიტომ ალაპები ხშირად არ სრულდებოდა. იმისთვის, რომ კრებულს ფორმალურად მიანიც თავიდან აეცილებინა ალაპის ვადახდის ვალდებულება, კრებულის წევრები შლიდნენ ალაპის ბოლოს მიწერილ კრულვას და ამით ერთგვარად თავს ითავისუფლებდნენ აღებული ვალდებულები-საგან. კრებული ზოგჯერ მეორე გზასაც მიმართავდა: იშლებოდა ძველი ალაპი და მის მაგივრად იწერებოდა ახალი ალაპი ახლად მიღებული შეწირულების საფუძველზე.

სულთა მატრიანეებისა და მოსახსენებელთა სიე-ბისაგან განსხვავებით ალაპები დიდ ფაქტიურ მასალას შეიცავენ. იქ ხშირად მოხსენებული არიან არა მარტო ის პირები, ვისთვისაც იღება ალაპი, არამედ ისინიც, ვინც ამ ალაპს აწესებენ: მონასტრის წინამძღვარი და კრებულის თანამდებობის მქონე სხვა პირები. რიგ შემთხვევაში ალაპში მოხსენებულია ის პირიც, რომელმაც იკისრა შეწირულების ჩატანა იერუსალიმში ამა თუ იმ პირის სააღაპედ. უფრო ხშირად კი ის, ვისი სახელითაც შეწირული იქნა თანხა ალაპის განწესების მიზნით. ამგვარად, ალაპში შეიძლება მოხსენებულიყვნენ: ის, ვისთვისაც იღება ალაპი; ის, ვისი ინიციატივითა და სახსრებით განწესდა ალაპი, ვისი ხელითაც გადაეცა მონასტერს შეწირულება და ბოლოს, მონასტრის კრებულის ის წევრები, რომელთაც განაწესეს ალაპი.

ალაპში ხშირად აღნიშნულია ნათესაური მიმართება შემომწირველსა და იმ პირს შორის, რომლისთვისაც დაიდვა ალაპი. ყველა ამის გამოცნობები ცალკეულ პირებზე იქამდე უხვია, რომ რიგ შემთხვევაში ხერხდება იქ დასახელებულ პირთა არა მარტო ცხოვრების დროის განსაზღვრა, არამედ მათი ნათესაური კავშირების გარკვევა და გარკვეულ მონაკვეთში მათი გვარის გენეალოგიის გათვალისწინება. ხოლო ვინაიდან ჯვარის მონასტრის ალაპებში ძალიან ბევრია ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ ალაპებში მოიხსენებიან და სხვაგან არა, გასაგები ხდება, თუ რა შესანიშნავ ისტორიულ წყაროდ შეიძლება იქცეს ალაპები. თუ ის სათანადოდ დამუშავდა.

ალაპთა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მათი უმრავლესობა XIII—XIV საუკუნეებშია დაწერილი. ამ დროის წერილობითმა წყაროებმა კი ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწიეს. ჯვარის მონასტრის ალაპთა მეტ-ნაკლები სიზუსტით დათარიღება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი მო-

მენტის დაზუსტებას და მრავალი უცნობი ისტორიული პირის გამოვლენას.

ისტორიულ-ფილოლოგიური და პალეოგრაფიული ძიებებით ჩვენ შევეცადეთ შეგვეტანა ქრონოლოგიური წესრიგი ალაპთა მდიდარ ისტორიულ მასალაში. თუ ამიერიდან ალაპებმა საწარმო ისტორიული წყაროს სახელი დაიმსახურეს, ჩვენი მიზანი სავსებით მიღწეული იქნება. ამ მასალის სათანადო გამოყენება და ისტორიული ამეტყველება უკვე ისტორიკოსის საქმეა. ჩვენ ვერ დავიჩემებთ მის ვერც ამომწურავ ისტორიულ შესწავლასა და ამდენად ვერც შეფასებას. მაგრამ იმ სამუშაოს გარეშე, რომელიც ჩვენ ჩაატარეთ, ეს მასალა ისევე გამოუყენებელი დარჩებოდა, როგორც აქამდე იყო.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ალაპებს იერუსალიმის ქართული კოლონიის და განსაკუთრებით კი ჯვარის მონასტრის ისტორიის შესწავლისათვის. ჯვარის მონასტერი საუკუნეთა მანძილზე იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა ცენტრი იყო. ჯვარის მონასტერში ერთიანდებოდა იერუსალიმის ქართული კოლონიის საუკეთესო ძალები. ჯვარის მონასტრის წინამძღვარი წარმართავდა იერუსალიმის დანარჩენი ქართული მონასტრების საქმიანობასაც.

ჯვარი მესვეურობდა ქართველთა კოლონიის კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებას. ჯვარს მუდმივი კავშირი ჰქონდა მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებთან, რომელთაც თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ იერუსალიმში. ჯვარს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით, ამიტომ ჯვარის მონასტრის ეკონომიურ თუ უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი იყო. ამით აიხსნება ძლიერი ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, რომელიც მას ჰქონდა საქართველოდან. მეტად საინტერესოა ამ მხრივაც ალაპები. ყველაზე დიდი რაოდენობით შემოწირულება ჯვარს მისდიოდა მონასტრის გაჭირვების შემს, „გაჭირვების შემს“ კი არაერთხელ განუცდია ჯვარს; სხვადასხვა დროს მას ემტერებოდნენ: ჯვაროსნები, ეგვიპტის სულთნები, ბერძნები და ლათინები. ყველა მიისწრაფოდა, რათა ხელში ჩაეგდო მდიდარი მონასტრის ქონება. ჯვარის მონასტრის ეკონომიური ყოფისა და კულტურული საქმიანობის გათვალისწინებისათვის ალაპები დაუფასებელი მასალაა.

ალაპი ჩვეულებრივ იწერება მიცვალებული-სათვის და მიცვალებულის სახელით იგზავნება მონასტერში შემოწირულება. მაგრამ ხშირად ალაპზე ზრუნვას შორსმკვრეტელი პირები სიცი-ცხლეშივე იწყებდნენ. ისინი სიციცხლეშივე აგ-ზავნიდნენ შეწირულებას, ან თვითონ მიჰქონდათ იგი. ზოგჯერ კი მონასტრისთვის გაწეული სამსა-ხურით იმსახურებდნენ ალაპის განწესების უფ-ლებას. ასეთ შემთხვევაში იწერებოდა დოკუმენ-ტი, „დაწერილი“, სადაც აღნიშნული იყო, თუ რა საალაპე პირობა უნდა შესრულდეს გარკვეუ-ლი შემოწირულების საფუძველზე. ასეთი პირო-ბის წიგნის ნიმუშს წარმოადგენს ძაგან აბულეთის ძის სიგელი, გაცემული შიო მღვიმის მონასტერ-ზე¹⁹.

სიციცხლეშია დაწერილი ნესტან-დარეჯან ქი-ლადის ასულისა და მისი პირველი მეუღლის გი-ორგი ლიპარტიანის თარიღიანი ალაპიც (T—92), შეტანილი ჯვარის მონასტრის ალაპთა ტიშენდორ-ფისეულ ნუსხაში.

ამ ტიპის წერილობითი დოკუმენტი დაუტოვე-ბია, როგორც ჩანს, იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზ გულაბერიძესაც (იხ. ალაპი № 127). ამგვარი მასალა მეტად საინტერესოა, ვინაიდან ის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კოლექტივის წევრების მოღვაწეობას ასახავს. ამ ტიპის მასალა მდიდარ ცნობებს შეიცავს მონასტრის ცხოვრების მრავალი მხარის შესასწავლად.

ზემოთ დასახელებული სვინაქსარის ფურც-ლებზე, გარდა ალაპებისა, დაწერილია ცოცხალთა მოსახსენებლები და მიცვალებულთა პანაშვიდები.

ჯვარის მონასტრის ალაპთა გამოცემის მძიმე ტვირთის აწევა ჩვენ გაგვაბედინა ნ. მარის მიერ გამოცემულ მოსახსენებელთა („Листъ изъ поминан-наго въручниси“) ძველი დედნის გამოჩენამ. თავდა-პირველად ჩვენ განზრახული გვქონდა გამოგვეცა მხოლოდ ეს ახლადმოპოვებული ნუსხა, მაგრამ მუშაობის პროცესში დაგვრწმუნდით, რომ ეს ნუს-ხა ისეა დაკავშირებული ჯვარის მონასტრის სვი-ნაქსარის ალაპებთან, რომ მათი ცალ-ცალკე გამო-ცემა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ეს ახლად მოპოვებული ნუსხა გახლავთ სამეცნიერო ლიტე-რატურაში უკვე ცნობილი ე. წ. „ტიშენდორფი-სეული ნუსხა“²⁰, რომელზედაც გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ.

ალაპთა ნუსხის ტიშენდორფისეული ხელნაწერი

პირველი ცნობა ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესახებ გამოაქვეყნა განსვენებულმა გრ. ფერადემ თავის წერილში. „An account of the ge-orgian monks and monasteries in Palestine“²¹. ის წერდა, რომ ლეიპციგის უნივერსიტეტში, ტიშენ-დორფისეული კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შორის მან ნახა ეტრატის ფრაგმენტები, რომ-ლებიც ჯვარის მონასტრის ალაპთა ტექსტებს შე-იცავდნენ, და რომ ეს ალაპები ბევრად უფრო ძველია, ვინემ ნ. მარის გამოცემულ ალაპთა ტექს-ტის დედანი.

ჩანს ეს ფრაგმენტი პროფ. ტიშენდორფმა იერუსალიმიდან წამოიღო 1845 წელს მოგზაურო-ბის დროს. თავის წიგნში—„Reise in den Orient“—ჯვარის მონასტრის დათვალეიერებასთან დაკავში-რებით, ის წერდა: „მონასტერში რაც კი ვნახე ბერძნული თუ ქართული ხელნაწერი, ნება დამრ-თეს, რომ წამომეღო მონასტრის სახსოვრად“²². როგორც ჩანს, პროფ. ტიშენდორფი ასევე მო-ქცეულა სინის მთის ეკატერინეს მონასტერში, საიდანაც მას წამოუღია ბერძნულ-ქართული პა-ლიმფესტები, რომელთა შორის რამდენიმე (X საუკუნისა) იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფს წარ-მოადგენს. პალიმფესტების ეს შესანიშნავი კო-ლექცია ამჟამად დაცულია სალტიკოვ-შჩედრინის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

გრ. ფერადის ცნობას პირველად ყურადღება მიჰქცია აწ განსვენებულმა აკად. ექვთიმე თაყაი-შვილმა. აკად. ექვთიმე თაყაიშვილსევე ეკუთვნის ამ ხელნაწერის მიკროფილმების გამოწერის ინი-ციატივა, მაგრამ სამწუხაროდ მის სიციცხლეში მიკროფილმების მიღება ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1954 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სა-მინისტროს საშუალებით და განსაკუთრებით კი დოც. ო. გიგინეიშვილის ენერგიული ცდის შედე-გად აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მიიღო ამ ხელნაწერის მიკ-როფილმი.

ამ ნუსხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ე. თაყაიშვილის ინტერესი ამ ძეგლისადმი სავსე-ბით გამართლებული იყო.

ეტრატის ოთხ ფურცელზე დაწერილ ალაპთა ეს ნუსხა მსგავსია ნ. მარის მიერ „ჯუარის ალაპ-თა“ წინასიტყვაობაში გამოცემული მოსახსენებე-

¹⁹ თ. შორდანი, ქრონიკები, 11, გვ. 145.

²⁰ ტიშენდორფისეული ნუსხის აღწერა, მიმოსლვა, 1956, გვ. 055—056.

²¹ Geographica, № 4—5, 1937, გვ. 238.

²² ვიწროვებთ გრ. ფერადის დასახელებული შრომის მიხედვით, გვ. 205.

ლისა²³, ოღონდ ტიშენდორფისეული ნუსხა ბევრად უფრო ძველი და სრულია. საქმარისია ითქვას, რომ ნ. მარის სია შეიცავს 56 ალაპს, ხოლო ტიშენდორფისეული ნუსხა კი 102-ს.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ტექსტი არ არის ერთგვაროვანი შინაარსითა და ფორმით. ტექსტი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს ფრაგმენტის გვერდნახევარს: იწყება 1r-ზე და მთავრდება 2r-ზე. ამ ნაწილის ძირითადი ტექსტი დაწერილია ერთი ხელით და დალაგებულია ერთი პრინციპით. ეს ძირითადი ნაწილი თავისი შინაარსით წარმოადგენს მარხვისა და ზატიკის კვირებზე განწესებულ ალაპთა ნუსხას. ნუსხა იწყება „ქორციელისა პარასკევითა“, ე. ი. ხორცის აღების კვირით, და მთავრდება „ყოველთა წმიდათა კვირიაკით“; ე. ი. ნუსხა მოიცავს მარხვისა და ზატიკის კვირებს სრულად.

მეორე ნაწილი ტიშენდორფისეული ხელნაწერისა სრულიად არ არის დაკავშირებული ალაპთა პირველ ნაწილთან. ის წარმოადგენს ალაპების არა ნუსხას, არამედ თვით ალაპებსა და რამდენიმე მოსახსენებელს, დაწერილს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ. ამგვარად, ამ მეორე ნაწილს, გარდა იმისა, რომ ის დაწერილია სულ სხვა ხელით, შინაარსობლივადაც არა აქვს კავშირი პირველთან. მარხვა-ზატიკის კვირების ალაპთა სიის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი გვერდები გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა დროს ალაპებისა და მოსახსენებლების ჩასაწერად. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილი—მარხვა-ზატიკთა ალაპების სია, დაწერილი უფრო ადრე, ვინემ მეორე ნაწილი.

როგორც უკვე აღენიშნეთ, ამ სიაში არ არის სრულად მოტანილი ალაპი; ე. ი. აქ არ არის აღნიშნული, თუ რა დამსახურებისათვის დაუწესდა ალაპი ამა თუ იმ პირს, არც ის, თუ ვინ განაწესა იგი და რა ხასიათის შემოწირულების საფუძველზე. აქ მხოლოდ თქმულია, რომ მარხვისა თუ ზატიკის კვირათა ამა და ამ დღეს დადებულია ალაპი ამა და ამ პირისათვის, ე. ი. ალაპებიდან ამოღებულია მხოლოდ ისეთი ცნობები, რომლებიც საჭირო იყო მარხვა-ზატიკის კვირების მანძილზე შესასრულებელ ალაპთა სიის შესადგენად. მაგ.: „ქორციელისა კვირიაკესა წირვა და ალაპი და პანაშვიდი საუკუნოა გრიგოლი დრან-

დელისა, შეუნდვენ ღმერთმან“. ამ ფორმას იმეორებს ნუსხის პირველი ნაწილის ყველა ძირითადი ალაპი.

მაგრამ ძირითადი ხელის გვერდით, ამავე პირველ ნაწილში სხვა ხელით ჩანაწერი ალაპებიც არის. ნუსხის ძირითადი ხელით ნაწერი ალაპებისაგან მოგვიანო დროის ჩანაწერების გამოყოფის შემდეგ აშკარა გახდა, რომ თავდაპირველ მარხვა-ზატიკის დღეების რიგი ძირითად ნაწილში სავსებით დაცული ყოფილა. რიგი დარღვეულია მხოლოდ ჩანაწერ ალაპებში იმის გამო, რომ ამ ალაპთა ჩამწერები იძულებულნი იყვნენ უკვე გარკვეული გეგმით შედგენილ სიაში, რომლის ტექსტი ძირითადად შევსებული იყო, ეძებნათ თავისუფალი ადგილები ახალი ალაპებისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში დღეთა თანმიმდევრობის დაცვა ძალიან რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ტექსტის დამწერი იმის გამო, რომ მისი შედგენილი ნუსხა არ მოიცავდა მარხვა-ზატიკთა ყველა დღეს, ითვალისწინებდა მათ შევსებასაც და ტექსტში ალაგ-ალაგ თავისუფალ ადგილებს ტოვებდა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ტექსტის მესამე გვერდზე (იხ. ტიშენდორფისეული ნუსხის ფოტოები). სხვათა შორის ასევე მოქცეულა ათონის ალაპთა ერთი ნაწილის გადაწერილი იოანე თაფლაისძე; „ვინ სხუასა ალაპსა დასწერდით, აშლით ნუ დასწერთ, ადგილი ყოველგან დაგვიტოვებია“²⁴ წერდა იგი. ამ გაფრთხილების მიუხედავად, დღეთა თანმიმდევრობა ათონის ალაპთა შემდგომ შემესვებელთ არ დაუცავთ ისევე, როგორც ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ძირითადი ტექსტის შემესვებლებს.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ჩანაწერები გამოირჩევა ძირითადი ნაწილისაგან არა მარტო ხელით, არამედ ალაპის შედგენის ფორმითაც. ყველა ჩამოთვლილი სამი ნიშნის მიხედვით გვიან ჩამატებული ალაპები ადვილად გამოირჩევა ძირითადი ალაპებისაგან. ამ გზით გამოიყოფა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველ ნაწილში ძირითადი პლასტი, ერთი ხელით დაწერილი, და მეორე პლასტი, ჩამატებული ალაპების სახით. ბუნებრივია, რომ ამათში უძველესი უნდა იყოს პირველი პლასტი.

ალაპების ძირითადი ანუ პირველი პლასტი საინტერესოა თავისი შედგენილობით. ამ ნაწილში მოხსენებული არიან: გრიგოლ დრანდელი, ცოტ-

²³ ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, გვ. XXV—XXVIII.

²⁴ ათონის ალაპები, 1901, გვ. 274.

ნე ქველივადსძე, პროხორე ჯვარის მამა, მკეცის-
ძე ბეშქენ მოლარეთ უხუცესი, დავით მეფე, აფ-
რიდონისძე არსლან, დავით მეფე, რუსუდანიის ძე,
მარუშიან ფალქოზის ძე, გიორგის შვილი. ჯავახი
ქილაძისძე, ცოტნე და ნათელ დადიანები, შაჰანშა,
ვარდან დადიანი, გრიგოლ ფანასკერტელი, ლიპა-
რიტ ქვეშელი, ხუაშა ქიაურთაძე, ნათელ ქუაბულის-
ძე, ცოტნე აფაქისძე, ძმანი გობოაძისძე, შოთა
მეჭურჭლეთუხუცესი და სხვა. ალაპების პირველი
ნაწილი მოიცავს სულ 74 ალაპს. აქედან ძირითა-
დი ხელით დაწერილია 48, ხოლო დანარჩენები
შემდეგი დროის ჩანაწერებია.

როგორც უკვე ითქვა, ალაპთა მეორე ნაწილი
არაფრით არ არის დაკავშირებული პირველ ნა-
წილთან, მაგრამ მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ
მეორე ნაწილის პირველი ალაპი შეიძლება გამო-
დგეს პირველი ნაწილის ზემო ქრონოლოგიურ
საზღვრად.

პირველი ალაპი, რომლითაც იწყება ტიშენ-
დორფისეული ნუსხის მეორე ნაწილი, არის პიშენ
მაწყყერელისა და ჯვარის მამის განწესებული ალა-
პი (იხ. I—75). პიშენ მაწყყერელის მოღვაწეობის
ხანა იერუსალიმში გარკვეულია, ეს არის XV საუ-
კუნის დამდეგი²⁵.

მეორე ნაწილის ალაპების სათითაოდ შესწავ-
ლამ გამოარკვია, რომ მათი უმრავლესობა XV საუ-
კუნეშია დაწერილი. ალაპთა ტიშენდორფისეული
ნუსხის II ნაწილის ყველაზე გვიანდელი ალაპებია
ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროინდელი
ალაპები. ისინი მეორე ნაწილის ძირითად ალაპებს
შორის დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შემდეგ
არიან ჩაწერილი. ამავე მიზნით გამოუყენებია
ნიკიფორეს პირველ ნაწილში 21-ს ზემო კიდეც-
ამგვარად, ტიშენდორფისეული ალაპების პირველი
ნაწილის ზემო ქრონოლოგიური საზღვარი ამავე
ნუსხის მეორე ნაწილის მიხედვით XV ს. დამდეგს
ვერ გადასცდება. მაგრამ პირველი ნაწილის ცალ-
კე შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ნაწილის
ქრონოლოგიური საზღვრები უფრო მეტად შეიძ-
ლება შემოიზღუდოს. ამის შესაძლებლობა მოგვცა
ჯვარის მონასტრის სვინაქსარისეულმა ალაპებმა,
რომლებიც პირველად ნ. მარმა გამოსცა იერუ-
სალიმის № 24—25 ხელნაწერების მიხედვით და
მეორედ წინამდებარე წიგნში ქვეყნდება.

ალაპების შემცველი სვინაქსარი, ისევე რო-
გორც საერთოდ ყველა სვინაქსარი, შედგება ორი
ნაწილისაგან. სვინაქსარის მთავარ ნაწილში ლი-

ტურგიკული მასალა დალაგებულია წელიწადის
ყოველ დღეზე. ამ მთავარ ნაწილს ერთვის: „გამო-
ავლინენი წელიწადთა საუფლოთა დღესასწაულთა;
გამოავლინენი განცხადებისა წმიდათა დღეთანი“,
და სხვ. და ბოლოს: „განგებაჲ წმიდათა მარხვა-
თაჲ კვრიაკეთაგან მეზუერისა და ფარისეველისა;
ვიდრე კვრიაკემდე ყოველთა წმიდათა“.

ალაპები მიწერილია როგორც სვინაქსარის
სათვეო ნაწილზე, ასევე „გამოავლინენზე“ და
„მარხვა-ზატიკის განგებაზე“.

ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ ტიშენდორფისეუ-
ლი ნუსხის პირველი ნაწილის ძირითადი ფენა
სწორედ მარხვა-ზატიკის კვირებზე განლაგებული
ალაპების ნუსხაა. ეს ნუსხა შედგენილი უნდა ყო-
ფილიყო ვრცელი ალაპების საფუძველზე.

სვინაქსარის მარხვა-ზატიკის განგებაზე მიწე-
რილი ალაპების შედარებამ ტიშენდორფისეული
ნუსხის მასალასთან დაგვარწმუნა, რომ ამ ნუსხის
ერთ-ერთი წყარო სწორედ ზემოთ დასახელებული
სვინაქსარი ყოფილა (იხ. შედარების ცხრილი,
დანართი). გამოირკვა, რომ მარხვა-ზატიკის კვი-
რებზე მიწერილი სვინაქსარის ცამეტი ალაპი-
დან ტიშენდორფისეულ ნუსხაში შესულია ათი ალა-
პი. ამ ცამეტიდან ერთი ალაპი სვინაქსარში გა-
დაშლილია (ამაზე ქვემოთ). სვინაქსარის მარხვა-
ზატიკის ალაპებსა და ტიშენდორფისეულ ალაპებ-
ში საერთოა შემდეგი ალაპები: გრიგოლ დრანდე-
ლის, გობოაძისძეთა მიცვალებულთა, ბექასი, მიქაელ
ჭუედისჯუარელისა, სალირ ლაშხაას შვილისა, ყუნ-
დოს ქახუზის ძისა, იობ ბეთლემეძასა და იოსებ
ჭაფლასი, თამარ მამლაქანის ძის ასულისა, შოთა
მეჭურჭლეთუხუცესისა და ძაგან აბულეთის ძისა.

დასახელებული ათი ალაპიდან ტიშენდორფი-
სეული ნუსხის პირველი ნაწილის ძირითად ტექსტ-
ში შეტანილია ცხრა, ერთი კი—ბექას ალაპი—
ძირითადი ნაწილის შემდეგდროინდელი მინაწე-
რია (იხ. ალაპი I—19). დანარჩენი ორი ალაპი
სვინაქსარიდან ტიშენდორფისეულ ნუსხაში სულ
არ არის გადატანილი. ესენია: ალაპი პატრონისა
ორჯანდასი და ქაიხოსრო ათაბაგისა²⁶. ცხადია,
რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი პლას-
ტის დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელო-
ბა აქვს ბექა მანდატურთ-უხუცესის ალაპს, ვინაი-
დან იგი მინაწერად არის შესული ტიშენდორფი-
სეულ ნუსხაში და, მამასადამე, უფრო გვიან არის
დაწერილი, ვინემ ამავე ნუსხის ძირითადი ტექს-
ტის ალაპები; თუ სვინაქსარის მარხვა-ზატიკის

²⁵ იხ. აქვე, გვ. 33—34.

²⁶ იხ. № 308 და № 309 ალაპთა კომენტარები.

თორმეტი ალაპიდან ცხრა ალაპი იმავე დღეებზეა შეტანილი ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ტექსტში, აშკარაა, რომ ძირითადი ტექსტის შემდგენელს ალაპთა ეს ნუსხა შეუდგენია მაშინ, როდესაც სვინაქსარის მარხვა-ზატიკის განგების ფურცლებზე მხოლოდ ზემოთ დასახელებული ცხრა ალაპი ყოფილა დატანილი, დანარჩენი სამი კი შემდეგ ჩაწერილა სვინაქსარში, რის გამოც ისინი ვერ მოხვედრილან ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ტექსტში. სვინაქსარის დარჩენილი 3 ალაპიდან ბექას ალაპი დანარჩენ ორზე უფრო ადრეა დაწერილი, ვინაიდან ის მინაწერის სახით ძირითადი ნაწილის დაწერის შემდეგ შეუტანიათ ტიშენდორფისეულ ნუსხაში (ამით განუზრახავთ ნუსხის შევსება), დანარჩენი ორი კი სულ არ გადასულა ტიშენდორფისეულ ნუსხაში. ამგვარად, ბექას ალაპის დაწერამდე უნდა გადაწერილიყო ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი.

ცნობები ბექა მანდატურთ-უხუცესის შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობით მოგვეპოვება. ბექა მანდატურთ-უხუცესი გიორგი ბრწყინვალის აღმზარდელი იყო. 1280-იან წლებიდან, იმის შემდეგ, რაც მამამისი სარგისი გარდაიცვალა, ბექა მთავრობდა სამცხეში. 1281 წელს დემეტრე II-მ და ბექამ, მონგოლების ლაშქართან ერთად, გაილაშქრეს ეგვიპტეში²⁷. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ დემეტრე და ბექაც ამ დროს იყვნენ პალესტინაში, სადაც ისინი მოინახულებდნენ ქართულ მონასტრებს, პირველ რიგში ჯვარის მონასტერს, და გარკვეულ თაღარიგს გასწევდნენ ალაპების განწესებისათვის. სხვათა შორის, სვინაქსარში არა ერთი და ორი ალაპია ბექასა და დემეტრე თავდადებულის ოჯახის წევრებისათვის განწესებული. თვით ბექას ალაპიც რამდენიმეა (№№ 5, 152 და 310); აქედან ერთი (№ 310) — დაწერილია მარხვა-ზატიკის კვირეების განგების ნაწილზე. ჩვენი ვარაუდი ბექასა და დემეტრეს პალესტინაში ყოფნის შესახებ ვარაუდად რომ დარჩეს კიდევ, ერთი მაინც აშკარაა, რომ ბექას ალაპის დაწერა მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს მაინც ვერ გადასცდებოდა, ვინაიდან 1306 წლისათვის ბექა გარდაცვლილია.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბექას ალაპი მის სიცოცხლეშივე დაიწერა, ვინაიდან თვალსაჩინო მოღვაწეებისა და მსხვილი ფეოდალების ალაპები უფრო ხშირად სიცოცხლეშივე იწერებოდა. ამგვარად, სვინაქსარში ჩაწერილი

ბექას ალაპი 1306—1307 წლებზე გვიან არ დაიწერებოდა, უფრო ადრე კი — შესაძლებელია. ამის მიხედვით ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი, რომლის დაწერაც ბექას ალაპის განწესებამდე დამთავრებული, XIII საუკუნის მიწურულით და XIV ს. დამდეგით უნდა შემოიფარგლოს. ამაზე გვიანდელი უნდა იყოს სვინაქსარის ის ალაპები, რომლებიც ტიშენდორფისეული ნუსხის პირველ ნაწილში არ აისახა: ალაპი პატრონის ორჯანდასი და ქაიხოსრო ათაბაგისა. პატრონი ორჯანდა უნდა იყოს ყვარყვარე დიდისა და დედისიმედის შვილი (იხ. № 308 ალაპის კომენტარი). ქაიხოსრო კი რამდენიმე იყო. პირველი, და მასთანამე, ყველაზე ადრეული, გარდაიცვალა 1500 წელს²⁸.

ბექას ალაპზე ადრეული უნდა იყოს ის ცხრა ალაპი, რომლებიც საერთოა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილსა და სვინაქსარის ალაპებს შორის. ხოლო თუ ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ძირითადი ფენის ალაპთა ქრონოლოგიური საზღვარია XIII საუკუნის მიწურული, ცხადია, ამავე დროით უნდა შემოიზღუდოს ძირითადი ნაწილის დანარჩენი ალაპებიც.

ამგვარად, ტიშენდორფისეული ნუსხის I ნაწილის მასალის შედარება სვინაქსარის მარხვა-ზატიკის განგების ალაპებთან ცხადყოფს, რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ამ ნაწილის დაწერის თარიღი მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს ვერ გადასცდება. შედარებამ დაათარიღა არა მარტო ტიშენდორფისეული ნუსხის I ნაწილის ძირითადი 46 ალაპი, არამედ სვინაქსარის ზემოთგანხილული ათი ალაპიც, რომელთა დათარიღების სხვა საშუალება აქამდე არ ჩანდა. ამასთანავე გაირკვა ისიც, რომ ზემოთგანხილული სვინაქსარი არ იყო ერთადერთი წყარო ტიშენდორფისეული ნუსხისა, რომ მის შემდგენელს ხელთ ჰქონია კიდევ სხვა სვინაქსარი ან სვინაქსარები, საიდანაც გადმოიღო ძირითადი პლასტის დანარჩენი ალაპები, იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაშიც შემდგენელი სარგებლობდა თავისი მიზნების შესაბამისად მხოლოდ მარხვა-ზატიკის განგებაზე მიწერილი ალაპებით.

მეორე წყაროდან, ისევე როგორც პირველიდან, ერთი ნაწილი ალაპებისა შესულია ტიშენდორფისეულ ალაპთა ნუსხის ძირითად ნაწილში, ხოლო ნაწილი კი მინაწერების სახით არის ჩაწერილი. ძირითადი ტექსტის მასალა არის თავდაპირველი, ხოლო მინაწერები გვიანდელი, ესე იგი, ყველაზე ადრეული მინაწერი უფრო გვიანდელი

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1949, გვ. 221.

²⁸ ქრ. შარაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 203.

ლია, ვინემ ძირითადი ტექსტის შედგენის დრო. სანიშნოდ განვიხილოთ ერთი მინაწერი ალაპი, წარწერილი ალაპთა პირველი გვერდის ზემო კიდებზე, რომელიც თავის დაწერილობით ძველი უნდა იყოს. ეს არის კახას შვილის ვამრეკელის ალაპი (იხ. ტიშენდორფისეულ ალაპთა ფოტოების პირველი გვერდი). ვამრეკელის მოღვაწეობიდან ზოგიერთი რამ ცნობილია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 1300 წლების ახლო ხანებში ბაყათარ, ოსთა მთავარმა, წაართვა კახას შვილს ვამრეკელს ძამის ციხე. ვამრეკელს ბალათარის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა ბექა მანდატურთ-უხუცესი. ბექა ჯაყელი ბრძოლაში ამარცხებს ვამრეკელის მტერს²⁹. ამგვარად, კახას ძე ვამრეკელი მეცამეტე საუკუნის დამლევისა და მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგის მოღვაწეა, თანამედროვეა ბექა მანდატურთ-უხუცესისა. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ მისი ალაპი, ისევე როგორც ბექასი, არ მოხვდა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში. ამგვარად, ეს ფაქტიც დამატებითი საბუთია იმის სასარგებლოდ, რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი შემოიფარგლოს მეცამეტე საუკუნით.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ სვინაქსარის იმ ალაპზე, რომელიც იქამდე გადაშლილია, როგორც ჩანს განზრახ, რომ მისი ამოკითხვა ნ. მარმაცვერ შერლო ხელნაწერში, ხოლო ფოტოპირებით გადაშლილი ტექსტის წაკითხვა სრულიად შეუძლებელია. ეს არის ალაპი № 311 ნ. მარის გამოცემის მიხედვით. ალაპი დადებული ყოფილა ზატიკის მეშვიდე კვირიაკის დღეზე. ტიშენდორფისეულ ნუსხაში ამავე დღეზე დაწერილი ალაპიც საგანგებოდ ამოფხეკილი აღმოჩნდა. ამოფხეკილი ტექსტის ნაცვლად მსხვილი ნუსხურით ჩაწერილია მეფეთ მეფის გიორგის დედის ალაპი. მაგრამ თავდაპირველ ტექსტში ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა მაინც შესაძლებელი გახდა: სტრიქონის ბოლოს ძლივს იკითხება „გრიგოლ ფანასკერტელი“. ჩანს ეს ალაპი დადებული ყოფილა გრიგოლ ფანასკერტელისათვის, ხოლო ამ ადგილის გამოყენების მიზნით შემდეგ იგი ამოუფხეკიათ და მის მაგივრად ჩაუწერიათ სხვა. ვინაიდან ზუსტად ამავე დღეზე დადებული სვინაქსარის ალაპიც ამოფხეკილია, უნდა ვიფიქროთ, რომ სვინაქსარშიც ამავე დღეს გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი იყო და ამოიშალა იმის შემდეგ, რაც იგი ტიშენდორფისეულ

სეულ ნუსხაში ამოიშალა. ესე იგი ამოიშალა იმ მიზნით, რომ არ ყოფილიყო წინააღმდეგობა სვინაქსარსა და ტიშენდორფისეულ ნუსხებს შორის. ამგვარად, სვინაქსარის მარხვა-ზატიკის ცამეტი ალაპიდან ათი კი არ გადმოსულა ტიშენდორფისეულში, არამედ თერთმეტი, ოღონდ მეთერთმეტის კვალი საფუძვლიანად წაშლილია როგორც სვინაქსარში, ასევე ტიშენდორფისეულ ნუსხაში. სხვათა შორის, სვინაქსარის ალაპი № 311 რომ ნამდვილად გრიგოლ ფანასკერტელის სახელზე უნდა ყოფილიყო დადებული, ამას კიდევ ერთი გარემოება ადასტურებს. სვინაქსარის პირველ ნაწილში, ე. ი. დღეებზე განლაგებულ მასალაში, არის რამოდენიმე ალაპი, დადებული გრიგოლ ფანასკერტელის სახელზე. ერთ-ერთი ალაპიდან ეგებულობთ, რომ მონასტრის კრებულს გრიგოლის დიდი დამსახურებისათვის განუწესებია მის სახელზე ხუთი ალაპი. აქედან სამი ალაპი მოიძებნა პირველსავე ნაწილში, ხოლო დანარჩენი ორი არსად ჩანდა, ახლა კი გამოირკვა, რომ გრიგოლის სახელზე დაწერილი მეოთხე ალაპიც ყოფილა დადებული ზატიკის მეშვიდე კვირაზე. საფიქრებელია, რომ გრიგოლის მეხუთე ალაპიც იქნებოდა სვინაქსარში ჩაწერილი, მაგრამ ისიც გადაშლილია და არ იკითხება (გადაშლილი ალაპები კი საკმაო რაოდენობითაა სვინაქსარში). ამასთან კიდევ ერთი გარემოებაც უნდა შეინიშნოს: ტიშენდორფისეული ნუსხის მეშვიდე კვირიაკიდან ამოშლილი გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი შემდეგ კვლავ გაუახლებიათ და ხელმეორედ ჩაუწერიათ, ოღონდ უკვე სხვა დღეზე—სამარტელის კვირის სამშაბათზე (იხ. ტიშენდორფისეული ალაპი № 62). ეს ალაპი ჩაწერილია იმავე გვერდის თავისუფალ ადგილას, სადაც ეწერა გრიგოლ ფანასკერტელის თავდაპირველი ალაპი.

გრიგოლ ფანასკერტელის კიდევ ერთი ალაპია შეტანილი ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (იხ. I—32). ამ ალაპს სვინაქსარში შესატყვისი არა აქვს. ჩანს, ეს ალაპი შეტანილია მეორე წყაროდან, სხვა სვინაქსარიდან. ამრიგად, გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები ტიშენდორფისეული ნუსხის I ნაწილის ძირითად ტექსტშიც გვხვდება და მეორე პლასტშიც, მინაწერებში; მაგრამ, როგორც დავინახეთ, მეორე პლასტში ის შემდეგ მოხვდა, ხოლო პირვანდელი სახით ის მხოლოდ ძირითად ნაწილში უნდა ყოფილიყო. გრიგოლ ფანასკერტელის ალაპზე ეს ოპერაცია უნდა ჩაეტარებია ტიშენდორფისეული ნუსხის რედაქტორს, ვინაიდან გადაფხეკილი ალაპის ადგილას ტიშენდორფისეულ ნუსხაში გიორგი მე-

²⁹ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპურსიები ნაშაურის ხეობაში, 1941, გვ. 72; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959, გვ. 317.

ფის დედის ალაპია ჩაწერილი, ხოლო სვინაქსარში კი არაფერი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ალაპების ამოშლა და არ შესრულება წესად ყოფილა სამონასტრო კრებულებში. ამას მოწმობს კრულები, რომლებიც ხშირად ერთვის ალაპებს. კრულვა მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც დაარღვევენ სამონასტრო კრებულის დადგენილებას და არ შეასრულებენ განწესებულ ალაპს.

შევაჯამოთ ზემოთ თქმული ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესახებ: ტიშენდორფისეული ნუსხა წარმოადგენს არა თვით ალაპებს, არამედ ალაპთა ნუსხას, რომელსაც საფუძვლად უდევს სვინაქსარის სრული ალაპები. ტიშენდორფისეული ნუსხა არის მხოლოდ მარხვა და ზატიკის კვირეებზე განწესებულ ალაპთა ნუსხა. ამ ნუსხის შენდგენელს რამდენიმე წყარო ჰქონდა ხელთ: პირველია — იერუსალიმის სვინაქსარის (№ 24—25-ის) მარხვა-ზატიკის განგებაზე მიწერილი ალაპები, მეორე წყარო არ ჩანს, მაგრამ უნდა ყოფილიყო ამავე ჯვარის მონასტრის მეორე სვინაქსარი. მეორე წყაროს ალაპები რაოდენობით უფრო მეტია, ვინემ პირველისა; როგორც პირველი წყაროდან, ასევე მეორიდანაც ალაპები გადმოსულია ორ ფენად. პირველი ის ალაპებია, რომლებიც შევიდა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ძირითად ფენაში, ხოლო მეორეა ის, რომელიც მინაწერებშია თავმოყრილი. ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი მისი ორივე წყაროს მიხედვით დაიწერა არაუგვიანეს XIV ს. დამდეგისა. მეორე პლასტი იწერებოდა ამის შემდეგ. მეორე პლასტის ზემო საზღვარია ალაპთა მეორე ნაწილის პირველი ალაპი, რომლის დაწერის დრო მეთხუთმეტე საუკუნის პირველ წლებს ვერ გადასცდება. ტიშენდორფისეულ ნუსხაში სხვადასხვა წყაროების შეერთებამ გამოიწვია ერთ დღეზე რამდენიმე ალაპის დამთხვევა. ამან კი თავის მხრივ მოითხოვა ასეთ შემთხვევებში დღეების შეცვლა (შდრ. სვინაქსარისა და ტიშენდორფისეული ნუსხის საერთო ალაპების სია, დანართი). ამანვე გამოიწვია ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე პლასტში გრიგოლ ფანასკერტელის ალაპის გაჩენა.

ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე წყაროდ შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენამდე არმოდწეული ის სვინაქსარი, რომლის უკანასკნელ თავისუფალ გვერდებზე დაწერილი უნდა ყოფილიყო ალაპების ტიშენდორფისეული ნუსხა. ეს ალაპები რომ სვინაქსარის ბოლოსაა ჩაწერილი, ამას მოწმობს

ალაპთა უკანასკნელ გვერდზე შემორჩენილი სვინაქსარის მომკაზმველის ანდერძი³⁰.

ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ფენის როგორც პირველი, ასევე მეორე წყარო მოიცავს ამ სვინაქსარების ალაპთა უძველეს (XI—XIII სს.) ფენას.

განვიხილოთ ახლა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ფენა იქ მოხსენებულ პირთა ვინაობისა და მათი მოღვაწეობის დროის თვალსაზრისით, ვიწყებთ იმ პირებით, რომელთა შესახებაც ცნობები სხვა წყაროებსაც შემოუნახავთ. უძველესი ალაპი, რომელიც მოტანილია ტიშენდორფისეულ ნუსხაში, არის პროხორე ჯვარის მამის (გარდ. 1066 წ.) ალაპი (I—8). ეს ალაპი მეორე წყაროდან არის გადმოსული; მართალია, პირველ სვინაქსარშიც არის პროხორეს ალაპი, მაგრამ ის განწესებულია მისი გარდაცვალების დღეს და არა მარხვა-ზატიკის კვირეებზე.

შემდეგი ალაპებია: დავით, რუსუდანის ძის (დავით ნარინის, 1230—1293), ცოტნესი და მისი დედის ნათელის ალაპი (T—25). ცოტნე და დიანი რუსუდანის დროინდელი მოღვაწეა, რომელმაც დიდად ისახელა თავი მონგოლებთან ბრძოლაში. ცოტნე და მისი დედა ნათელი მოხსენებული არიან ხოფის მონასტრის სამხრეთის კედლის ფრესკის წარწერაში: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი, დიოფალთ-დიოფალი ნათ(ელ), ძე ამათი ცოტნე“³¹.

შაჰანშა (ალაპი T—29) ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილის ქრონოლოგიური ფარგლების მიხედვით (XIII საუკ. დამდეგამდე) უნდა იყოს შაჰანშა I მხარგრძელი, რომელიც ლ. ალიშანის გენეალოგიის მიხედვით 1261 წელს გარდაიცვალა³². შაჰანშა სვინაქსარის ალაპებშიც მოიხსენება (იხ. № 240 ალაპი და მისი კომენტარი).

ვარდან დადიანი (T—30) და მისი დედა აგუტი. XII—XIII სს. მანძილზე ორი ვარდან დადიანი ჩანს ისტორიულ წყაროებში. ერთია თამარ მეფის დროინდელი ცნობილი მოღვაწე, ხოლო მეორეა XIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე, ნა-

³⁰ ანდერძში ვკითხულობთ: „მეორედ შეიკაზმა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი სვინაქსარი კელითა ყოველთა კაცთა უცოდველესისა გრიგოლისითა. მიეცინ სასყიდელი შრომისაჲ უფალმან და შეუნდგენს ღმერთმან. ან“.

³¹ თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 130. იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. ძველი საქართველო, III, გვ. 227.

³² ლ. სიქუანი. შიქსაი... ლხინისიქი, 1881, გვ. 175.

თელის ძე, ძმა ბედან მანდატურთ-უხუცესისა³³. ამგვარად, მეორე ვარდანის დედის სახელი ცნობილია, ხოლო პირველისა—უცნობია. ალაპებში მოხსენებული ვარდან დადიანი კი აგუტის ძე ყოფილა, მაშასადამე, ის არ შეიძლება იყოს მეორე ვარდანი (ე. ი. მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე). აქედან ალაპებში მოხსენებული ვარდან დადიანი, ძე აგუტისა, თამარის დროინდელი მოღვაწე ყოფილა, თუ არ დაეუფებოთ მესამე ვარდანის არსებობას.

აბულეთის ძე ძაგან (I—74). ძაგან აბულეთის ძე დადასტურებულია შიო მღვიმის 1260 წლის საბუთში, რომელიც მისივე გაცემულია. თ. ჟორდანის ვარაუდით ძაგან და ივანე აბულეთის ძენი მოკლეს 1282 წლის ახლო ხანებში³⁴.

ლიპარიტ ქვეშელი (I—42). ლიპარიტ ქვეშელის შესახებ ცნობები შემოუნახავს ერთადერთ წერილობით ძეგლს, იხტილას ეკლესიის წარწერას, რომელიც რამდენჯერმე გამოცემული. უკანასკნელად იგი ე. ცისკარიშვილმა გამოსცა. წარწერა ასე იკითხება: „გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა და თმოგუელთა ქალისა რუსუდანისაგან, შეუნდვენ ღმერთმან. ქრონიკონი იყო ფკზ“, ე. ი. 1307. თუ ვინ იყო ლიპარიტ ქვეშელი, ამის შესახებ სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. ზოგს იგი ორბელიანად მიაჩნია, ზოგს კი თორელად³⁵. ჩვენი ალაპის დათარიღებისათვის კი უფრო მნიშვნელოვანია მეორე საკითხი: იყო თუ არა ეკლესიის აშენების დროისათვის ლიპარიტი ცოცხალი; გადაჭრით რაიმეს თქმა ამის შესახებ ძნელია. უფრო საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის ლიპარიტი უკვე მიცვლილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მეუღლესთან ერთად მისი მოხსენებაც სააღმშენებლო წარწერაში. ამ ვარაუდის საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიპარიტის ალაპის დაწერის თარიღიც შეიძლება შემოიფარგლოს XIV ს. დამდეგით.

დავით მეფე (I—12). ამ ალაპის დავით მეფე დავით VIII უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ეს დავითი ვერ იქნება ულუ ან ნარინ დავითი, ვინაიდან ისინი, ჩვეულებრივ, იწოდებიან რუსუდანის ან გიორგის ძედ მათი გარჩევის მიზნით. დავით რუსუდანის ძისათვის განწესე-

ბულიც არის ალაპი ამავე ტიშენდორფისეულ ნუსხაში (იხ. I—16).

ზედწოდების გარეშე მოხსენებული დავითი არც აღმშენებელი უნდა იყოს, ვინაიდან ჩვეულებრივ სულთა მატანეებში დავითი აღმშენებლად იწოდება³⁶. რაკი ეს სამი დავითი გამორიცხულია, რჩება დავით V, დემეტრეს ძე, რომელმაც სულ ერთ წელიწადს (1155 წ.) იმეფა; დავით სოსლანი (1189—1207), დავით VIII (1293—1311) და დავით IX (1341—1360).

ვინაიდან დავით მეფის ალაპი ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაშია შესული, ამიტომ მისი ზემო ქრონოლოგიური საზღვარი XIV ს. დამდეგს ვერ გასცილდება. ამიტომ ვერც დავით IX ვიგულისხმებთ ალაპის დავითის ქვეშ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ I—12 ალაპის დავით მეფე უნდა იყოს დავით VIII, ვინაიდან ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ფენის ალაპების უდიდესი უმრავლესობა XIII ს. II ნახევრის მოღვაწეებს მოიცავს. გარდა ამისა, ალაპები უმთავრესად იწერებოდა იმ პირთათვის, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს იერუსალიმის ქართულ კოლონიას; დარჩენილი კანდიდატებიდან ამ მხრივ გამოირჩევა დავით VIII, რომელმაც მიზგითად ქცეული ჯვარის მონასტერი დაიხსნა და კვლავ „აგო ქართველებს“. დავით VIII-ის ეს დიდი სამსახური სვინაქსარშიც აისახა ალაპის სახით. ჩვეულებრივ, დიდი დამსახურებისათვის იწერებოდა რამდენიმე ალაპი. დავით VIII-ის მიმართაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მისთვის რამდენიმე ალაპი განწესებულია. ერთი მათგანი იერ. სვინაქსარ. № 24—25-შია, ხოლო მეორე, ალბათ, რომელიმე სხვა სვინაქსარში, საიდანაც ის გადატანილ იქნა ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში³⁷.

ამგვარად, ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი პლასტის იმ პირთა ცხოვრების ხანა, რომელთა სახელებიც დაიძებნა წყაროებში, აშკარად იფარგლება XI—XIII საუკუნეებით. ამავე თარიღით შემოიფარგლა ჩვენ მიერ ჩატარებული ძიების შედეგად ეს პლასტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი პირები, რომელთა დამოწმებას ჩვენ სხვა ისტორიულ წყაროებში ვერ ვხვდებით, ამავე ხანის მოღვაწენი არიან. ესენია: ცოტნე ქველივაძსძე, მისი ძმა საღირ, მოლარეთ-უხუცესი მკეცისძე ბეშქენ, გარეყანისძე საღირ,

³³ თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 131.

³⁴ იქვე, გვ. 145.

³⁵ ე. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბილისი. 1959, გვ. 94.

³⁶ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 242.

³⁷ ამასთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 58

აფრიდონისძე არსლან, მარუშიანი და გიორგი ფალქოზის ძენი, ჯავახ კილასძე³⁸ და სხვა მრავალი. ამავე ხანისაა ზოგადად ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში დამოწმებული შოთა მეტურქელეთუხუცესის ალაპიცი.

ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი პლასტის ქრონოლოგიური შემოფარგვლა საშუალებას გვაძლევს ახალი პირებითა და გვარებით შევაკოთ XII—XIII საუკუნეების ისტორია. ეს ხანა კი ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ღარიბი ცნობებით არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ეპოქა მდიდარი იყო ფაქტებით, მოვლენებითა და მოღვაწეებით.

³⁸ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილის ალაპის ჯავახ კილასძე (T—22) არაფრით არ შეიძლება იყოს XVI ს. ცნობილი პირი ჯავახ კილასძე, რომლის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ვახუშტი: 1568—70-იან წლებში „იწყობა მეფემან გიორგი მტერთა გურიელითურთ დადიანსა ზედა. ვერღარა შეუძლო დადიანან წინა დადგომა და წარვიდა სტამბოლს. შევიდნენ და დაიპყრეს ოდიში მეფემან და გურიელმან. არამედ მწე ყო დადიანს ხონთქარი, მოსცა არზრუმ-ტრაპიზონის სპანი და მოვიდნენ სატყეაელასა ზედა. შემინდა გურიელი სიდიდისათჳს სპათათა, დაუწყო დადიანს ვედრება, რათა ზაე-ჰყონ და არა მოუხზონ ქვეყანა, არამედ დადიანან სთხოვა სისხლი განტყეებისათვის ასულსა თვისისა და აღუთქვა ზაე-ყოფა. უღონო-ქმნილმან გურიელმან მისცა სისხლად შ დრაჰკანი. ზაე-ჰყო მის თანა. მოუძღვა გურიელი და დაიპყრა ლევან კვლავად ოდიში.

„ხოლო მეფემან გიორგიმ მოუწოდა ჯავახ კილასძეს, მოჰკლა იგი შურისათჳს წინათჳმულისა, რამეთუ მიმღგონიდა იყო დადიანისა, და დაიპყრა მამული ჯავახ კილასძისა მეფემან გიორგიმ.

„ესე აღუძნდათ დადიან-გურიელსა, შეითქვენ და მოვიდნენ სპითა და არა აუფლებდნენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა კილასძისასა, არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანან და ნახევარი გურიელმანს...“ (ვახუშტი, გვ. 291. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 361—362).

ამ დროიდან კილასძეთა სამფლობელო განაწილდა გურიელსა და დადიანს შორის. საჯავახო ერგო გურიელს (ეჭვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხსენებ. წიგნი, გვ. 3).

ჯავახი, ჩანს, კილასძეთა გვარში გავრცელებული სახელი ყოფილა. ამის მიხედვით შერქმევია მათ სამკვიდროს „საჯავახო“. მაგრამ XVI საუკ. ჯავახი, ჩანს, არ ყოფილა პირველი ჯავახი ამ გვარში. ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხისა ჯავახ კილასძე XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. შესაძლოა ეს ჯავახი იყო უძლიერესი თავის გვარში, რომლის დროიდანვე შერქვა კილასძეების სამფლობელოს „საჯავახო“. XIII საუკ. და XIV საუკ. მიჯნის კილასძეთა კიდევ ერთი ალაპია შეტანილი სვიანქსარში (№ 113), განწესებული ბეშქენ კილასძისათვის (იხ. ამ ალაპის კომენტარი). ამგვარად, კილასძეთა გვარის წევრთა უძველესი მოხსენება ჩვენ შემოგვინახეს ჯვარის მონასტრის ალაპებმა.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ჩანამატი ალაპების დათარიღებისათვის

ტიშენდორფისეული ნუსხის როგორც პირველ, ასევე მეორე ნაწილში, გარდა ძირითადი ფენისა არის შემდეგ ჩაწერილი ალაპებიც. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს პირველ ნაწილში, სადაც მკაფიოდ გამოიყოფა ერთი ხელით დაწერილი ძირითადი ფენა სხვადასხვა ხელით ჩანაწერი ალაპებისაგან. ზემოთ გარკვეულია, რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ფენა მოიცავს XI—XIII საუკუნეთა მოღვაწეების ალაპებს. გასარკვევია, თუ რა დროისაა შემდეგ ჩაწერილი ალაპები. ამ საკითხის გარკვევაში ნაწილობრივ გვეხმარება ალაპთა ნუსხის ის ხელნაწერი, რომელიც ხელთ ჰქონდა და გამოაქვეყნა ნ. მარმა.

ალაპთა ნ. მარისეული ნუსხა ბევრად უფრო მცირეა, ვინემ ტიშენდორფისეული ნუსხა. ის წყდება ჩვენი გამოცემის მეოთხმოცე ალაპზე, ე. ი. აკლია უკანასკნელი 20 ალაპი. ამის გარდა ტექსტს აკლია 26 ჩანაწერი ალაპი. მარისეული ნუსხა წარმოადგენს ტიშენდორფისეული ნუსხის გვიანდელ პირს. ის გადაწერილია მამინ, როდესაც ტიშენდორფისეული ნუსხა ჯერ კიდევ არ იყო შევსებული ყველა ჩანაწერი ალაპით; მარისეული ნუსხა თავდება ჩვენი გამოცემის 76—80 ალაპებით, რომლებიც ტიშენდორფისეულ ნუსხაში ერთი ხელითაა დაწერილი. ალაპები განწესებულა მეფეთა მეფე ალექსანდრესთვის, და ჯანიბეგ, ავთანდილ, მამისა და თაყა ზედგინიძეთათვის. ესენი კი XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი არიან³⁹. ამგვარად, ამაზე ადრე მარისეული ნუსხა ვერ გადაიწერებოდა. ამაზე გვიან მისი გადაწერა კი შეიძლება ვივარაუდოთ, თუ დავეუშვებთ, რომ მარისეული ნუსხა დაზიანების გამო ნაკლებია და მას აკლია ტიშენდორფისეული ნუსხის უკანასკნელი 20 ალაპი.

მარისეული ნუსხის უკანასკნელი 6 ალაპი (75—80) ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილის დასაწყისია. რაც შეეხება პირველ ნაწილს, ამ ნაწილის ძირითადი ფენა მარისეულ ნუსხაში მთლიანად არის შესული, ხოლო ჩანაწერი ალაპები — ნაწილობრივ. ამიტომ მარისეულ ნუსხაში გადასული ჩანაწერი ალაპები თითქოს ამ ნუსხის უფრო ადრეული ფენა უნდა იყოს, ვინემ ისი-

³⁹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. 1937, ნაკვ. 1, გვ. 5.

ნი, რომლებიც ამ ნუსხაში არ შესულან. მაგრამ ბოლომდე ნათელი მაინც არ არის, თუ რატომ გადავიდა მარისეულ ნუსხაში სწორედ ეს 7 ჩანაწერი ალაპი. მიუხედავად იმისა, რომ მარისეული ნუსხა აშკარად ტიშენდორფისეული ნუსხიდან მომდინარეობს, მათი განსხვავებული შედგენილობა, მოცულობა და წაკითხვები გვაფიქრებინებს, რომ მარისეული ნუსხა უშუალო პირი მაინც არ არის ტიშენდორფისეული ნუსხისა.

პირველი ნაწილის ჩანაწერი ალაპებიდან მარისეულ ნუსხაში შესულია შემდეგი ალაპები:

- 26 (M—19) ალაპი გრიგოლის ძმისა მიქაელისი
- 28 (M—20) „ მეფეთ მეფისა გიორგისი.
- 45 (M—32) „ ქობულისძისა აღბუღასი.
- 50 (M—37) „ ლაშხის შვილთა მიქაელისი და გიორგისი.
- 56 (M—41) „ ყვარყვარე სპასალარისა.
- 69 (M—48) „ მეფეთ მეფე გიორგის დედის.
- 72 (M—50) „ ლობიარ ერისთვისა.

ჩანაწერი ალაპთა ეს ჯგუფი ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს უნდა იყოს ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ძირითად ფენასთან. დანარჩენი ჩანაწერი ალაპები უფრო გვიანდელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტიშენდორფისეულ ნუსხაში ჩანაწერი ალაპების ჩაწერის დრო ყოველთვის არ უდრის ამ ალაპთა განწესების დროს, ვინაიდან, როგორც აღენიშნეთ, ამ ჩანაწერებით ივსებოდა მარხვა-ზატიკის კვირეებზე განწესებულ ალაპთა ნუსხა XIV საუკ. შემდეგ დროინდელი ალაპებით სხვადასხვა წყაროს (სეინაქსარების) მიხედვით, სხვადასხვა ხელითა და სხვადასხვა დროს, ე. ი. ამ მასალით ტიშენდორფისეული ნუსხის შევსება შეიძლებოდა ალაპთა დაწერის უმაღლეს და უფრო გვიანაც. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ბექას ალაპი (T—19) ისევე როგორც შალვას შვილის პიპასი (T—63), არ არის ჩანაწერი ალაპთა უძველეს ფენაში. ჩანაწერი ალაპებიდან მარისეულ ნუსხაში არ გადასულა აგრეთვე ალაპი კახას ძის გამრეკელისა, რომელიც ბექას თანამედროვე ჩანს⁴⁰.

⁴⁰ კახას ძე გამრეკელი 1390 წლის ახლო ხანებში მოხსენებულია „უამთა აღმწერელთან“ (ქლის ცხოვრება, 1959 წლის გამოც., ტ. II, გვ. 317). ამ გამრეკელის შესახებ ლ. მუსხელიშვილი წერს: „ეს გამრეკელი ვგებ მეჭურჭლეთუხუცესის კახას ძე იყოს, რომელიც 1259 წელს, როგორც ენახეთ, უშვილო იყო, მაგრამ შემდეგში შეიძლება შვილები მიეცა“ (არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 72). ჩვენ ვფიქრობთ, რომ „უამთა აღმწერლის“ გამრეკელისათვის უნდა იყოს განწესებული ზემოთმოხსენებული ალაპი XIV საუკუნეში. მარისეულ ნუსხაში გამრეკელის ალაპის შეუტან-

ჩანაწერი ალაპებიდან, რომლებიც არ შესულან მარისეულ ნუსხაში, რამოდენიმეს დათარიღება ხერხდება. ესენია: ალაპი T—63, გაჩენილი შალვა ქვენიფნეველის შვილის პიპასათვის, რომელიც XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო. იმავე ხელითაა დაწერილი გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი T—62. ამ ალაპზე კი ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი. გრიგოლის ალაპის თავდაპირველი ტექსტი (T—70) ნუსხაში საგანგებოდ ამოუშლიათ. მის მაგივრად ჩაუწერიათ მეფეთ მეფის გიორგის დედის ალაპი (I—69). შემდეგ გრიგოლის ალაპი კვლავ განუახლებიათ, ოღონდ სხვა დღეზე (I—69). ეს ალაპი უკვე დაწერილია არა ძირითადი, არამედ პიპას ჩანაწერი ალაპის (T—63-ის) ხელით. გრიგოლ ფანასკერტელის თავდაპირველი ალაპი (T—70) ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ფენიდანაა, ისევე როგორც გრიგოლის მეორე ალაპიც (I—32). ეს ფენა XIII—XIV საუკუნეთა მიჯნით იფარგლება. გრიგოლ ფანასკერტელის განახლებული ალაპი კი (T—62) ტიშენდორფისეულ ნუსხაში პიპას ალაპის ჩაწერის თანადროულია. პიპამ იერუსალიმში იმოგზაურა 1320 წელს (იხ. აქვე, გვ. 46). ამაზე ადრე პიპას ალაპი არ დაიწერებოდა, გვიან კი, XIV საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში, მისი დაწერა უფრო მოსალოდნელია. ამის შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ ამ ალაპის თავდაპირველი დედნიდან ტიშენდორფისეულ ნუსხაში გადატანა.

ვინაიდან მარისეულ ნუსხაში ეს ალაპები შესული არ არის, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ჩაწერა ტიშენდორფისეულ ნუსხაში უნდა მომხდარიყო მარისეული ეგზეგეტიკის გადაწერის შემდეგ. მარისეული ნუსხის ძირითადი ნაწილის ყველაზე გვიანდელი ალაპებია ალექსანდრე მეფეთ მეფისა და ზედგინიძეთა ალაპები (NeNe 75—80), რომელთა დაწერის თარიღად XV ს. პირველი ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ამ თარიღის შემდეგ უნდა ჩაწერილიყო ტიშენდორფისეულ ნუსხაში პიპას ალაპი (T—63) და განახლებულიყო გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი (T—62).

მეორე მხრით გიორგი მეფის დედის ალაპი (I—69) გრიგოლ ფანასკერტელის გადაფხეკილი ალაპის ადგილას რომ ჩაწერილია, მოხვედრილია მარისეულ ნუსხაშიც. აქედან ცხადია, რომ T—69,

ლობა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ალაპი მიწერილია ნუსხის 1r-ს ზემო კიდეზე და გადამწერს შესაძლოა ის მხედველობიდან გამორჩა.

ისევე როგორც დანარჩენი 6 ჩანაწერი ალაპი მარისეული ნუსხისა, უფრო ადრეულია, ვინემ პიპასა (T—63) და გრიგოლ ფანასკერტელის განახლებული ალაპი (T—62), ამგვარად, T—62 და T—63 ჩანაწერ ალაპთა მეორე ფენაა. ჩანს, მარისეული ნუსხის 7 ჩანაწერი ალაპი ალაპთა ძირითადი ნაწილისაგან მცირე დროითაა დაშორებული. მათი ჩაწერის დრო XIV ს. უნდა შემოიფარგლოს⁴¹.

ჩანაწერ ალაპთა მეორე ფენის ქრონოლოგიურ ფარგლებში უნდა მოთავსდეს ბექას ჩანაწერი ალაპიც (T—19), რომლის წყარო, როგორც უკვე აღინიშნა, სვინაქსარის ალაპია (№ 310).

გარდა განხილული ალაპებისა, თარიღდება კიდევ რამდენიმე ჩანაწერი ალაპი. ესენია: T—27 და T—33. ორივე საქაოდ გადაშლილია და იკითხება მხოლოდ ნაწილობრივ; ორივე დაწერილია სვინაქსარის ალაპთა XIX ტაბულის ხელით (იხ. ტაბულები და შდრ. ტიშენდორფისეული ნუსხის ფოტოს). ეს ტაბულა კი თარიღდება XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დამდეგით (იხ. სვინაქსარის № 6 ალაპის კოდექსარი). ჩანს, ერთი პირის დაწერილია სვინაქსარის XIX ტაბულის ალაპები და ტიშენდორფისეული ნუსხის ეს ორი ალაპი. ეს კი იმით აიხსნება, რომ ის სვინაქსარი, რომლის ბოლო ფურცლებზე მიწერილია ტიშენდორფისეული ნუსხა, ჯვარის მონასტრის საკუთრება ყოფილა ისევე, როგორც ალაპთა შემცველი სვინაქსარი (იერ. № 24—25). ამიტომ ერთსა და იმავე პიროვნებას ერთდროულად შეეძლო ალაპები შეეტანა ორივე სვინაქსარში.

თარიღდება ჩანაწერი ალაპი T—57, განწესებული ჯანიბეგ ზედგინიძისათვის. ჯანიბეგის მოღვაწეობის ხანა ცნობილია (XV საუკ. პირველი ნახევარი). T—57 დაწერილია T—76—80 ალაპების ხელით, რომლებიც აგრეთვე ზედგინიძეებს ეკუთვნის.

ამგვარად, ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ჩანაწერი ალაპები ძირითადად თარიღდება XIV საუკუნიდან XV საუკუნის ნახევრამდე. დანარჩენი ჩანამატი ალაპების დათარიღება ვერ ხერხდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში T—58-ს, რომელიც ალაპთა ნუსხის რიგში არ დგას და ამ ნუსხის შევსების შემდეგაა ჩაწერილი. ალაპი ნიკიფორე ჯვარის მამის მიერაა განწესებული პაატა გურიელისათვის და ამიტომ

თარიღდება ნიკიფორე ჩოლაყაშვილის ჯვარის მამობის წლებით.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველ ნაწილში უნდა გავარჩიოთ:

I ძირითადი ფენა, რომელიც დაწერილია XIII საუკუნის გასულამდე.

II ფენა (7 ჩანაწერი ალაპი), რომლებიც XIV ს. უნდა იყოს ჩაწერილი.

III ფენა—ჩანაწერი ალაპები, დაწერილი XV საუკუნის პირველ ნახევარში, მარისეული ნუსხის გადაწერის შემდეგ. ამავე ფენაში გავერთიანეთ ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მიერ ეურკლის კიდეზე გვიან მიწერილი ალაპიც.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილის დათარიღებისათვის

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის II ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს არა ნუსხას სხვადასხვა სვინაქსარიდან გადმოღებული ალაპებისას, განწესებულს მარხვა-ზატიკის დღეებზე, როგორც ეს პირველ ნაწილშია, არამედ თვით ალაპებს, დადებულს სხვადასხვა დღეზე (რაიმე წესრიგის დადგენა ამ მხრივ აქ შეუძლებელია), დაწერილს სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა, მაგრამ ალაპთა განწესების დროსვე. ჩანს, მარხვა-ზატიკის დღეებზე განწესებულ ალაპთა ნუსხის დაწესების შემდეგ დარჩენილა სვინაქსარის კიდევ რამდენიმე თავისუფალი გვერდი, რომლებიც თანდათან ივსებოდა ალაპებით. ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილი (ძირითადი ფენა თავისი ჩანაწერი ალაპებით) მოიცავს 74 ალაპს. ამის შემდეგ იწყება ვრცელი ალაპები და მოსახსენებლები, დაწერილი სხვადასხვა ხელით. პირველ ნაწილს უშუალოდ მოსდევს პიმენ მაწყვერელისა და ჯვარის მამისათვის განწესებული დლოცვა სახარებასა და სვინაქსარზე. ამ ალაპის გამჩენია იოანე ჯვარის მამა, რომელიც პიმენის შემდეგ იყო ჯვარის მამად და მოღვაწეობდა იერუსალიმში XV საუკუნის მეორე მეოთხედში⁴².

ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ნუსხის II ნაწილის ალაპებს შორის დაკულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ალაპს, რომლებიც უფრო გვიან ჩაწერილი ჩანს ქრონოლოგიურად ერთმანეთის მომდევნო ალაპთა შორის დატოვებულ თავისუფალ ადგილებში. ამ გვიანდელი ალაპებიდან ორი ნიკიფორეს მამობის დროინდელი

⁴¹ ამის მიხედვით T—69 და T—28-ში მოხსენიებულ მეფე გიორგის მოღვაწეობის ხანად XIV ს. უნდა მივიჩნიოთ.

⁴² იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგიისათვის, გვ. 34—35.

ლი ალაპია. ნიკიფორეს ალაპები ჩაუწერია ნუსხის როგორც პირველ, ასევე მეორე ნაწილში (იხ. T—84 და T—89)⁴³. ამგვარად, ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ზემო ქრონოლოგიური საზღვარია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის იერუსალიმში მოღვაწეობის წლები, ე. ი. 1643—1649 წლები. ნიკიფორეს დროინდელი ალაპები გვიანდელი ფენაა. ალაპთა II ნაწილის ძირითადი ფენა კი ბევრად უფრო ადრეული ჩანს.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის II ნაწილის ძირითადი ფენის დათარიღება ხერხდება.

პიმენ მაწყვერელის ჯვარის მამის დალოცვას მოსდევს ერთი ხელით დაწერილი რამდენიმე ალაპი. ესენია: ალექსანდრე მეფის⁴⁴, ჯანიბეგ ზედგინიძის, ავთანდილ ზედგინიძის, მისი მეუღლის გულშარის, მამისა და თაყა ზედგინიძეთა. იმავე ხელითაა დაწერილი ალექსანდრე დიდის მეორე მეუღლის თამარის მოსახსენებელი, ალექსანდრე დიდის ბებინს რუსა ამირეჯიბისა და ბედიელი მელქისედეგის მოსახსენებლები (იხ. T—76—T—83 ალაპები). როგორც ალექსანდრე დიდი, ასევე ზედგინიძენი XV საუკ. პირველი ნახევრის მოღვაწენი არიან⁴⁵. ამავე დროის უნდა იყოს T—76 და T—83 ალაპების ხელით დაწერილი ბედიელი მელქისედეგის მოსახსენებელიც (T—82). ამდენად პიმენ მაწყვერელის დალოცვას მოსდევს დაახლოებით იმავე დროის მოსახსენებლები T—76 — T—83.

T—84 ნიკიფორე ჩოლაყაშვილის განწესებული ალაპია, ის მიწერილია გვიან 2v-ს კვემო კიდზე და წინა და მომდევნო ალაპთა ქრონოლოგიურ რიგში არ ხედება. ამიტომ ქრონოლოგიური რიგით T—83-ს უშუალოდ მოსდევს T—85 ალაპი განწესებული ამირინდო ზედგინიძისათვის. ეს ამირინდო ზედგინიძე ამირინდო ამილახორი უნდა იყოს, რომელიც ჩანს 1453 წლის ერთ-ერთ საბუთში⁴⁶. ამირინდო ზედგინიძე ამილახორია მო-

ხსენებული აგრეთვე საბუთში H1—14631⁴⁷. ამ საბუთების მიხედვით T—85 ალაპის ამირინდო ამილახორი XV საუკ. მეორე ნახევრის მოღვაწეა, ამდენად T—85-იც წინა ალაპთა ქრონოლოგიურ წრეში ტრიალებს.

ამირინდო ამილახორის ალაპი საყურადღებო ცნობებს შეიცავს. ალაპში აღნიშნულია, რომ წმ. ბასილის დღეს დალოცვაა განწესებული ამირინდოსთვის, ხოლო მეორე დღეს—მისი მეუღლე თამარისთვის. გარდა ამისა, ამილახორისთვის ერთი კანდელიც უნდა დანთებულიყო გეთსამანიას. ამ პატივის ღირსი კი მხოლოდ ის ხდებოდა, ვისაც დიდი დამსახურება მიუძღოდა იერუსალიმის ქართული კოლონიის წინაშე. თუ რით დაიმსახურა ამირინდომ ეს პატივი, ამაზედაც ზოგ რაიმეს გვაპნობს ალაპი. ალაპის უკანასკნელ ნაწილში ვკითხულობთ: „წმიდისა ბასილის მონასტერი მოვაქსენეთ მას და მის ნათესავთა“ — იგულისხმება წმინდა ბასილის სახელობის ქართველთა მონასტერი იერუსალიმში, რომელიც, ალბათ, ჯვარის მონასტრის კრებულს დაუმკვიდრებია ამირინდოსა და მის ნათესავებისათვის. ჯვარის მონასტრის კრებულს ვვარაუდობთ იმიტომ, რომ ჯვარის კოლექტივი განაგებდა იერუსალიმის სხვა ქართული მონასტრის საქმეებსაც. გარდა ამისა, ალაპი დაწერილია ჯვარის მონასტერში, ამ მონასტრის სააღაპე წიგნში. თუ რატომ დაუმკვიდრეს ზედგინიძე-ამილახორთა წმ. ბასილის მონასტერი, ამაზე ერთგვარად პასუხს გვაძლევს ცნობა, რომელიც შემოგვინახა ტიმოთე გაბაშვილმა. „მიმოსლვის“ იმ თავში, რომელსაც ეწოდება: „აქა, თუ ვის მიერ აღეშენეს იერუსალემს მონასტერი“, ვკითხულობთ: „წმიდის ბასილის მონასტერი აღუშენებია ამირახორს ამირინდოს და თაყას, დედათ მონასტერი არის“⁴⁸. გარკვეულია, რომ ტიმოთე გაბაშვილის ცნობები ქართული მონასტრების აშენების შესახებ ეყრდნობა უმთავრესად სანდო ისტორიულ წყაროებს: სააღმშენებლო წარწერებს, მონასტერში დაცულ მოსახსენებლებს, რომლებსაც ის ხშირად ასახელებს კიდევ⁴⁹. თუ რა წყაროთი სარგებლობდა ტიმოთე გაბაშვილი ამ შემთხვევაში, ეს „მიმოსლვიდან“ არ ჩანს. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ტიმოთეს ალაპთა ტიშენდორფისეული ეს ნუსხაც ჰქონდა ხელთ, ვინაიდან ეს ნუსხა, უფრო სწორად სვინაქსარი,

⁴³ ნიკიფორეს ალაპები დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით. ორივე ხელი გვხვდება სვინაქსარშიც, ნიკიფორესვე გაჩენილ ალაპებში (იხ. XX ტაბულა და შდრ. T—58, T—84 და T—89-ს).

⁴⁴ ალექსანდრე დიდი მეფობა 1412—1443 წლებში. 1443 წელს 62 წლის ალექსანდრე ტოვებს კვეყნის მესაქეობას და ბერად აღიკვეცება ათანასეს სახელით (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XI—XV საუკუნეებში 1949, გვ. 232). ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა 1446 წელს (პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, ძველი საქართველო, II, გვ. 105).

⁴⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

⁴⁶ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 267.

⁴⁷ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

⁴⁸ ტ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 81.

⁴⁹ ი კ ე ე.

რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს, ჯვარის მონასტრის საკუთრება ყოფილა. ტიმოთემ კი საგანგებოდ შეისწავლა ჯვარის მონასტრის ხელნაწერები და გამოიყენა ისინი „მიმოსღვისათვის“, კერძოდ, ჯვარის მონასტრის ალაბათა ხელნაწერიდან (№ 24—25) ამოკრიფა მან ცნობები იერუსალიმის ქართველ წმინდანთა შესახებ.

ყოველ შემთხვევაში, ეს ორი ცნობა ბასილის მონასტრის შესახებ ერთნაწილად ავსებს.

დათარიღება ხერხდება T—86 ალაბისაც, რომელიც ბედან ქილაძისა და მისი მეუღლე კანდაქესთვის არის გაჩენილი. ქილაძის ცოლ-ყოფილი კანდაქე ჩანს სვინაქსაოს ალაპებშიც (№ 185). ეს ალაპი შედის XLII ტაბულაში, რომელიც თარიღდება XVI საუკუნის დამდეგით (იხ. № 185 ალაპის კომენტარი). ამავე დროით უნდა დათარიღდეს T—85-ც.

T—86 ალაპის ხელითაა დაწერილი მომდევნო T—87 ალაპი, განწესებული ვინმე ყალანდარისთვის. ეს ალაპიც T—86-ის თანადროულია. მომდევნო ორი ალაპი T—88 და T—89 შემდეგდროინდელი ჩანაწერი უნდა იყოს (იხ. ალაბათა ტიშენდორფისეული ნუსხის ფოტოები). T—89 ალაპი ნიკიფორე ჯვარის მაძის განწესებულია ვახტანგ გურიელისთვის, ამდენად ის 1643—1649 წლებში უნდა იყოს დაწერილი. ნიკოდიმე კანდელაკის ალაპის (T—88-ის) ზუსტად დათარიღება ვერ ხერხდება. დანამდეგლებით შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ალაპი XVI საუკუნის დამდეგზე ადრე ვერ დაიწერებოდა (იხ. სვინაქსარის № 161 ალაპის კომენტარი), ხოლო პალეოგრაფიულად XVI საუკუნეს ვერ გასცილდება.

უფრო ადრეულია T—90—T—92 ალაპები. როგორც ჩანს, ტიშენდორფისეული ნუსხის 3v-ზე თავდაპირველად მხოლოდ ერთი ალაპი ეწერა—T—91, დადებული რამინ გაბელისძე ამირეჯიბისთვის, რომელიც XV საუკუნის II ნახევარში მოიხსენება ისტორიულ საბუთებში⁵⁰. ალაპი ძალზე გადასულია, შესაძლოა საგანგებოდ გადაწლილიც კი იყოს. T—91 ალაპის წინა და მომდევნო ალაპები იმ ვარაუდითაა დაწერილი, რომ ისინი მოთავსდნენ დარჩენილ და თავისუფალ ადგილებზე. T—90 იწყება 3r-ზე და თავდება 3v-ზე. ამ ალაპის უკანასკნელი ორი სტრიქონი შემქმნელებულად არის დაწერილი, ავსის მიუხედავად ბოლო სტრიქონის ზოგიერთი ასო მაინც გადმოსულია უადგილობის გამო რამინ ამირეჯიბის ალაპის

პირველ სტრიქონზე. ალაპი T—90 განწესებული ქაიხოსრო ათაბაგისათვის იმ შემოწირულობათა გამო, რომლებიც მზეკაბუქმა გააგზავნა იერუსალიმში ამბროსეს ხელით. ალაპი ვრცელი და საინტერესოა, მსგავსად ათონის № 162 ალაპისა⁵¹. აქაც დაწერილებით არის აღწერილი, თუ რა ჩამოიტანა ამბროსემ და როგორ მოხმარდა ეს შეწირულება ჯვარის მონასტერს. ქაიხოსრო იერუსალიმში გაემგზავრა 1501 წლის ახლო ხანებში. ამავე დროისაა T—90 ალაპიც.

რამინ გაბელისძის ალაპს (T—91) მოსდევს 1620 წლის თარიღიანი ალაპი (T—92), განწესებული ჯვარის მამა ნეოფიტეს მიერ გიორგი ლიპარიტიანისა და მისი მეუღლე ნესტანდარეჯან ქილაძის ასულისათვის. ეს ალაპი საგულისხმოა, ვინაიდან იქ მოხსენებულია აქამდე უცნობი ჯვარის მამა ნეოფიტე, რომელიც ჯვარში 1620 წელს მამობდა. ალაპის გიორგი ლიპარიტიანი არის ლევან II დადიანის ბიძა, რომელსაც ლევანმა მეუღლე ნესტანდარეჯანი მოსტაცა⁵². ალაპის მიხედვით 1620 წელს ნესტანდარეჯანი გიორგი ლიპარიტიანის მეუღლეა, ალაპი განწესებულია გიორგი ლიპარიტიანისა და ნესტანდარეჯანის სიცოცხლეში.

T—93-ში (ტიშენდორფისეული ნუსხის II ნაწილის ძველი ფენაა)—ჯვარის მამა იოანეს მიერ განწესებულია დალოცვა ავთანდილ ზედგინიძისა და მისი მეუღლე გულშარისათვის, რომელთაც გადაუხდიათ „სრული ფასი“ და შეუწირავთ მონასტრისათვის ანჯაუთი. დალოცვა დაწერილია T—76—T—83 ალაპების ხელით (ამათგან T—77—T—80 აგრეთვე ზედგინიძეთა მოსახსენებლებია). T—93, ისევე როგორც T—76—T—83, თარიღდება XV ს. პირველი ნახევრით⁵³.

ამავე დროით თარიღდება შემდეგი T—95—T—98 ალაპები, დაწერილი ერთი ხელით. T—95 ლიპარიტ დადიანის ალაპია; T—96—ლომა დადიან-გურიელისა; T—97—შოთა ვაცასძისა, ხოლო T—98—ვაცასძის დედის ელენისი.

⁵¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, გვ. 265. სხვათა შორის T—90 და ათონის № 162 ალაპი მსგავსი ხელითაა დაწერილი. შესაძლოა ორივე ალაპი ამბროსის დაწერილი იყოს. ამბროსი შესანიშნავი კალიგრაფი ყოფილა. იერუსალიმში მას ერთი ხელნაწერიც გადაუწერია, იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი კ—84.

⁵² ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში; ძველი საქართველო, III, გვ. 218.

⁵³ იხ. ალაბათა ტიშენდორფისეული ნუსხის პირველი ნაწილის ჩანამატი ალაპების დათარიღებისათვის, გვ. 22.

ამ აღაბთა დათარიღებაში გვეშველება იმავე ხელით ნაწერი სვინაქსარის აღაბები, რომლებიც სვინაქსარის აღაბთა XXV ტაბულაში ერთიანდება. ტაბულაში გაერთიანებულია შემდეგი აღაბები:

№ 59—ვახტანგ ზილაგიანისა.

№ 139—ნუგზარ ერისთვის შვილის შანჭასი.

№ 74 და № 133—ლომა დადიან-გურიელისა და მისი მეუღლე ადუსაქანისა.

№ 193 ვირშელ ერისთვისა.

ტაბულა თარიღდება ვირშელ ერისთვისთვის განწესებული აღაბის მეშვეობით (იხ. № 193 აღაბის კომენტარი). ხელის მიხედვით ამ ტაბულის აღაბები XV საუკუნეზე ადრე დაწერილი ვერ იქნება. ამიტომ აქ ვირშელ ერისთავი—ვირშელ მესამეა, XIV საუკუნის მიჯნისა და XV ს. 20-იანი წლების მოღვაწე⁵⁴. ამის მიხედვით ტაბულის ყველა დანარჩენი აღაბებიც XV საუკ. შუა წლებით უნდა შემოიფარგლოს, მათ შორის აღაბი ლომა დადიან-გურიელისა, რომელიც სხვა ქართულ ისტორიულ წყაროებში არა ჩანს (იხ. № 59 აღაბის კომენტარი).

XV საუკუნის პირველი ნახევრითვე უნდა დათარიღდეს ტიშენდორფისეული ნუსხის აღაბები T—95—T—98. აღაბი T—95 ლიპარიტ დადიანისათვის არის განწესებული. ვახუშტის ისტორიის მიხედვით XV საუკუნეში ორი ლიპარიტ დადიანი მოღვაწეობდა. პირველი ლიპარიტი, ძე მამია დადიანისა, დადიანად დაჯდა 1414 წელს⁵⁵, ხოლო გარდაიცვალა 1470 წელს⁵⁶. მეორე ლიპარიტი შამადავლეს ძეა, მან დადიანობა მიიღო 1484 წელს⁵⁷, ხოლო გარდაიცვალა 1512 წელს⁵⁸. T—95 აღაბის ქრონოლოგიურ ფარგლებს პირველი ლიპარიტი უდგება.

XV ს. შუაწლებში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ აღაბი T—94, რომელიც T—93 და T—95 აღაბთა შორის არის ჩაწერილი და პალეოგრაფიულადაც ამავე აღაბთა ქრონოლოგიურ ფარგლებში საესებით თავსდება. T—94 განწესებულია ჯვარის მამა დანიელ ნიგოზელის მიერ ელემპია გოხასძისთვის. ამდენად, დანიელ ნიგოზელი

⁵⁴ ძე გ ღ ი ერ ი ს თ ა ვ თ ა. შ. შესხიას გამოცემა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. 1954 წელი, გვ. 315.

⁵⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ხ. კიკინაძის გამოცემა, 1913, გვ. 280.

⁵⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 282.

⁵⁷ ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 283.

⁵⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 285.

XV ს. შუა წლებში ჯვარის მონასტრის მამად ყოფილა.

შემდეგი აღაბების (T—99—T—102) დათარიღება რაიმე გარკვეული მონაცემებით ვერ ხერხდება. T—101 დაწერილია ძველი, გადაფხეკილი აღაბის ადგილას იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია „გოლგოთის სვინაქსარში“ ერთი მინაწერი (იხ. H. 1661, 2). ხელი XV საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს.

უფრო გვიანდელი ჩანს T—99 აღაბის ხელი.

ამგვარად, ჯვარის მონასტრის ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილის ძირითადი აღაბები დაწერილია XV საუკუნის მანძილზე და XVI საუკ. პირველ ნახევარში.

ამ ნაწილში, ისევე როგორც პირველში, ყველაზე გვიანდელია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროს ჩაწერილი აღაბები (XVII საუკ. 40-იანი წლები). სხვათა შორის სვინაქსარის აღაბებშიც ყველაზე გვიანდელია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროს განწესებული აღაბები. ის გარემოება, რომ აღაბთა ორივე ნუსხა (ტიშენდორფისეული და სვინაქსარული) იფარგლება ნიკიფორეს მამობის წლებით, მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ ნიკიფორეს იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ ჯვარის მონასტრის უფლებბრივი და ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. შესუსტდა კონტაქტი იერუსალიმის ქართული კოლონიისა საქართველოსთან. შემცირდა ან სრულიად შეწყდა შემოწირულებები მონასტრის სახელზე. იერუსალიმის ქართულ კოლონიაში ამ დროს შექმნილ მძიმე მდგომარეობას მკაფიოდ გვიხატავს დოსითეოზ პატრიარქი თავის წერილებში⁵⁹.

სვინაქსარის აღაბთა დათარიღების პრინციპი

ბევრად უფრო ვრცელსა და მრავალფეროვან მასალას მოიცავს სვინაქსარის აღაბები. აქაც, მსგავსად აღაბთა ტიშენდორფისეული ნუსხისა, უძველეს აღაბად უნდა მივიჩნიოთ ჯვარის მონასტრის აღმაშენებლის პროხორეს აღაბი, ხოლო ყველაზე გვიანდელ ფენად—ნიკიფორე ჩოლაყაშვილის ჯვარის მამის დროინდელი აღაბები.

მარხვა-ზატიკის კვირეებზე შედგენილ აღაბთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში ადვილად გამოიყო

⁵⁹ Послание Иерусалимского патриарха Досифея в Грузию. Изд. П. Иоселиани (Груз. Духовный Вестник, 1866, май). გვ. 22—26.

ნუსხის ძირითადი ნაწილი ჩანაწერი ალაპებისაგან, ხოლო ნუსხის ძირითადი ნაწილის დათარიღებით დათარიღდა ამ ნუსხის ალაპთა დიდი უმრავლესობა.

ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა სვინაქსარის 320 ალაპის დათარიღება, ვინაიდან ალაპები დაწერილია სხვადასხვა პირის მიერ, სხვადასხვა დროს.

სვინაქსარის ალაპთა დათარიღებისათვის ერთდროულად რამდენიმე საშუალებას მივმართავდით. პირველი, რამაც ძირითადად გადაწყვიტა ალაპთა დათარიღების რთული საქმე, ალაპთა პალეოგრაფიული ტაბულების ალბომის შედგენა იყო. სვინაქსარის გვერდებზე გაფანტული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხელით დაწერილი ალაპები ჩვენ დავალაგეთ ხელის მიხედვით, და ამ გზით მივიღეთ ტაბულები, რომლებშიც გაერთიანდა ერთი პირის მიერ დაწერილი ალაპები.

ალაპებს, როგორც ჩანს, მონასტერში წერდნენ გარკვეული პირები. ასე მაგ., ნიკიფორე ჩოლაყაშვილის ჰამობის დროინდელი ალაპები თითქმის ყველა დაწერილია ერთი პირის მიერ, ერთი ხელით (იხ. ტაბულა XX). ამავე ხელითაა ჩაწერილი ნიკიფორე ჩოლაყაშვილის განწესებული რამდენიმე ალაპი ტიშენდორფისეულ ნუსხაშიც⁶⁰. ეს პირები ჩვეულებრივ წერენ ალაპებს ერთი შემუშავებული ტრაფარეტის მიხედვით, ისე რომ, ცალკეული დამწერის ალაპები ერთი შეხედვითაც გამოირჩევიან დაწერის წესით, ალაპის ფორმით. სვინაქსარის ალაპთა მთელი ფორტომასალა დალაგდა ხელის მიხედვით, გამოიყო 63 მწერლის ხელი, ამის მიხედვით ალაპები დაჯგუფდა 63 პალეოგრაფიულ ტაბულად. ალაპთა უმრავლესობა დაწერილია პროფესიონალი დამწერლების მიერ, რომელთაგან ზოგი, ჩანს, წერდა ალაპებს გვარის მონასტერში მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე. ამიტომაც, რომ ზოგიერთ ტაბულაში გაერთიანებულია 20-მდე ალაპი.

ტაბულების გარეშე დარჩა რამდენიმე უძველესი ალაპი, რომლებსაც პალეოგრაფიული წყვილები არ დაეძებნა იმის გამო, რომ XI და XII საუკუნეებში სულ რამდენიმე ალაპია ჩაწერილი სვინაქსარში და ყველა საგანგებო მნიშვნელობისა. ესენია: პროხოროვ გვარის მამის, ნიკოლოზ გულაბერისძისა და ანასულლის ალაპები, განწესებული ამ პირთა დიდი დამსახურებისათვის. ვფიქრობთ,

რომ ამავე უძველესსა და საგანგებო ალაპების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს იჩქით გურგენის ძის ალაპიც (№ 78). ტაბულებში ვერ გაერთიანდა აგრეთვე უფრო გვიანდელი ერთეული ალაპები, ჩაწერილი, როგორც ჩანს, არა პროფესიონალი მწერლების, არამედ უფრო შემთხვევითი პირების მიერ. ტაბულების გარეშე დარჩენილი ალაპები გაერთიანდნენ 6 ნარევე ტაბულაში. აქ ალაპები თავმოყრილია ყოველგვარი პრინციპის გარეშე. ცხადია, ნარევი ტაბულები მასალის არაერთგვარობის გამო ალაპთა დათარიღებისათვის ვერ გამოდგება. სულ სხვა ვითარებაა ძირითად ტაბულებში. თვითეული ტაბულა, დაწერილი ერთი პირის მიერ, იფარგლება ამ პირის მონასტერში მოღვაწეობის წლებით, რაც საშუალოდ 20—30 წელს ვერ გადასცდება. ამგვარად ტაბულაში გაერთიანებული ალაპები დროის ამ ფარგლებში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ალაპებში მოხსენებული პირების მოღვაწეობის ხანაც ზუსტად ამავე ფარგლებით უნდა შემოიფარგლოს, ვინაიდან ალაპები იწერება სხვადასხვა ვითარებაში. როგორც წესი, ალაპები მიცვალებულისათვის უნდა განწესებულიყო, მაგრამ ამ წესს ყოველთვის როდი იცავდნენ. ხშირად ალაპისა და პანაშვილის განწესებაზე ზრუნვას ცალკეული პირები სიცოცხლეშივე იწყებდნენ და ამისათვის დიდ შეწირულებებს აჯანყებდნენ ან თითონ მიჰქონდათ იერუსალიმში. ამ შეწირულებს, ჩვეულებრივ, თან ახლდათ შემომწირველის „დაწერილი“, რომელშიც განსაზღვრული იყო საალაპე პირობები⁶¹. გარკვევა იმისა, თუ როდისაა დადებული ალაპი—შემომწირველის სიცოცხლეში თუ მის გარდაცვალების შემდეგ—ყოველთვის ვერ ხერხდება. ზოგჯერ ცნობები ამის შესახებ თვით ალაპში მოიპოვება, ზოგჯერ კი ალაპი ისეა დაწერილი, რომ ამის შეცნობა შეუძლებელია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ართულებს ალაპის ზუსტ დათარიღებას; ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მხოლოდ *terminus post non quem*. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის გვარი ან ოჯახი აჯანყებდა თავის რწმუნებულს იერუსალიმში შესაწირავებით და თან ატანდა სიას იმ პირთა, რომელთათვისაც უნდა განწესებულიყო ალაპები. ამ სიაში კი შეიძლება ყოფილიყო ორი ან სამი თაობის პირთა დასახელება: მიცვლილი წინაპრის (პაპის, ბების), დედ-მამისა, შვილისა და შვილიშვილის (უკანა-

⁶⁰ შდრ. XX ტაბულას ტიშენდორფისეული ნუსხის ალაპები: T—58, T—84, T—89.

⁶¹ ამასთან დაკავშირებით იხ. გამოკვლევის გვ. 52.

სკენლნი შეიძლება ცოცხლები იყვნენ). ამგვარი საოჯახო ალაპები უმთავრესად იწერება ერთ-დროულად ერთი დამწერის მიერ და ამიტომ ისინი თავს იყრიან ერთ ტაბულაში. სვინაქსარის ფურცლებზე ასეთი საოჯახო ალაპები გვხვდება ჯაყულების, გარეყანიძეების, აფაქიძეებისა და სხვათა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ტაბულის ქრონოლოგიური საზღვრები იზრდება, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა ტაბულის დასათარიღებლად უკანასკნელი თაობის ცხოვრების წლებსა აქვს.

ალაპების ტაბულებად დალაგება ერთი მთავარი საშუალებაა უთარილოდ და უსისტემოდ მიწერილ მრავალრიცხოვან ალაპების ქრონოლოგიურ წესრიგში მოყვანისათვის.

ტაბულა, სადაც თავმოყრილია ერთი ხელით დაწერილი რამდენიმე ალაპი, მეტ შესაძლებლობას იძლევა პალეოგრაფიული დაკვირვებისათვის; მეორე მხრით, საკმარისია ტაბულის ერთი ალაპის თარიღი გაირკვეს, შეიძლება უკვე ტაბულის ქრონოლოგიური ფარგლების შემოსაზღვრა და ამ ფარგლებით დანარჩენი დაუთარიღებელი ალაპების დათარიღება.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე პირისათვის სვინაქსარში სხვადასხვა ხელითაა ჩაწერილი რამდენიმე ალაპი. მაშასადამე ეს ალაპები ხელის მიხედვით ნაწილდება სხვადასხვა ტაბულაზე. და თუ ერთ-ერთი ამ ტაბულის დათარიღება მაინც ხერხდება, ეს გვეზმარება უკვე დანარჩენი ტაბულების დათარიღებაშიც.

ალაპთა დათარიღებისათვის და იქ მოხსენებულ პირთა ვინაობის გარკვევისათვის მივმართავდით ისტორიულ წერილობით წყაროებს, რომლებზედაც ხელი მიგვიწვდებოდა: ქართლის ცხოვრებას, ქრონიკებს, სულთა მატანიებს, ისტორიულ საბუთებს, ეპიგრაფიკულ მასალას. ჩვენ შევეცადეთ ეს მასალა ამომწურავად გამოგვეყენებინა, მაგრამ სრული ბიბლიოგრაფიული საცნობროების უქონლობის გამო, შესაძლებელია, გაუთვალისწინებელიც ბევრი დაგვრჩა.

ალაპებზე მუშაობის სირთულე იმაშია, რომ ის მკვლევრისაგან თხოულობს ერთნაირ გაწაფულობას როგორც წმინდა ფილოლოგიურ, ასევე ისტორიულ ძიებებში. ორივეს დაძლევა ერთნაირი სისრულით ერთი პირისათვის მეტად რთული აღმოჩნდა. ამიტომ, თუ რაიმე დავაქვით ალაპებს, იმედია სულგრძელი მკითხველი შეგვინდობს და თვითონ შეავსებს ხარვეზებს.

თითოეული ალაპის დათარიღების გზები და ალაპებში მოხსენებულ პირთა ვინაობის დადგენის

ცდები ალაპთა კომენტარებშია ნაჩვენები. კომენტარებში გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი ალაპთა დათარიღებისა და პირთა ვინაობის შესახებ რომ არ გამართლდეს კიდევ, ალაპებში მაინც აღმოჩნდება საკმარისი მასალა, რომელიც, ალბათ, კარგ სამსახურს გაუწევს ქართულ ისტორიოგრაფიასა და ქართული კულტურის ისტორიის მრავალი დარგის შემსწავლელს.

ალაპთა პალეოგრაფიულ ტაბულებზე მუშაობას ბევრით აძნელებდა ის გარემოება, რომ ჩვენ მუშაობა გვიხდებოდა არა უშუალოდ დედნებზე, არამედ მათ ფოტოპირებზე. ამავე მიზეზით აიხსნება ტაბულათა ტექნიკური დეფექტები, რაც მკითხველს, რა თქმა უნდა, ერთგვარად გაუძნელებს ტაბულებით სარგებლობას.

იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარულ ცხოვრებათა დათარიღებისათვის

იერუსალიმური სვინაქსარი (№ 24—25) მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი მრავალრიცხოვანი ალაპებით, არამედ ქართველ წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებებითაც; ესენია: ცხოვრება პროხორე ჯვარის მონასტრის აღმაშენებლისა, ლუკა ქართველისა და ნიკოლოზ დვალისა. სამივე ეს ტექსტი დ. ყიფშიძემ გამოაქვეყნა იერუსალიმური და ჯრუჟის⁶² სვინაქსარების მიხედვით⁶³. დ. ყიფშიძემ ამ გამოცემაში უპირატესობა მისცა და A ლიტერით აღნიშნა ჯრუჟის სვინაქსარი, რომელიც 1156 წლით თარიღდება, B ლიტერითაა გამოცემაში აღნიშნული იერუსალიმური სვინაქსარი. იერუსალიმურ სვინაქსარს თარიღი არ გააჩნია. ამ ხელნაწერის თარიღის შესახებ ნ. მარს არავითარი ვარაუდი არა აქვს გამოქვეყნებული. დ. ყიფშიძე კი (საფიქრებელია ნ. მართან შეთანხმებით, ვინაიდან ცნობები და მასალები ამ ხელნაწერიდან დ. ყიფშიძეს ნ. მარმა მიაწოდა) იერუსალიმურ ხელნაწერს XII საუკუნეზე უფრო გვიანდელად მიიჩნევს⁶⁴. სინამდვილეში სვინაქსა-

⁶² გარეთოწოდებული ჯრუჟის სვინაქსარი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—1661).

⁶³ Жизнь Прохора, мученичество Луки и муч. Николая Двали: Изв. кавказского Историко-Археологического Института, т. II,—1927.

⁶⁴ Д. К и п ш и д з е, დასახ. ნაშრ. გვ. 35.

რი XI საუკუნის II ნახევარშია გადაწერილი⁶⁵. XI საუკუნის ხელი პალეოგრაფიულად სავსებით შესწავლილი და გარკვეულია. ამ საუკუნის ხელნაწერები შეუცდომლად თარიღდება.

დ. ყოფმძეს იერუსალიმის სვინაქსარის გვიანდლობის დასამტკიცებლად შემდეგი საბუთი მოჰყავს:

„Судя по некоторым данным, рукопись более позднего времени. Так в списке В мы имеем вульгарную орфографию слова დღსა вместо დღესა; такая вульгарная орфография мыслима, но менее вероятна в рукописи XII века“⁶⁶.

ეს არგუმენტი ხელნაწერის თარიღის განსაზღვრისათვის ვერ გამოგვადგება, ვინაიდან დღსა ამ ფორმით გვხვდება XII საუკუნეზე ბევრად უფრო ადრეულ ხელნაწერებშიც⁶⁷. დ. ყოფმძის არც მეორე საბუთი უძღებს კრიტიკას, პირიქით, მისივე დათარიღების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. „Кроме того, в В имеется примеска к концу жития вульгарным языком сравнительно с языком основного органического текста, в списке А эта примеска отсутствует“⁶⁸. მართლაც, იერუსალიმურ ხელნაწერში პროხორეს ცხოვრების ბოლოს ტექსტისავე ხელით წერია შემდეგი: „ხოლო დავაწესეთ, რაჟთა იანეარსა იჲ გარდაიღდიდეს საქსენებელსა მისსა ვინცა წინამძღუარი იყოს ჯუარისა მონასტერსა, ძმათა ტრაპეზსა შეუკაზმვიდეს კარგსა, და მამასა პროხორეს ულოცვიდენ და ხუცესნი ეამსა უწირვიდენ. ესე იზისთჳს დავაწესეთ მუნ, რამეთუ მიცვალებისა მისისა დღე უფროსჯერ მარხვათა მიხუდების“⁶⁹. ამავე დროს 17 იანვრის დღეს, ხელნაწერის ქვემო კიდებზე ხელნაწერისვე შესანიშნავი XI საუკ. მთავრული დამწერლობით, სინგურით დაწერილია პროხორეს ალაპი: „ამასვე დღესა ალაპი მამისა პროხორესი. ვინცა წინამძღუარი იყოს, გარდაიღდიდეს. ათევედენ ლამესა და კარგსა ტრაპეზსა შეუკაზმვიდეს ძმათა“ (იხ. ალაპი № 166).

⁶⁵ მეტოტომეტე საუკუნით ათარიღებს ამ ხელნაწერს რ. ბლეიცი, იხ. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Jérusalem, Paris, 1924, გვ. 61.

⁶⁶ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁶⁷ ც-ს მსგავსი, არაწესიერი ხმარების შემთხვევები (დღსა, ხღსა) გვხვდება უკვე X საუკუნის ხელნაწერებში, მაგ. პარბლის ოთხთავეში (იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 109).

⁶⁸ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁶⁹ Јер. 24—25, 131v.

ამგვარად, ხელნაწერის გადაწერის დროისათვის (XI საუკ. მეორე ნახევარი) უკვე დაწერილი ყოფილა პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება. ამავე დროისათვის პროხორესთვის განწესებული ყოფილა ალაპი 17 იანვრისათვის. ამ დღისათვის პროხორეს ალაპის გაჩენა მონასტრის კრებულს იმიტომ განუზრახავს, რომ პროხორეს მიცვალების დღე, 12 თებერვალი—უფრო უპრიანი ალაპისათვის—ხშირად მარხვის დღეებს ხვდებოდა. ეს კი ხელს შეუშლიდა ალაპით განწესებული კარგი ტრაპეზის შეკაზმვას ძმათათვის. ამდენად, პროხორეს ცხოვრება და მისი ალაპი ცერთდროულად არის შეტანილი სვინაქსარში. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სვინაქსარი საგანგებოდ პროხორეს ცხოვრების შეტანის მიზნით იქნა გადაწერილი. ამავე სვინაქსარში ჩაიწერა პირველი ალაპი, განწესებული ჯვრის მონასტრის აღმაშენებლისათვის. ამიერიდან კი ეს სვინაქსარი გადაიქცა მონასტრის საალაპე წიგნად. სავსებით კანონზომიერია, რომ ზემოთმოყვანილი მინაწერი აქვს მხოლოდ იერუსალიმის სვინაქსარს და არა აქვს ჯრუჭის სვინაქსარს. ეს მინაწერი ცნობა საჭირო იყო სწორედ იერუსალიმის სვინაქსარისათვის, სადაც პირველად ჩაიწერა პროხორეს ალაპი, რათა ახსნილიყო შეუსაბამობა პროხორეს გარდაცვალების თარიღსა და ალაპისათვის განწესებულ დღეს შორის. ამ განმარტებას ალარ საჭიროებდა ჯრუჭის სვინაქსარი, ვინაიდან მისი გადაწერის დროისათვის პროხორეს ალაპის განწესების დღე დიდი ხნის დადგენილი იყო, ვინაიდან ხელნაწერი გადაიწერა პროხორეს გარდაცვალების თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ. რაც შეეხება მინაწერის „ვეულგარულ“ ენას, ესეც არ არის საბუთი. „ვეულგარულს“ ავტორი ალბათ ხმარობს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ხალხურის მნიშვნელობით). მინაწერში ამ დროის ენობრივი ნორმების რაიმე დარღვევა არ ჩანს, ხოლო თუ ეს მინაწერი დაწერილია არა მალალი მწიგნობრული სტილით, როგორც იწერებოდა საეკლესიო თხზულებები, ესეც სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან მინაწერი წარმოადგენს გადამწერის შენიშვნას და არა ლიტერატურულ (აგიოგრაფიულ) ტექსტს, ეკლესიაში საკითხავად განკუთვნილს. ასეთივე სადა, „ვეულგარული“ ენითაა დაწერილი იმავე დროის ალაპები. იმ დროს, როდესაც ალაპთა თანამედროვე ლიტერატურული ტექსტები იცავენ საეკლესიო მწიგნობრული ენის სტილს. სალაპარაკო ხალხური ენის შესწავლის თვალსაზრისით უთუოდ საინტერესო მასალას მოიცავს ჯვარის მონასტრის ალაპები და ანალო-

გიური ხასიათის სხვა მასალაც. ამდენად, იერუსალიმის სვინაქსარში ზემოთ მოტანილი მინაწერის არსებობა და მისი ენის თავისებურება ვერ გამოდგება ამ სვინაქსარის დასათარიღებლად XII საუკუნის შემდეგი დროით. ხელნაწერი გადაწერილია XI საუკუნის II ნახევარში, პროხორეს. გარდაცვალების უმაღლეს (1066 წლის ახლო ხანებში).

ხელნაწერის არასწორმა დათარიღებამ ხელი შეუწყო პროხორეს ცხოვრების დაწერის დროის არასწორ განსაზღვრას. დ. ყიფშიძე პროხორეს ცხოვრებას ათარიღებს 1066—1155 წლებით. უკანასკნელი რიცხვი არის გადაწერის თარიღი ჯრუჭის სვინაქსარისა, რომელიც დ. ყიფშიძეს მიანდა პროხორეს ცხოვრების შემცველ უძველეს ხელნაწერად. ახლა, როდესაც გამოირკვა, რომ უძველესი ჯრუჭის კი არა, არამედ იერუსალიმის სვინაქსარია, რომელიც გადაწერილია XI საუკუნის II ნახევარში, პროხორეს გარდაცვალების ახლო ხანებში, ცხადია, პროხორეს ცხოვრების დაწერის თარიღად უნდა დაიდვას XI საუკუნის 70-იან-80-იანი წლები.

უნდა ცდებოდეს დ. ყიფშიძე აგრეთვე იპაზიცი, თითქოს პროხორეს ცხოვრება დაიწერა არა იერუსალიმში, არამედ საქართველოში. ამის საბუთად დ. ყიფშიძეს მოჰყავს პროხორეს ცხოვრებიდან ერთი ადგილი: „და ამის შემდგომად (პროხორე—ე. მ.) წარვიდა წმიდად ქალაქად იერუსალიმად“. დ. ყიფშიძე ფიქრობს, ცხოვრება იერუსალიმში რომ ყოფილიყო დაწერილი, მაშინ ავტორი დაწერდა არა წარვიდა იერუსალიმად, არამედ მოვიდა⁷⁰.

ეს უთუოდ ანგარიშგასაწევი დაკვირვებაა. მაგრამ აქვე დ. ყიფშიძე გამოთქვამს მეორე მოსაზრებასაც, რომელიც ეწინააღმდეგება პირველს: „В житие св. Прохора нет никаких указаний для определения автора жития. Лишь с некоторой долей вероятности можно предположить, что автор один из тех 2-х изранных учеников его, с которыми он провел последние дни своей жизни в типии Арпоносской пустыни“⁷¹. ეს მოსაზრება სავსებით რეალური ჩანს, ვინაიდან როგორც ითქვა, პროხორეს ცხოვრება მისი გარდაცვალებიდან სულ მალევე დაიწერა. ყველაზე შესაძლებელი ავტორები პროხორეს ცხოვრებისა კი, მართლაც, მისივე მოწაფეები ჩანან, რომლებმაც პროხორესთან გაატარეს უკანასკნელი წლები არნონის უდაბნოში.

ამ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება დ. ყიფშიძის არც ზემოთ მოყვანილი დაკვირვება: „წარვიდა წმიდად ქალაქად“ შეეძლო დაეწერა არა მარტო საქართველოში, არამედ არნონის უდაბნოში მყოფ ავტორსაც. პროხორეს ცხოვრება რომ სწორედ პალესტინის ქართველ მოღვაწეთა და პროხორეს თანამედროვეთა წრეში შეიქმნა, ამას ისიც მოწმობს, რომ ორივე ხელნაწერი, რომლებმაც შემოგვინახეს პროხორეს ცხოვრება, იერუსალიმშია გადაწერილი, და უძველესი ამათგანი XI საუკუნისაა.

უფრო რთული გასარკვევია სვინაქსარში შეტანილი ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის წამებათა ავტორებისა და ამ ტექსტების დაწერის თარიღის საკითხი.

ლუკას სვინაქსარული ცხოვრების შესახებ დ. ყიფშიძე წერდა: „Он открывает перед нами одну из печальных страниц истории Крестного монастыря, дает нам картину жизни целой монастырской общины в определенный момент, за период времени с 1266 по 1277 г., именно отнятия монастыря у грузин. В кратком пересказе Тимофея сведения о монастыре отсутствуют. Лишь Синодик Крестного монастыря (память № 143 и др.) намекает на это событие“⁷².

დ. ყიფშიძემ შეადარა ლუკას სვინაქსარული ცხოვრება იმ ცნობებს, რომელთაც ლუკას შესახებ გვაწვდიან ტიმოთე გაბაშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი.

შედარების საფუძველზე დ. ყიფშიძე ასკვნის, რომ ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ ცნობილი რედაქციის გარდა უნდა არსებულებულიყო ლუკას შესახებ უფრო ვრცელი ცნობების შემცველი კიდევ სხვა რედაქცია. ამ რედაქციის გავლენას ხედავს დ. ყიფშიძე თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“, სადაც თეიმურაზი ლუკას მიაწერს ბერძნული ენის ცოდნასა და მთარგმნელობით საქმიანობას.

დღეისათვის ცნობილია „მიმოსლვის“ სამი რედაქცია, სამივე ავტორგრაფებითაა მოღწეული ჩვენამდის. არც ერთი დასახელებული რედაქცია არ იცნობს თეიმურაზ ბატონიშვილის ზემომოყვანილ ცნობებს, სხვა შემთხვევაში კი თეიმურაზი თავის ისტორიაში ზუსტად იმეორებს ტიმოთეს მასალას.

ტიმოთე გაბაშვილი იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის სარგებლობდა იერუ-

⁷⁰ Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

⁷¹ იქვე, გვ. 36.

⁷² Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

სალიმში მოპოვებული წერილობითი პირველწყაროებითა და ზეპირი გადმოცემებით. პროხორეს, ლუკას, ნიკოლოზ დვალისა და სალომე იერუსალიმელის ცხოვრება-წამებათათვის ტიმოთეს უსარგებლად იერუსალიმის სვინაქსარით. ტიმოთე ამ სვინაქსარის მასალას ზუსტად იმეორებს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უმატებს ზოგიერთ უმნიშვნელო დეტალს თავისი მხრით, საფიქრებელია, ზეპირგადმოცემათა საფუძველზე ტექსტის გამართვის მიზნით. ცნობები იერუსალიმის ამ ოთხი მოღვაწის შესახებ სამივე რედაქციაში სავსებით ერთნაირია. ამიტომ დ. ყიფშიძის ვარაუდი „მიმოსღვის“ სხვა უფრო სრული რედაქციის არსებობის შესახებ, არ მტკიცდება. ამდენად თეიმურაზის ცნობების წყაროდ ტიმოთე ვერ გამოდგება. უფრო საფიქრებელია, რომ თეიმურაზის ცნობა ლუკას მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ბერძნული ენის შესახებ, მისივე შემოქმედების ნაყოფი იყოს.

განვიხილოთ იერუსალიმის მოღვაწეთა ცხოვრება-წამების ტექსტები ცალ-ცალკე.

ლუკას წამების შესახებ დ. ყიფშიძე წერს: „Судя по вульгарной орфографии, список наш очень поздний, не раньше XIII века. Мученичество написано современником и очевидцем в Иерусалиме, наверно каким-нибудь монахом, как видно по языковым признакам памятника... Именно, автор выражается так: а) იერუსალიმად მოვიდა. в) რაჟამს მოვიდა ამა წმიდათა ადგილთა...“ და სხვ¹⁸. ავტორი აქვე დასძენს: „Автор не был соучастником событий, т. е. не был иноком Крестного монастыря, так как он в описании катастрофы, постигшей братию Крестного монастыря, систематически употребляет выражения, исключаяющие его участие в описываемом происшествии, именно: а) მიუდგა... в) არა შეარჩინა რა... с) გამოასხნა...“

ჩვენი ფიქრით, მოყვანილი მაგალითები არ გამორიცხავენ იმას, რომ ლუკას წამების ავტორი ჯვარის მონასტრის ბერი იყოს. დ. ყიფშიძის მოყვანილი მაგალითები მართლაც მოწმობენ, რომ ლუკას წამების ავტორი არ იყო მონაწილე მომხდარი ამბებისა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ჯვარის მონასტრის ბერი არ იყოს, არამედ იმის გამო, რომ ის ბევრად უფრო გვიან მოღვაწეობდა და მომხდარი ამბების თვითმხილველი ვერ იქნებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლუკას წამების დაწერა საკმაო მანძილითაა დაშორებული

ლუკას წამების თარიღს, მაგრამ დაწერით ის მაინც იერუსალიმში უნდა დაწერილიყო.

გარდა ლუკას წამებისა სვინაქსარში შეტანილია ლუკას ალაპიცი. რა მიმართებაა ალაპსა და „წამებას“ შორის? რომელი უფრო ადრეულია? ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ პროხორეს ალაპი და ცხოვრება ერთდროულად დაწერილი უნდა იყოს. სხვა ვითარებაა ლუკას მიმართ. ლუკას ალაპი (№ 256) გაერთიანებულია პალეოგრაფიული ალბომის XLVIII ტაბულაში, სადაც თავმოყრილია ერთი ხელით დაწერილი 8 ალაპი. ამ ტაბულის ქრონოლოგიური საზღვრებია XIII ს. დამლევით და XIV ს. დამდეგით (იხ. 65 ალაპის კომენტარი). ამავე დროის უნდა იყოს ლუკას ალაპიცი. ლუკა აწამეს 1273 წ. როგორც ჩანს, ალაპი სვინაქსარში მისი წამების უმაღლესი კი არ ჩაწერილა, არამედ წამებიდან დაახლოებით 20—25 წლის შემდეგ. ეს დრო კი მონასტრის მუსულმანთაგან განთავისუფლების თარიღს ემთხვევა. საფიქრებელია, რომ მამლუქთა მიერ ჯვარის მონასტრის წართმევის დროს წამებული ლუკას ალაპი მონასტრის განთავისუფლებასთან დაკავშირებით 1305 წლის მახლობლად ჩაიწერა საალაპო წიგნში.

უფრო გვიანდელია ლუკას წამების ტექსტი. ლუკას და ნიკოლოზ დვალის წამებები, დაწერილი გვიანდელი ხელით, შემდეგ არის ჩაკინძული ხელნაწერში. თავდაპირველად ორივე ტექსტი დაწერილი ყოფილა ეტრატის ორ გადაბმულ ფურცელზე. 1r—v ეკავა ლუკას წამებას. 1v-ზე იწყებოდა თავდაპირველად ნიკოლოზ დვალის წამება. გადამწერსა თუ დამწერს, როგორც ჩანს, თავიდანვე ვერ გაუთვალისწინებია, რომ ლუკასა და ნიკოლოზის წამებების სვინაქსარული ცხოვრებები მათი წამების დღეებზე უნდა შესულიყო სვინაქსარში და, მაშასადამე, ისინი ერთად ვერ მოთავსდებოდნენ. საჭირო გახდა მათი განცალკევება. ამიტომ ნიკოლოზის წამების დასაწყისი გადაწერს ამოუფხეკია 1v-დან და დასაწყისის ეს რამდენიმე სტრიქონი გადაუტანია 2r-ზე, სადაც გრძელდებოდა ნიკოლოზის ტექსტი. ეს გადატანილი სტრიქონები დაწერილია წვრილი შრიფტით, შემქმნდროებულად 2r-ს ზემო კიდებზე. ამ გზით შესაძლებელი გახდა წამებათა ტექსტების განცალკევება და სვინაქსარში მათი ჩართვა თავთავის ადგილზე. ხელის მიხედვით ეს ორი ფურცელი XIV საუკუნის შუა წლებზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით რჩება გასაკრვევი ერთი რამ: ამ დროისათვის ეს ტექსტები დაიწერა თუ გადაიწერა. ვინაიდან ორივე წამება ერთი ხელითაა ერთდროულად დაწერილი,

¹⁸ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

ხოლო სხვა არც ადრეული და არც გვიანდელი ნუსხები ამ ტექსტებისა არ ჩანს. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი ფურცელი უშუალოდ ავტორის ხელიდანაა გამოსული, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის წამების თარიღი (1314 წ.) დიდად არ არის დაშორებული ნიკოლოზის წამების დაწერის თარიღს.

ამრიგად, სვინაქსარში შეტანილია ლუკას როგორც ალაპი, ასევე სვინაქსარული წამება. ლუკას ალაპი წინ უსწრებს წამების ტექსტის დაწერასა და სვინაქსარში შეტანას. სვინაქსარში ნიკოლოზ დვალის მხოლოდ წამებაა შეტანილი. ლუკასა და ნიკოლოზის წამებათა ტექსტები ერთდროულად არის შეტანილი სვინაქსარში, საფიქრებელია, ახალი ქართველი წმინდანების მოსახსენებლების ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრების მიზნით.

სალომე იერუსალიმელის შესახებ ცნობები შემოგვინახა ამავე სვინაქსარში შეტანილმა სალომეს მოსახსენებელმა. სალომეს მოღვაწეობის ხანა აქამდე დაუდგენელი იყო. ჯვარის მონასტრის ალაპები შესაძლებლობას იძლევიან მიახლოებით დათარიღდეს სალომეს ალაპი (№ 274). კომენტარში (იხ. № 197 ალაპის კომენტარი) გარკვეული გვაქვს რომ სალომეს ალაპი დაწერილი უნდა იყოს XIII ს. დამლევა და XIV ს. დამდეგს, ისევე, როგორც ლუკა იერუსალიმელისა. ეს გვადევს უფლებას, ვივარაუდოთ, რომ სალომე ქართველი XIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე იყო და შეიძლება მამულუქთა მსხვერპლი გახდა ისევე, როგორც ლუკა.

ჯვარის მამათა ქრონოლოგია

ალაპთა დათარიღებამ შესაძლებლობა მოგვცა, ალაპებში დასახელებულ ჯვარის მამათა ქრონოლოგიაში გავრკვეულიყავით. სინის მთის სულთა მატეიანისა და სხვა წყაროების საშუალებით კი შესაძლებელი გახდა ჯვარის მამათა სიის დადგენა XI—XVII საუკუნეების მანძილზე.

ყველაზე ადრეული ცნობები ჯვარის მონასტრის წინამძღვრებზე შემოგვინახა ჯვარის მონასტრის აღმაშენებლის გიორგი-პროხოორეს ცხოვრებამ. პროხოორე მიიკვალა 1066 წელს არნონის უდაბნოში. იერუსალიმიდან უდაბნოში წასვლამდე კი მან „გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმაჲ ერთი სახელით გიორგი და დაადგინა იგი მამასახლისად და ამცნო, რაჟთა ყოვლითა მოსწრაფებითა ზრუნვიდეს იგი ცხოვრებისათჳს მას შინა

მყოფთა ძმათაჲსა“⁷⁴. ამგვარად, პირველი ორი წინამძღვარი ცნობილია

ჯვარის მონასტრის წინამძღვრების მოსახსენებლები შემოგვინახა სინის მთის სულთა მატეიანემ. ჯვარის მამები სულთა მატეიანეში რამდენიმე წყებად არიან მოხსენებული. პირველ შემთხვევაში: ჯვარის მონასტრის მამა იოსები და პიმენ მაწყვერელი, შემდეგ ჯვარის მამა. ორივე მოსახსენებელი ერთად არის შეტანილი სულთა მატეიანეში. პირველად მოხსენებულია იოსები, ხოლო შემდეგ პიმენი⁷⁵.

ცალკეა შეტანილი მატეიანეში პროხოორეს მოსახსენებელი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სინის სულთა მატეიანის ცალკეულ ნაკვეთებში („მოკსენებისათჳს და განსუენებისათჳს“) უმრავლეს შემთხვევაში დატულია ქრონოლოგიური და ამასთანავე ნათესაური, წოდებრივი ან რომელიმე სხვა პრინციპი⁷⁶. ქრონოლოგიური პრინციპი დატულია იოსებისა და პიმენის მოსახსენებლებშიც. ალაპები მოწმობენ, რომ იოსები მართლაც უსწრებდა პიმენ მაწყვერელს (შემდეგ ჯვარის მამას). იოსებ ჯვარის მამის მოღვაწეობის წლები დადგენილი გვაქვს სვინაქსარის ალაპთა კომენტარებში (იხ. № 6 ალაპის კომენტარი). იოსები ჯვარის მამად ჩანს XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის პირველ წლებში.

ცნობა პიმენ მაწყვერელის იერუსალიმში ჩასვლის შესახებ შემოგვინახა „გოლგოთის სვინაქსარის“ ერთმა მინაწერმა: პიმენ მაწყვერელი იერუსალიმში ჩასულა „მას ეამსა, ოდეს თემურ დიმაშხი ააოკრა და ჯვარის სახლი აშლით აოკრეს“... დამასკო ანუ დიმაშხი თემურმა აიღო 1400 წელს. ამ წელს ჩამოსულა პიმენ მაწყვერელი იერუსალიმში და ჯვარის მონასტრისათვის ცვილი და ზეთი შეუწირავს⁷⁷. პიმენ მაწყვერელი იოსებ წინამძღვრის დროს იწყებს მოღვაწეობას იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და პირველ ხანებში მხოლოდ როგორც მაწყვერელი მოიხსენება (გოლგოთის სვინაქსარში), შემდეგ პიმენი

⁷⁴ Д. Кнпшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 58. გიორგი. როგორც წინამძღვარი, მოხსენებულია 1061 წლის ხელნაწერში (იხ. სინას მთის ხელნაწერი № 59: А. Сагарели, Памятники, გვ. 223).

⁷⁵ ივ. ჯაქაზიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1944, გვ. 244.

⁷⁶ იხ. გამოკვლევა, გვ. 10

⁷⁷ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი: საქ. მუზეუმის მოამბე, XV—B, გვ. 43.

უკვე ჯვარის წინამძღვრად, მამად აურჩევიათ. ჯვარის მამობისას პიმენს ვენახი უყიდია თავისი საფასით და ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს, რისთვისაც მის სიცოცხლეშივე მომდევნო ჯვარის ზამა იოანეს მისთვის სახარებასა და სვინაქსარზე დალოცვა დაუწესებია⁷⁸.

ამავე პერიოდში ჯვარის მონასტრის მოსალონიერებლად პიმენს სხვა ხერხისათვისაც მიუძარათავს. აღდგომელა⁷⁹ მახარებელს მოლარეთუხუცესს ხელასთვის საქართველოში წიგნი (წერილი) გაუგზავნია: „აღდგომელმან მახარებელმან წიგნი გაგზავნე საქართველოს ზეთისთვის ხელასა წინაშე და მას გამოგზავნე ასი ფლური ქრისტეს საფლავისთვის და ჯუარელთა დაიპირეს და მონასტერმან, მამამან პიმენ, მოძღუარმან იოანე, კანდელაკმან ნიკოლოზ და სრულად კრებულთა ...ყოველთავე დაგუიხინეთ ზეთი თორმეტი ლიტრად ყოველთა წელიწადთა“⁸⁰.

ამგვარად, პიმენ მაწყვერელს თავისი მამობის დროს ხელას გაგზავნილი 100 ფლური ჯვარის მონასტრისათვის მოუხმარებია. „გოლგოთის სვინაქსარის“ ეს მინაწერი საინტერესოა იმიტაც, რომ აქ დასახელებულნი არიან პიმენ მაწყვერელის თანამოღვაწენი და თანამედროვენი. ამ მინაწერში პიმენთან ერთად მოჩანს მოძღვარი იოანე, რომელიც ალაპთა ცნობით პიმენის შემდეგ დადგენილა ჯვარის მამად და, როგორც ზემოთ ითქვა, პიმენის სიცოცხლეშივე მისთვის სახარებასა და სვინაქსარზე დალოცვა განუწესებია (T—75)⁸¹. გარდა იმისა, რომ აღდგომელა მახარებელმა „გოლგოთის სვინაქსარზე“ წერილობით აღბეჭდა ჯვარის მონასტრის ვალდებულებანი ხელას 100 ფლურის დაქვრის გამო, თავის მხრივ

ჯვარის მამა პიმენმაც ჯვარის მონასტრის სვინაქსარის ფურცლებზეც ასახა იგივე: „გაგიჩინეთ ჩუენ ჯუარისა მამამან პიმე, მოძღუარმა და სრულად ერთსულებით კრებულთა თქუენ მოლარეთუხუცესსა ხელაჲსა თქუენთვის ერთი კანდელი, საფლავსა ქრისტესსა საუკუნოდ დაუესებელად ენთებოდეს, სადამდისცაჲ ესე ჯუარის სახლი ეგოს. ვინცაჲ ესე პირი და დაწერილი მოგიშალოს, თქუენგანცა მაგიორად იგი განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასაჲ. ჩუენგნით ყოველთა წელიწადთა, ვინცაჲ აღდგომილი იყოს, იბ თორმეტი ლიტრა ზეთი მიეცემოდეს უკლებლად“ (ალაპი № 124). ხელასთვის პიმენს დალოცვა განუწესებია ხელასვე სიცოცხლეში. გარდა ამისა სვინაქსარში შეტანილია ალაპები: ხელასთვის, მისი ძმისა და ძმის ცოლისათვის.

ისტორიულ საბუთებში პიმენი არ ჩანს 1420—1428 წლებში ერთ-ერთ მორჩილების სიგელს ხელს აწერს გერასიმე მაწყვერელი⁸². ეს უნდა იყოს პიმენის მომდევნო მაწყვერელი. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის პიმენი ან იერუსალიმშია, ან უკვე გარდაცვლილია. ხელა ისტორიულ დოკუმენტებში მოჩანს 1401—1407 წლებში⁸³. ამის მიხედვით ჩვენ პიმენის ჯვარის მამობასაც ამავე წლებში ვგაზაუდობდით⁸⁴, მით უმეტეს, რომ „გოლგოთის სვინაქსარის“ ცნობით, პიმენი იერუსალიმში ჩავიდა 1400 წელს. სინამდვილეში პიმენი 1400 წლიდან მოღვაწეობს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, ხოლო ჯვარის მამად არის XV საუკუნის ათიან წლებში. თუ რამდენ ხანს იყო პიმენი ჯვარის მამად, ამის თქმის საშუალებას ალაპები არ გვაძლევენ.

XIX ტაბულის ალაპების შესწავლამ გამოარკვია, რომ იოსებ ჯვარის მამას უსწრებს ქერაბინ ჯვარის მამა (იხ. № 6 ალაპის კომენტარი). ამგვარად, ზემომოტანილი მასალების მიხედვით დასახელებულ ჯვარის მამათა თანმიმდევრობა ასე უნდა წარმოედგინოთ:

⁷⁸ იხ. ტიმენდორფისეული ნუსხის ალაპი T—75. იხილავს რა ჯვარის მონასტრის ისტორიას XIV ს. მანძილზე, მისი მესულმანთაგან განთავისუფლების (1305 წ.) შემდეგ, რ. ეანენი წერს: „ხშირად ერთ და იმავე დროს წმიდა ჯვარის უმფროსად ორი პიროვნება იყო, ერთი ზემოსა და მეორე ქვემო საქართველოს ბერებისათვის“. ამ ცნობის წყაროდ რ. ეანენი ასახელებს Ch. Papadopoulos შრომას: *Ἡ ἐρετὰ μισυή τοῦ Στρυμονί, 1905*, გვ. 30). შესაძლებელია, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე პიმენ მაწყვერელისა და იოანე ჯვარის მამის შემთხვევაშიც.

⁷⁹ აღდგომელა ეწოდება ქრისტეს საფლავის ქართველ მომსახურე ბერს.

⁸⁰ ე. მ. ტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 41.

⁸¹ იოანე ჯვარის მამისა და მისი ძმის ნიკოდიმეს მოსახანებლები დაუთავს იერუსალიმის ქართული სვინაქსარის ერთ ფრაგმენტს. იხ. ნ. მარი, ალაპნი, გვ. XVIII—IV.

⁸² თ. ყ. ო. რ. დ. ა. ნ. ა., ქრონიკები, II, 226—227.

⁸³ იქვე, გვ. 207

⁸⁴ ე. მ. ტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 42.

ქერაბინ, XIV საუკუნის უკანასკნელი ათეული იოსებ, XIV საუკუნის მიწურული და XV საუკუნის დამდეგი.

პიმენ მაწყვერელი, XV საუკუნის ათიანი წლები.

იოანე, XV საუკუნის 30-იანი წლები⁸⁵.

ამათ მომდევნო ჯვარის მამათა დადგენისათვის კვლავ „სინის მთის სულთა მატთანეს“ უნდა მივმართოთ.

გარდა ზემომოყვანილ ჯვარის მამათა მოსახსენებლისა, „სინის მთის სულთა მატთანეში“ შეტანილია ცალკე ნაკვეთად: „მოქსენებისათვის და განსუენებისათვის ჯვარისა მამათათვის“⁸⁶. აქ ჯვარის მამები დასახელებული არიან შემდეგი თანმიმდევრობით: გიორგი, ლუკა, მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე, საბა, სუმონი, სუმონი, გერმანოზი, იოანე.

ამ სიიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი არიან გიორგი, რომელიც ჯვარის მამად პროხორომ დაადგინა, და აგრეთვე იოანე, რომელიც პიმენ მაწყვერელის შემდეგ მოღვაწეობდა. ამ სიაში, როგორც ვხედავთ, არ არიან მოხსენებული ის მამები, რომელთა მოსახსენებლები ცალკეა შეტანილი „სულთა მატთანეში“. ესენია: პროხორო, იოსებ, პიმენი. ამ მამების მოღვაწეობის წლებიც ჩვენთვის ცნობილია. ამიტომ მათ შეიძლება მიუჩინოთ თავისი ადგილი სულთა მატთანის სიაში: ამის შემდეგ ეს სია ასეთ სახეს მიიღებს.

პროხორო	საბა
გიორგი	სვიმონ
ლუკა	სვიმონ
მარტიანე	გერმანოზ
გაბრიელ სანატრელი	იოსებ
მარტიანე	პიმენ
	იოანე

ამგვარად, სინის მთის სულთა მატთანის ორივე მოსახსენებელი მოიცავს ჯვარის მამათა სიას პროხოროდან (XI საუკუნის სამოციანი წლები) იოანემდე (XV საუკუნის პირველი ნახევარი).

⁸⁵ იოანე ჯვარის მამას განუწყობდა ალაპი ავთანდილ ზედგინიძისა (I—93), რომელიც XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. ავთანდილ ზედგინიძე 1429 წელს ცოცხლად მოიხსენება (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები, 1937, ნაკვ. 1, გვ. 5—7).

⁸⁶ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 245.

სია არ არის სრული. მას აკლია ჩვენთვის უკვე ცნობილი ჯვარის მამა ქერაბინი, იოსების წინამორბედი. დიდი ხარვეზი შეიმჩნევა სიაში პროხოროდან ლუკამდე.

პროხოროს მომდევნო გიორგის წინამძღვრობა XI საუკუნის 80-იან წლებს ბევრით ვერ გასცილდება. ჯვარის მამა ლუკა კი აწამეს 1273 წელს. ამგვარად, ამ ორ წინამძღვარს ორი საუკუნე აშორებს ერთმანეთისაგან⁸⁷. სინის სულთა მატთანეში კი ისინი ერთი მეორეს მოსდევენ.

სინის მთის სულთა მატთანის ჯვარის მამათა სიის შემოწმება შესაძლებელია სხვა ანალოგიურ მატთანეებსა და ისტორიულ წყაროებში ამ პირთა დამოწმების დადასტურებით. მრავალ შემთხვევაში ეს ხერხდება კიდევ, რაც უფლებას გვაძლევს მატთანის ცნობები სანდოდ მივიჩნიოთ იმ პირთა მიმართაც, რომელთა დაძებნვა წყაროებში ვერ ხერხდება. ასე მაგ., წყაროებში არ ჩანან ლუკას შემდეგდროინდელი ჯვარის მონასტრის წინამძღვრები: მარტიანე, გაბრიელ სანატრელი და მარტიანე. ფიქრობთ, ამას თავისი ახსნა აქვს.

ლუკას მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი ყველაზე მძიმე ხანაა ჯვარის მონასტრის ისტორიაში. ლუკას წამებიდან თითქმის 35 წლის მანძილზე ჯვარის მონასტერი მიზგითად იყო გადაქცეული. ქართველი ბერები კი ისე გადაქვეყნდნენ მონასტრიდან, რომ სამონასტრო ინვენტარის წაღების უფლებაც კი არ მისცეს. ჩანს, ქართველებს არც ხელნაწერების გამოტანა მოუსწრიათ მონასტრიდან. ალბათ ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ ამ დროის ალაპები სვინაქსარში უფრო გვიან ჩაწერილი ჩანს, საფიქრებელია იმის შემდეგ, რაც კრებულმა დაიხსნა მონასტრის ინვენტარი ან როცა მონასტერი კვლავ დაუბრუნდა ქართველებს, ე. ი. 1305 წლის ახლო ხანებში. ამავე მიზეზით ვერ ვხვდებით ალაპებში მოხსენიებას ამ პერიოდის ჯვარის მამათა, რომლებიც, ალბათ, ჯვარის მონასტრის რომელიმე მეტოქეში წარმართავდნენ მონასტრის კრებულის საქმიანობას და ყველა ღონეს ხმარობდნენ მონასტრის განთავისუფლებისათვის.

ლუკას შემდეგ ჯვარის მამები ალაპებში ჩანან მხოლოდ XIII ს. დამლევისა და XIV ს. დამლევის. ესენი არიან ჯვარის მამა საბა (იხ. ალაპი № 95

⁸⁷ ამ პერიოდის ჯვარის მამები არც ჯვარის მონასტრის ალაპებში ჩანან.

და მისი კომენტარი) და სოლომონი, რომელიც მოიხსენება როგორც მეფეთ მეფე ვახტანგის აღაპის გამჩენი (იხ. № 206 ალაპი და მისი კომენტარი). მეორე ალაპის დათარიღება ხერხდება. იგი განწესებულია სოლომონის მიერ 1299 წელს ვახტანგ მეფეთ მეფის შემოწირულებასთან დაკავშირებით. ამით ისაზღვრება სოლომონის მოღვაწეობის წლები. ალაპებიდანვე ირკვევა, რომ სოლომონის შემდეგ ჯვარის მამებად იყვნენ სვიმონ ელმელიქის ძე და სიმონა ციდაშვილი. სოლომონის შემდეგ რომ სვიმონი იყო ჯვარის მამად, ამას ზემოთ დასახელებული 206 ალაპი. მოწმობს, სადაც სოლომონთან ერთად სვიმონიც არის მოხსენიებული: „მას ეამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო, მაშინ რეაჲ თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სუმეონ მოვაგმარეთ მონასტერსა“. ეს სვიმონი უნდა იყოს ელმელიქის ძე, რომელიც უკვე ჯვარის მამად იწოდება № 65 ალაპში ამ ალაპის დათარიღებით შესაძლებელი გახდა სვიმონის ჯვარის მამობის დროის განსაზღვრა XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 65 ალაპის კომენტარი).

სინის მთის სულთა მატეანის სიის მეორე სვიმონი უნდა იყოს ჯვარის მამა სიმონა ციდაშვილი, მოხსენიებული ჯვარის მონასტრის № 4 ა ალაპში. მისი მამობის ხანა დაახლოებით XIV საუკ. მეორე ნახევრით უნდა შემოიფარგლოს. ამ თარიღს მხარს უჭერს სიმონა ციდაშვილის ალაპის მხედრული ხელი.

ამგვარად, ალაპთა მოშველიებით გაირკვა, რომ სოლომონის შემდეგ სვიმონ ელმელიქის ძე და სიმონ ციდაშვილი უნდა ყოფილიყვნენ ჯვარის მამებად. ამდენად, სინას სულთა მატეანის ჯვარის მამათა სიაში საბასა და სვიმონს შორის უნდა მოთავსდეს სოლომონი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს საბას წინამძღვრობის დრო განესაზღვროთ XIII საუკ. დამლევით, უკანასკნელი ათეულით. საბას მამობის ამ თარიღს მხარს უჭერს პალეოგრაფიული თავისებურება და ქრონოლოგიური საზღვრები ალაპთა XXIX ტაბულისა, რომელშიც შედის, სხვა ალაპთა შორის, ჯვარის მამა საბასთვის განწესებული ალაპიც (იხ. № 95 ალაპი და მისი კომენტარი).

სინის სულთა მატეანის ჯვარის მამათა სიის მიხედვით სვიმონის შემდეგ ჯვარის მამად უნდა ყოფილიყო გერმანოზი.

მართლაც, გერმანოზ ჯვარის მამის მოსახსენებელი, დაწერილი XIV ს. შესანიშნავი მხედრული ხელით, შეტანილია Jer. 44 ხელნაწერში: „ქრის-

ტეს საფლავო, მიღზინე მე, ცოდვილსა გერმანოზს ჯუარის მამას და ცოდვები შეუნდვენ“ (1587).

გერმანოზის მომდევნო მამების: ქერაბინის, იოსების, პიმენისა და იოანეს მოღვაწეობის წლები კი ჩვენ ზემოთ უკვე გავარკვეით. ამიტომ გერმანოზ ჯვარის მამა სვიმონსა და ქერაბინს შორის უნდა მოთავსდეს.

Jer. № 76 ხელნაწერმა, რომელიც ჩვენი ვარაუდით XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, შემოგვინახა ცნობა კიდევ ერთი იოანე ჯვარის მამის შესახებ, რომლის მამობის წლები XIV საუკ. პირველ ოცეულშია სავარაუდებელი (იხ. აქვე, გვ. 47).

ამგვარად, სინის სულთა მატეანის ჯვარის მამათა მოსახსენებლები, შეგვსებული ალაპთა და ხელნაწერების ცნობებით, ჯვარის მამათა მოღვაწეობის შემდეგ ქრონოლოგიურ სურათს გვარჩევს:

1. პროხორე — გარდაიცვალა 1066 წელს.
2. გიორგი — ჯვარის მამად მოიხსენება 1061 წლიდან.
3. ლუკა — აწამეს 1273 წელს (სამი წლის განმავლობაში იყო წინამძღვრად).
4. მარტიანე — ესენი ჯვარის მამებად უნდა ყოფილიყვნენ ლუკას შემდეგ, ჯვარის მონასტრის ტყვეობის დროს, 1273—1290-იან წლებში. ეს პირები ჯვარის მონასტრის ალაპებში არ მოიხსენებიან, არ ჩანან არც იერუსალიმის სხვა ხელნაწერებში.
5. გაბრიელ სანატრელი
6. მარტიანე
7. საბა — XIII საუკუნის მიწურული, 90-იანი წლები.
8. სოლომონ — სინის სულთა მატეანის სიაში მოხსენიებული არ არის. ჯვარის მონასტრის ალაპთა მიხედვით წინამძღვრობდა XIV საუკუნის დამდეგს (პირველ ათეულში).
9. იოანე — XIV საუკ. პირველი ოცეული (Jer. ხელნაწერი № 76). — ალაპების მიხედვით XIV საუკუნის პირველ მეოთხედში წინამძღვრობდა.
10. სვიმონ (ელმელიქის ძე)
11. სვიმონ (სიმონა ციდაშვილი) — XIV საუკუნის პირველი ნახევრის (შუა წლების) წინამძღვარი.

12. გერმა-
ნოზი —XIV საუკ. მეორე ნახევრის მოღვაწე (პირობით).
13. ქერაბინ —სულთა მატეანის სიაში არ არის მოხსენიებული. ალაპების მიხედვით XIV საუკუნის მიწურულში წინამძღვრობდა.
14. იოსებ —XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დამდეგს წინამძღვრობდა.
15. პიმენ —XV საუკუნის დამდეგის (ათიანი წლები) წინამძღვარი.
16. იოანე —XV საუკუნის მეორე მეოთხედში წინამძღვრობდა.

სინის სულთა მატეანის ჯვარის მამათა მოსახსენებლები იოანე ჯვარის მამაზე წყდება. შემდეგი დროის ჯვარის მამათა შესახებ ცნობები შემოუნახავთ ალაპებსა და იერუსალიმის ხელნაწერთა მინაწერებსა და ანდერძებს, მაგრამ ხარვეზები აქაც არის.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ჯვარის მამად ყოფილა ნიქოზელი დანიელი, რომლის განწესებული ალაპი დაუცავს ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხას (T—94; ამ ალაპის დათარიღების შესახებ იხ. აქვე, გვ. 27).

1511—1514 წლებში ჯვარის მონასტერში მოღვაწეობს ბენა ჩოლაყაშვილი, ავგიორგის მიერ იერუსალიმში ჯვარის მამად მივლინებული. ბენას მრავალმხრივი საქმიანობა იერუსალიმის ქართული კოლონიის საკეთილდღეოდ აისახა იერუსალიმის ხელნაწერთა მრავალრიცხოვან ანდერძ-მინაწერებში⁸⁸.

ასევე ჯვარის მამად იყო წარმოგზავნილი იერუსალიმში იოაკიმე, რომლის შესახებ ცნობები დაუცავს მხოლოდ გოლგოთის საპატრიარქო ტახტის წარწერას. ეს წარწერა ხანძრისაგან დაიღუპა 1808 წელს. წარწერის ტექსტი შემოგვინახა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვამ“. იერუსალიმში ყოფნის დროს ტიმოთეს გადმოჰოლია ეს წარწერა და შეუტანია თავისი მოგზაურობის აღწერაში⁸⁹.

⁸⁸ ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 36—37. იხ. ბენას მოღვაწეობასთან დაკავშირებით აგრეთვე ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოცემა, გვ. 01—85 და ა. ცაგარელი, Памятники, გვ. 172, 181.

⁸⁹ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 78, სქ. 2.

წარწერის ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ლეონ მეფეს გაუგზავნია ჯვარის მამად იოაკიმე და დაუვალებია მისთვის ქრისტეს საფლავისა და გოლგოთის აშენება. „და არს წარსული წელი ეამსა მას აქეთ სკზ“—ურთავს თავის მხრივ ტიმოთე. „მიმოსლვის“ B რედაქციაში, რომელიც იერუსალიმში იწერებოდა, იოაკიმეს იერუსალიმში ჩასვლიდან ტიმოთე 220 წელს სთვლის გარდასულად, ხოლო C-ში კი 221—222 წელს. ტიმოთე იერუსალიმში იყო 1757—1758 წლებში, ამის მიხედვით იოაკიმე იერუსალიმში ჩასულა 1538 წელს⁹⁰. ამავე დროისათვის უნდა ვივარაუდოთ იოაკიმეს ჯვარის მამობა.

1570 წელს ჯვარის მამად ჩანს ბარნაბა. იერუსალიმის ერთ ხელნაწერს, რომელიც გ. ავალიშვილმა ჩამოიტანა იერუსალიმიდან, აქვს 1570 წლით დათარიღებული ანდერძი, დაწერილი ხელნაწერის შემკაზმველის ვლასი ურბნელი მთავარეპისკოპოსისა და ბარნაბა თბილელი მთავარეპისკოპოსის მიერ (H—2336). ხოლო იერუსალიმის მეორე ხელნაწერის ანდერძში (№ 125 ცაგარის კატალოგის მიხედვით, № 38 ნ. მარის კატალოგი) თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ამავე დროს ჯვარის მამად არის წოდებული. გ. ავალიშვილისეული ხელნაწერის მიხედვით ბარნაბას ჯვარის მამობა XVI საუკუნის 70-იან წლებში უნდა ვივარაუდოთ.

ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძებში მოიხსენიება აგრეთვე ჯვარის მამა ეპიფანე: „ამა წიგნისა შემოსავსა პაპა იაკობს შეუნდოს ღმერთმან და შემკაზმავსა ჯუარის მამა ეპიფანეს“. ანდერძი დაწერილია 1584 წელს (იხ. Jor. 120, გვ. 239). ეპიფანეს უფრო ვრცელი ანდერძი შემოუნახავს იერუსალიმის № 51 ხელნაწერს: „მე... მღვდელთ-მთავარმან და წმიდა ქალაქსა იერუსალიმსა კეთილად-მსახურთა და ღთიე-დაცულთა მეფეთაგან წარმოგზავნილმან აქა წმიდისა და საუფლოთა სისხლითა მორწყულისა წმიდისა გოლგოთისა და...ჯუარის მამად და წინამძღვრად ჩინებულმან უღირსმან ეპიფანე შევკაზმე წმიდა ესე... წიგნი ცხობებამ წმიდათა მამათა ჩუენთა“. მეორე მხრით, ეპიფანე ჯვარის მამა მოხსენებულია სვინაქსარის ერთ-ერთ ალაპში (იხ. № 112 ალაპი და მისი კომენტარი). ამ ალა-

⁹⁰ საუიკრებელია, რომ საპატრიარქო ტახტის წარწერას ექნებოდა ქორთიკონი, რომლის მიხედვითაც ანგარიშობდა ტიმოთე იოაკიმეს იერუსალიმში ჩასვლის თარიღს.

პის კომენტარში გარკვეულია, რომ 1567 წელს ეპიფანე ყოფილა ჯვარის მონასტრის წინამძღვარი.

თუ რამდენ ხანს იყო ეპიფანე ჯვარის მონასტრის წინამძღვრად, ამის გარკვევაში გვეხმარება რუსი მოგზაურის ტრ. კორობენიკოვის ცნობები.

ტრიფონ კორობენიკოვმა ორჯერ იმოგზაურა: პირველად, 1582 წელს ათონსა და კოსტანტინეპოლში, მეორედ — იერუსალიმსა და ანტიოქიაში 1593 წელს⁹¹. მეორე მოგზაურობის შემდეგ მას შეუდგენია სამონასტრო შეწირულობებზე გაღებული თანხების ანგარიში (распись). ამ ანგარიშში ნახსენებულია რამდენიმე ქართული მონასტერი და მათი წინამძღვარი. ტ. კორობენიკოვის იერუსალიმში ყოფნის დროს ქართველებს აღდგომის ეკლესიაში ჯვარცნის ეკედერი ეკავათ. ქართველთა ამ სანწირველსათვის ტ. კორობენიკოვს შეუწირავს 100 ოქრო: „В том же церкви Воскресения, в придел к распятию, что на Голгофе, иверскому строителю, вместо иверского епископа Епифания, дано по росписи сто золотых“⁹². „Строитель“ აქ წინამძღვარს უნდა ნიშნავდეს⁹³. ამ ნიშნავლობით ხმარობს ავტორი ამავე სიტყვას ტექსტის სხვა ადგილებში (იხ. ქვე. ზოთ). ნოტანილი ტექსტი სავსებით ნათელი მაინც არ არის. ვფიქრობთ, ეს ადგილი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: კორობენიკოვს ფული მიუცია ივერიის წინამძღვრისათვის, რომელიც აღდგომის ეკლესიაში ეპისკოპოს ეპიფანეს მაგიერობას წევდა 1593 წელს, ე. ი. ეპიფანე 1593 წლისათვის ან გადამდგარი, ან ახლად გარდაცვლილი, ან დროებით წასული იყო იერუსალიმიდან. თუ ტექსტის ამგვარი გაგება სწორია, მაშინ ეპიფანეს ჯვარის მამობის წლები უნდა შემოიფარგლოს 1507—1593 წლებით.

თუ რა ერქვა ეპიფანეს შემცველ ჯვარის მამას, რომელსაც ტ. კორობენიკოვმა გადასცა ფული, ზემოთ მოტანილ ტექსტში არაფერია თქმუ-

ლი. მის სახელს ვგებულობთ ამავე ანგარიშის სხვა ადგილებიდან, სადაც ტ. კორობენიკოვი რამდენიმე სხვა ქართულ მონასტერს და მათ წინამძღვარს ახსენებს: „В монастыре Воздвижения Креста, за две версты от Иерусалима, строителю Иосифу—сорок золотых.“ აქ აშკარად ქართველთა ჯვარის მონასტერი იგულისხმება, რომელსაც ტ. კორობენიკოვი შეცდომით უწოდებს „Воздвижение креста“ ნაცვლად „Святого креста“.

როგორც ჩანს, იოსები ჯვარის მონასტრის წინამძღვარი და არქიმანდრიტი ყოფილა, ვინაიდან, ტ. კორობენიკოვისვე ცნობით, ის ჯვარის გარდა კიდევ რამდენიმე სხვა ქართული მონასტრის საქმიანობას განაგებდა: „Феодора Стратилата строителю Иосифу на масло три золотых и старице Феделе—три“⁹⁴.

აქ იგულისხმება თეოდორე სტრატელატის სახელობის ქართული მონასტერი, რომლის აშენება ბეჟან და ბაადურ ჩოლაყაშვილებს მიეწერებათ⁹⁵.

ტრ. კორობენიკოვს მოუხილავს კიდევ ორი ქართული მონასტერი: „Николая Чудотворца строителю Иосифу на масло—три; при нем иеромонаху—три, и семи старцам—по два; всего двадцать золотых“⁹⁶.

„Святых Феклы строителю Иосифу на масло три и старице Варуаре милостыни—две“⁹⁷. ნიკოლოზის მონასტერი ჯვარის მონასტრის მეტოქე იყო. ჯვარის მონასტრის № 99 ალაპის მიხედვით იგი ააშენა ქაიხოსრო წულუკიძემ XVII საუკუნის პირველ ნახევარში⁹⁸. ტ. კორობენიკოვის ცნობით კი ნიკოლოზის მეტოქე უფრო ადრე აშენებული ჩანს. დაბოლოს, თეკლას მონასტერზე ცნობებს გვაწვდის ტიმოთე გაბაშვილი და ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა. ტიმოთეს ცნობით თეკლას მონასტერი აშენებულია ჯვარ. მამამა ქრისტეფორე ზედგინიძის მიერ, რომელიც

⁹¹ История русской литературы, т. II, ч. I, изд. АН СССР, М.-Л. 1946, гл. 514—515.

⁹² Архим. Леонид, Иерусалим, Палестина и св. Афон по русским паломникам XIV—XVI вв.; Чтения в Императорском обществе истории и древностей Российских, 1871, книга 1. стр. 60.

⁹³ Строитель-ის ეს ნიშნავლობა იძებნება ლექსიკონებში: „Строитель пустыни—иеромонах, настоятель“, В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. т. IV, 1955, гл. 342;

„Строитель, строитель монастыря, строитель церковный—должностное лицо в монастыре“: Материалы для терминологического словаря древней России. Составил Г. Е. Кочин. М.—Л., 1937, стр. 349.

⁹⁴ Архим. Леонид, იქვე, გვ. 62.

⁹⁵ ტიმოთე გაბაშვილისა და ალ. ცაგარლის ცნობებით თეოდორეს მონასტერი უნდა აშენებულიყო ბეჟან და ბაადურ ჩოლაყაშვილებისაგან 1635 წელს. ორივე ავტორი ეყრდნობა მონასტრის სააღმშენებლო წარწერას (მიმოსღვა, 1936 წ. გამოც., გვ. 81; А. Цагарели, Памятники, გვ. 251), ტ. კორობენიკოვი კი ამ მონასტერში ყოფილა XVI ს. მიწურულს. ამგვარად, ჩოლაყაშვილები უნდა მივიჩნიოთ მონასტრის შემკეთებლად და არა აღმამშენებლად.

⁹⁶ Архим. Леонид, იქვე, გვ. 62.

⁹⁷ იქვე, გვ. 62.

⁹⁸ იხ. № 99 ალაპი და მისი კომენტარი.

მოღვაწეობდა მე-15 საუკუნის შუა წლებში (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, იოსები ყოფილა მე-16 საუკუნის მიწურულის ჯვარის მამა და არქიმანდრიტი, ეპიფანეს მომდევნო ჯვარის მამა. იოსებს ექვემდებარებოდა, გარდა ჯვარისა, კიდევ რამდენიმე მოქმედი ქართული მონასტერი: თეოდორე სტრატელატისა, ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა და თეკლასი.

ჯვარის მონასტრის აღაპთა ტიშენდორფისეულ სიაში არის კიდევ ერთი ცნობა აქამდე უცნობ ჯვარის მამის ნეოფიტეს შესახებ. ნეოფიტეს განწესებულია T—92 აღაპი 1620 წელს. ამ აღაპის საშუალებით იესება ჯვარის მამათა სია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის წინამორბედი წინამძღვრებით.

ნიკიფორე იერუსალიმში პირველად იყო 1614—1626 წლებში; 1626 წელს ნიკიფორე ბრუნდება საქართველოში, სადაც იგი თეიმურაზ პირველმა მეტეხის წინამძღვრად გააწესა. 1643 წლიდან—1649 წლამდე ნიკიფორე კვლავ იერუსალიმშია, ოღონდ უკვე ჯვარის მამად. ნიკიფორეს საქართველოში ყოფნის წლებში ჯვარის მონასტრის წინამძღვრად ჩანს მაკარი. მაკარი, რომელიც მოიხსენება XI საუკუნის იერუსალიმის №1 ხელნაწერის მინაწერში (იხ. ა. ცაგარლის კატალოგი), ა. ცაგარელს XI საუკუნისევე ჯვარის მამად მიაჩნია. ამ მინაწერის ხელი და ჯვარის მონასტრის აღაპების ცნობები კი მოწმობენ, რომ მაკარი XVII საუკუნის 30-იანი წლების მოღვაწეა. მაკარი ჯვარის მამა მოხსენიებულია სვინაქსარის ორ აღაპში. პირველია № 87, განწესებული ბაადურ ჩოლაყაშვილისათვის (იხ. ამ აღაპის კომენტარი), ბაადურ ჩოლაყაშვილი კი 1635 წლის კტიტორული წარწერის მიხედვით თეოდორეს მონასტრის კტიტორია⁹⁸. მეორე აღაპი № 163 განწესებულია გარსევან ჩოლაყაშვილისათვის. გარსევან ჩოლაყაშვილი, ნიკიფორეს ნათესავი, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მოღვაწეა.

ვინაიდან ბაადურის წარწერა 1635 წელს არის შესრულებული, საფიქრებელია, რომ დაახლოებით ამავე წლების უნდა იყოს ბაადურისთვის, როგორც კტიტორისათვის, განწესებული აღაპიც. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1635 წელსა და მის ახლო ხანებში ჯვარის მონასტრის წინამძღვრად, ჯვარის მამად ყოფილა მაკარი (იხ. № 163 აღაპის კომენტარი).

1643—1648 წლებში ჯვარის მამად იყო ნიკიფორე ჩოლაყაშვილი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორეს თავის მაგივრად ჯვარის მამად იერუსალიმში მარკოზი გაუგზავნია. ეს ცნობა შემოგვინახა იერუსალიმის № 143 ხელნაწერის ანდერძმა (ა. ცაგარლის კატალოგი). ამ ანდერძში მარკოზი შემდეგნაირად არის დახასიათებული: ნიკიფორემ „საქართველოს რომ წაბრძანდა, მის წილ წარმოგზავნა წინამძღვრად ბატონი მღუდელ-მონაზონი მარკოზ, სწავლული და წმიდა და ღირსი ყოვლისა პატივისა. უკეთუ იკითხოთ ნათესაობით, იყო ქუცყნით სამცხით“.

დოსითეოზ პატრიარქი მარკოზის შემდეგდროინდელ ჯვარის მამებად ასახელებს: გაბრიელს, იოსებსა და მელეტის¹⁰⁰. 1701 წელს დაწერილ წერილში კი დოსითეოზი ჯვარის მამად ასახელებს არსენის. არსენის შეუფერებლობის გამო ჯვარის მამობიდან მის განთავისუფლებას მოითხოვდა ქართლის კათალიკოზი იოანე და თავის მხრით ამას მხარს უჭერდა დოსითეოზ პატრიარქიც¹⁰¹.

ტიმოთე გაბაშვილმა შემოგვინახა ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც იერუსალიმის თეკლას მონასტერი აუშენებია ჯვარის მამა ქრისტეფორე ზედგინიძესა და მის ნათესავებს¹⁰². ეს ცნობა დაკუთვნილია „მიმოსლვის“ იმ თავში, რომელსაც ეწოდება: „აქა, თუ ვის მიერ აღეშენეს იერუსალემს მონასტერი“. „მიმოსლვის“ ეს ნაწილი კი, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, სანდო ისტორიული წყაროების საფუძველზეა დაწერილი. ამ თავისათვის ტიმოთეს უსარგებლია: საამშენებლო წარწერებით, სამონასტრო მოსახსენებლებით, აღაპებითა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით. ამგვარად ზედგინიძეთა მიერ თეკლას მონასტრის აშენების ფაქტი ჩვენ უეჭვოდ მიგვაჩნია, ვერ ხერხდება მხოლოდ ქრისტეფორე ზედგინიძის ჯვარის მამად ყოფნის წლების დადგენა, ვინაიდან სხვა ცნობები ქრისტეფორეს შესახებ არ მოგვეპოვება. მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია. „მიმოსლვაში“ აღნიშნულია, რომ თეკლას მონასტერი ააგეს ქრისტეფორე ჯვარის მამამ და მისმა ნათესავებმა. მეორე მხრით სვინაქსარისა და ტიშენდორფისეული ნუსხის აღაპებში მოგვეპოვება ზედგინიძეთა რამდენიმე აღაპი, დადებული ავთანდილ, მამისა, თაყა და ჯანიბეგისათვის. ეს

¹⁰⁰ Послание Иерусалимского патриарха Досифея в Грузию. გვ. 20.

¹⁰¹ იქვე, გვ. 7—8.

¹⁰² მიმოსლვა, 1956 წლის გამოც, გვ. 81.

⁹⁸ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 0233, სქ. 1.

ალაპები თარიღდებიან XV საუკუნის პირველი ნახევრით, უფრო ზუსტად ამ საუკუნის შუა წლებით. ჩვეულებრივ, ეკლესიის აღმაშენებლისათვის და მომხატველებისათვის, გარდა იმისა, რომ ისინი თვით ეკლესიის წარწერებში მოიხსენებიან, წესდება ალაპები ჯვარის მონასტრის საალაპე წიგნშიც, სადაც აღირიცხება იერუსალიმის ქართული კოლონიის მთელი საქმიანობა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალაპებში მოხსენებული ზედგინიძენი უნდა იყვნენ როგორც დაკავშირებულნი თეკლას მონასტრის მშენებლობასთან, მით უმეტეს, რომ ტიმოთეს ცნობით მონასტრის მშენებლები ქაიხოსროსთან ერთად მისი ნათესავეებიც ყოფილან. ქაიხოსრო ალაპებში არ ჩანს (შეიძლება ეს ალაპი დაკარგულია სხვა მრავალ ალაპთან ერთად), მისი ნათესავეების ალაპები კი მოგვეპოვება. მსგავსი ვითარებაა იერუსალიმის ბასილის მონასტრის აღმაშენებლის ამირინდო ზედგინიძე-ამილახორის მიმართ, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ტიმოთე თავის „ნიმოსლვაში“. ამავე დროს ამირინდოსა და მისი ნათესავეების ალაპს ვპოულობთ ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში (იხ. I—85 ალაპი). ამ ვარაუდის საფუძველზე ჩვენ ქრისტეფორე ზედგინიძეს, ჯვარის მამას, პირობით XV საუკუნის შუა წლების მოღვაწედ მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცნობები ქრისტეფორეს შესახებ არ მოგვეპოვება¹⁰³.

ამგვარად, ზემომოყვანილი ცნობები რომ შევაჯამოთ, XV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით ჯვარის მამათა შემდეგ სიას მივიღებთ:

17. ქრისტეფორე — XV საუკუნის
რე ზედგინიძე, შუა წლები (პირობით).
18. დანიელ ნიქოზელი — XV საუკუნის II ნახევარი.
19. ბენეა ჩოლაყაშვილი — 1511 წლიდან.
20. იოაკიმე — 1538 წლიდან.
21. ბარნაბა თბილელი — 1570-იან წლების ფარგლებში.
22. ეპიფანე — 1567-1593 წლები.

¹⁰³ ამ ვარაუდს ერთგვარად ამაგრებს ისიც, რომ წერილობით წყაროებში თეკლას მონასტრის დამოწმება XV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. თეკლას მონასტერი მოხსენიებულია იერუსალიმის № 161 ხელნაწერის მინაწერში, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნისა უნდა იყოს: „კინცა ესე დავითი თეკლას წმიდას განთავჯისა ცმრუსალემსა, გამონცა-რეუბების სული მისი ღმრთისაგანა“ (1 r).

23. იოსებ არქიმანდრიტი — XVI საუკუნის მიწურული.
24. თეოდოსე რევიშვილი — 1619 წ.
25. ნეოფიტე — 1620 წლიდან.
26. მაკარი — 1635 წლის მახლობლად.
27. ნიკიფორე ჩოლაყაშვილი — 1643—1649 წ.
28. მარკოზი — 1649 წლიდან.
29. გაბრიელი — XVII საუკუნის მეორე ნახევარი.
30. იოსებ — 1666 წ.
31. მელეტი¹⁰⁴ — 1683. წ.
32. ქრისტეფორე¹⁰⁵ — 1701 წ.
33. არსენი — XVII ს. დამლევი და
34. პართენიოს¹⁰⁶ — XVIII ს. დამლევი.
35. გერასიმე¹⁰⁷ — 1739 წ.

¹⁰⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია მელეტი (მელენტიოს) ჯვარის მამის შედგენილი ერთი დოკუმენტი (Hd—100), სადაც აღნიშნულია, თუ რა რაოდენობის თანაზ მიიღო ჯვარის მამამ კათალიკოსის, დედოფლის, კახეთის თავადებისა და გლეხებისაგან იერუსალიმში წასაღებად. ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რაზე დაიხარჯა მიღებული თანხები (ამ დოკუმენტებზე მიგვივლითა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა თ. ენუქიძემ).

1666 წელს იერუსალიმის ჯვარის მამამ მელეტი სწერდა იოსებ თბილელს: „... ასე, რომელ კურთხეულმან ელისე (თიფლელმან) საყდრის ალაგი მიბოძა და მე აღვაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას უკან მე ჯვარის მამად დამაყენეს, და მერმე ჩემი ძმა აბდულმესი ბატონს ციციის ვაყმე და მე იერუსალიმს წავედ და ის სახლ-კარე თქვენ მოგაბარე ამანათად...“ (თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 483—484).

¹⁰⁵ ქრისტეფორე ჯვარის მამის ნახელზეა გაცემული 1683 წელს შეწირულობის წიგნი. გამცემნი გიორგი მეფე დადიან-გურიელი და მისი თანამეცხედრე ქართველი ბატონის ასული თამარ (Hd—10274—ბ).

¹⁰⁶ პართენიოს ჯვარის მამა, რომლის მოსახსენებელი შესულია ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სულთა მატიანეში (იხ. ნ. მარი, ალაპნი, გვ. XX) XVII ს. დამლევისა და XVIII ს. დამდევის მოღვაწე უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ პართენიოსი „მატიანეში“ ნიკოლოზ ამბა ალავერდელის გვერდით მოიხსენება, ამ უკანასკნელის მოღვაწეობის წლები კი არის 1697—1721 წ. (იხ. ა. კლიშიაშვილი—ქართლის ცხოვრების ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთაბებ, ტ. XXIV, № 3. 1960, გვ. 373).

¹⁰⁷ 1739 წელს ჯვარის მამა პართენის გერასიმეს სახელზე პართენმა მამია გურიელმა გასცა საფიცრის წიგნი ჯვარის მონასტრის მამულების დაცვის შესახებ (Hd—10274 გ).

ეს სია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ზუსტი. ზოგ შემთხვევაში ჩვენს დათარიღებას ვაგებთ ვარაუდებზე. ზოგჯერ წყაროებში ჩვენ დაქვრილი გვაქვს ამა თუ იმ ჯვარის მამის მოღვაწეობის ერთი რომელიმე წელი და არ ვიცით, თუ როდის იწყება და მთავრდება მისი ჯვარის მამობა. ეს სია შედგენილია იმ მცირერიცხოვანი მასალის მიხედვით, რომელიც შემოგვინახა ჯვარის მონასტრის აღაპებმა, სინის სულთა მატრიანემ, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერჲ-მინაწერებმა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველმა ზოგიერთმა სხვა ისტორიულმა წყარომ. ახალი წყაროების მოპოვებით შესაძლებელი გახდება ამ სიის თანდათან შევსება, დაზუსტება და წყაროებით გაზიარება.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან

პალესტინის ქართული კოლონიის საინტერესო და მრავალმხრივი მოღვაწეობა აისახა ქართულსა და უცხოურ საისტორიო და სამოგზაურო ლიტერატურაში. აღაპთა დათარიღების შემდეგ ეს მასალაც ჯვარის მონასტრის ისტორიის შესწავლის სანდო პირველწყაროდ იქცა. ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროთა და აღაპთა ცნობების შეჯერებით მოწმდება და დგინდება ზოგი ისეთი ფაქტი ქართული კოლონიის ისტორიიდან, რომლის შესწავლა მხოლოდ ქართული ან მხოლოდ უცხოური წყაროების საშუალებით ვერ ხერხდება.

ამ თვალსაზრისით გვინდა შევხებოთ რამდენიმე ეპიზოდს ქართული კოლონიის ისტორიიდან.

ყველაზე მძიმე წლებად პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ეგვიპტის სულთან-ელ მელიქ ბეიბარსის მფლობელობის წლები (1260 — 1277) იყო, როდესაც შეიხ ხიდრმა ხელში ჩაიგდო ჯვარის მონასტერი და იგი მიზგითად გადააქცია. ამის შესახებ ცნობები შემოუნახავს ქართულსა და არაბულ წყაროებს. ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია ჯვარის მონასტრის აღაპები და წმ. ლუკას წამება.

ლუკას წამების გამომცემელმა დ. ყიფშიძემ არაბული წყაროების მოშველიებით გაარკვია „წამებაში“ მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ამ გზით 1260—77 წლებით შემოფარგლა ქართველებისათვის მონასტრის წართმევის თარიღი¹⁰³.

ჯვარის მონასტრის „დატყვევება“ (როგორც მას უწოდებენ აღაპებში) ქართველებმა განიცადეს როგორც დიდი ეროვნული უბედურება, ამიტომ დღიდან დატყვევებისა მონასტრის განთავისუფლებისათვის არა ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული როგორც მონასტრის კრებულის, ასევე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ.

ჯვარის მონასტრის განთავისუფლებისათვის ცდა და ბრძოლა აისახა ამავე მონასტრის აღაპებში. აღაპებს კი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხის შესწავლისათვის, ვინაიდან აღაპი იწერებოდა მომხდარი ამბის თვითმხილველისა და თანამედროვის მიერ. აღაპი წარმოადგენს ჯვარის მონასტრისადმი გაწეული სამსახურისათვის დაწერილ ერთგვარ პირობის წიგნს, რის გამოც მის ცნობათა ქვეშარტიკებაში ექვის შეტანა არ შეიძლება. ამას ასეთივე სიმტკიცით ვერ ვიტყვით უცხო წყაროებზე. ამიტომ მათი სისწორე ქართულ მასალასთან შეპირისპირებით უნდა შემოწმდეს.

ჯვარის მონასტრის „ტყვეობის“ დროინდელი ერთ-ერთი აღაპია № 206. აღაპი გაჩენილია მეფეთა მეფის ვახტანგისთვის და მეუღლისა მისისა რიფსიმესთვის „მას ეამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო, მაშინ რვათა თვი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სუმონ მოვაკმარეთ მონასტერსა“, ვკითხულობთ აღაპში. იგულისხმება, რომ რვა თავი ლაპრი და ათასი თეთრი მამა სოლომონმა მიიღო ვახტანგ მეფისაგან ჯვარისათვის მოსახმარად, რისთვისაც მამა სოლომონმა მას აღაპი გაუწვია.

აღაპი დაწერილია მონასტრის ტყვეობის ოცდამეექვსე წელს. ხელის მიხედვით აღაპი ერთიანდება XLVIII ტაბულაში. ტაბულის ყველა აღაპი დაწერილია სვინაქსარის განმაცხოველებლის ეფთვიმეს ხელით. ვახტანგ მეფეთა მეფის აღაპს გარდა ამავე ტაბულაზეა, აგრეთვე, შემდეგი აღაპები: მოწამე ლუკა იერუსალიმელისა (№ 256), რომელიც სულთან ფუნდუხტის (ბეიბარსის) განკარგულებით ჯვარის მონასტრის აწიოკების დროს აწამეს, აფხაზთა მეფის კონსტანტინესი (№ 239), დემეტრე თავდადებულის ასულის რუსუდანისა და მისი მეუღლის თაყა ფანასკერტელისა (№ 65) და ჯვარის მამის სოლომონისა (№ 227).

ამ ტაბულაში გაერთიანებული აღაპები თარიღდება XIII ს. მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით. ხერხდება აღაპთა უმრავლესობის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა (იხ. დასახელებულ აღაპთა კომენტარები).

¹⁰³ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 45

XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის პირველ მეოთხედში ვახტანგ მეფე ორი იყო. ვახტანგ II, დავით ნარინის ძე (მეფობდა 1289—1292 წლებში), და ვახტანგ III, დემეტრე თავდადებულის ძე (მეფობდა 1298—1308 წლებში)¹⁰⁹. ვახტანგ II-ის ცოლი „ემათა აღმწერლის“ ცნობით იყო აბალა ყაენის ასული ოლჯათ, რომელიც ვახტანგ II-ის გარდაცვალების შემდეგ (ვახტანგი ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა) აბალა ყაენმა დავით VIII-ს შერთო¹¹⁰. ვახტანგ III-ის ცოლის სახელი კი ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ის ყოფილა შაბურის ძის ასული¹¹¹. ამიტომ საფიქრებელია, რომ ალაპში ვახტანგის მეუღლედ მოხსენიებული რიფსიმე ვახტანგ III-ის მეუღლეა. ვახტანგ III-ის სასარგებლოდ სხვა ფაქტებიც ლაპარაკობენ. „ემათა აღმწერლის“ ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ვახტანგ III-მ ყაზან ყაენთან ერთად გაილაშქრა მისრეთის სულთანის წინააღმდეგ¹¹². ამ ლაშქრობის დროს, რომელიც დაიწყო 1299 წლის ნოემბერში, მონღოლებმა აიღეს ქალაქი ჰემსი და იერუსალიმი¹¹³. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს მოინახულა ვახტანგ III-მ ჯვარის მონასტრიდან გამოძევებული ქართველი ბერები და აღმოუჩინა მათ დახმარება ფულითა და ლარით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას შეწირულების ხასიათიც უნდა მოწმობდეს. ლაპარი სხვა არაფერია თუ არა ლარი, საბას განმარტებით კუმაჩი, ძვირფასი ქსოვილი, ზოგჯერ გამოყენებული როგორც ფულის ექვივალენტი თავისი ფასეულების გამო¹¹⁴. ლარის შეწირვის სხვა შემთხვევა ჯვა-

რის მონასტრის ალაპებში არა გვაქვს. რვა თავი ლარი უნდა ნიშნავდეს რვა სახის ფარჩას, ოქრო-ქსოვილს. ასეთი ძვირფასი ქსოვილები კი ისევე, როგორც სხვა სახის განძეულობა, ნაალაფევ საქონელში ხშირად ჩანს. ძვირფასი ქსოვილების ალაფის სახით წამოღება ბრძოლებიდან მიღებული იყო. ასე მაგ., თორნიკემ „დატყუენა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათნი იავარ-ყო, და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიშვირა ნატყუენა ვი დიდძალი ფრიად: ოქროს და ვეცხლი და სტავრაჲ და სხუად ესევეთარი“¹¹⁵.

ასევე ნაალაფევი უნდა იყოს ვახტანგ III-ის შეწირული ლაპარი. ამგვარად, ალაპის მეფეთ მეფე ვახტანგი უნდა იყოს ვახტანგ III, რომელსაც მონაწილეობა მიუღია 1299 წლის მონღოლთა ლაშქრობაში და მონღოლებთან ერთად შესულა ჰემსისა და იერუსალიმში. იერუსალიმში ვახტანგს მონახულებია ჯვარის მონასტრიდან გაძევებულ ქართველ ბერთა კრებული და მონასტრის დასახმარებლად გაუღია ნაალაფევიდან 1000 თეთრი და რვა თავი ლარი. თუ ეს ვარაუდი სწორია, (ამის საწინააღმდეგოდ კი ჯერჯერობით არაფერი ლაპარაკობს), მაშინ შესაძლებელია ქართველთათვის ჯვარის მონასტრის წართმევის ზოგადი თარიღის დაეწროება-დაზუსტება. ალაპის ცნობით, ვახტანგ მეფეთ მეფეს ჯვარის მონასტრის კრებულისათვის დახმარება აღმოუჩენია მაშინ, „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო“. ეს კი 1299 წელს ყოფილა. მაშასადამე, ჯვარის მონასტრის ქართველებისათვის წართმევის თარიღად 1273 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე ვგებულობთ, რომ ჯერ კიდევ 1299 წელს ჯვარის მონასტერი ქართველებს არ ეკუთვნოდა, იგი მიზგითად იყო გამოყენებული.

საგულისხმოა, რომ ამავე XLVIII ტახულაში ერთიანდება სამი ისეთი ალაპი, რომლებიც ჯვარის მონასტრის ეგვიპტელთაგან „წაღებასა“ და მის განთავისუფლებასთან არის დაკავშირებული¹¹⁶. პირველია ლუკას ალაპი, რომლის

¹⁰⁹ მკვლევარმა თ. ლომოურმა ნუმისმატიკური მასალის შესწავლის საუბრეებზე უმკვოდ დაამტკიცა, რომ ვახტანგ III გამეფდა 1298 წელს და არა 1302 წელს, როგორც ეს აკანდუ იყო მიღებული (იხ. დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV—B, გვ. 63—80).

¹¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 245. ქართლის ცხოვრება, II, 1559 წლის გამოცემა გვ. 297.

¹¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 254. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 308.

¹¹² ქართლის ცხოვრება, II, 1959 წლის გამოცემა, გვ. 306 (სამეგრელოსა და ბარათაშვილისეული ვარიანტი).

¹¹³ Hammer Purgstall, Geschichte der Ilchanen. 1842, II, გვ. 86—96, 106—129.

¹¹⁴ თუ რა დიდად ფასობდა XII—XIII სს. ძვირფასი ქსოვილები, კარგად ჩანს თამარისთვის გაწესებულ ათონის ერთი ალაპიდან: „ოდეს კელინნი დაგუწუნეს და მონახონნი აღმოსავლეთს გავგზავნეთ, თამარს მოეცა ევლოგიად: კ: დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოცსა დრაქანსა სჯობდეს...“ გვ. 259.

¹¹⁵ ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი 1946, გვ. 19

¹¹⁶ მრავალრიცხოვანსა და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჯვარის მონასტრის ალაპები ამავე მონასტრის „სპარსთაგან შეჭირვების“ შესახებ. „სპარსთა“ ქვეშ ჩვეულებრივ ეგვიპტის მამულეები იგულისხმებიან.

როგორც ჩანს, მონასტრის „სპარსთაგან“ შეჭირვება ხედასხვა დროს ხედასხვა სახისა და სიძლიერის ყოფილა.

ალაპების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მსხვილ და მნიშვნელოვან შემოწირულებათა უდიდესი ნაწილი მო-

დროს ჯვარი მიზგითად აქციეს და რომელიც ჯვარის დაცვას შეეწირა. მეორე არის ალაპი, ვახტანგ მეფეთ მეფისა, რომელმაც დახმარების გაწევის მიზნით მონასტრის კრებულს გადასცა დიდი შესაწირავი, და ბოლოს—ალაპი აფხაზთა მეფის კონსტანტინესი, რომელმაც „ახლად შეკაზმა“ ჯვარი, რაც მონასტრის მოხატვას და შემკობას უნდა გულისხმობდეს. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა, რო-

დის სწორედ იმ პერიოდზე, როდესაც ჯვარი „შეკირებულ“ იყო სულთანთაგან მონასტრის წართმევის, მონასტრის მამულების ვალეში წაღებისა თუ მონასტრის ინვენტარის „ამანათად“ გაყვინის გამო. როგორც ჩანს, მონასტრის გაქრუვებისაგან დასახსნელად ერთსულთანად ირანებმებოდა ქართველი საზოგადოების ყველა ფენა; ყველა ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა უდიდესი ქართული სიწმიდის დასახსნელად. აღსანიშნავია ისიც, რომ „გაქირვების“ დროს მიღებული შეწირულებანი განსაკუთრებით ფასობდა. ალაპში საჯანგებოდ აღინიშნებოდა, თუ რა დროსა და ვითარებაში მიიღო მონასტრმა შეწირულება. ასე მაგალითად, № 196 ალაპში ვკითხულობთ, რომ ალაპი დავით მეფეს „მას ეამსა გაუჩინეთ, ოდეს ათას ორასი ოქრო გამოგზავნა და მონასტერში ვალისაგან ვიხსენით“-ო. სხვაგან: პატრონს შურისა „ორასი მუტყალი ოქრო ებოძა... დიდს იწროებასა შიგან და სპარსთაგან მიტარებებსა“ (№ 171). ივანე კველიძის მხედრის ბასილისაგან კი მონასტრმა აიღო 1700 დრამა და „სპარსთაგან დაქირულნი ლეღნარანი ამა ოქროდ-თა დაიქანა“ (№ 16).

„ჯვარის ტყვეობისას“ იერუსალიმში ჩასულა და მრავალი ხელნაწერი „განოუსყიდია ილარიონ ოპიხარს. ამის შესახებ შემოგვიჩვენებს ცნობები ხელნაწერთა ანდერძებში: „ესე წიგნი ჯუარისა. მეფეთ მეფისა დავითის ცოდვათა შესანდობელად მე, მისმან მოძღვარმან ოპიხარმან ბერმან ილარიონ დავიკენი სპარსთაგან მას ეამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაქირა“ (ნ. მ. ა. რი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1955, გვ. 35). ასევე შეუძენია ილარიონს ჯვარის მონასტრის კიდევ ორი ხელნაწერი: „ფასითა დავით მეფისათა ნასყიდი არის. ოპიხარმან ილარიონ იყიდა, მეფისა მოძღვარმან“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. H—2336, 1). „ეს წიგნი ჯუარისა პატრიონისა დავით მეფისა სალოცავად მე. მისმან მოძღვარმან ვიყიდე სპარსთაგან მას ეანსა, ოდეს ჯუარი სპარსთა დაიქირა“ (ხელნაწ. H—2337, 2). ეს, უკანასკნელი ანდერძი აშკარად მოწმობს, რომ ილარიონ ოპიხარი იერუსალიმში ყოფილა და შეუსყიდა ჯვარის გაფანტული ხელნაწერები მონასტრის სპარსთაგან მიტაცების შემს, ე. ი. 1273—1305 წლებში.

ილარიონ ოპიხარი ნოხსენებულა აგრეთვე ლაფსკალდის ოთხთავის ანდერძში (იხ. ექ. თაყაი შვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 399) და „საბანელის დავთარში“ (თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 159). ილარიონ ოპიხარი ჩვენ ადრე უფრო გვიანდელ მოღვაწედ მიგვაჩნდა (ტ. გაბაშვილი, მიმოხილვა, 1956 წ. გამოც., გვ. 0186).

გორც ქვემოთ დავინახავთ, 1305 წელს. № 65 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ აფხაზთა მეფე კონსტანტინე არის კონსტანტინე I, ნარინის ძე (მოღვაწეობდა 1293—1327 წ. მ. ბროსესა და ვახუშტის მიხედვით).

არც ის არის მოულოდნელი, რომ ამავე ტაბულაში ერთიანდება დიმიტრი თავდადებულის ასულის რუსუდანისა და მისი მეუღლის თაყა თანასკერტელის ალაპი. რუსუდანი ვახტანგ III-ის და იყო. საფიქრებელია, რომ მან ვახტანგის ხელითვე გამოგზავნა შეწირულება მონასტრისათვის და ვახტანგისვე მეოხებით გაწესდა რუსუდანისა და თაყას ალაპი.

ჯვარის მონასტრის ალაპებში აისახა მიზგითად ქცეული მონასტრის ქართველტვისათვის დაბრუნების ამბავიც. ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მხრივ № 295 ალაპი, რომელიც გაწესებულია ჯვარის განმათავისუფლების დავით მეფისათვის: „წირვა და ალაპი საუკუნოა დავით მეფეთა მეფისა, და მეორედ აღმაშენებელისაა წმიდისა მონასტრისა, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუშული მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალეული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნომცა არს საქსენებელი“.

ალაპში ჯვარის მონასტრის „სარკინოზთაგან“ (მამულქთაგან) განთავისუფლება დავით მეფეს მიეწერება. მან შეცვალა მიზგითი ეკლესიად, მანვე აგო ჯვარი ნათესავსა ქართველთასა. საფიქრებელია, რომ ამისთვის ეწოდება დავით მეფეს ალაპში „მეორედ აღმაშენებელი“, თუმცა მეორე მხრით, ამას შეიძლება სავსებით რეალური შინაარსიც ედევს საფუძვლად. ე. ი. „სარკინოზთაგან“ გაპარტახებული მონასტერი შესაძლებელია მართლაც საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა, რაც თავს იღვა დავით მეფემ. ალაპის ცნობები ექვს არ იწვევენ. გასარკვევია მხოლოდ, თუ რომელ დავითზეა ლაპარაკი ალაპში.

ეს ალაპი ერთიანდება XXXII ტაბულაში, რომლის ზემო ქრონოლოგიური საზღვარი XIV საუკ. დამდეგს არ სცილდება. XIII საუკუნის მიწურულსა და XIV ს. დამდეგს კი საქართველოში სამი დავითია. პირველი დავით ნარინი (1245—1293 წ.). ამ დავითს ჯვარის განმათავისუფლებლად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, 1299 წელს ჯვარი ჯერ კიდევ „ტყვეობაშია“ და, მაშასადამე, მისი განთავისუფლება ამ თარიღს შემდეგ უნდა ვეძებოთ. ასევე უნდა გამოირიცხოს დავით IX (1346—1360 წ.), ვინაიდან ის ბევრით სცილდება XXXII ტაბულის ზემო ქრონოლოგიურ სა-

ზღვარს. დარჩა დავით მერვე, რომლის მოღვაწეობის წლები (1293—1311 წ.) სავსებით ეფარდება ტაბულის ქრონოლოგიურ საზღვრებს.

ამგვარად, ვახტანგ III-მ 1299 წელს 1000 თეთრი და ლარი მოახმარა „დატყვევებული“ მონასტრის დახმარებას, ხოლო XIV საუკუნის დამდეგს (1311 წლამდე) მისმა ძმამ დავით VIII „სარკინოზთაგან წარტყუწული მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კვალად აგო ნათესავსა ქართველთასა“. დავით მეფის ალაპის ჩვენ მიერ მოწოდებულ თარიღს (XIV ს. დამდეგი) მხარს უჭერს ჯვარის დაბრუნების ან, როგორც ალაპებში იხმარება, „შემოქცევის“ დროინდელი სხვა ალაპებიც. ა) ალაპი ინასარ ინასარიძისა, რომელიც დაიწერა „მას ეამსა, ოდეს სურტანმა ჯუარი მოგუცა“ (№ 151) და ალაპი რუსი ჩხეტისძისა, დაწერილი აგრეთვე მას ეამსა, ოდეს ჯუარი „შემოგუაქციეს“ (№ 117. ვრცლად ეს საკითხი განხილულია კომენტარებში).

არაპულმა წყაროებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა საქართველოსა და ეგვიპტის სასულთანოს ურთიერთობის ისტორიიდან. პირველად ამ მასალას ყურადღება მიაქცია ვ. ტიზენგაუზენმა. მან გამოაქვეყნა ალ. კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ¹¹⁷.

ალ.—კალკაშანდის „დიპლომატიური საცნობარო“ უმთავრესი წყაროა მამლუქთა სულთანის ალ მალიქ ალ ნაზირის ელ დინ მუჰამედის (1293—1341) მდივნის ალ ომარის (გარდაიცვალა 1348 წ.) ოქმები და ჩანაწერები, ანუ ე. წ. „ტაარიფი“ და აგრეთვე ალ ომარისვე გვიანდელი გამგძელებების ჩანაწერები.

ალ კალკაშანდი „ტაარიფის“ დამოწმებით წერს, რომ ქართველი მეფის ბრთლმას დროს, რომელიც ქრისტიანთა ერთი შესანიშნავი მედე და ჩობანის ახლო მეგობარი იყო, დაიწყო მოლაპარაკება ეგვიპტის სულთანთან ჯვარის მონასტრის მუსულმანებისაგან განთავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ, განაგრძობს „ტაარიფის“ ავტორი ალ ომარი, სულთანმა გასცა ბრძანება, რათა ქართველთათვის მონასტერი დაებრუნებინათ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუსულმანების ხელში იყო¹¹⁸.

¹¹⁷ В. Тизенгаузен, Заметки Эль-Калькашанди о грузинах: ЗВОРАО, т. I, 1886. об. аგრეთვე: Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I.

¹¹⁸ В. Тизенгаузен, Заметки, გვ. 212—213.

ალ ომარი არ ასახელებს მონასტრის განთავისუფლების წელს: ის აღნიშნავს მხოლოდ, რომ ეს ბრთლმა ქართველთა მეფის გაგზავნილი ელჩების მეოხებით მოხდა. ამიტომ ბრთლმას სახელის გაშიფრვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების თარიღის დადგენაში.

ალ ომართან მოხსენიებული ქართველი მეფის სახელის ირგვლივ სხვადასხვა ვარაუდია გამოტყმული. ვ. ტიზენგაუზენი ფიქრობს, რომ ბრთლმა უნდა ნიშნავდეს ბაგრატიონს, ან ბრწყინვალეს. და, მაშასადამე, ალ ომარი აქ გიორგი ბრწყინვალეს უნდა გულისხმობდეს. მკვლევარს ამას აფიქრებინებს ისიც, რომ ალ ომარის მიხედვით ბრთლმა მონაღოლთა ყაენის ცნობილი ვაზირის ჩობანის ახლო მეგობრად არის გამოყვანილი, ხოლო გიორგი ბრწყინვალისა და ჩობანის ახლო ურთიერთობა თითქოს დადასტურებულია სხვა წყაროების მიხედვითაც¹¹⁹.

დ. ყიფშიძე ფიქრობს, რომ ბრთლმა ვახტანგის დამახინჯებული ფორმაა და რომ აქ ვახტანგ III იგულისხმება¹²⁰. ასევე ვარაუდობს პროფ. ა. ცაგარელი¹²¹.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში დოქტ. დ. ლანგიც ეხება ამ საკითხს. მას მიაჩნია, რომ ბრთლმა უნდა იყოს ბურთელ-ბირთველი სივნიელი დიდი სამხეთიდან, შვილი ელიქუმ ორბელიანისა, რომელიც სამხეთისა და საქართველოს გენერალისიმუსის წოდებას ატარებდა¹²².

ბრთლმა გიორგი ბრწყინვალედ მიიჩნია ივ. ჯავახიშვილსაც¹²³. აკად. ივ. ჯავახიშვილი შეეცადა არაბულ წყაროთა ცნობების დადასტურება ქართულ წყაროებში დაეძებნა. ასეთ წყაროდ მან „ცეგლი ერისთავთა“ მიიჩნია¹²⁴, სადაც სხვათა შორის წერია: „ამას ეამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხდა მეფე გიორგი. მაშინ წარგ-

¹¹⁹ В. Тизенгаузен, Заметки, გვ. 211. სქ. 7. 213.

¹²⁰ Д. Кипшидзе, დასა. ნაშრომი. გვ. 47.

¹²¹ А. Цагарели, Памятники, გვ. 55.

¹²² D. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS 1955, XVII /1 გვ. 77, სქ. 4.

¹²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ერის ისტორია, III, გვ. 274. ჯვარი რომ 1305 წელს დაუბრუნდათ ქართველებს გიორგი მეფის ელჩების ცდის შედეგად, ეს ახრი საკმაოდ გაერცვლებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, იხ. H. Vincent et F.-M. Abel, Jérusalem. Recherches de topographie, d'archéologie et d'histoire, t. II. Jérusalem nouvelle. Paris, 1926, p. 978.

¹²⁴ ივ. ჯავახიშვილი, იქვე. გვ. 277

ზაენა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ვმელთასა მრავლითა ღლუნითა წინაშე ნისრელისა. ხოლო ზან სიხარულით შეიწყნარა ღლუნეი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი¹²⁶.

ეს ადგილი ივ. ჯავახიშვილს ესმის შემდეგნაირად: „ქართველებმა წართმეული ჯვარის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალიმისანი“ და საქართველოს გამარჯვებული დესპანები მივიდნენ „საფლავსა ქრისტესსა“. ხოლო „კლიტენი იერუსალიმისანი“, მისი აზრით, უნდა ნიშნავდეს „ქრისტეს საფლავის“ სალოცავის კლიტეს. ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის აზრითაც, გიორგი ბრწყინვალის ელჩებს დაუბრუნებიათ მიზგითად ქცეული ჯვარი და მასთან ერთად „ქრისტეს საფლავის“ კლიტე.

ი. ჯავახიშვილის ვარაუდი „ძველი ერისთავთადაც“ მოტანილი ადგილის შესახებ გამეორებული აქვს ა. მენთეშაშვილს თავის წერილში „საქართველოსა და ეგვიპტის ისტორიის ურთიერთობიდან“¹²⁶. ის ვარაუდობს, რომ „ძველი ერისთავთა“-ს მოტანილ ადგილში ლაპარაკია გიორგი ბრწყინვალის მიერ გაგზავნილ ელჩების მეოხებით მხოლოდ ჯვარის დაბრუნებაზე.

თუ მივიღებთ მხედველობაში ვ. ტიზენგაუზენის შენიშვნას მის მიერვე თარგმნილ წყაროთა ავტორების შესახებ, რომ „О генеалогическом праве египетская канцелярия очень мало знает“,¹²⁷ და იმასაც, რომ ალ ომარი ზოგჯერ მეხსიერებით აღადგენდა წარსულ ამბებს და ისე წერდა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ არაბული ცნობები ქართველთა შესახებ დაზღვეული არ უნდა ყოფილიყო შეცდომებისაგან.

საქვოა, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ქართველებს გიორგი ბრწყინვალის ცდისა და მისი ელჩების მეოხებით დაბრუნებოდა.

გიორგი ბრწყინვალემ ორჯერ გააგზავნა ელჩები მამლუქთა სულთანთან: 1316 და 1320 წლებში¹²⁸. ელჩებს, სხვა საქმეებთან ერთად დაეალეებული ექნებოდათ ქართველთა უფლებების დაცვა იერუსალიმში, მაგრამ არა ჯვარის მონასტრის

¹²⁶ „ძველი ერისთავთა“ შ. მესხიას გამოცემა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 350.

¹²⁸ საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობიდან: დროშა, 1958. № 9. გვ. 18—19.

¹²⁷ В. Тизенгаузен, даსახ. ნაშრომი, გვ. 214, სქ. 1).

¹²⁸ D. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS, 1955, გვ. 91 და Тизенгаузен, Сборник, т. 1;

განთავისუფლება, ვინაიდან, ალაპების ცნობით, ამ დროისათვის ჯვარი უკვე ქართველებს ეკუთვნოდათ.

ქართველებისათვის ჯვარის მონასტრის დაბრუნებას 1316—1320 წლებში მხარს არ უჭერს ზოგი სხვა არსებული წყარო. ალ ომარი ჯვარის განმათავისუფლებლად ასახელებს ბრთლმას მაგრამ განთავისუფლების თარიღზე კი არათერს ამბობს. ზოგი არაბული წყარო კი ამ თარიღს იცნობს.

„იერუსალიმის ისტორიის“ ავტორის მუჯირუდინის († 1521 წ.) მიხედვით ქართველებს ჯვარის მონასტერი წაართვეს ელ მელიქ ნასირ მუჰამედის დროს და მის დროსვე დაუბრუნეს 1305 წელს ქართველი მეფისა და კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი ელჩების თხოვნით¹²⁹. ამავე თარიღს ადასტურებს ალმაკრიზი († 1442) და ალაინიცი († 1451)¹³⁰. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ავტორთა მოწოდებული თარიღი ჯვარის დაბრუნების შესახებ სწორი უნდა იყოს, ვინაიდან ამას მხარს უჭერს ალაპებიც, რომელთა მიხედვითაც ჯვარი ქართველებს დაუბრუნდათ დავით მეფის მეშვეობით. ეს კი უნდა მომხდარიყო არა უადრეს 1299 წლისა და არაუგვიანეს 1311 წლისა¹³¹. ასეთ ვითარებაში არაბული წყაროების თარიღი 1305 წელი სავსებით დამაჯერებელი ჩანს. რაც შეეხება ქართველთა მეფის სახელს, რომლის ცდითაც დაუბრუნდათ ჯვარი ქართველებს, ალაპის მიხედვით დავით VIII-ა. ამ ცნობაში ექვის შეტანა ძნელია, ვინაიდან ალაპი დავით მეფისათვის გაჩენილია სწორედ მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ამ ამბის თანამედროვე ჯვარის მონასტრის კრებულს ქართველი მეფის სახელი არ შეეშლებოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ცდება არაბული წყარო, როდესაც მონასტრის განთავისუფლების ინიციატორად ბრთლმას ასახელებს. მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელის მქონე მეფე საქართველოს არ ჰყოლია. არ გვაქვს საფუძველი არც იმისთვის, რომ ბრთლმასთან გაეაიგივეოთ გიორგი ბრწყინვალე. ხოლო თუ მივიღებთ, რომ კონტექსტის მიხედვით აქ აუცილებლად გიორგი ბრწყინვალე უნდა იგულისხმებოდეს, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ავტორი ცდება, როდესაც გიორგის მიაწერს ჯვარის განთავისუფლებას.

დაუბრუნდეთ ისევ „ძველი ერისთავთა“ ცნობას და განვიხილოთ იგი უფრო დაწვრილებით:

¹²⁹ В. Тизенгаузен, Заметки, გვ. 212, სქ. 3.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ დავით მეფის მეფობის წლებია 1293—1311.

„ამა ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ღე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჯმელთასა მრავლითა ძლუნითა წინაშე ნისრელისა, და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე, და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სისჯარულით შეიწყნარა ძლუნე იგი და მისცნა კლიტენი იერუსალმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ მოძღურად... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ჯმელით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მიიღო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულებად ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“¹²².

მოტანილ ნაწყვეტში სრულიად არაფერია ნათქვამი ჯვარის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების შესახებ. ამბავი ეხება მხოლოდ „იერუსალიმის კლიტეს“, რომლის მიღებისთანავე პიპა წავიდა ქრისტეს საფლავის სალოცავთან; იქ ჟამი აწირვინა და ეზიარა, იქვე აკურთხებინა მასთან ერთად იერუსალიმში ჩასული იოანე ბანდასძე მოძღვართ მოძღვრად. ამის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, სადაც გიორგი მეფემ მას წყალობის იერლაცი მისცა.

ამ კონტექსტიდან სავსებით აშკარაა, რომ „იერუსალიმის კლიტე“ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტეს ნიშნავს, და ამ სალოცავის დიდი მნიშვნელობის გამო „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი სიმბოლურად მას „იერუსალიმის კლიტეს“ უწოდებს (შეიძლება, ასე უწოდებდნენ „ქრისტეს საფლავის სალოცავის“ კლიტეს ქართული კოლონიის წევრებიც).

აკად. ივ. ჯავახიშვილს კი ეს ვარაუდი წაჰოეკრა იმის გამო, რომ მან არაბული ცნობების თანახმად ჯვარის განმთავისუფლებლად გიორგი ბრწყინვალე მიიჩნია. ხოლო ვინაიდან „ძეგლი ერისთავთაშიც“ გიორგი მეფის ელჩობაზეა საუბარი, ამიტომ ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილი შეეცადა ამ „ძეგლში“ ამოეკითხა ის, რაც არაბული წყაროებით იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ჯვარი გიორგის დროს და გიორგის მეოხებით არ განთავისუფლებულა და ამიტომ ამ ვარაუდისათვისაც საფუძველი აღარ ჩანს.

რაკი „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა არ ეხება ჯვარის მონასტრის განთავისუფლებას, მაშინ მისი სისწორის შემოწმება არაბულ წყაროთა საშუალებით, სადაც მხოლოდ ჯვარის მონასტრის განთავისუფლებაზეა ლაპარაკი, შეუძლებელი ხდება.

ბუნებრივად, ისმის საკითხი, რამდენად სწორია „ძეგლი ერისთავთას“ ეს ცნობა? რამდენად შესაძლებელია, რომ პიპა ქრისტეს საფლავის კლიტის მოსაპოვებლად გამგზავრებულყო იერუსალიმს და რომ ქართველებს დროის გარკვეულ მონაკვეთში ხელთ ჰქონოდათ იერუსალიმის ეს უდიდესი სიწმინდე?

ეფიქრობთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ცნობები სავსებით იმსახურებენ ნდობას, ვინაიდან ამ ცნობებს მხარს უჭერენ სხვა ქართული წყაროებიც, პირველ რიგში კი ისევ ჯვარის მონასტრის აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა, სადაც ჩაწერილია პიპას აღაპი: „სამარიტელისა ოთხშაბათსა წირვაჲ და აღაპი საუკუნო ერისთავსა შალვას ქენიფნველსა, შეიღსა პიპასი და მისისა მეულ-ლ[ი]სა თამარისი, შეუნდვენ ღმერთმან, ვინცა შეცვალოს, კრულმცა არს“.

ამ აღაპის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ პიპას მართლაც მიუძღოდა დიდი დამსახურება ქართული კოლონიის წინაშე, რისთვისაც მას აღაპი განუწესეს. და ეს დამსახურება შეიძლება მართლაც ის იყოს, რასაც მას „ძეგლი ერისთავთა“ მიაწერს—ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტის მოპოვება. სხვათა შორის, ქსნის საერისთავოს სხვა წარმომადგენლები ტიშენდორფისეულ ნუსხაში არ ჩანან. მხოლოდ იერუსალიმის სვინაქსარშია ვერსულ III-სთვის განწესებული აღაპი. მეორე მხრით, როგორც ჩანს, მართლაც გარკვეულ დროს ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე მუსულმანებს ჰქონიათ ხელთ, რასაც ვერ ურიგდებოდნენ ქრისტიანები. იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (Jer.—76), რომელიც დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს XIV საუკუნისა, XIII—XIV სს. დამახასიათებელი მსხვილი ნუსხურით, დატულია გადამწერის საყურადღებო ანდერძი. „ღირს ვიქმენ მე გლახაკი იოანე ვარძიელი, აღდგომის დეკანოზი, მოგებად... ამას სულთა განმანათლებელსა და წინამძღუარსა პავლესა... დაიწერა წინაშე წმიდასა საფლავსა წელსა ლბ თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს საწურთელად ცოდვათა ჩუენთათჳს. არცა ვის შესლვად უტევებდეს თჳნიერ დიდისა ჳირისა და სასყიდლისა და არცა ჩუენ გამოსლვად გუტე-

¹²² ძეგლი ერისთავთა შ. მუსხიას გამოც, გვ., 350.

ვებდეს¹³³ (Jer. — 76, გვ 243r). ვფიქრობთ, აქ იგულისხმება არა მარტო ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე, არამედ აღდგომის ეკლესიის მთელი კომპლექსისა, რომელშიც შედის ქრისტეს საფლავის სალოცავიც (აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი ერთი შეკრული კომპლექსია).

აქ საინტერესოა ისიც, რომ ქრისტეს საფლავის თუ აღდგომის ეკლესიის მომსახურენი გალავნის წიგნით იყვნენ ჩაკეტილი და არც შიგ უშვებდნენ კლიტის მფლობელნი ვისმე და არც იქ მყოფთ უშვებდნენ გარეთ.

აღდგომის ეკლესიაში ასეთ ვითარებას ადასტურებს XIV საუკუნის ერთი უცნობი მოგზაური. აღდგომის ეკლესიასთან დაკავშირებით Бзымянный წერს: „Есть (там) и затворники, содержащие места поклонения; они разных племен. Впервых, Ромеи имеют католический престол великого храма Святого Воскресения Бога нашего. Латины—тот столб, к которому привязали Иесуса; Ивиры же—гору Голгофу, где господ был распят; а армяне—место лобное; Из несториян нет никого внутри. Но когда растворяется храм, то и они входят и служат над своей трапезой. Сии же упомянутые затворники безпрерывно находится внутри храма“¹³⁴.

¹³³ ამ ანდერძს, პროფ. ალ. ცაგარელი ათარიღებს XIII—XVI საუკუნეებით, უფრო იხრება XVI საუკუნისაკენ. იგი წერს: „Рукопись вероятно XI века. Записи же XIII—XVI в., смотря потому, что разумеет под именем „32-х летнего владычества турок“ (неверных): Саладина ли, овладевшего в 1187 г. почти всей Палестиной или султана турецкого Сулеймана I, завоевавшего ее в 1516—1517 г.“ (А. Цагарели, Памятники, გვ. 156) ამავე ხელნაწერს რ. ბლეიკი ათარიღებს XVI საუკუნით. ორივე ავტორი ცდება როგორც ხელნაწერის, ასევე ანდერძის დათარიღებაში, ვინაიდან ხელნაწერი დაწერილია XIII-ს მეორე ნახევარსა და XIV ს. პირველ ნახევარში გავრცელებული მსხვილი ნუსხურით. იოანე ვარძიელი კი, როგორც ეს ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერის მომკვებელია, და, მაშასადამე, ანდერძი ხელნაწერის თანდროლია. ამ ხელნაწერის ჩვენი დათარიღება რომ სწორია, ამას კიდევ ერთი გარემოება ადასტურებს. ამ ხელნაწერზე მიწერილია მრავალი მინაწერი-მოსახსენებლები, უმთავრესად XV საუკ. პირველი ნახევრის მოღვაწეთა: ალექსანდრე დიდის, აუთანდილ ხეღვინიძის და სხვ. არის ერთი მინაწერიც ხელნაწერის შემკაპაძის იოსებ ჯვარის მამისა და არქიმანდრიტისა. იოსების ჯვარის მამობის ხანაა XIV საუკუნის დამლევი და XV ს. დამლევი (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). ამაზე ადრეული უნდა იყოს ხელნაწერი.

¹³⁴ Описание св. мест Бзымянного, ППС, т. X, в. 2, გვ. 20—21.

ეს ცნობა თითქოს ეხმაურება იოანე ვარძიელის ანდერძს. აქაც საუბარია აღდგომის ეკლესიის მუდმივ მომსახურეთა შესახებ, რომლებიც შიგნით არიან ჩაკეტილი.

ამგვარად, იოანე ვარძიელის ანდერძი დაახლოებით „ძეგლი ერისთავთაჲი“ მოთხრობილი ამბების დროისაა¹³⁵. ის ასახავს იმ პერიოდს, როდესაც თურქები ფლობდნენ აღდგომის ეკლესიისა და ქრისტეს საფლავის კლიტესაც, ე. ი. იოანე ვარძიელის ანდერძი დაწერილია იქამდე, სანამ ქრისტეს საფლავის კლიტე ქართველებს დაუბრუნდებოდათ.

ეკვს იწვევს მიოლოდ ერთი გარემოება: „ძეგლი ერისთავთაჲი“ კლიტის მფლობელად სპარსნი არიან დასახელებულნი, იოანე ვარძიელის ანდერძში კი — თურქნი. ვფიქრობთ, რომ ორივე შემთხვევაში სპარსნი და თურქნი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ იხმარებიან, არამედ მუსულმანის აღმნიშვნელ ცნებებად.

ასეთსავე აღრევასთან გვაქვს საქმე ალაპებში. ჯვარის მონასტრის მიტაცება იქ ხან სპარსელებს მიეწერება, უფრო ხშირად კი სპარსელებს. ჯვარი კი სინამდვილეში მიიტაცეს მამლუქებმა.

ამგვარად, მუსულმანთა აღმნიშვნელი ტერმინების სხვადასხვაობა საქმის ვითარებას არ ცვლის. ქართველებისათვის ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე მართლაც მიუციათ.

გასარკვევი რჩება თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი.

„ძეგლი ერისთავთადა“ მოტანილი ადგილის გიორგი მეფე გიორგი ბრწყინვალედ არის მიჩნეული¹³⁶. გიორგი ბრწყინვალეს კი ორჯერ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულთანთან — 1316-სა და 1320 წლებში¹³⁷. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი ამ ელჩობის დროს გაემგზავრა იერუსალიმს პაპა, შალვა ერისთვის შეილი, „ქრისტეს საფლავის კლიტის“ მოსაპოვებლად. ეს საპატიო დავალება მან სასახელოდ შეასრულა, რისთვისაც მადლიერმა ქართველმა კოლონისტებმა მის სახელზე

¹³⁵ იოანე ვარძიელის ანდერძის დათარიღებამ გაარკვია ამ ანდერძში მოხსენიებულ იოანე ჯვარის მამის მოღვაწეობის წლები. ანდერძში იოანე ვარძიელი წერს: „ჯვარის მამისა იოანეს და ყოველთა ძმათა ჯუარულთა საუკუნომცა არს ჭანებამ და კურთხევამ მათი, რამეთუ ვითარცა შეილსა მზრდიდეს და მიღუწიდეს“. იოანე ჯვარის ძამა იოანე ვარძიელის უფროსი თანამედროვე ყოველია. მაშასადამე. მისი მამობის წლები უნდა განისაზღვროს XIV ს. პირველი ოცეულით, უფრო კი აქ საუკუნის მეორე ათეულით. ამით შეიძლება შეივსოს ჯვარის მამათა ქრონოლოგია.

¹³⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ეოის ისტორია, III, გვ. 272—278.

¹³⁷ D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

გაწესეს აღაპი, ხოლო ქსნის საერისთაოს მე-
მატიანემ მისი ლეაწლი „ძეგლი ერისთავთაში“
აღბეჭდა.

ქართველები რომ მართლაც ფლობდნენ ერთ-
ხანობას ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტეს,
ამას უცხოელი მოგზაურებიც მოწმობენ, კერძოდ
ლუდოლფ სუდჰეიმი, რომელიც იერუსალიმში
ყოფილა 1331—1341 წლებში. ამ მოგზაურობის
ტექსტის ერთ რედაქციაში, რომელიც ნიკოლოზ
ჰუდის კომპილაციად ითვლება, ნათქვამია, რომ ამ
წლებში ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე
ხელთ ჰქონდათ ქართველებს და რომ ისინი კენჭ-
საც კი არაყის აძლევენ ამ საფლავიდან¹³⁸.

ამ ტექსტის გამომცემელსა და კომენტატორს
პროფ. Henman-ს ეს ამბავი იქამდე შეუძლებლად
მიიჩნდა, რომ ის მზად იყო ეს ადგილი ყალბა-
დაც კი გამოეცხადებინა¹³⁹.

ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის საპა-
ტიო უფლება, რომლისთვისაც იერუსალიმის სხვა-
დასხვა ეროვნების ქრისტიანებს შორის მუდმივი
დავა იყო, როგორც ჩანს, ქართველების პრივი-
ლეგიას წარმოადგენდა საკმაოდ ხანგრძლივად.
ეს ფაქტი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ექვს
აღარ იწვევს. J. Parkers-ი „იერუსალიმის ისტო-
რიაში“ წერს, რომ მამლუქთა მმართველობის
დროს ქართველები განსაკუთრებით გაძლიერდ-
ნენ იერუსალიმში და ამ დროიდანვე მათ ხელში
იყო ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტე, რო-
მელიც მათ საბოლოოდ მხოლოდ XV საუკ. შუა
წლებში ჩამოართვეს ფრანკისკანელებმა¹⁴⁰.

ერთი შეხედვით ქართველების მიერ ამ უდი-
დესი სიწმიდის კლიტის ფლობა უცნაური და
მოულოდნელი ჩანს, მაგრამ ამას ზემოთ მ. აყვანი-
ლი ქართული წყაროები უჭერენ მხარს. გარდა
ამისა ქართველების განსაკუთრებულ უფლებებზე
აღდგომის ეკლესიასა და გოლგოთაზე მრავალი
უცხოელი მოგზაური წერს.

ამ უფლებათა წერილობითი დაუასტურება
შემოგვინახა ე. წ. „გოლგოთის სენაქსარის“ მი-
ნაწერმაც, სადაც გარკვევით წერია: „ესე უწყო-
დეთ ყოველთა ქართველთა: ღმრთისაგან, მეფე-
თაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძარი
აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადაა

არს ადამის თხემი და გოლგოთა... ესე ესრეთ
მესმა მამათაგან და დავეწრე მახარობელმან. ჯუა-
რისა დასუენებაჲ კარზე და ყოველთა კურიაკეთა
და დღესასწაულთა ჩუენია¹⁴¹“. ეს მინაწერი
1400 წლის მახლობლად არის დაწერილი¹⁴².
ამბავი კი აღდგომელა მახარობელს ზეპირად მამები-
საგან გაუგია. ჩანს, ეს გადმოცემა მტკიცედ ყო-
ფილა დამკვიდრებული აღდგომის ეკლესიის ქართ-
ველ მსახურთა შორის. საფიქრებელია, რომ აქაც
იგულისხმება გიორგი ბრწყინვალის გამოგზავნი-
ლი ელჩების მიერ მოპოვებული უფლებები, და-
მტკიცებული ეგვიპტის სულტანის მიერ.

ამრიგად, საჭიროა ისტორიულ წყაროებში
ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ორი სხვადასხვა ფაქ-
ტი იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორი-
იდან: 1. ჯვარის მონასტრის მიტაცება მამლუქ-
თაგან 1273 წელს, და მისი კვლავ დაბრუნება
ქართველებისათვის დავით VIII მეშვეობით 1305
წელს.

2. 1316—1320 წლებში გიორგი ბრწყინვალის
მიერ იერუსალიმში ეგვიპტის სულთანთან გაგზავ-
ნილი ელჩების მცდელობით ქართველებისათვის
ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტის გადაცემა.

შენიშვნები შოთა მექურჭლეთუხუცესის აღაპისა
და შოთა რუსთაველის ფრესკის ირგვლივ

წინდაწინ მინდა აღვნიშნო, რომ დღესდღეო-
ბით საკვლევი საკითხის ირგვლივ მკვლევართა
განკარგულებაში იქამდე მცირე მასალაა, რომ
ყველაფერი რაც იწერება და ითქმის ამ საკი-
თხთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად დასაბუთებუ-
ლი ვარაუდის ხასიათს ატარებს.

ჩვენ ეჭვი არ გვებარება, რომ იმის შემდეგ,
რაც გამოქვეყნდება და შეისწავლება ჩვენი მეც-
ნიერების მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მა-
სალები, ბევრი რამ საბოლოოდ გაირკვევა და
დაზუსტდება.

* *

უკვე კარგა ხანია მკვლევართა დიდ ინტერესს
იწვევს შოთა მექურჭლეთუხუცესის აღაპისა და

¹³⁸ Archive de l' Orient Latin. Paris. 1834, ტ. II
გვ. 353.

¹³⁹ იქვე. გვ. 308.

¹⁴⁰ A history of Palestine from 135 a. d. to modern
times by Jams Parkers. New York, 1945 გვ. 192—193.

¹⁴¹ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი,
გვ. 41.

¹⁴² იქვე, გვ. 42.

ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული შოთა რუსთველის ფრესკის ურთიერთობის საკითხი. ეს ინტერესი სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ალაპსა და ფრესკაში მკვლევრები სამართლიანად ეძებენ დიდი ქართველი მგოსნის შოთა რუსთველის ბიოგრაფიის წყაროს. მაგრამ ამ ცნობათა გამოყენების დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს. უკვე გამოთქმულია იმდენი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ მართა ამ მოსაზრებათა ლაბირინტებში გარკვევაც კი მეტად რთულდება. მოსაზრებათა სიმრავლეს განსაზღვრავს ის, რომ გარკვეული და დადგენილი არ არის გამოსავალი დებულებები (ალაპისა და ფრესკის თარიღები), რომლებზედაც მკვლევრები აგებენ თავის მოსაზრებებს. ამიტომ პირველ რიგში უნდა მოხდეს შეთანხმება ამ ძირითადი მასალის კვალიფიკაციაში და მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ მასალის მეცნიერული ბრუნვა. ეს შეთანხმება კი დღეს გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან დროა მივაწოდოთ ფართო მკითხველს ერთი ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ალაპსა და ფრესკაზე.

ყველაფერი, რაც იწერება შოთა რუსთველის შესახებ, დიდი ინტერესით იკითხება საზოგადოების უფართოესი წრეების მიერ, განურჩევლად მათი ეროვნებისა, განათლებისა და პროუესიისა. ამიტომ ხშირად დაუსაბუთებელი, შემთხვევით წამოსროლილი ვარაუდიც შოთა რუსთველის შესახებ შეიძლება გახდეს საფუძველი ლეგენდებისა, რომლებიც საოცარი სისწრაფით ვრცელდება ხალხში და შემდეგ კი იგივე ლეგენდები, უკვე პრეტენზიის სახით ჩამოყალიბებული, უბრუნდება მეცნიერებას. იქმნება ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა, როდესაც მეცნიერები იძულებულნი არიან წავიდნენ იათფასიან კომპრომისზე იმის გამო, რომ არ დაუმსხვრიონ საზოგადოების ფართო წრეებს ის ილუზიები, რომლის შექმნაში ნებით თუ უნებლიეთ თვითონვე უდევთ ბრალი. ასეთი ვითარება შეიქმნა ამ ბოლო დროს შოთას საფლავისა და ბიოგრაფიის ირგვლივ.

ჩვენი მიზანია, გავერკვეთ დღესდღეობით არსებულ მასალებში და შევეცადოთ გამოვყოთ ის სანდო და საიმედო, რაც შეიძლება მომავალი კვლევის საფუძველად გამოდგეს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებათა ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანა და ამგვარად გარკვეულ ნაწილში შეთანხმების მიღწევა.

საკითხი ეხება შოთა მექურქლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის თარიღს და, ამდენად, შოთა რუსთველისა და მექურქლეთუხუცესის ურთიერთმიმართებას.

დაიწყოთ ალაპით. სულ უკანასკნელ წლებამდე შოთა მექურქლეთუხუცესის ალაპის შესახებ, რომელიც ჩაწერილია იერუსალიმის ქართულ სვინაქსარში № 24—25, მსჯელობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ჯვარის მონასტრის ალაპთა ნ. მარისეული გამოცემით, რომელსაც, სხვათა შორის, შოთას ალაპის ფოტორეპროდუქცია არ ახლავს¹¹³.

აკად. ნ. მარი თავის გამოცემაში არ ათარიღებს არც სვინაქსარს და არც სვინაქსარის ფურცლებზე დაწერილ 320-ზე მეტ ალაპს.

დ. ყიფშიძემ, რომელმაც ნ. მარის მასალების მიხედვით, სვინაქსარის რამდენიმე სვინაქსარული ცხოვრება-წამება გამოაქვეყნა, სვინაქსარი XII საუკუნის ხელნაწერად მიიჩნია, საფიქრებელია, ნ. მარისგანვე ზეპირად მიღებული ცნობის საფუძველზე¹¹⁴.

სინამდვილეში იერუსალიმის სვინაქსარი № 24—25 გადაწერილია XI საუკ. II ნახევარში. ამას მოწმობს მისი მკაფიო პალეოგრაფიული სახე. ასე ათარიღებს ხელნაწერს რ. ბლეიკი იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში¹¹⁵.

ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს პირველი ჯვარის მამის პროხორეს გარდაცვალების უნდა სვინაქსარში მისი სვინაქსარული ცხოვრებისა და ალაპის შესატანად. პროხორეს ცხოვრება დაწერილია სვინაქსარის გადამწერის ნუსხური ხელით, ხოლო ალაპი — ამავე გადამწერის მთავრულით. ამგვარად, პროხორეს ცხოვრება არის პალესტინის ქართველი მოღვაწის პირველი ცხოვრება, შეტანილი სვინაქსარში, პროხორეს ალაპი კი — პირველი ალაპი ჩაწერილი სვინაქსარში.

ბევრად უფრო რთულია სვინაქსარის მრავალრიცხოვან ალაპთა დათარიღება. ნ. მარი ალაპებს, ჩვეულებრივ, ურთავს შემდეგი ხასიათის შენიშვნებს: „почерком древнего письма“, „почерком позднейшего письма“, ან „средней древности письмами“. ამავე დროს არათერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა დროისაა ის ალაპები, რომელთაც ის ძველს უწოდებს, რომ ამის მიხედვით ალაპებს

¹¹³ ალაპებს ნ. მარმა მიაკვლია 1902 წელს იერუსალიმში ყოფნის დროს. მანვე გამოაქვეყნა ალაპთა ტექსტები: ალაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა ნ. მარმა.

¹¹⁴ Д. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

¹¹⁵ Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem par R. Blake, № 24—25.

შორის რაიმე შეფარდების დამყარება მაინც იყოს შესაძლებელი¹⁴⁶.

ზემოთ თქმული ნ. მარისადმი საყვედურად არავენ ჩამოგვართვას. განსვენებულ მკვლევარს თვითონაც არ მიაჩნია, რომ ალაპების შესწავლა მან თავისი გამოცემით ამოწურა. ნ. მარის გამოცემა იმ ეტაპზე, ძირითადად, ტექსტის პუბლიკაციის მიზნებს ისახავდა. ეს მიზანი მკვლევარმა დიდი ფილოლოგიური ოსტატობით განახორციელა და, თუ ჩვენ ნ. მარის ზოგიერთ ნაკლზე შევჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ზოგადმა და რიგ შემთხვევაში მცდარმა პალეოგრაფიულმა შენიშვნებმა შეცდომაში შეიყვანა სხვა მკვლევრები, ვინაიდან სულ ბოლო დრომდე იერუსალიმის სვინაქსარის ფოტოპირთა უქონლობის გამო ჯვარის მონასტრის ალაპებზე მხოლოდ ნ. მარის გამოცემის მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა.

შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის ურთიერთ მიმართების საკითხის გარკვევისათვის აკად. კ. კეკელიძეს დასჭირდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის დათარიღება. ნ. მარი ამ ალაპის შესახებ გარკვეულს არაფერს ამბობს; შენიშნავს მხოლოდ, რომ იგი დაწერილია „письмом древней части памятѣй, однако по черкомъ менее арханчимъ“¹⁴⁷. კ. კეკელიძე შეეცადა მეტი გარკვეულობა შეეტანა ნ. მარის შენიშვნაში. მკვლევრის აზრით, ჯვარის მონასტრის ალაპებში მოხსენიებულ პირთაგან არც ერთი არ არის XIII ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი მოღვაწე გარდა ნიკოლოზ გულაბერიძისა, რომლის ალაპიც, მისივე ვარაუდით, გვიან უნდა იყოს ჩაწერილი. ამის საფუძველზე კ. კეკელიძე ასკვნის, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპიც XIV ს. ადრე ვერ დაიწერებოდა¹⁴⁸.

ამ მოსაზრების შემოწმება არ არის ძნელი ჩვენი გამოცემის მიხედვით, სადაც მოხერხდა ალაპთა უდიდესი უმრავლესობის დათარიღება. ირკვევა, რომ სვინაქსარში XIII საუკ. მეორე ნახევარზე ადრეული არა ერთი და ორი მოღვაწის ალაპია ჩაწერილი. ამ მხრივ ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპი არ არის გამონაკლისი¹⁴⁹. არც ის არის

სწორი, თითქოს ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპი გვიან იყოს დაწერილი. ალაპი დაწერილია XII საუკუნის კლასიკური ნუსხურით, დაახლოებით 1178—1184 წლებში.

ამგვარად, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის XIV საუკუნით დათარიღება გამოიწვია ნ. მარის ბუნდოვანმა პალეოგრაფიულმა შენიშვნებმა და ალაპთა დედნის უქონლობამ. თავის მხრივ ალაპის ამგვარმა დათარიღებამ კი მოხსნა კ. კეკელიძისათვის შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის შესაძლებლობის საკითხი.

ამ დროიდან წარმოიშვა ექვი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იდენტურობის შესახებ, თორემ ტიმოთე გაბაშვილისთვის მონასტრის სვეტზე გამოსახული შოთა იგივე ალაპის შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იყო. ტიმოთეს ეს რწმენა, ჩანს, ჯვარის კოლექტივში დამკვიდრებულ ტრადიციას ეყრდნობოდა.

შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის კეკელიძისეული თარიღის (XIV ს.) გადასინჯვა შესაძლებელი და საჭირო გახდა ჯვარის მონასტრის ალაპების ტიშენდორფისეული ნუსხის მიღების შემდეგ¹⁵⁰. უკვე ამ ნუსხის ფილოლოგიურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში შეტანილი შოთას ალაპი XIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა ყოფილიყო¹⁵¹. ტიშენდორფისეულ ნუსხაში კი შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპი, ისევე როგორც ერთი წყება სხვა ალაპებისა, გადმოტანილია იერუსალიმის № 24—25 სვინაქსარიდან. ამდენად ტიშენდორფისეული ნუსხის დედანი — სვინაქსარია. დღეს სვინაქსარის ფოტოპირები უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა¹⁵².

სვინაქსარის შოთასეული ალაპის პალეოგრაფიულმა სახემ სავსებით დაადასტურა ის თარიღი, რომელიც ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესწავლამ გვიკარნახა. ალაპი დაწერილია XII—XIII სს. მიჯნის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით.

(№ 127). ამავე დროისა იჩქით გურგენიძის ალაპი (№ 78). XIII საუკუნის პირველი ნახევრისაა შერგილ დადიანისა და მისი მეუღლე ნათელის ალაპი (№ 186) და ანტონ იშინელის ალაპი (№ 163). იხ. ამ ალაპთა კომენტარები.

¹⁴⁶ ტიშენდორფისეული ნუსხის მიკროფილმი საქართველოს სახ. მუზეუმმა მიიღო ლაიპციგის უნივერსიტეტიდან 1955 წელს.

¹⁴⁷ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 056.

¹⁴⁸ 1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღო იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები.

¹⁴⁶ თუ რამდენად ზოგადი და რიგ შემთხვევაში არახუსტია ნ. მარის პალეოგრაფიული შენიშვნები, ჩვენ შევეცადეთ გზადაგზა გვეჩვენებინა ალაპთა კომენტარებში.

¹⁴⁷ ნ. მარი, ალაპი, № 312 ალაპის კომენტარი.

¹⁴⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 25, სქ. 1.


¹⁴⁹ პალეოგრაფიულად XII საუკუნისაა II ტაბულის ალაპები: გრიგოლ მშვიდისა (№ 12), მარკოზეთ-კვირიკისი (№ 57). XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია დაწერილი ანასულისა (№ 287) და ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპები

ჯვარის მონასტრის ალაბთა წინამდებარე გამოცემას ერთვის პალეოგრაფიული ტაბულები. თითოეულ ტაბულაში ერთიანდება ერთი ხელით დაწერილი ალაპები, ზოგ ტაბულაში არის 20-ზე მეტი ალაპი, ზოგში კი მხოლოდ ორი. ალაბთა ერთ წყებას პალეოგრაფიული წყვილი სულ არ დაეცბნა. ამ ტაბულებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, რაც უფრო ადრეულია ტაბულა, ალაბთა მით უფრო ნაკლებ რაოდენობას აერთიანებს იგი. უძველესი ალაპები კი სულ კენტად არიან წარმოდგენილი. ასეთებია პროხორე შავშელის, ანასულისა და ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ სვინაქსარში, სადაც ჩაიწერა ჯვარის მონასტრის აღმაშენებლისა და პირველი ჯვარის მამის პროხორეს ალაპი, პირველ ხანებში სხვათა ალაპების შეტანა დიდი შერჩევით ხდებოდა, ე. ი. იქ მხოლოდ საგანგებოდ დამსახურებულ პირთა ალაპები იწერებოდა. დანარჩენები, ჩანს, სხვა საალაპე სვინაქსარებში შექმნიდათ. ასეთი სვინაქსარი ჯვარის მონასტრის რამდენიმე ჰქონდა. საგულისხმოა, რომ პროხორეს ალაპის ჩაწერიდან ერთი საუკუნის მანძილზე ამ სვინაქსარში ალაპი არ გაწესებულა. მხოლოდ XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწვეს

ალავერდელისა და შოთა მექუტურქლეთუხუცესის ალაპები კი ის იშვიათი ერთეული ალაპებია, რომლებიც პროხორეს ალაპის შემდეგ XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან პირველად ჩაიწერა სვინაქსარში.

სვინაქსარში შოთა მექუტურქლეთუხუცესის ალაპს გამოუჩნდა პალეოგრაფიული წყვილი. შოთას ალაპის ხელითაა დაწერილი ანტონ ალავერდელის ალაპი. აქ მსგავსია არა მარტო ხელი, არამედ ალაპის ფორმაც, — ტექსტის განაწილების წესი სვინაქსარის ფურცლის ქვემო კიდეზე (იხ. ტაბ. II).

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რაიმე ცნობას მოვიპოვებდით ანტონ ალავერდელის შესახებ, რითაც შევძლებდით შოთას ალაპის თარიღის დაეწროებას. ჯერჯერობით ისტორიულ წყაროებში ანტონ ალავერდელს ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ უნდა დავეჯერდეთ ალაპის პალეოგრაფიულ დათარიღებას, მით უმეტეს, რომ ის ექვს არ იწვევს¹⁵³. დღეისათვის კი შეიძლება ითქვას ერთი, რომ შოთას და ანტონ ალავერდელის ალაპები დიდ მსგავსებას იჩენენ ხელით ათონის ივერიის მონასტრის № 153 ალაპთან, რომელიც განკუთვნილია თამარ მეფისა და ნიკოლოზ გულაბერიძის მოსახსენებლად და აგრეთვე წერილი ნუსხურითაა დაწერილი (იხ. სურ.). შოთას ალაპებისათვის, ისე.



აქ ახალი ალაპების ჩაწერა და ისიც დიდი შერჩევით. XIII საუკ. მეორე ნახევრიდან ამ სვინაქსარში ალაბთა შეტანის მკაცრი შერჩევის პრინციპი უკვე დაირღვა. ამ დროიდან პროხორეს სვინაქსარში ალაპები მრავლად იწერება. ანასულის, ნიკოლოზ გულაბერიძის, ანტონ

¹⁵³ XII—XIII სს. ალავერდელთა შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. გრიგოლ სურამელის 1245 წლის „დაწერილს“ ერთვის ხელრთვები. ერთ-ერთი ხელრთვა ევთვიანის იოანე ალავერდელს (იხ. ნ. შოთაშვილი, XII ს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისა-

ვე, როგორც XII საუკუნის მიწურულის ალაპებისათვის (იხ. ნიკოლოზ გულაბერიძის, ანასულისა და № 13 და 57 ალაპები) დამახასიათებელია პატარა ზომის, სავსებით სადა და მკაცრი, ყოველგვარ სტილიზაციას მოკლებული მთავრული ო.

ამგვარად, შოთა მექუტუკლეთუხუცესის ალაპი დაწერილია XII—XIII სს. მიჯნაზე, არა უგვიანეს XIII საუკ. პირველი ნახევრისა, ალაპის კ. კეკელიძისეული დათარიღება (XIV ს.), რომელიც ეყრდნობა ნ. მარის ბუნდოვან პალეოგრაფიულ განსაზღვრებას, არ არის მართებული; ასევე მიუღებელია შ. ნუცუბიძის რთული კონცეფცია, რომლითაც ის ცდილობს დაცენოს ალაპის XIV საუკუნეში დაწერის იდეოლოგიური საფუძველი¹⁵⁴.

რისი თქმა შეიძლება ალაპის მიხედვით შოთა მექუტუკლეთუხუცესის შესახებ? ამისთვის სულ მოკლედ გვინდა შევეხოთ ალაპის შედგენის წესსა და ალაპთა სახეებს.

ალაპი, როგორც წესი, იწერება მიცვალებულისათვის მისი გარდაცვალების დღეს: „თუესა სეკედენბერსა ით. ალაპი არს არსენისი, ფარსმან-ყოფილისაჲ, რამეთუ ამას დღესა მიიცვალა“ (ივერიის მონასტრის № 110 ალაპი, იგივეა № 111 ალაპ-შიც¹⁵⁵).

ზოგჯერ ერთსა და იმავე პიროვნებისათვის ალაპი იწერება როგორც გარდაცვალების, ასევე დამარხვის დღეზე. ასეა გაწესებული გიორგი მაგისტროსის ალაპი ივერიის მონასტრის ალაპებში (№ 56 და 96).

ზოგჯერ ალაპი იწერება არა გარდაცვალების, არამედ სახელწოდების დღეს, მით უმეტეს, თუ გარდაცვლილი პირის სახელწოდების დღე დიდ საეკლესიო დღესასწაულად არის მიჩნეული.

ლიპარიტ-ყოფილი ანტონის ალაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა ზ. წმიდისა ანტონის დღესასწაული ალაპად განგვწესებია ლიპარიტის-თჳს... რაჲმს მიიცვალა, ესე დღესასწაული წმიდისა მამისა ანტონისი საცნენებლად და სალოცველად სულისა მათისა დავაწესეთ, რათა აღესრულდოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთაჲვე, ხოლო ეწოდებოდა სახელი

თვის, გვ. 121). ალაპის ანტონ ალავერდელი იოანე ალავერდელს წინ უნდა უსწრებდეს. ვინაიდან პალეოგრაფიულად ის XII ს. დამლევითა და XIII ს. დამდგვით იფარგლება.

¹⁵⁴ შ. ნუცუბიძე, პალესტინის XIII—XIV სს. ერთი მხატვრობა და ქართული კულტურის საკითხები: საბჭოთა ხელოვნება, 1957, № 9, გვ. 8.

¹⁵⁵ ივერიის მონასტრის ალაპებს ვიმოწმებთ ა. ხახანაშვილის გამოცემის მიხედვით: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, თბ., 1901.

მონაზონებისა ანტონი“ (ათ. № 34). ასევე სახელის მიხედვითაა გაწესებული ალაპი კლიმი ბერისათვის კგ იანვარს, თევდორობას კი თეოდორე ასურისათვის (ათ. № 61); მაგრამ ამ წესიდან ხშირია გადახვევები. რიგ შემთხვევაში ალაპის გაწესება ხდება არა გარდაცვალების შემდეგ, არამედ შემომწირველის სიცოცხლეშივე, უფრო ხშირად შემომწირველის „დაწერილის“ საფუძველზე. ამ მხრივ საინტერესოა ათონის № 121 ალაპი, გაწესებული სუმბატისა და მარიამისთვის.

ამ ალაპში ჩანს მთელი პროცესი, თუ როგორ იწერებოდა შემომწირველის სიცოცხლეშივე ორმხრივი ვალდებულებების შემცველი „დაწერილი“ და როგორ ხორციელდებოდა იგი მწირველის თუ ალაპის გაწესების სახით¹⁶⁶.

„დაწერილის“ საფუძველზე მონასტრის კრებულს განუწესებია სუმბატის გარდაცვალების შემდეგ მისთვის და მისი ცოცხალი მეუღლისათვის მწირველი და ალაპში შეუტანია მონასტრის კრებულის როგორც შესრულებული, ასევე შეუსრულებელი ვალდებულებანი, რომლებიც კრებულს მარიამის გარდაცვალების შემდეგ უნდა განხორციელებინა. ამგვარი „დაწერილის“ განხორციელება ხდება ხან შემომწირველის სიცოცხლეში (იხ. ძაგან აბულეთის ძის დაწერილი, თ. გორდანი, ქრონიკები, II, გვ. 145—147), ხან მისი გარდაცვალების უმალ. იმ შემთხვევაში, როდესაც ალაპი იწერება შემომწირველის სიცოცხლეში ან სიცოცხლეშივე შედგენილი „დაწერილის“ საფუძველზე, ალაპი წესდება რომელიმე დიდ საუფლო დღესასწაულზე, ან მოძრავ დღესასწაულებზე (მარხვა-ზატიკის კვირეებზე) ანდა შემომწირველის სახელწოდების დღეზე. ასე მაგ., გიორგი ლიპარიტიანისა და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯნის სიცოცხლეში გაწესებული ალაპისათვის დადგენილია წმ. გიორგის დღესასწაული, ე. ი. გიორგის სახელწოდების დღე (იხ. ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა № 92). ასევე იოანე სევასტოსისა და მისი მეუღლე მარიამის ალაპისათვის ივერიის მონასტრის კრებულს მათსავე სიცოცხლეში იოანე ოქროპირის დღესასწაულის დღე გაუწესებია, რათა „გარდაიჭდებოდის ცოცხალთათჳსცა და შემდგომად მიცვალებისა ყოვლითა გულსმოდგინებითა“ (ათონის ალაპი № 129).

უფრო ხშირად, დიდი დამსახურების შემთხვევაში ცოცხლებისათვის ალაპთა და მოსახსენებლების გაწესება ხდებოდა დიდ საუფლო დღე-

¹⁶⁶ მწირველთა შესახებ იხ. ბ. ლომინაძის წერილი: საწირველო XIII საუკუნეში: მიმოხილველი, I, 1949.

სასწაულებზე ან მარხვა-ზატიკის დღეებზე. ასე მაგ., ათონის № 165 ალაპი წარმოადგენს მონასტრის წინამძღვრის პავლეს გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც მის მიერვე უნდა იყოს დაწერილი¹⁶⁷. სამსახურის სანაცვლოდ პავლე თხოულობს პანაშვიდისა და ტრაპეზის განწესებას ამალღების დღეს.

ასევე იერუსალიმის ალაპებში დემეტრე მეფის ასულის რუსუდანისა და მისი მეუღლე თაყა ფანასკერტელისათვის განწესებულია მოსახსენებელი და პანაშვიდი საუფლო დღესასწაულებსა და მარხვის დღეებზე (№ 65). მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითები არ ნიშნავს იმას, რომ საუფლო, დიდ დღესასწაულებსა და მარხვა-ზატიკის დღეებზე ალაპები მხოლოდ ცოცხლებისათვის იწერებოდა. ამ დღეებზე ალაპთა გაწესება დიდი პატივი იყო და ამ პატივის დამსახურება შეიძლებოდა ფულითა და სამსახურით. ხშირადაა, როდესაც ერთსა და იმავე პირისათვის რამდენიმე ალაპია გაწესებული, ამათგან ერთი—წლის რომელიმე რიგით დღეზე, ხოლო მეორე—დიდ დღესასწაულსა ან მარხვა-ზატიკის დღეებზე. ეს კი იმას ნიშნავს რომ პირველი გაწესებულია გარდაცვალების დღეზე, ხოლო დანარჩენები, როგორც განსაკუთრებული პატივი, დიდ დღესასწაულებზე. მართლაც, ცოტად თუ ბევრად ღვაწლმოსილ პირთათვის, რომელთაც დიდი შეწირულებითა თუ სამსახურით დაიმსახურეს კრებულის მადლობა, ალაპები იწერება ამ დღეებზე. ასე მაგ., პროხოზე შავშელისათვის ალაპი გაწესებულია როგორც 17 იანვარს, ასევე ყველიერის ხუთშაბათს; ანასულისთვის ათონის ივერიის კრებულმა გააწესა ალაპი იანვრის პირველს, ხოლო ჯვარის მონასტერმა—ფერისცვალებას. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების დღეს—6 მაისს—მისთვის გაწესებულა ალაპი ივერიის მონასტერში, ჯვარის ალაპებში კი მისი ალაპი ჩაწერილია მარხვის 11 კვირას. ამგვარად, როდესაც ერთსა და იმავე პირისათვის რამდენიმე ალაპია, აქედან ერთი გარკვეულ თვესა და დღეზეა განწესებული, ხოლო დანარჩენები დიდ დღესასწაულებზე; ასეთ შემთხვევაში პირველი გარდაცვალების დღედ უნდა მივიჩნიოთ. ხოლო, როდესაც ალაპი მხოლოდ დიდ ან მოძრავ დღესასწაულზეა გაწესებული, მაშინ უფრო სავარაუდებელია, რომ იგი შემომწირველის სიცოცხლეშივეა დაწერილი, რის გამოც არ არის ფიქსირებული ალაპის თვე და რიცხვი. სხვათა შორის, იგივე პრინციპია

¹⁶⁷ ამას მოწმობს ალაპის ბოლო ნაწილი, დაწერილი პირველი პირით.

დაცული მოსახსენებლებშიც. მაგ., თამარის სვინაქსარში (იერ. ხელნაწ. № 45; ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ) ერთი მოსახსენებელი ჩაწერილია 27 იანვარს, თამარის გარდაცვალების დღეს, ხოლო ამის გარდა ჩაწერილია მისივე მოსახსენებელი ყველა დიდ საეკლესიო დღესასწაულზე.

მარხვისა და აღდგომის დღეები რომ განსაკუთრებით საპატიოდ ითვლებოდა ალაპის დადების თვალსაზრისით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მონასტერთა კედლის საალაპე წარწერებიც უმთავრესად ამ დღეებზეა გაწესებული¹⁶⁸. მარხვა-ზატიკის კვირეებზე გაწესებულ ალაპთა თავმოყრის მიზნით შედგა ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე წყაროდან (სვინაქსარიდან) ამოკრეფილი მარხვა-ზატიკის პერიოდის ალაპები.

ეს შორეული წიაღსვლა ჩვენ იმისთვის დაგვირდა, რომ მიღებული დასკვნების თვალსაზრისით შეგვეხედა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და გრიგოლ დრანდელის ალაპებისათვის.

ორივე ალაპი სვინაქსარში ჩაწერილია მარხვა-ზატიკის დღეებზე. გრიგოლ დრანდელის ალაპისათვის გაწესებულია ხორციელისა კვირიაკე, ხოლო შოთა მეჭურჭლეთუხუცესისათვის სული წმინდის მოსლვის ორშაბათი (ე. ი. ამალღების შემდგომი კვირა¹⁶⁹). პირველი ალაპი თარიღდება XIII ს. დამლევეთა და XIV ს. დამდეგით. შოთასი კი XII—XIII სს. მიჯნით. ორივე ალაპი გადასულა ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში. ორივე პირისათვის გაწესებულია თითო ალაპი მარხვა-ზატიკის კვირეებზე. ეს კი გვაძლევს უფლებას, ვივარაუდოთ, რომ ალაპები დაწერილია შემომწირველთა სიცოცხლეშივე მონასტრის კრებულისათვის გაწეული დიდი სამსახურის გამო, რაც თავის დროს შეიძლება შემომწირველთა „დაწერილში“ აისახა. ამ რიგის დოკუმენტები მონასტერში ბევრი უნდა ყოფილიყო, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამდენიმე მითითებამ ამგვარი დოკუმენტების არსებობის შესახებ.

მეორე მხრით, ჯვარის მონასტრის სვეტებზე ერთსა და იმავე პოზაში, მსგავსი წარწერით გა-

¹⁶⁸ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა... გვ. 11—12.

¹⁶⁹ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად საქართველოში შემდეგი დღეები იყო მიღებული: ხორცის აღების შაბათი; დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შეიდეულის შაბათები; სულიწმინდის მოყენის წინა შაბათი; ახალკვირის შემდეგი სამშაბათი (იხ. საეკლესიო კალენდარი, თბილისი, 1955, გვ. 91).

მოსახული არიან მომხატველები გაბრიელ დრანდელი და შოთა რუსთაველი. შეიძლება თუ არა ამ პირთა გაიგივება ჯვარის ალაპის გრიგოლ დრანდელთან და შოთა მეჭურჭლეთუხუცესთან? ხომ არ არის მომხატველობა ორივე შემთხვევაში ის დიდი დამსახურება, რისთვისაც ჯვარის კრებულმა ორივეს გაუჩინა საპატიო ალაპები? ამას მხარს უჭერს ერთი მეტად არსებითი გარემოება. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ჯვარის მონასტრის კედლებზე გამოხატული ისტორიული პირები თავისი მოღვაწეობითა და საქმიანობით უშუალოდ არიან დაკავშირებული ჯვართან და თითქმის ყველა მათგანისათვის ჯვარის მონასტრის კრებულს გაუწესებია ალაპი ან მოსახსენებელი. ასეთივე ვითარება უნდა ვიგულისხმოთ დრანდელისა და შოთა რუსთაველის მიმართ. ხოლო ვინაიდან სხვა დრანდელი, გარდა გრიგოლისა, იერუსალიმის ალაპებში, მოსახსენებლებსა და ხელნაწერთა მინაწერებში არ ჩანს, ასევე სხვა შოთა, გარდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა, არსად მოიხსენება, ამიტომ ამ პირთა იდენტიფიკაციისათვის თითქოს არსებობს საკმაოდ მყარი საფუძველი. მეორე მხრით საკითხის დადებითად გადაჭრისათვის გარკვეული დაბრკოლებები გველოდება. გამოსახულების წარწერაში დრანდელს ეწოდებოდა გაბრიელი, ალაპში კი—გრიგოლი. ეს განსხვავება, ჩვენი ფიქრით, ფრესკის წარწერის გვიანდელი გამაცხოველებლის დაშვებული შეცდომა უნდა იყოს.

ალაპის მიხედვით გრიგოლ დრანდელი XIII—XIV სს. მიჯნის მოღვაწეა. თუ ის ჯვარის მონასტრის მომხატველი იყო, როგორც ამას გამოსახულების წარწერა გვამცნობს, მაშინ ეს ფრესკა თავდაპირველად მომხატველის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. დრანდელის გამოსახულების წარწერა კი, ისევე როგორც შოთასი, პალეოგრაფიულად XVI საუკუნეზე ადრეული არ არის. მაშასადამე, წარწერა (ფრესკაზე არაფერს ვამბობთ), ამ დროისათვის დაზიანებული ყოფილა და ის განუახლებიათ ან გაუცხოველებიათ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გრიგოლ დრანდელის ერთი და იგივე ალაპის ორი ჩანაწერი არსებობს. ერთი—სვინაქსარის (№ 306), ხოლო მეორე ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხისა (T—3), სადაც ალაპი სვინაქსარიდან არის გადატანილი. ნუსხურად დაწერილ ორივე ალაპში გრიგოლი დაქარაგმებულია შემდეგნაირად—გ^ვგლ (ღ^ვღ^ვ). საფიქრებელია, რომ ასევე იყო ეს სახელი დაქარაგმებული დრანდელის გამოსახულების თავდაპირველ წარწერაში. შემდეგ წარწერა დაზიანე-

ბულა და განმარტებულს გ^ვგლ-ის მაგივრად წაუკითხავს გ^ვბლ, ეს კი უდრის გაბრიელს. ასეთი აღრევა სავსებით კანონზომიერია. გ^ვგლ-ში (ღ^ვღ^ვ) საკმარისია დაზიანდეს მეორე ლ-ს თავის ზემო ხაზი, და უკვე ძნელი დასადგენია, თუ რა ასო იყო თავდაპირველად აქ გ(ღ) თუ ბ(ღ). ამ ასოთა აღრევის შემთხვევები წიგნიერ გადაშვრებთანაც ხშირია. წარწერების შემსრულებელი კი დიდი წიგნიერობით ვერ დაიქადნის. სხვათა შორის ჯვარის მონასტრის ზოგიერთ სხვა წარწერაშიც შეიმჩნევა აშკარა შეცდომები, რაც იმას მოწმობს, რომ წარწერათა გამაცხოველებელი არ ყოფილა დიდად კვალიფიციური მწერალი.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ჯვარის მონასტრის დამხატველი გაბრიელ დრანდელი ალაპის გრიგოლ დრანდელია, მაშინ გასაგები ხდება ისიც, თუ რა დამსახურებისათვის გაუწესეს გრიგოლ დრანდელს ხორციელის კვირიაკეს საპატიო ალაპი. მას, როგორც მომხატველს, სავარაუდოა, სიცოცხლეშივე ჩაუწერეს სვინაქსარში ალაპი, ხოლო მეორე მხრით მონასტრის კედელზე გამოსახეს.

ანალოგიურ ამბავთან უნდა გვექონდეს საქმე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთაველის ფრესკის შემთხვევაშიც. XII—XIII სს. მიჯნის ალაპში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი უნდა იყოს ჯვარის მონასტრის დამხატველი შოთა. ამ შემთხვევაშიც შოთა დამხატველის ღვაწლი ორგვარად აისახა: ერთი—ალაპის სახით, ხოლო მეორე—მისი გამოსახულებით სვეტზე. გამოსახულება წარწერითურთ აგრეთვე მოსახსენებლის ფუნქციის მქონე იყო.

შოთა დამხატველის გამოსახულება, ისევე როგორც გრიგოლ დრანდელისა, შესრულებული უნდა იყოს მის სიცოცხლეში, ალაპის დაწერის პარალელურად. რაც შეეხება გამოსახულების წარწერას, ის პალეოგრაფიულად აშკარად გვიანდელია. იგი გრიგოლ დრანდელის გამოსახულების წარწერის დროინდელია (ე. ი. გაკეთებულია არა უადრეს XVI ს.) და იმავე დამწერის მიერ შესრულებული ჩანს. ამგვარად, აქაც წარწერა განახლებული ან გაცხოველებულია. სხვათა შორის ამას მოწმობს წარწერის არასწორი სინტაქსური აღნაგობაც.

„ამისა დამხატავს შოთა[ს] შეუდგენეს ღმერთ-მან, ამინ.

რუსთაველი“.

სავსებით დასაშვებია, რომ ეს წარწერა არ იყოს ჩვენამდე მოღწეული თავდაპირველი სახით.

და მისმა გამაცხოველებელმა თუ გამაახლებელმა, ნებით თუ უნებლოით, დაარღვია მისი თავდაპირველი წყობა. ამიტომ მკვლევრების (კ. კეკელიძისა და შ. ნუცუბიძის) ცდა, წარმოიდგინონ და აღადგინონ წარწერის თავდაპირველი სახე, საესებით კანონზომიერია. სხვა საკითხია, რა თვალსაზრისით უდგებიან ისინი ამ წარწერის რესტავრაციას.

ერთი საესებით აშკარაა, რომ შოთას გამოსახულების წარწერა ვერ თავსდება ვერც სინტაქსურად და ვერც კომპოზიციურად იმ ტრაფარეტში, რომლითაც შესრულებულია ჯვარის მონასტრის დანარჩენი ორი მომხატველის (გრიგოლ დრანდელისა და არსენ ავრის) წარწერები.

ამგვარად, ალაპთა ჩვენებებით, შოთას და გრიგოლ დრანდელის გამოსახულებები მონასტრის მხატვრობის ძველი ფენიდან (XII ს. და XIV ს. დამდეგის) უნდა იყვნენ. მაგრამ ეს საკითხი ამ თვალსაზრისით ვერ განიხილება იქამდე, სანამ არ გაირკვევა: იყო თუ არა ნიკიფორემდე მოხატული მონასტერი და, თუ იყო, რამდენჯერ და როდის.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევჩერდებით ჯვარის მონასტრის ისტორიის იმ ძირითად მომენტებზე, რომლებიც მის შექმნება-მოხატვასთან იყო დაკავშირებული.

ჯვარის მონასტრის მოხატულობით საგანგებოდ დაინტერესებული იყო პროფ. ა. ცაგარელი. მკვლევრის ვარაუდით ის აღრევე (აშენებისთანავე) ყოფილა მოხატული. ამის საფუძველს ის ხედავდა სხვადასხვა პილიგრიმთა ჩანაწერებში. ყველაზე აღრეული ცნობა ჯვარის მონასტრის დარბევის შესახებ შემოგვინახა მოგზაურმა ზევულფმა. მან მონასტერი მოიხილა 1102 წელს; იგი წერდა: „Церковь св. Креста находится к западу от Иерусалима, на расстоянии приблизительно милиария, в том месте, где был вырезан святой крест. Церковь достоитнейшая и красивейшая, но язычники разорили ее, но однако не вполне разрушили ее, исключая зданий кругом и кельий“¹⁶⁰. მონასტრის ეს დარბევა უნდა მოხდარიყო 1071—78 წლებში, როდესაც სელჯუკებმა დაიპყრეს რამლა და იერუსალიმი და მოახრეს წმიდა ადგილები¹⁶¹.

1106—1107 წლებში რუს მოგზაურ დანიელს, როგორც ჩანს, მონასტერი უკვე შექმნილი და

მოხატული უნახავს: „... и посреди града того создана есть церквп, велика в верх, во имя честного креста, исписана есть добре вся... и то есть монастырь Иверский“¹⁶². უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტერი ამ წლისათვის თავიდან კი არ მოხატულა, არამედ გაცხოველებულა მონასტრის შექმნებასთან ერთად, ხოლო თავდაპირველად ის უნდა მოხატულიყო მონასტრის აშენების დროს (1060 წლისათვის), თუნდაც იმით, რომ XI—XII საუკუნეებში დიდ ქართულ ტაძრებს მოუხატავად არ სტოვებდნენ.

შემდეგი ცნობები ჯვარის მოხატვის შესახებ შემოუნახავს თვით ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობას დამხატველთა და კტიტორთა გამოსახულებათა სახით, და აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც წერდა: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მექურქულეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“¹⁶³.

დანიელისა და ტიმოთეს ცნობები ეხება იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის ხანას.

იერუსალიმის ქართული კოლონიისა და ჯვაროსანთა სამეფოს ურთიერთობის ამსახველმა მასალებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწიეს, მაგრამ რაც არის, იმითაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა ამ ურთიერთობაზე.

ცნობილია, რომ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისა და იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099 წ.—1187 წ.) მართლმადიდებლური ტაძრების დიდი უმრავლესობა ლათინებმა დაისაკუთრეს.

„В Иерусалиме, где дотоле у латин кроме храма Марии Латинской и госпиталя и библиотеки при оном ничего не было, со времени завоевания ими этого города, их собственностью сделались почти все христианские храмы и монастыри со всеми принадлежащими к ним святыми местами. Православным были оставлены лишь менее замечательные храмы, да отдельные монастыри, находившиеся по большей части в труднопроходимой, каменной и раскаленной пустыне Иудейской, близъ Иордана...“

„В ближайших окрестностях Иерусалима и самом городе православным принадлежали только Крестный монастырь (грузинский), монас-

¹⁶⁰ Путешествие Зевульфа, ППС, т. III, в. 3, 83-282.

¹⁶¹ ქ ა ნ ე ნ ი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 33.

¹⁶² Житие и хождение Даниила, ППС, т. 1, в. 3, 82-83.

¹⁶³ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 80.

თერ სვ. მელანი, называемый иначе „Великая Панагия“ (греческий) и метох или полворье монастыря св. Саввы¹⁶⁴.

ჯვარი უკვე ამ დროს პალესტინის ერთ-ერთ უდიდეს სიწმიდელ ითვლებოდა და, თუ ის მაინც გადაურჩა გალათინებას, არა მარტო იმის გამო, რომ ის იერუსალიმის გარეთ მდებარეობდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო ქართველები ჯვაროსანთა თანამებრძოლად გამოდიოდნენ მუსლიმანების წინააღმდეგ, რის გამოც მათ გარკვეული პრივილეგიები მოიპოვეს ჯვაროსანთა სამეფოში.

თუ რა დიდად აფასებდნენ ჯვაროსნები ქართველთა ჯვარის მონასტერს, ამას მოწმობს 1156 წელს ჯვარში გადაწერილი სვინაქსარის მინაწერები, რომელნიც მოიცავენ ჯვაროსანთა ტამბლიერთა ორდენის წევრების მოსახსენებლებს. ამ მოსახსენებლების შეტანა ქართულ ხელნაწერში მოწმობს იმას, რომ ჯვაროსნები არა მარტო დადიოდნენ ჯვარში და პატივს სცემდნენ მას როგორც ერთ უდიდეს სიწმიდეს, არამედ სწირავდნენ მონასტერს შესაწირაეებს, რათა მათი მოსახსენებლები აღბეჭდილიყო ჯვარის მონასტრის სვინაქსარში და მათი სახელები მოხსენებული ყოფილიყო წირვის დროს (იხ. ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 45).

ერთი გვიანდელი ცნობით, იერუსალიმის პირველი ლათინი მეფე გოტფრიდ ბულონელი ჯვარის მონასტერში მარხია¹⁶⁵. ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ ქართული კოლონიის ჯვაროსნებთან ცხოველი ურთიერთობის გამოძახილს კი უნდა წარმოადგენდეს.

ლათინთა სამეფოს მფოთვარე არსებობის მანძილზე ჯვარის მონასტრისადმი, რომელიც ამ დროს ასახიერებდა მთელ ქართულ კოლონიას, ჯვაროსნებს ყოველთვის ერთნაირად კარგი დამოკიდებულება როდი ჰქონდათ. ერთის მხრივ, ჯვაროსანთა შორის დაჯგუფებები, კინკლაობა და გაუტანლობა, მეორის მხრივ, მუსულმანების მუდმივი შემოტევა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა იერუსალიმის მეფეს. ბალდუინ III მეფობის შემდეგ იერუსალიმის სამეფოს ძლიერება სწრაფად ეცემოდა. განსაკუთრებით გართულდა ჯვაროსნების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სულთან სალადინმა გააერთიანა ეგვიპტე და სირია და შეუდგა სამზადისს იერუსალიმზე გასალაშქრებლად.

მუსულმანთაგან გარემორტყმული იერუსალიმის სამეფო მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხარჯები კი მძიმე ტვირთად აწევებოდა იერუსალიმის მოსახლეობასა და მონასტრებს.

1177 წელს იერუსალიმის კედლების ამოღების მიზნით ბალდუინ IV-მ დააწესა ახალი ყოველწლიური გადასახადი. 1182 წელს კი სამეფოს დასაცავად სალადინის მოსალოდნელი თავდასხმისაგან შემოღებულ იქნა სამეფოს ყველა მცხოვრებზე ერთდროული გადასახადი¹⁶⁶. ეს გადასახადები, როგორც ჩანს, არც ჯვარის მონასტერს ასცდენია.

ამ დროს უნდა იყოს დაწერილი ჯვარის მონასტრის აღაპი № 287, გაწესებული ანასულლისათვის, რომელმაც მონასტერს 100 ოქროს დუკატი შესწირა. აღაპში ვკითხულობთ: მეფე იმრუსალიმისაა გაგვწყრა და რაეცა მონასტრისაჲ იყო, დაგვჭირა. ოქროსა გუთხოვდა და დიდსა ჭირსა შეეცვდით ულონობისაგან. არწმუნა ღმერთმან და 100 დუკატი მისთჳ შეგუაწია...“ ანასულლიმ. აშკარაა, მონასტერს ვერ დაუქმყოფილებია იერუსალიმის მეფის მოთხოვნილება, ვერ მიუცია მისთვის საჭირო რაოდენობით ოქრო, რის გამოც მეფე გამწყრა და „რაეცა მონასტრის იყო, წაურთმეგია“. აქ, ალბათ, უმთავრესად მონასტრის კაზმულობა და მამულები იგულისხმება.

ჯვარის მონასტერს კი, ჩანს, ამ დროს კარგად დაყენებული მეურნეობა ჰქონდა. მონასტრის ბერები განსაკუთრებით მისდევდნენ მევენახეობას. იოანე ფოკამ, რომელმაც იერუსალიმში იმოგზაურა 1177 წელს, საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ჯვარის მონასტრის დიდ ზვრებს იერუსალიმის მახლობლად.

„По правую сторону града Иерусалима и блишии пророка Давида есть горный хребет весь покрытый виноградниками, и на более низменных частях его находится монастырь Ивиоров¹⁶⁷.

ერთი ლათინური დოკუმენტის მიხედვით კი უკვე 1178 წელს ჯვარის მონასტრის ზვრების ნაწილი, როგორც ჩანს, ბალდუინ IV ხელში იყო: „В 1178 году король Балдуин IV усгнует Перу (приору) два квинтала винограду в своих виноградниках, что близь монастыря св. Крес-

¹⁶⁴ А. Попов, *დასახ. წიგნი*, გვ. 280.

¹⁶⁵ А. Попов, *Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев*, 1, 1903, стр. 223—225.

¹⁶⁶ გრ. ფერაძე, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 185.

¹⁶⁷ Иоанн Фока, *Сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима, также Сирнии, Финикии и о св. местах в Палестине*. ППС, т. VII, в. 2, гв. 54.

თა, взамен десятины с виноградника, расположенного у второго Прокопия»¹⁰⁸. საფიქრებელია, აქ ჯვარის მონასტრის ის ზვრები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც 1177 წელს ბალდუინ IV-მ ანასულის ალაპის მიხედვით წაართვა მონასტერს.

მაგრამ ვენახების დაკარგვას ჯვარის მონასტრის ბერები ადვილად როდი ეგუებოდნენ. 1178—1184 წლებში იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზ გულაბერიძეს ყველა ზომა მიუღია იმისთვის, რომ დაეცვა ჯვარის მონასტრის ქონება და მამულები განიავებისაგან. ნ. გულაბერიძის ალაპიდან (№ 127) ვგებულობთ, რომ მას „უქმოუსყიღია“, ე. ი. გამოუსყიღია მონასტრის ვენახი და სხვაც მრავალი წარუგია მონასტრისადმი. ამავე წლებში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ანასულის დაუოკებია ოქროს დუკატებით ბალდუინ IV (რომლის მეფობის დღეები უკვე დათვლილი იყო) და ამ გზით გადაურჩენია მონასტრის ქონება სრული განიავებისაგან.

1187 წელს სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი. ჩანს, იერუსალიმის გაკოტრებულმა სამეფომ და იერუსალიმის ხარბმა მეფეებმა იმდენად შეაწუხეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომ სალადინის მიერ იერუსალიმის დაპყრობას სიხარულით შეხვდა. ქართველებსაც იმედი მიეცათ, რომ სალადინის მეშვეობით ისინი დაიბრუნებდნენ ლათინთაგან ჩამორთმეულ მონასტრებს, მამულებსა და უფლებებს წმ. ადგილებზე.

სალადინის ისტორიკოსის ბეჰა-ედ-დინის ცნობით, 1187 წელს იერუსალიმში ჩავიდა ქართველთა დესპანი ინსტრუქციით, რომელიც შეეხებოდა ქართველების მიერ იერუსალიმში მოპოვებულ წმიდა ადგილებს. ქართველები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოართვეს წმინდა ადგილები. ქართველი დესპანი მოითხოვდა სულთანისაგან ამ ადგილებზე ქართველთა უფლებების აღდგენას¹⁰⁹.

აქ უკვე სახელმწიფოებრივ ღონისძიებასთან გვაქვს საქმე.

ჯვარის მონასტრის არსებობის ამ მძიმე წლებში, როგორც ჩანს, თამარი დიდ შესაწირავენს გზავნიდა იერუსალიმში. ბასილი ეზოს მოძღვარი წერს, რომ თამარი „წარაველენდის სარწმუნოთა

თვსთა და დაავედრის ესრეთ: იწყეთ ალექსანდრიით, ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა და მათკერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის; ხოლო იერუსალიმისათვს რადლა საქმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშუმებსა და სიწმიდეთა საბურავეებსა და მონაზონთა და გლახაკთათვს ოქროთა აურაცხელთა“¹⁷⁰.

სავესებით დასაშვებია, რომ შოთა რუსთაველი იყო იმ „სარწმუნოთაგანი“, რომელიც შეწირულებითა და დავალებებით იგზავნებოდა იერუსალიმში, და რომელმაც, სხვათა შორის, ჯვარის მხატვრობის განახლება-შეკეთებაზეც იზრუნა, რის გამოც, ვითარცა დამხატავი სიკოცხლეშივე სვეტზე იქნა გამოსახული და ალაპებშიც საპატიო ადგილმიჩენილი.

ასეთ ვითარებაში განცვიფრებას იწვევდა ის, რომ ჯვარის მონასტრის ალაპთა და მოსახსენებელთა ოფიციალურ კრებულებში არსად ჩანდა თამარი. მაგრამ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შესწავლამ ეს შეუსაბამობაც მოხსნა. როგორც გაიჩვენა, ჯვარის მონასტრის კრებულს თამარისათვის კერძო (ე. ი. საკუთარი) სვინაქსარი დაუწესებია (იერ. № 45), ე. ი. მისი მოსახსენებლები საერთო სვინაქსარებში კი არ შეტრანიათ, არამედ მისთვის გაუწესებიათ ცალკე სვინაქსარი, სადაც ჩაწერილია მხოლოდ მისი მოსახსენებლები ყველა საუფლო და დიდ დღესასწაულებზე და მის გარდაცვალების დღეზე (27 იანვარს). ასეთი კერძო სვინაქსარი იერუსალიმის ხელნაწერებში ჩვენ მხოლოდ თამარის ეს ერთადერთი სვინაქსარი გვგვხვდება.

ამრიგად, XII—XIII სს. მიჯნა, ლათინთა სამეფოს არსებობის უკანასკნელი წლები და სალადინის აღზევების ხანა მძიმე და მღელვარე დრო იყო როგორც იერუსალიმის, ასევე ჯვარის მონასტრის ისტორიაში. ჯვარი ამ დროს განსაკუთრებულ ზრუნვასა და დაცვას მოითხოვდა. თამარის ხანის საქართველოს საამისო პოლიტიკური და ეკონომიური ძალა შესწევდა. იერუსალიმში ჩასული პილიგრიმები თუ საქართველოდან გარკვეული დავალებით გაგზავნილი პირები ზრუნავდნენ დაკარგული მამულების გამოსყიდვაზე (ნიკოლოზ გულაბერიძე), დაკარგული უფლებების აღდგენაზე, მონასტრის გადასახადების დაფარვაზე (ანასულის) და ბოლოს მონასტრის ინვენტარზე, შემკულობაზე, შენობის წესრიგზე და მისი

¹⁰⁸ ვიზოწმებ ა. პოპოვის მიხედვით, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. II, გვ. 177.

¹⁰⁹ Pilgrim Palestinian Text Society. London, 1897, XIII, გვ. 384. ვიზოწმებ გ. ფერაძის ნაშრომის მიხედვით. An account of the georgian monks and monasteries in Palestine. Georgia, 1937, № 4—5, გვ. 186.

¹⁷⁰ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, ი. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 30.

მხატვრობის განახლებაზე (შოთა რუსთველი). ზრუნვის ეს ფაქტები აისახა მონასტრის ალაპებში, თამარის ისტორიკოსთან და ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობაში შოთა რუსთველის ფრესკის სახით. ერთი სიტყვით, თუ ჯვარის მონასტრის კედელზე როდისმე იყო შოთა რუსთველის გამოსახვის საჭიროება, მხოლოდ მისსავე დროს, მისივე დამსახურებისათვის, ვინაიდან ჯვარის მონასტრის მისი არსებობის ყოველ მონაკვეთში თავისი მზრუნველები და ქომავნი ჰყავდა, რომელთაც ასევე დატოვეს თავისი კვალი წერილობით ძეგლებსა და მხატვრობაშიც.

ჯვარის მონასტრის მოხატვის შესაძლებლობას სწორედ ჯვაროსანთა ეპოქაში საცვებით უჭერს მხარს კედლის მხატვრობის თემატიკა, კერძოდ სებასტიანეს გამოსახულება მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, რომელიც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ჯვარის მონასტრის კედლებზე შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ ჯვაროსანთა ეპოქაში, იტალიური ხელოვნების გავლენით¹⁷¹.

XIII—XVI სს. მანძილზე ჯვარი, როგორც ჩანს, არა ერთგვის დაუბრუნებიათ და შეუვიწყრობიათ. განსაკუთრებით მძიმე იყო მამლუქთაგან ჯვარის მიტაცება 1273 წელს და მისი მიზგითად გადაქცევა¹⁷². „დატყვევებული“ ჯვარის განთავისუფლება ქართველებისათვის გადაიქცა ეროვნული ღირსების დაცვის საქმედ. ამიტომ ტყვეობის პერიოდში ჯვარის მონასტრის კრებული, დროებით მეტოქეში შეფარებული, აუარებელ მდიდარ შეწირულებებს ღებულობდა. ამას მოწმობს ამ პერიოდის ალაპები, დიდი რაოდენობით მოღწეული ჩვენამდე.

ჯვარის განთავისუფლებაზე გვემინი ზრუნვა თავს იდგა სამმა ქართველმა მეფემ: ვახტანგ III, რომელმაც 1299 წელს, ჯვარის ტყვეობის ოცდამეექვსე წელს მონასტრის კრებულს დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა (ალაპი № 206); მისმა ძმამ დავით VIII-მ, რომელმაც 1305 წელს სულთანისაგან მიიღო თანხმობა ჯვარის განთავისუფლებაზე და ჯვარი კვლავ „გო ქართველებს“ და „მეორედ აშენა“ (ალაპი № 295) და კოსტანტინე აფხაზთა მეფემ (გარდაიცვ. 1327 წ.), რო-

მელმაც „ახლად შეკაზმა“ დავითისაგან მეორედ აშენებული მონასტერი (ალაპი № 239). კოსტანტინესთვის გაწესებულ ალაპში წერია: „ალაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფისა კოსტანტინესი, ჯვარისა მონასტრისა ახლად შეკაზმავისა“ (ალაპი № 239).

რას უნდა ნიშნავდეს მონასტრის შეკაზმვა? შეკაზმვა ან მოკაზმვა შეიძლება გულისხმობდეს ეკლესიის მორთვას, რაც მოხატვასაც ვარაუდობს. შეიძლება გულისხმობდეს მონასტრის უზრუნველყოფას „აკაზმულობითაც“. „აკაზმულობა“ საეკლესიო მოწყობილობის მნიშვნელობით რამდენჯერმეა ნახმარი ათონის ივერიის მონასტრის ალაპებში; ასე მაგ., № 32 ალაპში ეკითხულობთ: „ალაპი განვაწესეთ ძმისა ჩუენისა კახისა კვრიკესთჳს. დაუტევა ეკლესიასა სტავრანი და აკაზმულობაჲ, რომელ ვაფასეთ სამ ლიტრად განძად“. ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსეს ალაპში კი ეკითხულობთ, რომ მან „საუძლურე ალაშენა მისით აკაზმულობითა“ (№ 163). აკაზმულობა აქაც საუძლურის მოწყობილობას ნიშნავს¹⁷³.

თუ შეკაზმვას დაუეკავიშობთ აკაზმულობას, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ კოსტანტინე აფხაზთა მეფეს ჯვარის მეორედ აშენების შემდეგ მონასტერი ინვენტარით მოუწყვია. ასეთ მოწყობას მონასტერი საჭიროებდა, ვინაიდან მამლუქებმა იგი სრულიად გააპარტახეს. წმ. ლუკას ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ შეიხ ხიდრი „ვითარცა მკვეცი მიუდგა ძმთა ჩუენთა ქართველთა და არა-რაჲ შეარჩინა არცა მონასტრით და არცა თვისაჲ, რაჲცა თჳსგან ჰქონდათ, და ეგეთნი შიშეელნი გამოასხნა“¹⁷⁴. მაგრამ უფრო მეტად საჭიროებდა მონასტერი მხატვრობის განახლება-გაცხოველებას. ჯვარის მონასტრის შენობის შეკეთება-განახლება, ანუ „მეორედ შენება“, რომელიც დავით VIII თანხებითა და ინიციატივით მომხდარა, ბუნებრივია, მონასტრის მხატვრობის გაცხოველება-განახლება უნდა მოჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ მამლუქთაგან მიტაცებულსა და 33 წლის მანძილზე მიზგითად ქცეული ჯვარის მონასტრის მხატვრობის წმინდანთა და ქართველ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს ამ დროს კარგი დღე არ დაადგებოდა; ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ კოსტანტინე მეფის მიერ მონასტრის ახლად შეკაზმვა

¹⁷¹ იხ. შ. ამირანაშვილი რას მეტყველებს რუსთველის პორტრეტი? ვახ. კომუნისტი, 1961, 7 იანვარი, № 5. Die Wandgemälde in der kirche des kreuzesklosters bei lerusalem (Ein orientierender Überblick) Von Anton Baumstark, გვ. 783.

¹⁷² ამ საკითხზე ბევრია დაწერილი. ჯვარის მონასტრის „დატყვევებისა“ და განთავისუფლების თარიღებს ვრცლად ვეხებით აქვე, გვ. 41—43.

¹⁷³ XIII ს. დამდეგის შიომღვიმის ერთი საბუთის (Ad—81) მიხედვით კაზმვა და აკაზმვა გაწყობა-გაძარტვას, შეკეთებას ნიშნავს.

¹⁷⁴ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

მონასტრის ახლად მორთვის და მოხატვას უნდა ნიშნავდეს.

ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობის განახლება-გაცხოველება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასე მაგ., მარტვილის ეკლესია ოთხჯერ მინც არის მოხატული¹⁷⁵. ხობის, ისევე როგორც მარტვილის მხატვრობა, რამდენჯერმე განუახლებიათ¹⁷⁶. გელათის კედლის მხატვრობაზე კი ხელოვნებათმცოდნე თ. ვირსალაცე წერს: „Зидота ктитором сказалась и на внутреннем оформлении храма—роспись его поновлялась и неоднократно поновлялась“, და იქვე დასძენს: „Чем интенсивнее историческая жизнь памятника, тем больше на нем поздних наслоений“¹⁷⁷. თუ რომელიმე ქართულ მონასტერზე შეიძლება ამის თქმა, პირველ რიგში ჯვარზე. ჯვარის მონასტერს შეტად ინტენსიური ცხოვრება ჰქონდა, რაც შეუძლებელს ხდის იმის დაშვებასაც კი, რომ მონასტერი მხოლოდ ერთხელ მოიხატა და ისიც XVII საუკუნეში. თუ მონასტრის მოხატვა შესაძლებელი იყო მისი არსებობის დაკნინების პერიოდში, მით უმეტეს ეს მოხერხდებოდა უფრო ადრე საუკუნეებში, როდესაც მონასტრის კრებულს საამისოდ გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ XIV საუკუნის დამდეგს მონასტრის მხატვრობის განახლება-შეცვლების ვარაუდს სავსებით უპერს მხარს კედლის მხატვრობის შინაარსობლივი ანალიზი.

ამგვარად, ჯვარის მონასტრის „ტყვეობიდან“ განთავისუფლება, მისი „მეორედ აშენება“ და „ახლად შეკაზმვა“ თავს იღვეს ვახტანგ III-მ, დავით VIII-მ და კოსტანტინე აფხაზთა მეფემ. ამ დიდი დამსახურებისათვის სამივე მეფისათვის გაწესდა ალაპები საუფლო და დიდ დღესასწაულებზე. დავით მეფისათვის ღვთისმშობლის მიძინებას (15 აგვისტოს, № 295) და თევდორობის შაბათს (T—12); ვახტანგ მეფისათვის — დღესა დიდებულსა ხარებისასა (№ 206) და კოსტანტინე მეფისათვის — 21 მაისს, მისი სეხნია კოსტანტინე დიდის მოხსენიების დღეს. არც ერთი ამ ალაპთაგანი არ არის გაწესებული მიცვალების დღეს, ამიტომ საფიქრებელია, რომ სამივე შედგენილია მათ სი-

ცოცხლეში მათ მიერ მონასტრისათვის გაწეული სამსახურის სამუქედოდ.

ჯვარის მონასტერი მამლუქთა შემდეგაც არაერთჯერ აწიოკებულა. ე. წ. „გოლგოთის სვინაქსარის“ 1400 წლის ერთი მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ამ დროისათვის ჯვარის მონასტერი „აშლით აუოკრებიათ“. „აქა მოვიდა მწყვერელი პიმენ მას ჟამსა, ოდეს თემურ დიმაშხი (დამასკო) აოკრა და ჯუარისა სახლი აშლით აოკრეს...“¹⁷⁸

პიმენ მწყვერელმა, შემდეგ ჯვარის მამამ, ბერი იღვაწა ჯვარის მონასტრის მოწესრიგებასა და ეკონომიურ მომაგრებაზე.

ჯვარის მონასტრის საფუძვლიან შეკეთებასთან ერთად ხდებოდა მონასტრის ნაწილობრივი გამაგრება, შეკეთება და მხატვრობის გაცხოველება. ასე მაგ., XV—XVI სს. მიჯნაზე სერაპიონ კუმურდოელს მეორედ აუშენებია მონასტრის ტრაპეზი (ეს ცნობა დაცულია ალაპებში, — № 21; ამასვე იმეორებს იერუსალიმის ხელნაწერ № 21-ის მინაწერი, გვ. 111). დაახლოებით ამავე დროს მამქან-ყოფილმა მაკრინემ ააშენა ჯვარის მონასტრის გალავანი (ალაპი № 210), ხოლო როდამ-ყოფილმა რიფსიმემ გამოისყიდა მონასტრის მალარიკონი (მარანი) და ბორბლითა და ქვით ხელმეორედ ააშენა მონასტრის „ოკერი წისკვილი“ (№ 215).

კანტიკუნტად შემორჩენილი ეს ცნობები, რა თქმა უნდა, ვერ ასახავენ მონასტრის შეკეთება-განახლების რთულ ისტორიას, მაგრამ აშკარად მოწმობენ იმას, რომ XI—XVI საუკუნეებში მონასტერი მრავალჯერ შეკეთებულა.

მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის საინტერესოა კედლის მხატვრობის არა ყოველგვარი გაცხოველება და სახელდახელო რესტავრაცია, არამედ მხოლოდ ისეთი განახლება ან მეორედ მოხატვა, როდესაც კედლის მხატვრობა მდიდრდებოდა ახალი კტიტორების გამოსახულებებით, ახალი ისტორიული პირებით, ახალი წმინდანებით და მონასტრის ახალი ამგდარებით. მხოლოდ ამგვარი მიჯნების გამოყოფის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რამდენჯერ და როდის მოიხატა ნიკიფორემდე ჯვარის მონასტერი და რა დროისაა ის უკანასკნელი ფენა, რომელიც დახვდა ნიკიფორეს.

ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობაში ტრადიციულ თემატიკასთან ერთად¹⁷⁹ დიდი აღ-

¹⁷⁵ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 118.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 134—137.

¹⁷⁷ Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма; ქართ. ხელოვნება, V, გვ. 162-170.

¹⁷⁸ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 43.

¹⁷⁹ იკონოგრაფიული თვალსაზრისით ჯვარი აღწერილი და შესწავლილი აქვს ა. ბაუმშტარკს დასახ. ნაშრომში.

გილი აქვს დათმობილი ქართველი წმინდანებისა და ქართველ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს.

ეს გამოსახულებები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

ფრესკები, რომლებიც ჯვარის მონასტრის აშენების ისტორიას ასახავენ, ამ რიგისანი არიან: მეფე მირიანისა და ვახტანგ გორგასალის გამოსახულებები, რომლებთანაც დაკავშირებულია გადმოცემა ჯვარის მონასტრის აშენების შესახებ¹⁸⁰, ბაგრატ კურაპალატი, რომლის თანხებითა და მხარდაჭერით ააშენა პროხორე შავშელმა ჯვარი, და ბოლოს, თვით პროხორე შავშელი.

მეორე ჯგუფად გამოიყოფა ქართველ წმინდანთა გამოსახულებები. ამ პირთაგან ზოგი თავისი საქმიანობით დაკავშირებულია პალესტინის ქართულ კოლონიასთან, მაგ., პეტრე იბერი, პირველი სახელმძღვანელო ქართველი მოღვაწე პალესტინაში, ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდლები¹⁸¹, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჯვარის მონასტრის აშენებაში და ჯვარის მონასტრის კულტურული კერის შექმნაში, და ბოლოს, ლუკა იერუსალიმელი, ჯვარის მამა, რომელიც აწამეს 1273 წელს—ჯვარის მონასტრის მამულქათაგან დაპყრობის წელს და დაპყრობასთან დაკავშირებით.

იერუსალიმში ყოფნის დროს ნ. ჩუბინაშვილს¹⁸² უნახავს მონასტრის კედელზე გამოსახული ისე წილქნელი, სტეფანე ხიზსელი, ანტონი მარტყოფელი და აბიბოს ნეკრესელი,—ე. ი. ერთი ჯგუფი მისიონერ სირიელ მამათა, რომელთა საქმიანობა ქრისტიანულ აღმოსაყვლეთან იყო დაკავშირებული. ძნელია იმის თქმა, თუ რა პრინციპით არის შერჩეული სწორედ ეს ოთხი მამა 13 სირიელ მამათაგან, უფრო საფიქრებელია, რომ დანარჩენთა გამოსახულებები ან გადასულა დროთა ვითარებაში, ანდა დაფარულა ახალი ფრესკებით მონასტრის მორიგი მოხატვის დროს. განურჩევლად იმისა, თუ რამდენი სირიელი მამა იყო თავდაპირველად გამოსახული მონასტრის კედლებზე, ერთი

აშკარაა, რომ V—X სს. ქართველი წმინდანებიდან ჯვარის მონასტრის კედლებზე გამოსახა მხოლოდ სირიელ მამათა ჯგუფი. ამავე დროის სხვა ქართველი წმინდანები ჯვარის ფრესკულ მხატვრობაში არ ჩანან, ეტყობა არც ყოფილან.

1758 წელს ტიმოთე გაბაშვილს უნახავს ქართველ წმ. მამათა და მოწამეთა ჯგუფური გამოსახულება წარწერებით¹⁸³. მათი ნაშთები ნიკოლოზ ჩუბინაშვილმაც იხილა¹⁸⁴.

ტიმოთეს ცნობით, ჯგუფურ გამოსახულებაში იყვნენ შემდეგი პირები:

მღვდელმოწამე მოსე ქართველი.

მარი მღვდელმოწამე ქართველი.

მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელი აწამა ყენმან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვისსა ქორონიკონსა ტ.

მამა არსენი იბადისძე ქართველი, გვარად ვაჩნაძე, ფილოსოფოსი.

მამა ეფთჳმე გრძელისძე ქართველი.

მამა მიქელ ქუაისძე ქართველი.

მამა იოანე რეხვაძისძე ქართველი.

მამა დანიელ აბაშვილი ქართველი.

მამა იოანე ჭიმჭიმელი ქართველი და ფილოსოფოსი.

კათალიკოსი ქართლისა არსენი.

კათალიკოსი ქართლისა იოანე.

ეპისკოპოსი კინდ ქართველი.

ეპისკოპოსი ნუნუს ქართველი.

ამ სიაში არიან: სამი ქართველი მღვდელ-მოწამე: 7 ქართველი მამა, ორი ქართველი კათალიკოსი და 2 ქართველი ეპისკოპოსი. სიის მესამე ადგილზეა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, „რომელი აწამა ყენმან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვისსა 1612 წელს“. ცხადია, მისი გამოსახულება ნიკიფორეს დროინდელია. რაც შეეხება პირველ ორს—მოსე ქართველსა და მარი მღვდელ-მოწამეს—მათ შესახებ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ ქართულ ლიტურგიულ და აგიოგრაფიულ ძეგლებში. ერთი აშკარაა, რომ ისინი ადგილობრივი მნიშვნელობის მოღვაწენი არიან. მათი პოპულარობა, ჩანს, პალესტინის ქართული კოლონიის იქით არ წასულა და არც იქ ყოფილა იქამდე დიდი, რომ მათი ხსენება იერუსალიმის სეინაქსარში ასახულიყო მსგავსად ლუკა იერუსალიმელისა, ნიკოლოზ დვალისა და სალომე იერუსალიმელისა. სხვათა შორის, ტიმოთე გაბაშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ცალკე გამოყოფს ქართველ მამებს, რომელთაც „ცხოვრება თვისი დაასრულეს ქალაქსა შინა იე-

¹⁸⁰ ამ გადმოცემის ყველაზე ადრეული წერილობითი ფიქსაცია გვაქვს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“.

¹⁸¹ იერუსალიმის ერთი ზღუნაწერის ცნობით, ჯვარის მონასტერი პროხორემ ააშენა „ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა მამისა ეფთჳმისაჲთა“ (იხ. А. Чагарея и. Памятники, გვ. 173).

გიორგი მთაწმიდელიც ჩავიდა მონასტერში მაშინ, „ოდეს მამა პროხორე ჯვარისა მონასტერსა აშენებდა. ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია“ (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება: ათონის კრებული, 1901 წ., გვ. 309).

¹⁸² Описание Крестного монастыря близу Иерусалима Н. Чубиновым: Сведения, т. I, вып. III, გვ. 45.

¹⁸³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 85—86.

¹⁸⁴ Н. Чубинов, დასახ. წიგნი, გვ. 46.

რუსალიმსა*. ასეთებად მას მიაჩნია მიქელ ქუაის-
ცე, იოანე რეხეაისძე, დანიელ აბაშვილი, ლირსი
ეპისკოპოსი კინდ, ეპისკოპოსი ნუნუს, ნიკიფორე
ჩოლაყაშვილი, თეოდორე მანგლელი რევიშვილი¹⁶⁵.
მართალია, ეს ვარაუდი არ ეყრდნობა რაიმე დოკუ-
მენტალურ მასალას, უფრო ტიმოთეს ცნობის ავ-
ტორისეულ გააზრებას წარმოადგენს, მაგრამ
ეს გააზრება არ არის მოკლებული ლოგიკურ სა-
ფუძველს. თუ რა დროის მოღვაწენი არიან
მღვდელ-მოწამენი მოსე და მარი, მამა ქუაისძე
და იოანე რეხეაისძე და ეპისკოპოსები კინდი და
ნუნუს, ძნელი სათქმელია. უფრო საფიქრებელია,
რომ ისინი არიან ან პროხორე შავშელის წინა
დროის პალესტინის ქართველი მოღვაწენი, ანდა
პროხორეს თანამედროვენი. ეს კი ის დრო იყო,
როდესაც ჯვარის კრებულს ჯერ კიდევ არ ჰქონ-
და წესად პალესტინის ქართველ მოღვაწეთა ლეაწ-
ლის წერილობითი ფიქსაცია. ეს ტრადიცია უფ-
რო გვიან დამკვიდრდა¹⁶⁶. ამ ვარაუდს მხარს
უჭერს ეპისკოპოს კინდის ხსენება ამ ჯგუფურ
გამოსახულებაში. კინდი ქართულ ონომასტიკონში
არ ჩანს. მაგრამ კინდთან დაკავშირებით არ შეი-
ძლება არ გავიხსენოთ VII საუკუნის პალესტინის
სომხური მონასტრების აღწერილობა, გამოქვეყნე-
ბული ლ. ალიშანის მიერ. VII საუკუნის ავტორი ჩა-
მოთვლის პალესტინის 70 სომხურ მონასტერს და,
სხვათა შორის, მოიხსენიებს ნეტარი კინდის მო-
ნასტერს იოდასაფის უდაბნოს მისასვლელთან.

კინდის ვინაობის შესახებ ლ. ალიშანი კარკვევით
ვერაფერს ამბობს. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ
კინდი შესაძლოა წმ. ნერსეს მოწაფე, ე. ი. IV
საუკუნის II ნახევრის მოღვაწე იყოსო¹⁶⁷.

ჩვენ აქ ვერ შევეუდგებით იმის ძიებას, თუ რა
მიმართებაა ამ ორ კინდს შორის. ამჯერად ჩვენ-
თვის საინტერესო და საკმარისია ის, რომ კინდი
და მისი სახელწოდების მონასტერი დამოწმებუ-
ლია VII საუკუნის წყაროში. ხომ არ არიან კინ-
დი და მარი ეპისკოპოსები ჯვარის მონასტრის
წინადროინდელი იერუსალიმის რომელიმე ქართუ-
ლი ეკლესიის ეპისკოპოსნი? VI ს. ერთ-ერთი (სა-
მუელ) ეპისკოპოსის საფლავი ხომ აღმოჩნდა კი-
დეც ახლახანს იერუსალიმში¹⁶⁸.

¹⁶⁵ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 184.

¹⁶⁶ ტ. გაბაშვილი, მიმოსლეა, 1956, გვ. 0182.

¹⁶⁷ Archive de l' Orient latin, t. II, გვ. 394—399.
სხვათა შორის ეს ძველი სომხური წერილობითი წყარო
იმიტაც არის საინტერესო, რომ აქ დაცულია უძველესი
ცნობა იმის შესახებ, რომ იოანეს მონასტერი, აღდგომის ეკ-
ლესიის მახლობლად, ქართველებს ეკუთვნოდა.

¹⁶⁸ გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183—184.

განვიხილოთ ახლა ჯგუფური კომპოზიციის ის
პირები, რომელთა შესახებაც მოგვეპოვება რაიმე
ცნობები. ესენი არიან: არსენ იბადისძე, ტი-
მოთეს ცნობით გვარად ვაჩნაძე, ფილოსოფოსი.
ჩანს, აქ არსენ იყალთოელი იგულისხმება¹⁶⁹.

ეფთვიმე გრძელიძე, ანუ იგივე ეფთვიძე
გრძელი, XI საუკ. ცნობილი პოლემიკოსი, სოს-
თენთან მოპაექრე. ეფთვიმე გრძელის მოხსენიება
არსენ იბადისძის შემდეგ უფრო სარწმუნოს
ხდის ტიმოთეს ცნობას არსენზე. ჯგუფურ კომპო-
ზიციაში ერთმანეთის გვერდით ყოფილან გამო-
სახული დოგმატიკური მართლმადიდებლობის
დამცველი ორი დიდი პოლემიკოსი: არსენ იბა-
დისძე იყალთოელი და ეფთვიმე გრძელი.

ჯგუფური კომპოზიციის მამათაგან ცნობილია
აგრეთვე იოანე ჭიჭიშვილი, გიორგი III-ისა და
თამარის დროინდელი მოღვაწე და მთარგმნელი.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული სამივე მამა
XI—XII სს. მოღვაწენი არიან.

ჯგუფურ კომპოზიციაში სულ ორი კათალიკო-
სი ყოფილა გამოსახული: იოანე და არსენი.

XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე სულ სამი
იოანე კათალიკოსია ცნობილი. ერთია—იოანე
საფარელი (მისი ზეობის წლებია 1100—1142 წლე-
ბი); მეორეა—თამარის დროინდელი კათალიკოსი
(1208—1210), ხოლო მესამეა—ნიკიფორე ჩოლა-
ყაშვილის თანამედროვე იოანე ავალიშვილი
(1610—1613). ამგვარად, ჯვარის მონასტრის კე-
დელზე გამოსახული იოანე კათალიკოსი უნდა
იყოს ან XII—XIII ს. მოღვაწე, ან XVII ს. და-
მდეგისა. არსენი უფრო ზეტია კათალიკოსად
ცნობილი: არსენ დიდი საფარელი (860—
887 წწ.), არსენ II კათალიკოსი (955—980),
არსენ III (1222—1225) და არსენ ბულმაისიმიძე
(1230—1240). თუ რომელი არსენია გამოსახული
ჯვარის მონასტრის კედელზე, ძნელი სათქმელია.
ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: რო-
მელი არსენიც არ უნდა იყოს ის, მისი მოღვაწეო-
ბის ხანა XIII ს. შუა წლებს არ გასცილდება.

¹⁶⁹ თეიმურაზ ბატონიშვილი თავის კომპილაციურ
თხზულებაში: „აღწერა იერუსალიმის ქართველთა მონას-
ტერთა“ არსენ იყალთოელზე სწერს: „ესე ვინაითგან იყო
სიმცროდგან იერუსალიმს ჯვარის მონასტერსა შინა აღზრ-
დილი, ამისთვის უწყოდა მან ენა ბერძული ფრიად საქებუ-
ლად და არაბული ენა და ასურული, და ესე იყო მთარგმნე-
ლი წიგნთა“ (S—3651, გვ. 19).

თეიმურაზის ამ თხზულების, მთელი ფაქტიური მასა-
ლა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლეის“ თავისუფალ გად-
მოცემას წარმოადგენს, და ერთი შეხედვით ახალი ცნობაც
სხვა არაფერია, თუ არა ტიმოთეს მასალის საფუძველზე
შიღებულნი ავტორის ვარაუდი და ნებითი დასკვნები.

ამგვარად, ჯგუფური კომპოზიციის იმ პირთა უმრავლესობა, რომელთა ვინაობის დადგენა შესაძლებელია, V—XIII სს. მოღვაწენი არიან. მხოლოდ ერთი მათგანია აშკარად ნიკიფორეს თანამედროვე, XVII საუკ. დამდეგის მოღვაწე (წმ. ქაიხოსრო ქართველი), ხოლო მეორე—იოანე კათალიკოსი—ან XII—XIII სს. მოღვაწეა, ან ისევ ნიკიფორეს თანამედროვე კათალიკოსი, ე. ი. ჯგუფური კომპოზიციაში ორად ორი ფენა გამოიყოფა. პირველი ძირითადი ფენა იფარგლება XIII ს. შუაწლებით, ხოლო მეორე წარმოადგენს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის დროინდელ შევსებას.

ამგვარად, განხილული მასალის მიხედვით XIII საუკუნის დამლევით უნდა მივიჩნიოთ ერთგვარ ზღვრად, რომლის შემდეგ მონასტრის კედლის მხატვრობის შევსება ქართველ წმინდანებისა და კათალიკოსების გამოსახულებებით მომხდარა მხოლოდ ნიკიფორეს დროს. ნიკიფორეს მხატვრობის ძველი ფენა შეუესია თავისი თანამედროვე წმინდანთა და კათალიკოზით (თუ დაეუშვებთ, რომ იოანე კათალიკოსი იოანე ავალიშვილია).

ამავე თვალსაზრისით განვიხილოთ ჯვარის მონასტრის კედლებზე გამოსახული სხვა ისტორიული პირები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მონასტრის ცენტრალურ ადგილას გამოსახული არიან ის პირები, რომლებთანაც დაკავშირებულია მონასტრის აშენების ისტორია (მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ კურაპალატი). ამათ გარდა სვეტებზე გამოსახულია: სამი დამხატველი—შოთა რუსთველი, გრიგოლ დრანდელი, არსენ ავრი და ვინმე იოანე გურული. საკურთხევლის ორივე მხარესა და კედლებზე კი—ლეონ დადიანი და ნესტანდარეჯანი, რომელთა სახსრებითაც მოახატინა ნიკიფორემ მონასტერი 1643 წელს; მარიამ დედოფალი, ლევან დადიანის და, როსტომ ქართლის მეფის მეუღლე, რომელმაც ნიკიფორეს ჯვარის მამობისა და გოლგოთის არქიმანდრიტობის დროს გოლგოთას დიდი შეწირულება გაუგზავნა; თბილელი მთაწარეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი, რომელიც 1540 წელს ათონის ივერიის მონასტერში ყოფილა¹⁹⁰, ხოლო იქიდან, ჩანს, გამგზავრებულა იერუსალიმს, ვინაიდან იერუსალიმის № 36 ხელნაწერის საცავე ფურცელზე სინგურით წარწერილია: „ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი ელისე ეპისკოპოსი“.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილის თანამედროვეა აგრეთვე მაქსიმე მაქუტაძე, აფხაზეთის კათალიკოსი,

რომელიც იერუსალიმში 1641 წლისათვის უნდა ჩასულიყო. მაქსიმეს კათალიკოსობის დასაწყისად მიჩნეულია 1639 წელი¹⁹¹. ქრისტეფორე კასტელის ცნობით, მაქსიმე 1641 წელს ყოფილა იერუსალიმში. ლამბერტის ცნობით კი მაქსიმე სამჯერ ჩასულა იერუსალიმში¹⁹². ამგვარად, ელისე თბილელიცა და მაქსიმე მაქუტაძეც ჯვარის მონასტერში ყოფილან ჯვარის მოხატვის ახლო ხანებში და, შესაძლოა, მოხატვის დროსაც.

მონასტრის დასაველეთის კედელზე გამოსახული არიან პაატა და ქაიხოსრო წულუკიძენი, აგრეთვე ნიკიფორეს თანამედროვე მოღვაწენი. ერთ-ერთი მათგანისათვის ნიკიფორეს ალაპიკ გაუწესებია, სადაც სწერია, რომ ქაიხოსრო წულუკიძემ ააშენა ქრისტეს საფლავთან წმ. ნიკოლოზის საყდარი სამოცი სახლით, ქვითკირით კამარა-შეკრული, და დიხსნა წმ. ნიკოლოზის წისქვილი და ვენახი. ამის სამუქფოდ ნიკიფორემ იგი დახატა ჯვარის მონასტერში და დაუნთო კანდლები (№ 99).

სათქმელია, რომ ასეთივე ალაპი იყო განწესებული პაატა წულუკიძისთვის. ტიმოთე გაბაშვილი პირდაპირ წერს, რომ ნიკოლოზის მონასტერი აუშენებიათ პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეებს¹⁹³. ამ ცნობის სიმართლეს ადასტურებს ისიც, რომ ჯვარის მონასტრის კედელზე ერთად არიან გამოსახული ქაიხოსრო და პაატა.

და ბოლოს, მონასტერში არის ნიკიფორე ჩოლაყაშვილისა და მისი თანამედროვისა და თანამოღვაწის თეოდორე მანგლელ-რევიშვილის ფრესკები.

თეოდორე მანგლელი ეპისკოპოსი რევიშვილი იერუსალიმის ქართული კოლონიის ენერგიული წევრი იყო. 1619 წელს, და ეტყობა უფრო ადრეც, ის ჯვარის მამა ყოფილა და მონასტრისათვის ძველად შეწირულ მამულებზე უფლებების აღსადგენად იმერეთში უმოგზაურია¹⁹⁴. ხელნაწერის ერთი ანდერძის მიხედვით კი, რომელზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვჩერდებით, მას შეუქმებია და მოუხატინებია კიდევ ჯვარის მონასტერი.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილის დეაწლზე ბევრია დაწერილი, ანტომ აქ ამაზე არ შეგჩერდებით.

¹⁹¹ ბ. ლომინაძე, მასალები დასაველეთ საქართველოს XVII—XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. 3., გვ. 131.

¹⁹² იქვე, გვ. 131.

¹⁹³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოაღვა, 1956, გვ. 81.

¹⁹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Hd—11273.

¹⁹⁰ ათონის კრებულის, 1901, გვ. 275.

თავისი დამსახურება ნიკიფორეს აუსახავს მონასტრის წარწერებსა და მხატვრობაში.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილს არც თავისი მშობლები გამორჩენია მხედველობიდან. მონასტრის პირველ სვეტზე, მარცხნივ, მოთავსებულია ომან, ქაიხოსრო და ბარბარა ჩოლაყაშვილების მოსახსენებელი¹⁰⁵.

ამგვარად, ისტორიულ პირთა ფრესკებშიც ორი ქრონოლოგიური ფენა გამოიყოფა: ერთი ძველი, რომელიც XIII ს. დამლევით იფარგლება (XIII ს. დამლევის და XIV ს. დამდეგის მოღვაწეა დამხატვა გრიგოლ დრანდელიც), მეორე, ახალი, რომელიც მოიცავს XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწეთა გამოსახულებებს.

ასეთივე ვითარებაა ჯვარის მამათა მიმართაც. მონასტრის კედლის მხატვრობაში 3 ჯვარის მამა ჩანს¹⁰⁶.

პირველია პროხორე, ჯვარის მონასტრის აღმანერგელი და პირველი მომხატველიც. მის გვერდით გამოხატულია XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, წმ. ლუკა ჯვარის მამა, რომელიც ჯვარის „მეორედ აშენებისა“ და მეორედ მოხატვის დროს გამოისახა როგორც დიდად ღვაწლმოსილი ჯვარის მამა და მოწამე, და ბოლოს, ნიკიფორე ჯვარის მამა, მონასტრის მესამედ მომხატველი.

პროხორესა და ლუკას გამოსახულებათა ერთმანეთის გვერდით მოთავსება ერთ კომპოზიციაში გვაფიქრებინებს, რომ მონასტრის ახლად მოხატვის დროს ძველის მარტო განახლება კი არ ხდებოდა, არამედ რიგ შემთხვევაში იცვლებოდა ძველი კომპოზიციები, ახალი მასალით კედლის მხატვრობის შევსებისა და ამ მასალის მხატვრობაში ორგანიული ჩართვის მიზნით (ასეთივე ვითარებაა ქართველ მამათა ჯგუფურ გამოსახულებაშიც).

მონასტრის ყოველი ახალი მოხატვა გულისხმობდა ძველი მოხატულობის არსებითი ნაწილის (ტრადიციული იკონოგრაფიული სიუჟეტების) განახლებას, ხოლო ერთი ნაწილის დაფარვას ახალი მასალის ხარჯზე და ამ გზით ეპოქისა და კტიკორთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს პრინციპი შეკეთოდაა გატარებული ჯვარის მონასტრის მხატვრობაში, ამიტომ ის ხარვეზი, რომელიც შეიმჩნევა კედლის მხატვრობაში ისტო-

რიულ პირთა გამოსახულებებში XIV საუკ. დამდეგიდან XVII საუკუნემდე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ეს ხარვეზი იმას მოწმობს, რომ XIV ს. დამდეგს ჯვარის კედლის მხატვრობა განახლებულია და შევსებულია ახალი ისტორიული მასალით, ხოლო ამის შემდეგ იგი კვლავ განახლდა და შეივსო მხოლოდ 1643 წელს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონასტრის კედლის მხატვრობის შევსება XII—XIII სს. მოღვაწეთა ფრესკებით უნდა მომხდარიყო ნიკიფორეს ინიციატივით 1643 წელს.

ნიკიფორეს რომ მიზნად დაესახა ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობის შევსება ქართველ წმინდანთა და იერუსალიმის ღვაწლმოსილ პირთა გამოსახულებებით, ის მარტო XII—XIII საუკუნეებით არ შემოიფარგლებოდა და უყურადღებოდ არ დატოვებდა XIV—XVI სს. იერუსალიმის ქართველ წმინდანებსა და ისეთ პირებს, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს იერუსალიმის ქართულ კოლონიას და რომელთა ღვაწლი ფიქსირებულია სხვადასხვა წერილობით ძეგლებში.

ჯვარის მამამა და გოლგოთის არქიმანდრიტ²ა ნიკიფორე ჩოლაყაშვილმა კარგად იცოდა, რომ ალექსანდრე მეფის ძმისწულმან ბაგრატ გოლგოთა იშოვა და გუმბათი ააშენა ქორონიკონს 164-სა, ე. ი. 1476 წელს (აღაპი № 252). ეს ცნობა შეუმჩნეველი არ დარჩენია იერუსალიმში ხანმოკლე დროით ჩასულ ტიმოთეს, მით უმეტეს, ეს უნდა სცოდნოდა ნიკიფორეს, ვინაიდან ის სვინაქსარი, სადაც ალექსანდრეს ძმისწულის ბაგრატის აღაპია გაწესებული, მუდმივ ნიკიფორეს ხელში ტრიალებდა. შიგ რამდენიმე ათეული აღაპია ჩაწერილი თვით ნიკიფორეს მიერ.

ასევე დიდი სახელი მოიხვეჭა იერუსალიმის ქართულ კოლონიაში ლეონ კახთა და ქართველთა მეფემ, რომელსაც 1536 წელს თავისი საფასით დაუხსნია ქრისტეს საფლავი და გოლგოთა, ხოლო წმინდა ადგილები მარმარით აუშენებია¹⁰⁷. ეს ცნობა ტიმოთემ გოლგოთას საპატრიარქო ტახტის ფეხის მარმარილოს წარწერაში ამოიკითხა. ტიმოთე იმასაც გვამცნობს, რომ ლეონის მოსახსენებელი „ბერძენთა სვინაქსარსა შინა იგ სექტემბერს აუწერიათო“¹⁰⁸. ცხადია, აქ რომელიც კერძო, ადგილობრივი სვინაქსარი იგულისხმება. ლეონი ტიმოთეს იმ ზომის მოღვაწედ მიანდა, რომ მან საქიროდ მიიჩნია ლეონის ფერა-

¹⁰⁵ А. Цагарели, Памятники, ნაწ. III, წარწ. XII.

¹⁰⁶ თვითდარე მანგლელის ფრესკას მხედველობაში არ ვლდებულა, ვინაიდან ის ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობა არ არის, უფრო გვიანდელია (ამაზე დაწერილებით კვემთ).

¹⁰⁷ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 78, სქ. 2.

¹⁰⁸ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 79, სქ. 1.

დი სურათი შეეტანა „მიმოსლვაში“ და ჯვარის მონასტრის კტიტორების — მირიანის, ვახტანგ გორგასალისა და ბაგრატის გვერდით მოეთავსებინა; და ბოლოს, ნიკიფორემ იცოდა, რომ ალაპების მიხედვით დავით მეფემ გაანთავისუფლა ჯვარი მამულუქთაგან, კვალად ავო იგი ქართველებს და „მეორედ აშენა“ იგი. მაგრამ ნიკიფორე ჩოლაყაშვილს ისტორიული ექსკურსიები არ ხიბლავდა. იგი თანამედროვეთა იქით არ იყურებოდა.

ამგეარად, სრულიად აშკარაა, რომ ნიკიფორეს დროინდელ მხატვრობას არ შეიძლება ექსტენოდეს V—XIII სს. ქართველ მოღვაწეთა ფრესკები: ეს ფენა ქართული მხატვრობის ადრეული ფენაა, რომელიც 1643 წელს გაცხოველდა თუ განახლდა. ამიტომ არ შეიძლება ნიკიფორეს დროინდელი იყოს არც საში დამხატველის ფრესკა, რომლებიც ჯვარის მონასტრის სვეტებზეა გამოსახული.

საერთოდაც უნდა ჩითქვას, რომ ისტორიულ პირთა გამოსახულებები, როგორც წესი, იხატება მათ სიცოცხლეშივე შეწირულების გაღებისა თუ რაიმე სხვა სახის დამსახურების „სამუქფოდ“. ამიტომაც, რომ ჯვარის მონასტერში გამოსახულ ისტორიულ პირთა უმრავლესობისათვის ალაპებიც არის მონასტრის კრებულის მიერ გაწესებული.

სანამ უშუალოდ მომხატველთა ფრესკების განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. შესაძლებელია თუ არა უფრო ზუსტად განისაზღვროს, როდის უნდა მოხატულიყო ნიკიფორემდე ჯვარი? ჩვენი ფიქრით, ამ თარიღის დაზუსტება შესაძლებელია. როგორც არაერთგზის ითქვა, ეს ძველი ფენა ისტორიული პირების მიხედვით XIII საუკუნის დამლევით იფარგლება. ამ პირთა შორის ყველაზე გვიანდელი არიან გრიგოლ დრანდელი და ჯვარის მამა ლუკა, რომელიც აწამეს 1273 წელს ჯვარის მიტაცებასთან დაკავშირებით. ლუკას წმინდანად აღიარების შემდეგ მისი ალაპი-მოსახსენებელი სვინაქსარში შეუტანიათ. ეს ალაპი დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია „ჯვარის ტყეობის“ 26 წელს გაწესებული ვახტანგ მეფეთა მეფის ალაპი, და აგრეთვე ალაპი კოსტანტინე აფხაზთა მეფისა, რომელმაც ჯვარის დაბრუნებისა და „ახლად შენების“ შემდეგ იგი ახლად მოკაზმა.

ლუკას და კოსტანტინეს ალაპები რომ ერთი პირის მიერ დაახლოებით ერთდროულად არის დაწერილი, ეს შემთხვევითი ამბავი არ არის. ჯვარის მიტაცების დროს წამებული ლუკა, ჩანს, წმინდანად იყო აღიარებული იმ დროისათვის,

როდესაც ჯვარს ძლიერი მექომაგენი გამოუჩნდნენ და მისი განთავისუფლებაც რეალურ საქმედ იქცა. ამ დროს განაწესეს ლუკასთვის ალაპი სვინაქსარში. და გამოსახეს იგი ჯვარის მონასტერში ჯვარის აღმშენებლის პროხორეს გვერდით.

გარდა ალაპისა იერუსალიმის სვინაქსარში შეტანილია ლუკას და ნიკოლოზ დვალის წამებათა სვინაქსარული ტექსტები. ერთი ხელით დაწერილი ორივე ტექსტი შემდეგაა ჩაქერებული XI საუკუნის სვინაქსარში. ორივე ტექსტი დაწერილი ყოფილა ერთდროულად, ეტრატის ორ გადაბმულ ფურცელზე ერთი პირის მიერ. ეს წამებები 1314 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან ამ წელს აწამეს ნიკოლოზ დვალი (დაწერილებით ამის შესახებ აქვე, გვ. 32).

მოსალოდნელი იყო, რომ, თუ მონასტრის კრებული საჭიროდ მიიჩნეოდა ლუკას გამოსახვას მონასტრის კედელზე მეტად საპატიო ადგილას, მას არც მეორე იერუსალიმელი ქართველი წმინდანი ნიკოლოზ დვალი გამოჩნებოდა მხედველობიდან, ამ დროისათვის ის რომ წმინდანად ყოფილიყო აღიარებული და მისი დეაწლიც წერილობით ყოფილიყო ფიქსირებული. მხოლოდ ლუკას გამოხატვა კი გვაფიქრებინებს, რომ მონასტერი ჯვარის დაბრუნების შემდეგ უნდა მოხატულიყო 1314 წლამდე, ე. ი. ნიკოლოზ დვალის წამების წლამდე. ეს თარიღი კი სავსებით ეთანხმება ჯვარის მონასტერში დავით VIII და კოსტანტინე აფხაზთა მეფის მიერ ჩატარებულ საალმშენებლო და სამხატვრო საქმიანობის თარიღს.

ქართველებისათვის 1305 წელს დაბრუნებული ჯვარი უნდა მოხატულიყო 1305—1314 წლებში.

ჯვარის მონასტრის მეორედ მოხატვის თარიღს სავსებით უჭერს მხარს ის დასკვნები, რომლებიც მიიღო ხელოვნებათმცოდნე თინათინ ვირსალაძემ ჯვარის რეკონსტრუქციული შესწავლის საფუძველზე. მისი აზრით, ჯვარის კედლის მხატვრობაში ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობის გვერდით გამოირჩევა უფრო ძველი, XIV საუკუნის დამდეგის, მხატვრობის ფენა¹⁹⁹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1643 წელს ნიკიფორეს მთლიანად არ დაუფარავს მხატვრობის ძველი ფენა. ზოგი რამ ხელუხლებლად დაუტოვებია. მაგრამ ეს ძველი მხატვრობა, როგორც უკვე ითქვა, თავის მხრივ წარმოადგენს უფრო ადრეული XI და XII სს. მხატვრობის განახლებასა და შევსებას, რასაც

¹⁹⁹ საჯარო მოხსენება წაკითხული 1961 წლის აპრილში საქ. მეცნ. აკადემიის საქტო დარბაზში.

მოწმობს ამ მხატვრობის თემატური ანალიზი და ზემოთ მოყვანილი ცნობები მისი მხატვის შესახებ XI--XII საუკუნეებში.

ამის შემდეგ კვლავ დაეუბრუნდეთ ჯვარის მონასტრის სვეტებზე გამხატვლ და მხატველებს: შოთა რუსთველს, არსენ ავრის და გრიგოლ დრანდელს²⁰⁰.

I სვეტზე მარჯვნივ: მუხლმოდრეკილი შოთა რუსთველის გამოსახულებაა მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის შორის; წარწერა: „ამისა დამხატავსა შოთაქსი შეუნდენეს ღმერთმან, აზინ. რუსთველი“ (წარწერისათვის ესარგებლობ აკად. ა. შანიძის, აკად. გ. წერეთლისა და პოეტ-აკად. ი. აბაშიძის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი შოთა რუსთველის ფრესკის ფოტორეპროდუქციით).

II სვეტზე მარჯვენა მხარეს წმინდა ეფთვიმესა და საბას შორის მუხლმოდრეკილი შავწვეროსანის გამოსახულებაა შეილითურთ. წარწერა: „ამის დამხატავსა არსენ ავრის, გრიგოლს და მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან, ამნ“²⁰¹.

III სვეტზე მარჯვენა მხარეს პეტრესა და პავლეს შორის მდგომი მღვდელმთავრის გამოსახულებაა წარწერით: „ამისა დამხატავსა პატრიქეს, დრანდელ მთავარეპისკოპოსსა გბლს და მისთა მამა-დედათა შნს ღმერთმან, ამნ“.

დამხატველთა გამოსახულებებში ყურადღებას იქცევს პირველ რიგში ის, რომ სამივე შემთხვევაში სრულიად ერთნაირ კომპოზიციასთან გვაქვს საქმე. სამივე შემთხვევაში დამხატველები მვედრებელთა პოზაში არიან და კომპოზიციასში დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ. კომპოზიციის მთავარი ნაწილია წმინდანთა გამოსახულება და არა დამხატველები.

დამხატველი შეიძლება ნიშნავდეს როგორც მხატვარს, ასევე იმ პირს, რომლის თანხებითაც მოიხატა ეს კომპოზიცია.

დამხატველთა სამივე წარწერაში აქცენტია გაკეთებული მითითებით ნაცვალსახელზე: „ამის დამხატავსა...“, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ მონასტრის მთლიანი მხატვა კი არ იგულისხმება, არამედ კერძოდ იმ კომპოზიციებისა, სადაც დამხატავნი არიან გამოსახული.

²⁰⁰ მონასტრში ფრესკების განლაგებაზე მიუთითებთ ა. ცაგარლის გამოქვეყნებული ჯვარის მონასტრის გვერდისა და ცნობების მიხედვით. ნ. ჩუბინაშვილის მასალა ყოველთვის ზუსტი არ არის, თუმცა რიც შემთხვევაში მას უფრო მეტი ცნობები მოჰყავს, ვინამ ა. ცაგარელს.

²⁰¹ ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 45. ა. ცაგარელი, Памятники, გვ. 99, 244.

ეკლესიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა წმინდანების დახატვას კედელზე. დამხატველისათვის კი ეს საშუალება იყო საკუთარი თავის გამოხატვისა ეკლესიის კედლებზე. ეს იყო დამხატველთა შრომის ანაზღაურების ერთი სახე. ამგვარი მხატვრული კომპოზიცია დამხატველის მოსახსენებელი იყო ამავე დროს. რაკი ეს ასეა, მაშინ დამხატველის გამოსახულება მხატვის თანადროულია და მხატვასთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული.

სხვათა შორის, საეკლესიო მხატვრობაში გავრცელებული ეს წესი ჩვენ გვაგონებს ხელნაწერთა გადაწერებთან გავრცელებულ ტრადიციას; გადამწერი შენდობას ითხოვს იმ წმინდანისაგან თუ წმიდა მამისაგან, რომლის ცხოვრება ან ნაწარმოები მან გადაწერა.

არ შეიძლება, არ დაიბადოს კითხვა, რატომ არის სამივე დამხატველი სვეტებზე გამოსახული? ხომ არ არის სვეტები საერთოდ განკუთვნილი სააღმშენებლო წარწერებისა და ერთდროული მომხატველების გამოსახვისათვის? ჩვენ გარკვევით რაიმეს თქმა ამის შესახებ არ შეგვიძლია, ამაზე ალბათ ხელოვნებათმცოდნენი მოგვაწვდიან უფრო სანდო ცნობებს. ამასთან დაკავშირებით გვინდა მხოლოდ ერთი ცნობილი ფაქტი გავიხსენოთ. წალენჯიხის ეკლესიის ჩრდილოეთის სვეტის აღმოსავლეთ ნაწილზე, ძველი მხატვრობის ზემოდან გამოსახულია ევდემონ წალენჯიხელი, ჯაიანი, რომელსაც ამ ეკლესიის ერთ-ერთი ეკვდერი მოუხატავს²⁰². ეკლესიის თავდაპირველი მხატვის ამბებიც გადმოცემული ყოფილა ვრცელ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც აგრეთვე ეკლესიის სვეტზე ყოფილა განაწილებული²⁰³.

დაეუბრუნდეთ ისევ ჯვარის მონასტრის სამ დამხატველს. უნდა მივიღოთ, რომ დამხატველთა თავდაპირველი გამოსახულებები დამხატველთა სიცოცხლეშივეა შესრულებული, ე. ი. შოთასი—XII—XIII სს. მიჯნაზე, ხოლო გრიგოლ დრანდელისა არა უადრეს XIII საუკუნის დამლევისა. მაგრამ რა დროისაა ის ფრესკები, რომლებიც დღეს მოჩანს მონასტრის სვეტებზე? განიცადა თუ არა დამხატველთა გამოსახულებებმა გაცხოველება და განახლება, და თუ განიცადა, როდის? ამის გარკვევისათვის კი პირველ რიგში უნდა ვიცო-

²⁰² ე. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 215.

²⁰³ იქვე, გვ. 211—212. მოიხატა პატრონისა ერისთავთ ერისთვისა და მანდატურთუხუცესის დადიანის ვამეყის ბრძანებით კონსტანტინეპოლიდან მოყვანილი მხატვრის კირ მანუელის ხელით.

დეთ, მონასტრის რა ნაწილები მოახატვინა ნიკიფორემ 1643 წელს. ამას ვგებულობთ ნიკიფორესული წარწერებიდან.

ჯვარის მონასტრის პირველ ქართულ წარწერაში იკითხება: „დაიხატა და განათლდა წმიდა ესე და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველის-მყოფელისა ჯერ-ჩინებითა დადიანისა ლეონისითა, ჰელითა და ფრიად ჰირვანცილებითა ყოვლად უღირსისა ჯვარისა და გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლაყაჲს შულისა, ომანისა ძისათა, მსასოებელსა და სარწმუნოსა ამის მონასტრისასა, რომელმან გუმბადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე ჩემისა საფასითა, ქრონიკონსა ტკია, ან“ (ე. ი. 1643 წ.)²⁰⁴.

მეორე წარწერა გაკეთებულია ბერძნულად. მოგვყავს მისი რუსული თარგმანი ა. ცაგარლის მიხედვით: „Расписан и возобновлен сей никейский и вселенский храм честного и животворящего креста издержками и пособием... Леона и содействием и трудом преподобнейшего черемонаха и архимандрита Никифора...“²⁰⁵ გარდა ამ ორი ძირითადი წარწერისა, ტაძრის მოხატვას ეხება კიდევ ორი წარწერა, რომლებიც გაკეთებულია მარჯვენა I და II სვეტებზე, ე. ი. იმ სვეტებზე, სადაც გამოსახულია მონასტრის სამი დამხატველი.

მეორე სვეტზე წერია: „მე, ყოვლად უღირსმან მამამან ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა, დავახატვინე მრავლითა ჰირითა და შრომითა“.

პირველ სვეტზე კი წერია: „დადიანმან ლეონ მიბოძა და გავაკეთე გუმბათი და გვერდები, ორი ათასი ასნალი (ასლანი) და ექვსი ათასი ჩემი დავხარჯე, ქრონიკონს ტკია. ნკ.“²⁰⁶.

თუ ამ წარწერების ცნობებს შევაჯამებთ, ნიკიფორეს შეუქმებია და მოუხატვინებია მხოლოდ გუმბათი, საკურთხეველი და კედლები, ანუ გვერდები. ხოლო მონასტრის სვეტები არ მოუხატავს. ამას ადასტურებს სვეტების მოხატულობაც²⁰⁷.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობა იფარგლება მისი თანამედროვე იმ პირთა გამოსახულებებით, რომელთაც გარკვეული სამსახური გაუწიეს იერუსალიმის ქარ-

თულ კოლონიას. ახლა ირკვევა, რომ მისი დროინდელი ახალი მასალა ლოკალიზებული ყოფილა საკურთხეველში, გუმბათსა და კედლებზე. მართლაც, მონასტრის 4 სვეტიდან სამზე ნიკიფორეს დროინდელი წარწერებია. პირველი ორი მის მომხატველობას ეხება, ხოლო მესამე — მისი მშობლებისა და ძმის (ომან, ქაიხოსრო და ბარბარე ჩოლაყაშვილების) წარწერა-მოსახსენებელია. სვეტების მხატვრობა რომ ნიკიფორე ჩოლაყაშვილისეული არ უნდა იყოს, ამას მხარს უჭერს 1614 წლის არაბული წარწერა შოთას გამოსახულებიან სვეტზე, რომელიც აკად. გ. წერეთელმა გაშიფრა იერუსალიმში ყოფნის დროს.

მაგრამ, მეორე მხრით, იმავე შოთას სვეტის უკანა მხარეს გამოსახული ყოფილა, ნ. ჩუბინაშვილის ცნობით, თეოდორე მანგლელი რევიშვილი, ნიკიფორეს დროინდელი ეპისკოპოსი, ყოფილი ჯვარის მამა, რომელიც ალაპებში თითქმის ყოველთვის ნიკიფორეს გვერდით არის დახსენიებული, როგორც ალაპის გამწესებელი. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მისი გამოსახულება ნიკიფორესე ინიციატივით შეიქმნებოდა 1643 წელს.

ჩვენ ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ადგილის მიხედვით სვეტზე გამოსახულ თეოდორეს ერთგვარად დამხატველის პრეტენზია უნდა ჰქონოდა. ამავე დროს ნიკიფორეს წარწერებში შეკეთებისა და მოხატვის ხელშემწყობთა და მონაწილეთა შორის თეოდორე არ მოიხსენიება. ეს წინააღმდეგობა სავსებით ახსნა იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის საინტერესო ანდერძმა.

ანდერძში, რომელიც დაწერილია თვით თეოდორე მანგლელის მიერ, იკითხება: „ჯვარის მამამან ნიკიფორე კახმან, მანგლელმან თეოდოსე, მღვდელ-მონაზონმან მარკოზ, დიაკონმა ევსევი და პავლე, იკონომოსმან ილია დავახატვინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები, და სახლები და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქრეთ, ოდეს მოსჭირდებოდა მონასტრისა. — სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს. კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს; მას ჟამსა მომხდდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა. და მიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯან, თანამეცხედრე ხელმწიფისა დადიანის ლეონისა, რომელმაც წარაგო მისთვის ყოველივე საესება: თვალი, ვეცხლი და ოქრო წმიდათა ადგილთა ზედა — სინას, მთაწმიდას, იერუსალიმს; და მე ჯერ-ჩინებითა მის ხელმწიფისათა ესრეთ შევაძვეე, რომელ სრულიად საბერძნე-

²⁰⁴ А. Цагарели, Памятники, გვ. 241.

²⁰⁵ იქვე, გვ. 242.

²⁰⁶ А. Цагарели, იქვე, გვ. 243.

²⁰⁷ ა. ბაუმბატარკის დავირვებით მონასტრის სვეტების მხატვრობას ემჩნევა უფრო ადრეული ფუნჯის კვალი (დასახ. გამოკვლევა, გვ. 782).

თი და არაბისტანი გაკვირდა... დაიწერა ქ'ქს 341 (ი. ი. 1653 წელს)²⁰⁸.

ანდერძი დაწერილია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის პირით, სადაც ნიკიფორე მოგვითხრობს მონასტრის მოხატვის ისტორიას დამხატველთა და მომგებელთა დასახელებით. ამავე დროს, ანდერძის თარიღი (1653 წ.) მოწმობს, რომ იგი შედგენილია ნიკიფორეს იერუსალიმიდან ოთხი წლის წასვლის შემდეგ. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ანდერძი მას არ ეკუთვნის და იგი დაწერილია თეოდოსე მანგლელის მიერ ნიკიფორეს სახელით.

ანდერძი, როგორც ჩანს, შედგენილია წინასწარი განზრახვით, რათა მონასტრის დამხატველთა შორის დასახელებული ყოფილიყვნენ თვით თეოდოსე და კრებულის კიდევ რამდენიმე წევრი. ამ გზით თეოდოსემ დაიმტკიცა ჯვარის მონასტრის მომხატველის უფლება²⁰⁹, რის შემდეგ დაახატინა კიდევ თავისი თავი. ასე უნდა გაჩენილიყო თეოდოსე მანგლელის გამოსახულება ნიკიფორეს იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ „დამხატველთა სვეტზე“²¹⁰.

მაშასადამე, ნიკიფორეს დროინდელი საღმრთა და სამხატვრო სამუშაოები არ შეხებია სვეტების მხატვრობას. ამიტომ აქ, უკეთ, ვინემ სხვა ადგილას, შემორჩენილია მხატვრობის უფრო ადრეული, XIV საუკ. დამდეგის ფენა, როდესაც მონასტერმა განიცადა არსებითი შეკეთება-განახლება²¹¹.

მაგრამ ძალიან ძნელია ამავე დროისად მივიჩნიოთ დამხატველთა გამოსახულებებთან გაკეთებული წარწერები. პალეოგრაფიულად ისინი XVI—XVII სს. ადრეული არ უნდა იყვნენ. მათ

²⁰⁸ S—1676, 5 r.

²⁰⁹ თეოდოსეს ანდერძში მომხატველებად დასახელებულ პირთაგან არც ერთი არ ჩანს ჯვარის მონასტრის ბერძნულ და ქართულ კტიტორულ წარწერებში, რომლებიც შედგენილია ნიკიფორეს მიერ.

²¹⁰ ნაშრომის ეს თავი მცირე ცვლილებებით გამოქვეყნდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთავრობის (№ 3, 1961 წ.) ხელმოწამით ანდერძი იქ ჩვენ მოგვყავდა ალ. ცაგარლისეული გამოცემით. შემდეგ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ამავე ანდერძს ნ. ჩუბინაშვილისეულ ავტოგრაფში. გამოირკვა, რომ ა. ცაგარლის გამოცემაში ანდერძს აკლია დასაწყისი სტრიქონი ნიკიფორეს მოხსენებით. ანდერძში ნიკიფორეს მოხსენებლობამ გამოკვათქმევინა ვარაუდი, რომელიც ანდერძის სრული ტექსტის გამოჩენის შემდეგ არგავს თავის ძალას.

გვიანდლობას მოწმობს სიტყვათა სრულიად მოულოდნელი და უსწორო დაქარაგმებები. გაუმართაჲი წინადადებები, ასოთა დაკლება.

წარწერა ყოველთვის უფრო ადრე ზიანდება, ვინემ ფრესკა. ამიტომ საესებით შესაძლებელია, რომ XIV საუკ. დამდეგის ფრესკებს გაუცხოველეს დაზიანებული წარწერები და ამ გაცხოველების დროს უწიგნურმა მწერალმა ბევრი რამ გააფუჭა.

ამ წარწერების უფრო ზუსტი პალეოგრაფიული შეფასება და დათარიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ქართველი მეცნიერების მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჯვარის მონასტრის ყველა წარწერა.

ამგვარად ეს ვრცელი მიმოხილვა შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ დასკვნებამდე:

1. ჯვარის მონასტერში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით შოთა რუსთველი შოთა მეჭურჭლეთუხუცესია. ეს ტრადიცია აისახა ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“.

2. შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპი XII საუკ. დამდეგისა ან XIII დამდეგის არის, ხოლო შოთა რუსთველის გამოსახულება ჯვარის კედლებზე იმის სიცოცხლეშივე უნდა იყოს შესრულებული. ამიტომ შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაცია საესებით კანონზომიერია.

3. ჯვარის მონასტერი თავიდანვე ყოფილა მოხატული, ხოლო დროთა ვითარებაში მონასტერიცა და მხატვრობაც დაზიანებულა და რამდენჯერმე შეკეთებულა და განახლებულა.

4. ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ დღეისათვის მხატვრობაში ორი ძირითადი ფენა გამოიყოფა. ერთი იფარგლება XIV საუკ. დამდეგით, ხოლო მეორე—ნიკიფორეს ხანით.

5. მხატვრობის პირველი ფენა დაკავშირებულია მონასტრის „მეორედ შენებასთან“ და ახლად მოკაზმეასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1305—1314 წლებში.

²¹¹ როგორც ჩანს 1643 წლის მოხატვის დროს მთლიანად არც კედლების სივრცე დაფორილა და განახლებულა, ვინაიდან გასული საუკუნის შუა წლებში იერუსალიმში ყოფნის დროს ტობლერს შესავლის თავზე ამოუკითხავს 1497 წლის წარწერა (იხ. Tobler, Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, ტ. II, გვ.740).

თუ რა არის გადარჩენილი ჯვარის მონასტრის მხატვრობაში XIV საუკუნის დამდეგიდან, შესაძლოა უფრო ადრე ხანიდანაც, ზუსტად ამის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ხელოვნებათმცოდნე იადგილზე შეისწავლიან მონასტრის კედლის მხატვრობას.

6. 1643 წელს ნიკიფორემ ნაწილობრივ განა-
ახლა ძველი მხატვრობა და ამავე დროს შეაესო-
იგი ახალი თემატიკით.

7. ნიკიფორეს შეუქმნა და მოუხატავს
ჯვარის მონასტრის გუმბათი, საკურთხეველი და
კედლები. სვეტებისათვის კი ხელი არ უხლია, ამი-
ტომ სვეტებზე გამოხატული დამხატველები ძველ
ფენას, ე. ი. არაუგვიანეს XIV საუკ. დამდგის
ფენას, უნდა ეკუთვნოდნენ. ამ დროის უნდა იყოს
შოთა რუსთველის გამოსახულებაც.

8. მომხატველთაგან გრიგოლ დრანდელისა და,
შეიძლება, არსენ ავრის ფრესკები წარმოადგენენ
XIV საუკუნის მხატვრობის ძირითად ფენას (გრი-
გოლ დრანდელი XIII—XIV სს. მიჯნის მოღვა-
წეა). შოთა რუსთველის ფრესკა კი, საფიქრე-
ბელია, XIV საუკუნის დამდგისაა განახლებული,
ხოლო მისი თავდაპირველი ვარიანტი უნდა შე-
ქმნილიყო შოთას სიცოცხლეშივე.

9. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით და-
მხატველთა ფრესკების წარწერები პალეოგრაფიუ-
ლად და ენობრივად XVI ს. ადრეული არ ჩანს.

ဝိဂ္ဂဟ်ဝိဂ္ဂဟ်

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ გ ი ს

წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ჯვარის მონასტრის ალაპების ორი ნუსხა. პირველია ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხა, ხოლო მეორეა J. E. № 24—25 სვინაქსარის ალაპები. პირველის დედანი ინახება ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გამოცემისათვის ვსარგებლობთ ამ ნუსხის ფოტოპირებით, რომლებიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული (ფ. პ. — 126). სვინაქსარი № 24—25 იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკის საკუთრებაა. გამოცემისათვის ვსარგებლობთ ფოტოპირებით, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება.

ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ერთი ნაწილი (57 ალაპი) გვიანდელი პირის მიხედვით გამოაქვეყნა ნ. მარმა¹. ჩვენს გამოცემაში ალაპთა ამ ნაწილს რიგითი ნომრების გვერდით ფრჩხილებში ჩაწერილი აქვს ნ. მარის გამოცემის ნომრები.

იმის გამო, რომ ტიშენდორფისეული ნუსხა ნ. მარის გამოცემასთან შედარებით რიგ შემთხვევაში ახალსა და უფრო სწორ წაკითხვებს გვაწვდის, ჩვენ შედარებისათვის საჭიროდ ვცანით სქოლიოში ჩავეტანა ნ. მარისეული ტექსტის სხვაობანი.

ტიშენდორფისეული ნუსხის ფილოლოგიური შესწავლის შედეგად ტექსტში ორი ნაწილი გამოიყო. პირველი, უფრო ძველი (№№ 1—74), წარმოადგენს მარხვა-ზატიკის კვირეებზე გაწესებულ ალაპთა ნუსხას; მეორე ნაწილი კი—სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერ დაწერილ ალაპებს. პირველ ნაწილში თავის მხრით გამოიყოფა ძირითადი ფენა, დაწერილი ერთი ხელით, და შემდეგ ჩაწერილ-ჩამატებული ალაპები.

მეტი თვალსაჩინოებისათვის ტიშენდორფისეული ნუსხის ტექსტი დაიბეჭდა სამგვარი შრიფტით. პირველი ნაწილის ძირითადი ფენა — კორპუსით, მისი ჩანამატი ალაპები — კურსივით და

მეორე ნაწილი — გოგებაშვილის შრიფტით.

სვინაქსარის ალაპები ნ. მარს თითქმის სრულად აქვს გამოქვეყნებული². წინამდებარე გამოცემაში ალაპთა ახალი ნომრების გვერდით მითითებულია მარისეული გამოცემის ნომრებიც. იქვე აღნიშნულია ნომერი ტაბულისა, რომელშიც პალეოგრაფიულად ერთიანდება ალაპი (პალეოგრაფიული ალბომი ერთვის ტექსტს). ალაპის დასაწყისში კავებში ჩაწერილია ალაპის განწყობის თვე და დღე. ალაპის ტექსტის წინ, კურსივით მითითებულია სვინაქსარის ფურცელი, სადაც ჩაწერილია ალაპი. ალაპთა ტექსტის სქოლიოებში ჩატანილია მარისეული გამოცემის განსხვავებული წაკითხვები და ჩვენი შენიშვნები.

ალაპთა ორივე ტექსტს ვაქვეყნებთ შემდეგი წესის დაცვით:

1. ფრჩხილების მოშველიებით გახსნილია დაქარაგმებული საკუთარი სახელები და სიტყვები, რომლებიც შეიძლება სხვა სახითაც გახსნილიყო.

ფრჩხილების გარეშე გახსნილი ისეთი დაქარაგმებული სიტყვები, რომელთა გახსნა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

2. დაკლებული ასოები აღდგენილია ტეხილ კავებში. ტეხილ კავებში ეწერთ იმ სიტყვებსაც, რომელთა წაკითხვა უეჭოდ არ მიგვაჩნია.

3. კავებში მოთავსებულია ის სიტყვები, რომლებიც ფოტოპირებში ცუდად ან სულ ვერ იკითხება და ამიტომ ისინი აღდგენილი არიან ნ. მარის გამოცემის მიხედვით.

პირთა საძიებელში (რომელიც შედგენილია ორივე ტექსტისათვის ერთად) სვინაქსარის ალაპებისაგან გასარჩევად ტიშენდორფისეული ალაპების ნომრებს წინ უძღვით რომაული ერთი (1)³.

¹ ნ. მარ, ალაპნი, 1914., გვ. 1—78.

² სვინაქსარის ალაპთა ტექსტების სასტამბოდ გადაწერასა და პალეოგრაფიული ალბომის გაწყობაში გვეხმარებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი ლია კიკნაძე, რისთვისაც მადლობას მოვხსენებ.

³ ნ. მარ, ალაპნი, 1914., გვ. XXV—XXVIII.

ჯვარის მონასტრის აღაპები ტიპენდორფისეული ნუსხის მიხედვით

17

1. ჯორციელისა პარასკევსა მწუხრი პანაშუდი ძმათაჲ.
2. (M—1). ჯორციელისა შაბათსა წირვაჲ¹ და აღაპი ძმათაჲ.
3. (M—2). ჯორციელისა კვრიაკესა წირვაჲ და აღაპი² და³ პანაშუდი საუკუნოჲ გ(რი)გ(ო)ლი ღრანდელისაჲ⁴, შეუნდვენ ღმერთმან.
4. ჯორციელსა ორშაბათსა პანაშუდი ბექაქსი, შეუნდვენ ღმერთმან¹).
5. (M—3). ყველიერისა ორშაბათსა პანაშუდი ცოტნე ქველივას ძისაჲ⁵, შეუნდვენ ღმერთმან.
6. ყველიერისა შაბათსა წირვა და აღაპი ბარათას, შეუნდვენ ღმერთმან²).
7. (M—4). სამშაბათსა აღაპი მისისა⁶ ძმისა საღირისი, შეუნდვენ ღმერთმან.
8. (M—5). ყველიერისა ხუთშაბათსა აღაპი მამისა პროხორისი, შეუნდვენ ღმერთმან.
9. (M—6). ყველიერისა შაბათსა წირვაჲ და აღაპი⁷ საუკუნოჲ⁸ და⁹ პანაშუდი¹⁰ საღირ გარეყანის ძისაჲ¹¹, შეუნდვენ¹² ღმერთმან¹³.
10. (M—7). ყველიერისა კვრიაკესა წირვაჲ¹⁴ და აღაპი საუკუნოჲ მოლაპრეთ¹⁵ უხუცესისა მვეცის ძისაჲ¹⁶ ბეშქენის¹⁷, შეუნდვენ ღმერთმან.
11. თევდოროზად აღაპი კახას შვილისა გამრეკლისა, შეუნდვენ ღმერთმან³).
12. (M—8). შაბათსა თევდოროზისასა აღაპი დავით მეფისაჲ¹⁸, შეუნდვენ¹⁹ ღმერთმან.
13. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა წირვა და აღაპი საუკუნო კოსტანტინ(ე)ს შვილისა ალექსანდრესი, შეუნდვენ ღმერთმან⁴).
14. (M—9). პირველსა კვრიაკესა წმიდათა²⁰ მარხვათასა წირვაჲ და აღაპი²¹ საუკუნოჲ²² და პანაშუდი აფრიდონის²³ ძისა არსლანისი, შეუნდვენ²⁴ ღმერთმან.
15. (M—10). მეორესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ დუდახის²⁵ ღლტის ძისაჲ²⁶ ასულისაჲ²⁷ შეუნდვენ ღმერთმან.
16. (M—11). მეორესა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა²⁸ წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ დ(ავი)თ მეფისაჲ²⁹, რუსუდანის შვილისაჲ³⁰ შეუნდვენ ღმერთმან.
17. (M—12). მესამესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წირვაჲ³¹ და აღაპი საუკუნოჲ³² გ(იორგ)ის შვილისა მარუშინისა³³ ფალქოზის ძისაჲ³⁴, შეუნდვენ³⁵ ღმერთმან.
18. (M—13). მესამესა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა³⁶ წირვაჲ³⁷ და აღაპი საუკუნოჲ ვარდან გაზნის³⁸ ძისა და მისისა მეუღლისა თაბაღისი, შეუნდვენ³⁹ ღმერთმან.
19. ამანვე დღესა წირვაჲ და აღაპი ბექას(ა)ჲ⁵).

¹ წირვა ² წირვა-აღაპი ³ და— ⁴ გრიგოლ ღრანდელსა. ⁵ ქუშლივას ძისა. ⁶ მისის. ⁷ წირვა-აღაპი. ⁸ საუკუნოჲ—⁹ და—¹⁰ პანაშუდი+საუკუნოჲ. ¹¹ ძისა. ¹² შ-ს, ¹³ ღმერთმან— ¹⁴ წირვა. ¹⁵ მოლაპრეთ. ¹⁶ მვეცის ძისაჲ [...]. ¹⁷ ბეშქენს. ¹⁸ მეფისა ¹⁹ შ-ს. ²⁰ წმიდათა—²¹ აღაპი—²² საუკუნოჲ—²³ აფრიდონის. ²⁴ შ-ს. ²⁵ დუდახისი. ²⁶ ძისა. ²⁷ ასულისაჲ—²⁸ წმიდათა მარხვათასა—²⁹ მეფისა. ³⁰ რუსუდანისა შვილისა. ³¹ წირვა. ³² საუკუნოჲ—³³ მარუშინისა. ³⁴ ძისა. ³⁵ შ-ს ³⁶ წმიდათა მარხვათასა—³⁷ წირვა. ³⁸ გაზნის. ³⁹ შ-ს.

¹) ტექსტი ძალზე გადასულა. ბექაქსი-ს წაკითხვის სისწორეში არა ვართ დაწმენებულნი. ამ აღაპის ხელითა დაწერილი აგრეთვე აღაპები 13 და 21.

²) ამავე ხელითა დაწერილი აღაპი № 19.

³) აღაპი დაწერილია ფურცლის ხეშო კიდებზე.

⁴) ამავე ხელითა დაწერილი აღაპები №№ 4 და 21.

⁵) ამავე ხელითა დაწერილი აღაპი № 6.

20. (M—14). მეოთხესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა¹ წირვამ და ალაპი საუკუნომ გ(იორგ)ი ჯავესიანისა², შეუნდვენ ღმერთმან.
21. მეოთხესა კვრასა ალაპი ბერასა ძისა [გ(ა)ლინ(ო)ზ(ისა)]³.
22. (M—15). მეოთხესა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა⁴ წირვამ⁴ და ალაპი საუკუნომ და პანაშვიდი ჯავესისა⁵ ჭილას⁶ ძისა, შეუნდვენ ღმერთმან.
23. (M—16). მეხუთესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წირვამ და ალაპი⁷ საუკუნომ მიქაელ⁸, ჭუედისჯურელისა⁹, შეუნდვენ¹⁰ ღმერთმან.
24. (M—17). მეხუთესა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა წირვამ და ალაპი¹¹ საუკუნომ ივანე ღვინას ძისა¹², შეუნდვენ ღმერთმან¹³.
25. (M—18). ლაზარობისა შაბათსა წირვამ და ალაპი¹⁴ საუკუნომ ცოტნესი და ნათელისი, შეუნდვენ ღმერთმან¹⁵.
26. (M—19). მეხუთესა¹⁶ ოთხშაბათსა პანაშვიდი გ(რი)გ(ო)ლის ძმისა მ(ი)ქ(ა)ელი[სი]¹⁷, შეუნდვენ¹⁸.
27. ბაიაობასა დღესა წირვა და (ა)ლაპი [ერისთავ(თ)],, (ნიკოლო)ზისა, კარსა დალოცვა, შეუნ- 1) დვენს ღმერთმან. სადამდისცა ჯუარის სახლი ეგოს... რა ე.. ნ მრ...²
28. (M—20). კვრიაკესა ბაიაობისასა წირვამ და ალაპი საუკუნო¹⁹ მეფეთ-მეფისა გ(იორგ)ისი²⁰. საუკუნომცა არს საცსენებელი²¹ მისი²¹.
29. (M—21). კვრიაკესა ბაიაობისასა წირვამ და ალაპი²² საუკუნომ შაპანშაქისი²³, შეუნდვენ ღმერთმან.
30. (M—22). დიდსა ხუთშაბათსა წირვამ და ალაპი²⁴ საუკუნომ ვარდან დადიანისა და²⁵ დედისა მისისა აგუტისა, შეუნდვენ ღმერთმან.
31. ამავე დღესა ალაპი მარიამისი, შეუნდვენ ღმერთმან⁴).
32. (M—23). დიდსა აღესებასა წირვამ და ალაპი²⁶ საუკუნომ გ(რი)გ(ო)ლ²⁷ თანასკერტელი-სა²⁸, შეუნდვენ²⁹ ღმერთმან.
33. აღესებასა დღესა წირვა და ალაპი საუკუნო მა... შეუნდვენს ღმერთმან³).
34. (M—24). აღესებისა ორშაბათსა წირვამ და ალაპი³⁰ საუკუნომ საღირ³¹ გობოშს ძისა³², შეუნდვენ³³ ღმერთმან.
35. (M—25). აღესებისა სამშაბათსა წირვამ და ალაპი საუკუნომ ივანე³⁴ გობოშს ძისა³⁵, შეუნდვენ³⁶ ღმერთმან.
36. (M—26). აღესებისა ოთხშაბათსა წირვამ და ალაპი³⁷ საუკუნომ საღირ ლაშხ(ა)შ³⁸ შვილისა³⁹, შეუნდვენ⁴⁰ ღმერთმან.
37. დიდსა შაბათსა ალაპი სააკისი⁸).
38. და აღდგომასა ალაპი ხალილისი, შეუნდვენს ღმერთმან⁷).
39. აღესებისა შაბათსა წირვამ და ალაპი საუკუნომ შ(ა)მ(ა)ნშ(ა)სი შეუნდვენ ღმერთმან⁶.
40. (M—27). აღესებისა ხუთშაბათსა წირვამ და ალაპი⁴¹ საუკუნომ ფსიტაქსა⁴² და⁴³ მეულ-ლისა მისისა⁴⁴ ნათელისი⁴⁵, შეუნდვენ⁴⁶ ღმერთმან.

¹ წმიდათა მარხვათასა]—² ჯავესიანისა. ³ წმიდათა მარხვათასა]—⁴ წირვა. ⁵ ჯავესის. ⁶ ჭილს—ძისა. ⁷ წირვა-ალაპი ⁸ მიქლ. ⁹ ჭუედის ჯ(ვა)რ(ე)ლისა. ¹⁰ შნს. ¹¹ წირვა-ალაპი. ¹² ივე ღვნს ძისა. ¹³ შნს. ¹⁴ წირვა-ალაპი. ¹⁵ და ნათელისი შეუნდვენ ღმერთმან]—¹⁶ მეხუთესა. ¹⁷ მიქლისი. ¹⁸ შნს. ¹⁹ საუკუნომ. ²⁰ გ(იორგ)ისი]+შნს ღნ. ²¹ საუკუნომცა არს საცსენებელი]—²² წირვა-ალაპი. ²³ ბმესი ²⁴ წირვა-ალაპი. ²⁵ და]—²⁶ წირვა-ალაპი. ²⁷ გრი-გოლ. ²⁸ თანასკერტელისა. ²⁹ შნს. ³⁰ წირვა-ალაპი. ³¹ საღირ]ივე. ³² გობოშს ძისა] გობ(ო)ძისა. ³³ შნს. ³⁴ ივანე]—³⁵ გობოშს ძისა] გობოძისა. ³⁶ შნს. ³⁷ წირვა-ალაპი. ³⁸ ლშნს. ³⁹ შვილისა. ⁴⁰ შნს. ⁴¹ წირვა-ალაპი. ⁴² ფსიტას. ⁴³ და]—⁴⁴ მისისა]—⁴⁵ ნათელისა. ⁴⁶ შნს.

¹) ამავე ხელითა დაწერილი ალაპები №№ 4 და 13.
²) ამავე ხელითა დაწერილი ალაპი № 33.
³) ამავე ხელითა დაწერილი ალაპი №№ 69 და 39.
⁴) ამავე ხელითამ დაწერილი ალაპი №№ 37 და 38.
⁵) ამავე ხელითა დაწერილი ალაპი № 27.
⁶) ამავე ხელითა დაწერილი ალაპები №№ 31, 38.
⁷) ამავე ხელითა დაწერილი ალაპები №№ 31, 37.
⁸) ამავე ხელითა დაწერილი ალაპები №№ 28, 69.

41. (M—28). აღდგებისა პარასკევსა წირვად და აღაპი¹ საუკუნოდ ყუნდოს ჭახუბის ძისაჲ², შეუნდვენ³ ღმერთმან⁴.

42. (M—29). ახალ კვრიაკისა⁵ შაბათსა წირვად და აღაპი⁶ საუკუნოდ და⁷ პანაშუდი ლიპარიტ ქვეშელისაჲ⁸, შეუნდვენ⁹ ღმერთმან.

43. (M—30). ახალ კვრიაკესა წირვად და აღაპი¹⁰ საუკუნოდ ხუაშადისი¹¹ კიაურთადისაჲ¹², შეუნდვენ¹³ ღმერთმა[ნ].

44. (M—31). მეორესა¹⁴ ორშაბათსა ზატიკთასა პანაშუდი თოვლაჲსი¹⁵, გ(იორგ)ი ფალქოზის ძისა¹⁶ მეუღლისაჲ¹⁷, შეუნდვენ¹⁸ ღმერთმან.

45. (M—32). [მეორესა] სამშაბათსა წირვად და აღაპი¹⁹ საუკუნოდ²⁰ კობულის ძისა²¹ აღბუღადისი²² და მისის მეუღლისა თამარისი,²³ შეუნდვენ²⁴ ღმერთმან²⁵.

46. (M—33). ²⁶ მეორესა²⁷ ხუთშაბათსა ზატიკთასა²⁸ წირვად და აღაპი²⁹ საუკუნოდ ნათელ ქუაბულის ძისა³⁰ ასულისაჲ³¹.

47. (M—34). ³² მეორესა³³ შაბათსა ზატიკთასა წირვად და აღაპი³⁴ საუკუნოდ³⁵ ცოტნე აფაქის ძისაჲ³⁶ ჩხაგუს შვილისაჲ³⁷, შეუნდვენ³⁸ ღმერთმან.

48. (M—35). მენელსაცხებლეთა³⁹ კვრიაკესა წირვად და აღაპი⁴⁰ საუკუნოდ⁴¹ იობ⁴² ბეთლემადისა ბიძაჲსა⁴³, შეუნდვენ ღმერთმან⁴⁴.

მწუხრი⁴⁵ პანაშუდი იოსებ ხაფლაჲსი⁴⁶, შეუნდვენ⁴⁷ ღმერთმან.

49. (M—36). მეოთხესა⁴⁸ ორშაბათსა ზატიკთასა⁴⁹ პანაშუდი⁵⁰ შალვა ქუაბულის ძისაჲ⁵¹, შეუნდვენ⁵² ღმერთმან.

50. (M—37). სამშაბათსა მენელსაცხებლეთასა⁵³ პანაშუდი ლაშხის შვილთა მიქაელისი და გ(იორგ)ისი⁵⁴, შეუნდვენ⁵⁵ ღმერთმან⁵⁶.

51. შუა ზატიკსა აღაპი შანშას ასულისა, მამას-დედას შეუნდვენ.

52. (M—38). მეოთხესა⁵⁷ პარასკევსა ზატიკთასა პანაშუდი ნიორაჲს ძისა⁵⁸ მარუშიანისაჲ⁵⁹, შეუნდვენ⁶⁰ ღმერთმან.

53. (M—39). მეოთხესა შაბათსა ზატიკთასა წირვად და აღაპი საუკუნოდ⁶¹ ხაეიკ ყოფილისა⁶² ზოსიმესი, შეუნდვენ⁶³ ღმერთმან.

54. (M—40). მეოთხესა კვრიაკესა შობითგან ბრმისასა⁶⁴ წირვად და აღაპი⁶⁵ საუკუნოდ⁶⁶ ფალქოზის ძისა გ(იორგ)ისი, შეუნდვენ⁶⁷ ღმერთმან.

55. ახალ კვრიაკესა ორშაბათსა..., გაუჩინეთ საუკუნო აღაპი... შვილსა კიპა[ს], შეუნდვენ ღმერთმან.

56. (M—41). ამაღლებად⁶⁸ წირვად და აღაპი⁶⁹ საუკუნოდ სპასლარისა⁷⁰ ყუარყუ[უ]არასაი⁷¹ და 2⁷² მწუხრი პანაშუდი მისივე, შეუნდვენ⁷³ ღმერთმან⁷⁴.

57. ქრისტეს შობისა მეორესა დღესა აღაპი ზედგინიძისა ჯანიბე[გისა]⁷⁵.

58. გაუჩინეთ ჩ(უენ) ჯ(უ)არის მამამან ნიკიფორემ, ეპისკოპოზმან თეოდოსიმ და სრულობით ძმათა ბატონს გურიელს ქატას და თანამეცხედრესა მათს⁷⁶.

¹ წირვა-აღაპი. ² ჭახუბის ძისა. ³ შ-ნს. ⁴ ღმერთმან] —. ⁵ ახალ. კვრიაკესა] — ⁶ წირვა-აღაპი. ⁷ საუკუნოდ და] — ⁸ ქვეშელისა. ⁹ შ-ნს. ¹⁰ წირვა-აღაპი. ¹¹ ხუაშაი. ¹² კიაურთასი. ¹³ შ-ნს. ¹⁴ თოვლაჲსი ¹⁵ ძისა] —. ¹⁶ მეუღლისი. ¹⁷ შ-ნს. ¹⁸ წირვა-აღაპი. ¹⁹ საუკუნოდ] —. ²⁰ კობ-ლის ძისა. ²¹ აღბუღასა. ²² და მისის მეუღლისა თამარისი] —. ²³ შ-ნს. ²⁴ მესამესა] —. ²⁵ ზატიკთა. ²⁶ წირვა-აღაპი, ²⁷ კბლის ძისა. ²⁸ ასულისაჲ] + შ-ნა ღნ. ²⁹ მესამესა] — ³⁰ წირვა-აღაპი. ³¹ საუკუნოდ] —. ³² ძისა. ³³ ჩხაგუს შვილისაჲ] —, ³⁴ შ-ნს. ³⁵ მენელსაცხებლეს. ³⁶ წირვა-აღაპი. ³⁷ საუკუნოდ] —. ³⁸ იობ[ი]. ³⁹ ბეთლემის ბიძასა ⁴⁰ ღმერთმან] —. ⁴¹ მწუხრი] —. ⁴² ხაფლისი. ⁴³ შ-ნს. ⁴⁴ მეოთხესა] —. ⁴⁵ ზატიკთასა] — ⁴⁶ პანაშუდი] წირვა-პანაშუდი. ⁴⁷ კობულის ძისა. ⁴⁸ შ-ნს. ⁴⁹ მენელსაცხებლეთა. ⁵⁰ ლაშხის შვილთა მიქაელისი და გ(იორგ)ისი] შ[ალ]ვა ლაშხაშვილისა. ⁵¹ შ-ნს. ⁵² მეორესა. ⁵³ ნიორადისა. ⁵⁴ მა [...] ნისა. ⁵⁵ შ-ნს. ⁵⁶ საუკუნოდ ⁵⁷ ყოფილისი. ⁵⁸ შ-ნს. ⁵⁹ ბ-რმისა. ⁶⁰ წირვა-აღაპი. ⁶¹ საუკუნოდ. ⁶² შ-ნს. ⁶³ ამაღლებისა. ⁶⁴ წირვა-აღაპი. ⁶⁵ სპასლარისი. ⁶⁶ ყუარყუარასი. ⁶⁷ შ-ნს.

¹ დედანში შეცდომით წერია მესამესა.

² ამავე ხელითაა დაწერილი აღაპი № 50.

³ დედანში შეცდომით წერია „მესამესა“.

⁴ დედანში შეცდომით წერია „მესამესა“.

⁵ ამავე ხელითაა დაწერილი აღაპი № 45.

⁶ დაწერილია ფურცლის ზემო კიდეზე.

⁷ დაწერილია ფურცლის ზემო კიდეზე. ამავე ხელით უნდა იყოს დაწერილი აღაპები №№ 76—83, 93.

⁸ ამავე ხელითაა დაწერილი აღაპი № 84.

59. (M—42). მეხუთესა პარასკევსა ზატიკთ(ა)სა პანაშუდი ტაიბულა აფაქის ძისაჲ, შეუნდვენ¹ ღმერთმან.
60. (M—43). მეხუთესა შაბათსა წირვაჲ და ალაპი² საუკუნოჲ კუქების ძისაჲ ქველისაჲ³, შეუნდვენ ღმერთმან⁴.
61. (M—44). სამარტელისა კვრიაკესა წირვაჲ და ალაპი⁵ საუკუნოჲ მახუჯაგიანისა ივანესი⁶ და მწუხრი პანაშუდი მისიეჲ, შეუნდვენ⁷ ღმერთმან.
62. სამშაბათსა წირვაჲ და ალაპი საუკუნო გრიგ(ო)ლ ფ(ა)ნ(ა)სკ(ე)რტ(ე)ლ(ი)სა¹.
63. სამარტელისა ოთხშაბათსა წირვაჲ და ალაპი საუკუნო ერისთვისა შ(ა)ლვ(ა)ს ქენიფნვ(ე)ლსა, შვილსა პიპასი და მისისა მეულღ[ი]სა თამარისი, შეუნდვენ ღმერთმან, და ვინ[ცა] შეცვალოს, კრულმცა².
64. (M—45). ამალღებასა⁸ წირვაჲ და ალაპი⁹ საუკუნოჲ¹⁰ თამარ მამლაქნის ძისა ასულისაჲ¹¹, შეუნდვენ¹² ღმერთმან.
65. (M—46). პარასკევსა შემდგომად ამალღებისა პანაშუდი გობოჲს ძეთა¹³ მიცვალღებულთაჲ: ზადისაჲ¹⁴, ივანესი¹⁵, კუქესი, ბეშქენისი და სარგისისი, შეუნდვენ¹⁶ ღმერთმან.
66. (M—47). შაბათსა შემდგომად¹⁷ ამალღებისა¹⁸ წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ ბასილი ბუელუ-ეს¹⁹ ძისა, შეუნდვენ²⁰ ღმერთმან.
67. ე კვრიაკესა შემდგომად ამალღებისა წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ საბა აბაზას ძისაჲ, შეუნდვენ [ღმერთმან]²¹.
68. სულისა წმიდისა მოსლვისა წინა შაბათსა ალაპი პანაშუდითა ორისა ხუცისა წირვითა საღირ ყოფილისა საბა მიმც(ა)ხს ძისა³.
69. (M—48). სულისა წმიდისა მოსლვისა²² კვრიაკესა წირვაჲ და ალაპი²³ ღ(მ)რთიე გვრგვონს-ნისა²⁴ მეფეთ მეფისა დიდისა²⁵ გ(ი)ორგ(ი)ს დედისა [და] მე[უ]ღლი[სა] მისსა მესა(!)²⁶, შეუნდვენ ღმერთმან²⁷
70. წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ გ(რი)გ(ო)ლ ფანასკერტელისა⁸.
71. (M—49). ორშაბათსა სულისა წმიდისა მოსლვისასა²⁷ წირვაჲ და ალაპი²⁸ შოთაჲსა მე-ტურტლეთ უხუცესისაჲ²⁹, შეუნდვენ³⁰ ღმერთმან.
72. (M—50). სულისა წმიდისა³¹ სამშაბათსა ალაპი საუკუნო³² ერისთავთ ერისთავისა³³ ღობიარისა³⁴ გამრეკელისა, შეუნდვენ³⁵ ღმერთმან³⁶. და წირვა მასეჲ დღეს საუკუნო⁶ გამრეკელისაეჲ³⁷.
73. (M—51). ხუთშაბათსა სულისა წმიდისა მოსლვისასა წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ ჩარგაზ აფაქის ძისაჲ და ბედანისა ასულისა ნათელისი, შეუნდვენ ღმერთმან.
74. (M—52). ყოველთა წმიდათა კვრიაკესა წირვაჲ და ალაპი³⁸ საუკუნოჲ³⁹ აბულეთის ძისა, [ძაგანისი]⁷.
75. (M—52).⁴⁰ თქვენ მაწუეღრელმან მთავარებისკოპოსმან⁴¹ და⁴² ჯუარისა⁴³ მამამან ჰიმენ, თქუენითა საფასითა⁴⁴ გენაჯი იეიდეთ⁴⁵ ცხ^რშაჟულისა⁴⁶ ბოლოსა და შემოსწირე ჯუარისა⁴⁷ ზატი-

სიმონა ციდაშვილი და ზოსიმე ამოწმებენ ობედ ებნი სურურის მეორე აღაპსაც (იხ. № 301), რომელიც დაწერილია 4a აღაპის ხელით და გაერთიანებულია იმავე XLI ტაბულაში. ამ აღაპის მომდევნო აღაპი კი (301a) დაწერილია სიმონა ციდაშვილის ხელით და ამოწმებს 301 აღაპს. ხოლო სიმონა ციდაშვილის დამოწმებას თავის მხრივ ამოწმებს ზოსიმე მოძღვარი (301 b). ზოსიმეს ეს დამოწმება დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია ზოსიმეს პირველი დამოწმება (4 c). ამგვარად, ორივე შემთხვევაში ობედ ებნი სურურ ებნუ სალამის აღაპი დამოწმებულია ჯერ სიმონა ციდაშვილის, ხოლო შემდეგ ზოსიმე მოძღვრის მიერ. ობედ ებნი სურურ ებნუ სალამმა აღაპის მიხედვით შესწირა ჯვარის მონასტერს თავისი სახლი რამლას მონასტრის მეტოქად.

ამავე ობედ ებნი სურურ ებნუ სალამს უნდა ეხებოდეს № 9 აღაპი, დაწერილი 4 a აღაპისაგან განსხვავებული ხელით (იხ. ნარევი ტაბულა V). ამ აღაპის მიხედვით სალამ ებნი ფარა სწირავს ჯვარის მონასტერს თავის დარს (ანუ სახლს) რამლაში. ვფიქრობთ, რომ ორივე აღაპში ერთი და იგივე პირი უნდა იგულისხმებოდეს, რომელმაც ჯვარის მონასტერს მეტოქად რამლას სახლი შესწირა. მეორე აღაპში შემომწირველის სახელი შემოკლებით არის მოტანილი, შესაძლებელია, და მახინჯებულიცაა დამწერის მიერ.

ობედ ებნი სურურის ეს აღაპები სხვა მხრივაც არიან საინტერესო. ამ აღაპების სისწორეს ორივე შემთხვევაში ამოწმებენ მონასტრის მამა და წინამძღვარი. დამოწმების ამგვარ შემთხვევებს სხვა აღაპებში ვერ ვხვდებით. ამას თავისი ახსნა აქვს. როგორც ჩანს, როდესაც ადგილობრივი მოსახლე მონასტერს სწირავდა მამულს ან რაიმე სხვა უძრავ ქონებას, მაშინ ქონების გადაცემა მოწმეებით მტკიცდებოდა. ასეთი წესი გავრცელებული ყოფილა როგორც ჯვაროსნების დროინდელ პალესტინაში¹, ასევე უფრო გვიანაც. ობედ

ებნის აღაპებშიც მოწმეებით ქონების დამტკიცების შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ობედ ებნის აღაპი ამავე დროს შეწირულების წიგნიც არის.

მხედრული ხელის მიხედვით XLI ტაბულა XIV საუკუნეს ვერ გასცილდება. ამავე დროს „ჯვარის მონასტრის წინამძღვართა ქრონოლოგიაში“ სიმონა ციდაშვილი XIV საუკუნის პირველი ნახევრის წინამძღვრად ჩანს, ამგვარად, ობედ ებნი სურურ ებნუ სალამმა XIV საუკუნის პირველ ნახევარში ჯვარის მონასტერს შესწირა თავისი საკუთარი სახლი რამლაში, რათა მონასტერს იგი მეტოქად გამოეყენებინა, ამიტომ ეს აღაპი ყურადღებას იპყრობს ჯვარის მონასტრის კრებულის მუსულმანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს ურთიერთობა არაბულ წყაროებშიც არის დადასტურებული, რასაც თავის დროს აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება: „На отношение мусульман, в частности египетских мамлюков, к грузинам могли бы пролить свет арабские документы, хранящиеся в Архиве православной патриархии в Иерусалиме. Их не мало. Но мне удалось воспользоваться содержанием только двух. Интересны оба. Из одного узнаём, что для безопасности грузинских паломников при грузинском Крестном монастыре находится особый чиновник, всегда из одной арабской семьи, который встречал богомольцев в Алеппо и сопровождал их в Иерусалим и обратно в Алеппо (Н. Марр, Предварительный отчет, გვ. 51).

სავსებით შესაძლებელია, რომ ობედ ებნი სურური ერთი იმ არაბთაგანია, რომელიც ჯვარის მონასტერთან იყო დაკავშირებული თავისი საქმიანობით. ნ. მარი არ აღნიშნავს თუ რა დროისაა მის მიერ ნახული არაბული საბუთები. აღაპის მიხედვით კი ჯვარის მონასტრის კრებულის არაბებთან ურთიერთობა XIV საუკუნის პირველ ნახევარში დასტურდება.

4 b (M-3b), ტაბულა XLI

იხ. 4 a (M-3) აღაპის კომენტარი.

4 c (M-4b), ტაბულა XLI

იხ. 4 a (M-3) აღაპის კომენტარი.

5 (M-4), ტაბულა VIII

აღაპი ბექა მანდატურთუხუცესისა. ამავე ტაბულაშია ბექას კიდევ ორი აღაპი: № 310 და 152. ამ აღაპებში აღაპთა გამგენი არ არის

¹ „Дар или продажа, словом всякий переход имений монастырю происходил не иначе, как с согласия наследников, а для вассалов—и с согласия господина, что вполне отвечало духу законов „Assise de l'Érusalem“, которые были в принципе против церковных ниществ. Каждая дарственная или купчая заключалась при свидетелях, подписи которых значатся в конце каждого документа“ (Л. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. 1, გვ. 116).

დასახელებული. VIII ტაბულის სამივე ალაპი ბე-
ქასთვის არის განწესებული. ბექას ცხოვრების ხა-
ნაა 1285—1306 წლები, ამის მიხედვით ალაპები
XIV საუკუნის დამდეგზე გვიან ვერ დაიწერებო-
და. ბექას ალაპები შესულია აგრეთვე IX და
XXVII ტაბულებში (იხ. 53 და 246 ალაპები).

6 (M-5), ტაბულა XIX

ალაპი მეფის დის ულუმპიასთვის. ულუმ-
პია არის ბაგრატ V-ის (1360—1390 წწ.) ასული
და გიორგი VII-ის და. თ. ეორდანია 1401—1407
წლებში დაწერილად მიიჩნევა მცხეთის ერთ სი-
გელს, სადაც მოიხსენება ულუმპია, ბაგრატ მე-
ფის ასული და გიორგი მეფის და (ქრონიკები,
II, გვ. 203). ულუმპია იყო ჩიჯავაძე-ამირეჯიბის
მეუღლე (ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური
ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 65). ულუმ-
პიასა და კახაბერ ამირეჯიბის (ჩიჯავაძის) მოსა-
ხსენებელი შეტანილია სინის მთის სულთა მატია-
ნეშიც (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის
ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 245).

ამავე ტაბულაში გაერთიანებულია შემდეგი
ალაპები:

№ 15—განწესებული მეფეთ მეფე გიორგის-
თვის. ულუმპიას თანამედროვე მეფე გიორგი
თითქოს მისი ძმა, გიორგი VII, უნდა იყოს, მა-
გრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ გიორგი
ანდრონიკეს შვილი უნდა იგულისხმებოდეს. ამ
საკითხის გადაწყვეტაში ამავე ტაბულის № 125
ალაპი გვეხმარება (იხ. ქვემოთ). მეფე გიორგის
ალაპი გაჩენილია არქიმანდრიტისა და ჯვარის
მამის იოსების მიერ.

№ 125—წირვა, ალაპი და დალოცვა შვე-
ნიერ-ყოფილი მაკრინესთვის. ეს იგივე
დედოფალი შვენიერ-ყოფილი მაკრინეა, რომელიც
გიორგი მეფეთ მეფესთან ერთადაა მოხსენიებული
სინის მთის სულთა მატიანის მოსახსენებელში:
„სულსა მეფეთა მეფისა გიორგისსა შეუნდოს
ღმერთმან. სულსა დ'ფლსა შუშნიერ-ყოფილსა მა-
კრინეს შეუნდოს ღმერთმან“ (სინის მთის ქართულ
ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 243). მეფეთ მე-
ფე გიორგი და მის გვერდით მოხსენიებული დე-
დოფალი შვენიერ-ყოფილი მაკრინე—მეუღლენი
უნდა იყვნენ. ერთი ხელითაა დაწერილი ამავე პი-
რების ზემოგანხილული ალაპები სვინაქსარშიც,
რაც მათ თანადროულობაზე მიუთითებს. ამგვარად,
თუ მეფე გიორგის ქვეშ გიორგი VII-ს ვივარაუ-
დებთ, მაშინ შვენიერ-ყოფილი მაკრინე მისი მე-
უღლე ყოფილა. მაგრამ გიორგი VII-ს ცოლად

ჰყავდა ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათია. მაშასა-
დამე, ან უნდა ვივარაუდოთ, რომ შვენიერ-ყო-
ფილი მაკრინე გიორგი VII-ის პირველი მეუღლე
ყოფილა, რომლის მონაზუნად შედგომის შემდეგ
გიორგის ნათია ამირეჯიბი შეურთავს, ანდა დრო-
ის ამავე ფარგლებში უნდა ვეძებოთ სხვა მეფე
გიორგი, როგორც ამას აკეუებს პროფ. ს. კაკა-
ბაძე. პროფ. ს. კაკაბაძეს მიაჩნია, რომ № 15
ალაპის გიორგი—გიორგი ანდრონიკეს შვილია,
მისივე ვარაუდით, მოკლული 1373 წელს (იხ.
ს. კაკაბაძე, წერილი შტუდიები, 1914, გვ. 4—5).

ს. კაკაბაძის ვარაუდის სასარგებლოდ ლაპა-
რაკობს შემდეგი: სვინაქსარში გიორგი ანდრონი-
კეს შვილის ორი ალაპია განწესებული. ეს ალაპე-
ბი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. პირველი მათ-
განი (№ 289) ერთიანდება X ტაბულაში. ამ ტა-
ბულაში, გარდა გიორგი ანდრონიკეს შვილის
ალაპისა, არის აგრეთვე რამდენიმე სხვა ალაპი.
მათ შორის შვენიერ დედოფლის ალაპიც. დე-
დოფლის ალაპი უშუალოდ მოსდევს გიორგი ანდ-
რონიკეს შვილის ალაპს (№ 29), რაც მათ მეუღ-
ლეობას უნდა მოწმობდეს. ამ ვარაუდს მხარს
უჭერს სინის მთის სულთა მატიანის მოსახსენებ-
ლებიც, სადაც, როგორც უკვე ითქვა, ერთად
არიან მოხსენიებული გიორგი მეფეთ მეფე და
დედოფალი შვენიერ-ყოფილი მაკრინე. ზემოთ
განხილულ XIX ტაბულის ალაპეშიც ერთი ხელი-
თაა დაწერილი გიორგი მეფეთ მეფისა და შვენი-
ერ-ყოფილი მაკრინეს ალაპები (№ 15 და № 125).
აქედან, ბუნებრივია, ერთი დასკვნა გამომდინა-
რეობს: დედოფალი შვენიერი ყოფილა გიორგი
ანდრონიკეს შვილის მეუღლე, რომელიც მონაზუ-
ნად აღკვეცის შემდეგ შვენიერ-ყოფილი მაკრინეს
სახელს ატარებდა. X ტაბულის ალაპები, სადაც
შვენიერი მხოლოდ ერთობის სახელით არის მო-
ხსენიებული, უფრო ადრეულია, ვინამ სინის მთის
სულთა მატიანის მოსახსენებლები და XIX ტაბუ-
ლის ალაპები, სადაც დედოფალი შვენიერი უკვე
მონაზუნად, შვენიერ-ყოფილ მაკრინედ მოიხსე-
ნება.

ისმის საკითხი, რატომაა, რომ გიორგი მეფე
ხან გიორგი ანდრონიკეს ძედ იწოდება, ხან კი
გიორგი მეფედ. სხვადასხვა პირთან ხომ არ გვაქვს
საქმე. ალაპების გიორგი მეფე რომ იგივე გიორ-
გი ანდრონიკეს შვილია, ანას კიდევ ერთი გარე-
მოება მოწმობს.

ს. კაკაბაძეს გიორგი ანდრონიკეს შვილად მია-
ჩნია ის გიორგი, რომელიც „ძველი ერისთავთა“
მიხედვით მოკლეს ქორონიკონსა და-ს, ე. ი.
1373 წელს (იხ. „ძველი ერისთავთა“, შ. მესხიას

გამოცემა, გვ. 354, გამომცემლის აზრით, ქორონიკონი სხვა ხელით არის მიწერილი). გიორგი ანდრონიკესთან ერთად X ტაბულაში გაერთიანებულია აგრეთვე ამილახორ ქვენიფნეველის ალაპიც (№ 291); ალაპი უშუალოდ მისდევს სვინაქსარში გიორგი ანდრონიკეს ალაპს. ალაპში მოხსენიებული ამილახორ ქვენიფნეველი უნდა იყოს იგივე ქვენიფნეველი, რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით გიორგი მეფესთან ერთად იქნა მოკლული თურქთაგან: „ამათ ყამათა მოვიდეს თურქნი წინაძღომითა ბეღარის ძისა ხოსიაჲსითა. და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი... მუნვე მოკულა ერისთავი ქუენიფნეველი [ქორონიკონი და]“. „პარიზის ქრონიკა“ იმეორებს ამავე თარიღს და თავის მხრით უმატებს გიორგი მეფის მოკვლის დღეს „ავგისტოს 6-ს“ (ცხოვრება საქართველოსა, მ. ს. როსის გამოცემა, პარიზი, 1829, გვ. 1). სვინაქსარში კი სწორედ 6 აგვისტოს რიცხვზეა განწესებული მეფეთ მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილის ალაპი. „ფერისცვალებასა წირვა და ალაპი მეფეთა მეფისა ანდრონიკეს შვილისა გიორგისი, განუსუღწაოს ღვთაჲსან“ (№ 285). ფერისცვალების დღე—6 აგვისტოა, მაშასადამე, გიორგი ანდრონიკეს შვილის ეს ალაპი მისი გარდაცვალების დღეს არის გაჩენილი. ამგვარად „ძეგლი ერისთავთას“ მეფე გიორგი და სვინაქსარის გიორგი ანდრონიკეს შვილი ერთი და იგივე პირია. ამავე დროს გიორგი ანდრონიკეს ძე გიორგი მეფეთაც იწოდება. სვინაქსარის ალაპს სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. 1373 წლის 6 აგვისტო—გიორგი მეფის მოკვლის დღე სავსებით სანდო თარიღი ყოფილა, ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „ძეგლი ერისთავთასში“ გიორგი მეფის სიკვდილის თარიღი თითქოს სხვა ხელითაა ჩაწერილი, ეს თარიღიცა და „პარიზის ქრონიკის“ ცნობა გიორგი მეფის გარდაცვალების დღის შესახებ ექვს არ უნდა იწვევდეს (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ს. კაკაბაძის წერილი: გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, წერილი შტუდიები, გვ. 12).

გიორგი ანდრონიკეს შვილის ზემომოყვანილი ალაპები ყველა ერთდროული როდია. ყველაზე ადრეულია გიორგი ანდრონიკეს სიცოცხლეში დადებული ალაპები, სადაც მისი მეუღლე მხოლოდ ერობის სახელითაა მოხსენიებული; შემდეგია მარტო გიორგი ანდრონიკესი, მისი გარდაცვალების დღეს (ფერისცვალებას), ხოლო დანარჩენები უფრო მოგვიანებით, შვენიერის მოხაზვნად აღკვეციის შემდეგი ხანისაა (ეს უნდა მომხდარიყო მეუღლის გარდაცვალებას, ე. ი. 1373 წლის შემდეგ), მაგრამ შვენიერის სიცოცხლეში, ვინაიდან ალაპე-

ბისათვის შეწირულებას შვენიერ-ყოფილი მაკრინე აგზავნის საქართველოდან იერუსალიმში (იხ. № 208 ალაპი).

№ 15 ალაპი გიორგი მეფისა ერთი გვიანდელთაგანი უნდა იყოს, ვინაიდან იგი განწესებულია იოსებ არქიმანდრიტის ჯვარის მამობის დროს, ე. ი. XIII საუკუნის დამლევა და XIV საუკუნის დამდევს (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია).

ამავე XIX ტაბულაში, გარდა ზემოგანხილული შვენიერ-ყოფილი მაკრინეს ალაპისა (№ 125), ამავე დედოფლის კიდევ ორი ალაპია:

№ 208, დალოცვა შვენიერ-ყოფილი მაკრინესი, რომელმაც შეიარედ გაუგზავნა მონასტერს შესაწირავი. ალაპი განწესებულია ჯვარის მამა იოსების მიერ.

№ 180, დედოფალთ დედოფლის შვენიერ-ყოფილი მაკრინეს წირვა და ალაპი.

XIX ტაბულაში ყურადღებას იპყრობს კიდევ ორი ერთმანეთის მომდევნო ალაპი: № 80 და № 81. პირველი დაწერილია წერილი ნუსხურით, ხოლო მეორე მსხვილით. ერთი შეხედვით № 80 ალაპი თითქოს XIX ტაბულის სხვა ალაპებისაგან განსხვავებული ხელითაა დაწერილი. მაგრამ 80 და 81 ალაპების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ერთი-მეორის გაგრძელებას წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათი დაცილება არ შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ მათი დამწერი ერთი პირი არ არის.

№ 80 ალაპი დაწერილია სვინაქსარის 63 v-ზე. ალაპი განწესებულია ქერიმადინის შვილის იოსებისათვის, რომელმაც მონასტერს უყიდა ერთი ჯორი და სხვა სასყიდელიც გაიღო ალაპისათვის. ეს ალაპი სავსებით დასრულებულია.

მომდევნო № 81 ალაპი იწყება იმავე 63v-ზე და გრძელდება 64r-ზე. იწყება არა მთავრულით, როგორც ჩვეულებრივ, არამედ პატარა ასოთი. ტექსტიდან არ ჩანს, თუ ვისთვისაა იგი გაჩენილი, აღნიშნულია მხოლოდ, რომ მამა ქერაბინსა და კრებულს მისცა ვილაკამ დიდი შესაწირავი, რისთვისაც მას დალოცვა გაუჩინეს. ალაპი იწერება შემომწირველისათვის. ამ ალაპში შემომწირველის მოუხსენებლობა უნდა ავსხნათ ან იმით, რომ ალაპი ნაკლულია, ამის საფუძველს კი ხელნაწერი არ გვაძლევს, ან იმით, რომ ეს ალაპი წინა ალაპის გაგრძელებას წარმოადგენს და შემომწირველის სახელი წინა ალაპშია მოხსენიებული. ეს, როგორც ჩანს, ასეც არის. იმის შემდეგ, რაც დაიწერა № 80 ალაპი, იოსებს კვლავ შეუწირავს მონასტრისათვის შესაწირავი, რაც იმავე გვერდზე ამ ალაპის გაგრძელების სახით იქნა ფიქსირებული.

ლი. ზუსტად ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე გრიგოლ ფანასკერტელის ალაპში (იხ. № 123 და 123ა ალაპები). № 81 ალაპი ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ აქ მოხსენიებულია ჯვარის მამა ქერაბინი.

ჯვარის მამა ქერაბინი სხვა წყაროებში არა ჩანს. არ არის ის შეტანილი სინის მთის სულთა მატრიანის მოსახსენებლებშიც. საფიქრებელია, რომ მისი მამობა ხანმოკლე იყო, შესაძლებელია უმნიშვნელოც. ამიტომ მისი მოღვაწეობის კვალი წერილობით ძეგლებში ძუნწად აისახა. ჩვენს ალაპში ქერაბინის მამად მოხსენიება საესებით საკმარისია იმისთვის, რომ ის აქამდე უცნობ ჯვარის მამად მივიჩნიოთ და ჯვარის მამათა სიაში მას თავისი ადგილი მივუჩინოთ. XIX ტაბულაში, გარდა ქერაბინისა, ჩანს აგრეთვე ჯვარის მამა იოსებიც, რომლის ალაპი მის სიცოცხლეშია დაწერილი (№ 82 ალაპი), ვინაიდან ალაპი წარმოადგენს ჯვარის მამის დალოცვას. ცხადია, იოსები და ქერაბინი ერთდროულად ვერ იქნებოდნენ მამებად. „ჯვარის მამათა ქრონოლოგიაში“ გარკვეულია, რომ პიმენ მაწყვერელს, ჯვარის მამას, უშუალოდ წინ უსწრებდა იოსებ ჯვარის მამა, მაშასადამე, ქერაბინი არ შეიძლება ვივარაუდოთ მათ შორის, ე. ი. იოსების შემდგომ ჯვარის მამად, რის გამო რჩება ერთი შესაძლებლობა: იოსებ ჯვარის მამას წინ უსწრებდა ჯვარის მამა ქერაბინი. მაშასადამე, XIX ტაბულის დამწერი მოსწრებია ორ ჯვარის მამას — ქერაბინსა და იოსებს. იოსების ჯვარის მამობა იფარგლება XIV საუკუნის მიწურულთა და XV საუკუნის დამდეგით. ამის მიხედვით ქერაბინის მამობა უნდა ვივარაუდოთ XIV საუკუნის მიწურულში.

7 (მ-6), ტაბულა XXVII

№ 7 ალაპი გაჩენილია დავით მეფის ოცნის. XXVII ტაბულაში ერთიანდება 10 სხვადასხვა ალაპი. ამ ტაბულის საერთო შედგენილობა და ზოგიერთი ალაპის დათარიღება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ალაპებში მოხსენიებულ იმ პირთა ვინაობაცა და მოღვაწეობის დროც, რომელთა შესახებ მხოლოდ ცალკეული ალაპების ცნობებით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ტაბულის 10 ალაპიდან სამი ალაპი დავით მეფისთვის არის განწესებული (№№ 7, 195, 286). ამდენივე ალაპია ბაგრატ მეფისათვის (№№ 17, 254, 296). დანარჩენი ალაპები განწესებულია: ნათელ დედოფლისათვის (28), ვანენესთვის (76), აღბულასთვის (153) და შვენიერისთვის (297).

ერთი ტაბულის ფარგლებში დავით და ბაგრატ მეფეთა ამგვარი მონაცვლეობა უნდა მოწმობდეს იმას, რომ ეს მეფეები ერთმანეთის ან თანამედროვენი არიან, ან ერთმანეთის მონაცვლენი. ასეთები კი არიან, თითქოს, დავით IX (1346—1360) და ბაგრატ V (1360—1393). მაგრამ აქვე დგება მეორე საკითხიც: ვინ უნდა იყოს ამავე ტაბულის № 28 ალაპის ნათელ დედოფალი? ნათელ დედოფალი ისტორიულ წყაროებში სამი ჩანს. ერთია ბექას ასული, დიმიტრი თავდადებულის მესამე ცოლი, გიორგი ბრწყინვალის დედა. თუ ამ ნათელს მივიჩნევთ ჩვენი ალაპის ნათელ დედოფლად, მაშინ ბაგრატი და დავითი მისგან დიდი დროით იქნებიან დაცილებული. დავითი ნათელის შვილიშვილია, ხოლო ბაგრატი კი შვილიშვილის შვილი. ეს კი მეტად ზრდის ტაბულის ქრონოლოგიურ საზღვრებს. გარდა ამისა, უფრო მოსალოდნელი იყო ერთი ტაბულის ფარგლებში მეფეთა მშობლებისა და მეუღლეთა მოხსენიება და არა შორეული წინაპრებისა.

მეორე ნათელი არის დიოფალთ დიოფალი, შერგილ დადიანის მეუღლე და ცოტნე დადიანის, კობტას შეთქმულების ცნობილი მონაწილის, დედა. მაგრამ ეს ნათელ დიოფალიც დიდი დროითაა დაცილებული დავითსა და ბაგრატს, დაახლოებით ნახევარი საუკუნით. ამიტომ საეჭვოა, რომ ამ სამი ალაპის დაწერა ერთი პირის მიერ მოხერხებულიყო. ეს ალაპები კი, როგორც ვთქვით, ერთი ხელითაა დაწერილი. გარდა ამისა, ნათელი ცნობილია როგორც დიოფალთ დიოფალი. ასე კი იწოდებოდნენ დასავლეთ საქართველოს დედოფლები. ჩვენს ალაპში კი ნათელი დედოფალია — ასე იწოდებოდნენ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს დედოფლები, თუმცა ეს წესი ყოველთვის როდია დაცული ისტორიულ წყაროებში.

ერთი ნათია-ყოფილი ნისიმე სვინაქსარის ალაპებშიც არის მოხსენიებული (იხ. № 223 ალაპის კომენტარი). ეს ნათია ივანე ათაბაგის და არის. მისთვის ალაპი XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უნდა იყოს დადებული (იხ. იგივე კომენტარი). ხომ არ არის ეს ნათია რაიმე ნათესაურ კავშირში დავით ან ბაგრატ მეფეებთან?

ჩვენთვის ცნობილ წყაროებში მოხსენიებულია კიდევ ერთი ნათელი. ცაიშის ტაძრის ომფორის წარწერაში ვკითხულობთ: „საშინელო ხატო ცაიშისაო! შეიწირე მცირე ესე ომფორი დიოფალთ დიოფალისა ნათელისი, ძისა დიდისა სულკურთხეულისა ამირსპასალარისა ყუარყუარესი, აქა და საუკუნესა, ამენ“ (თ. ჟორდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 185). ამ წარწერაში მოულოდნელია სი-

ტყვა ძისა. პროფ. ვ. დონდუას გარკვეული აქვს, რომ ძე ამ კონტექსტში შემკვიდრეს ნიშნავს (იხ. Терминологическая особенность грузинского ძე (ძე) в лексике Руставели: Сборник в честь академика И. А. Орбели, 1960, გვ. 71).

თ. გორდანია ფიქრობს, რომ დიოფანტის დიოფანტის ნათელი უნდა იყოს ყვარყვარე I (1324—1361) ასული, რომელიც 1358 წელს ცოლად შეირთო იმერთა ერისთავმა ბაგრატმა, რომელიც ზოგჯერ, ჩანს, მეფედაც იწოდებოდა (იხ. ცველი საქართველო, III, თბილისი, 1914, გვ. 183). ბაგრატის ქორწინების შესახებ ვახუშტი წერს: „მოყვანა ცოლად ასული ყვარყვარე ათაბაგისა ბაგრატ, მიქელ მეფის ძემან, ქრისტეს აქეთ ჩტნს, ქორონიკონს ნე, და იქორწინა მის თანა ნებითა დავით მეფისათა“ (ვახუშტი, ხსენ. ნაშრომი, გვ. 277—278).

ვახუშტის ცნობით ბაგრატ ერისთავის ქორწინების „ნების მიმცემი“ დავით მეფე იგივე ჩვენი ალაპის დავით IX-ა. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ XXVII ტაბულის დავით და ბაგრატ მეფეები არიან დავით IX და ბაგრატ იმერთა ერისთავი. აქას არ შეუშლის ხელს არც ის, რომ ბაგრატი ალაპში ნეტედ არის წოდებული, ვინაიდან იმერეთის მრავალრიცხოვანი ერისთავები ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად შეუტეხად იწოდებიან, მათი მეუღლენი კი—დედოფლებად.

ამავე ტაბულის სხვა ალაპების დამოუკიდებელი დათარიღება ვერ ხერხდება, ამიტომ ისინი ვერ გვადგებიან დავით და ბაგრატ მეფეთა ალაპების დასათარიღებლად. ზემოთ მოყვანილი ზასალიდან და ვარაუდებიდან, რომლებზედაც არ უნდა შევჩერდეთ, ზაირც დავით და ბაგრატ მეფეთა ალაპების თარიღი XIV საუკუნის მეორე ნახევრით უნდა შემოიფარგლოს, უფრო ზუსტად ამ საუკუნის 60—50-იანი წლებით. ეს კი გვაძლევს უფლებას მთლიანად ტაბულა XIV საუკუნის მეორე ნახევრით შემოვფარგლოთ და ამავე დროისად მივიჩნიოთ იქ შემავალი დანარჩენი ალაპებიც.

8 (M—7), ტაბულა V

ალაპი იოვანე და კახაბერისთვის, განწესებული იმის გამო, რომ მათ მონასტერს შესწირეს 2000 დრამა „დიდსა დაქირებასა შინა მონასტრისასა“. ეს ალაპი თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით ანავე ტაბულის მეორე ალაპის საშუალებით (იხ. № 3 ალაპის კომენტარი). დაძაბებით აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კახაბერისა და იოვანეს სულთა მოსახსენებლები შეტანილია აგრეთვე „სინის მთის სულთა მატია-

ნეშიც“ (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 247). № 8 ალაპი ათარიღებს სინის სულთა მატიანის მოსახსენებელსაც.

9 (M—8), ნარევი ტაბულა VI

ალაპი სალამ ებნი ფარასთვის, გაჩენილი იმის გამო, რომ მან ჯვარს შესწირა თავისი დარი (სახლი) რამლაში. სალამ ებნი ფარა იგივე ობედ ებნი სურურ ებნუ სალამი უნდა იყოს (იხ. ალაპი 4a და მისი კომენტარი), რომელმაც აგრეთვე შესწირა ჯვარის მონასტერს თავისი სახლი რამლას მონასტრის მეტოქად. ამის გამო № 9 ალაპი ისევე თარიღდება, როგორც № 4a, ე. ი. XIV საუკუნის პირველი ნახევრით.

10 (M—9), ტაბულა XXX

ალაპი და პანაშვიდი თამარ-ყოფილი თომიდა დასთვის, დედოფალთა დედოფალისთვის. თამარ-ყოფილი თომიდას ვინაობას ჩვენ № 107 ალაპიდან ვგებულობთ. ის გიორგი დადიანის მეუღლე ყოფილა. თამარ-ყოფილი თომიდას თავისი ალაპისა და პანაშვილის განწესებისათვის სიცოცხლეშივე დაუწვია ზრუნვა და მონასტრისათვის დიდი წყალობა გაუგზავნია საალაპედ. მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის მეუღლე-ყოფილს გიორგი დადიანს „ერთობ დიადი ებოძა“ მონასტრისათვის თამარ-ყოფილი თომიდას საალაპედ (№ 107). გასარკვევია, თუ რომელი გიორგი დადიანის მეუღლეა თამარ-ყოფილი თომიდა. ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარება XXX ტაბულის სხვა ალაპები. ამ ტაბულაში, სხვათა შორის, არის აფხაზეთის კათალიკოზის დანიელი და მისი შვილის გიორგი ქყონდილის ალაპიც (№ 299). გიორგი ქყონდიელი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოღვაწეობდა იოსებ ჯვარის მამის დროს (იხ. № 110, 96, 208 ალაპები და მათი კომენტარები). იოსებ ჯვარის მამა კი XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის დამდეგის მოღვაწეა. ზემოდასახელებულ ალაპებში გიორგი ქყონდიელი როგორც ჯვარის მონასტრის კრებულის საპატრო წევრია მოხსენებული იოსებ ჯვარის მამის გვერდით, ხოლო XXX ტაბულის № 299 ალაპი საკუთრივ მისთვის არის გაჩენილი. ს. კაკაბაძე ჯვარის მონასტრის ალაპთა და სხვა ისტორიული მასალის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ გიორგი ქყონდიელი იერუსალიმში XIV საუკუნის ოთხმოციან წლებში უნდა ჩასულიყო (იხ.

ს. ქაკაბაძე, აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი: წვრილი შტუდიები, 1914, გვ. 6). ამგვარად გიორგი ჭყონდიდლის ალაპი XIV საუკუნის უკანასკნელი ოცეულით უნდა შემოიფარგლოს. დროის ამავე ფარგლებში, ე. ი. XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგით უნდა შემოიფარგლოს XXX ტაბულის სხვა ალაპებიც და მათ შორის თამარ-ყოფილი თომიდას ალაპიც.

XIV საუკუნის მანძილზე ორი გიორგი დადიანი ჩანს: პირველი მოკვდა 1323 წელს (ვახუშტი, გვ. 276). ეს გიორგი დადიანი XXX ტაბულის ქრონოლოგიური ჩარჩოებისათვის ადრეულია. მეორე გიორგი დადიანი, ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ დასვა გარდაცვლილ მამია დადიანის ნაცვლად (ვახუშტი, გვ. 277). ეს მეორე გიორგი დადიანი გარდაიცვალა 1384 წელს (ვახუშტი, გვ. 278). გიორგი II დადიანისა და მისი მეუღლე თამარ-ყოფილი თომიდასთვის უნდა იყოს განწესებული № 10 და № 107 ალაპები. გიორგი II დადიანი მოხსენებულია აგრეთვე № 213 და № 245 ალაპებში.

დავუბრუნდეთ ისევ თამარ-ყოფილ თომიდას. მისი მოსახსენებელი შეტანილია სინის მთის სულთა მატიანეში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 249) და ნიკორწმინდის სულთა მატიანეში (იხ. ექ. თაყაიშვილი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, 1939, პარიზი, გვ. 8). ამ უკანასკნელში მოსახსენებლის ტექსტი წარყვნილი ყოფილა და ვერც განსვენებულ მკვლევარს წაუკითხავს სწორად. მოსახსენებელს ექთაყაიშვილი შემდეგნაირად კითხულობს: „თამარ თომამ დასა (!) დედოფლისა და მეფისა მონაზონებისა ზეშთა განბრწყინებულისა საუკუნოს იყავნ“. ამგვარი წაკითხვის საფუძველზე ექ. თაყაიშვილს თამარ-თომამ მიუჩნევია დად მეფისა. ის ფიქრობს, რომ თამარ-თომამ დავით აღმაშენებლის ასული თამარია, აღსართან შიშვან შაჰის ცოლ-ყოფილი, რომელიც შემდეგ მონაზვნად შემდგარა. თამარი ამავე დროს მეფე დემეტრე პირველის და ყოფილა, რაც ნკვევრის აზრით, აღნიშნულია მოსახსენებელშიც. ამგვარი წაკითხვა და გაგებაც ნიკორწმინდის სულთა მატიანის მოსახსენებლისა, რა თქმა უნდა, გაუგებრობაზეა აგებული.

გარდა ზემოგანხილული ალაპებისა, XXX ტაბულაში ერთიანდება კიდევ რამდენიმე ალაპი: № 264, განწესებული ოქროპირ ქუთათელისა და მისი ძმისწულის მახარებელ ქუთათელისათვის.

№ 272 - ალაპი და პანაშეიდი დიოფალთა დიოფლის ქურდაბისისთვის. საალაპე შეწირულება იერუსალიმში ქურდაბისის დედას ჩაუტანია. ქურდაბისი XIV საუკუნის მეორე ნახევრის დედოფალი ყოფილა. ამავე დროის მოღვაწენი არიან ოქროპირი და მახარებელ ქუთათლები. მათი ალაპები კი განწესებული უნდა იყოს ამავე საუკუნის დამლეგს.

XXX ტაბულასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ტაბულის ზემოგანხილული ყველა ალაპი დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ საერო და სასულიერო პირებისთვის არის განწესებული. ამავე ტაბულაშია კიდევ ერთი ალაპი, რომელზედაც გვინდა შევჩერდეთ. ეს არის ალაპი გიორგი მეფეთ მეფისათვის, რომელსაც მონასტრისათვის 100 ფლური გაუგზავნია, რისთვისაც მონასტრის კრებულმა მას კარგადებული ალაპი გაუჩინა. ალაპი დადებულია გიორგი მეფის სიცოცხლეშივე. ვინაიდან XXX ტაბულის ყველა განხილული ალაპი დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ პირთათვის არის განწესებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ალაპიც დასავლეთ საქართველოს მეფე გიორგისთვის არის გაჩენილი. XIV საუკუნის დამლეგს დასავლეთ საქართველოში მართლაც მეფობს გიორგი მეფე — ალექსანდრე იმერთა მეფის ძე, რომელიც ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა 1389 წელს და რომელიც ვამიყ დადიანთან ძლიერ ბრძოლაში დაიღუპა 1392 წელს (ვახუშტი, გვ. 278—279). ამ მეფე გიორგის დაუსვამს 1390 წელს აფხაზეთის კათალიკოზად არსენი (ვახუშტი, გვ. 279). ეს არსენი, ჩანს, დანიელ კათალიკოზის მომდევნო კათალიკოზია (ს. ქაკაბაძე, აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი: წვრილი შტუდიები, 1914, გვ. 6). დანიელი და მისი შვილი გიორგი ჭყონდიდელი კი ამავე XXX ტაბულის ალაპებში არიან მოხსენიებული. ამგვარად, ეს გიორგი მეფე XXX ტაბულის ალაპებში მოხსენიებულ პირთა თანამედროვე და თანამოღვაწე არის.

XXX ტაბულის ალაპთა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ტაბულის ფარგლების შემოზღუდვა XIV საუკუნის უკანასკნელი ათეულითაც კი შეიძლება. საესებით შესაძლებელია, რომ ტაბულის ალაპები, განწესებული მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ პირთათვის, ერთდროულად იყოს ყველა დაწერილი ერთი რომელიმე პირის ინიციატივით, შესაძლებელია, გიორგი ჭყონდიდლის მიერაც, რომელიც ამ დროს იერუსალიმში მოღვაწეობდა.

ალაპი მიქაელ გონგლიბაძეს ბედიელისათვის. ალაპის პირველი სამი სტრიქონი დაწერილია წერილი ნუსხურით, შემდეგ კი მსხვილით.

ამ ტაბულის ალაპებისათვის დამახასიათებელია:

ა) ლათსუს კალამი პანაზუდი, რომელიც რამდენიმე ალაპში მეორდება: №№ 157, 218 და 184. ამ უკანასკნელ ალაპში დამწერს შ-ს მაგივრად კვლავ ზ-ს წერა დაუწყია, მაგრამ დროზე შეჩერებულა და დაუმთავრებელი ზ-ს გვერდით შ დაუწყებია (იხ. № 184 ალაპი).

ბ) ტაბულის ყველა ალაპისათვის დამახასიათებელია მრგვალქუდიანი ასომთავრული ანი, რომლითაც იწყება ყოველი ალაპი.

№ 11 ალაპის დათარიღება ხერხდება XXI ტაბულის ორი სხვა ალაპის საშუალებით. ესენია: № 314 და № 156.

№ 314 ალაპი დადებულია იოსებ ხავთაძეს [ძ]ისთვის აღვების შესამე კვირა დღეს. ეს ალაპი, როგორც უკვე გავიყვანეთ გამოკვლევაში (იხ. გვ. 17 და 109) სვინაქსარიდან გადატანილია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში მენელსაცხებელთა კვირაიკეზე, რაც აღვების შესამე კვირას უდრის. ოღონდ აქ იოსებ ხავთაძეს მაგივრად დადამწერს შეცდომით იოსებ ხაფლაა დაუწერია¹. ტიშენდორფისეული ნუსხის ეს ძველი ფენა კი, როგორც გარკვეულია, XIV საუკუნის დამდეგზე გვიან ვერ გადაიწერებოდა (იხ. გამოკვლევა, გვ. 18).

მეორე ალაპი, რომლის დათარიღებაც შესაძლებელია, ეს გიორგი დადიანის ალაპია (№ 156). ვინაიდან იოსებ ხავთაძეს ალაპი XIII—XIV საუკუნის მიჯნით თარიღდება, ამიტომ მთელი ტაბულაც დროის ამავე ფარგლებით უნდა შემოიფარგლოს. ამავე მონაკვეთში უნდა ვეძებოთ გიორგი დადიანს. № 10 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ XIV საუკუნეში ცხოვრობდა ორი გიორგი დადიანი. პირველი გარდაიცვალა 1323 წელს და, მაშასადამე, მისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი XIII საუკუნეზე მოდის. სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა რამ ვიცით XIII საუკუნის II ნახევრის დადიანთა შესახებ. 1323 წლის გიორგი კი სავსებით შეიძლება მიუდგეს ჩვენი ტაბულის ქრონოლოგიურ საზღვრებს, მით უმეტეს, რომ ძალიან

ხშირად ალაპები შემომწირველთა სიცოცხლეში იწერება. ასეც რომ არ იყოს და ალაპი გიორგის გარდაცვალების შემდეგ იყოს დაწერილი, XXI ტაბულის ქვემო ქრონოლოგიური საზღვარი XIV საუკუნის პირველ მეოთხედს მაინც არ გასცილდება. ერთი ტაბულის ფარგლებში კი ალაპთა შორის 20—25 წლის მანძილის დაშვება სავსებით შესაძლებელია. ამგვარად, XXI ტაბულის ქრონოლოგიურ საზღვრებად უნდა მივიჩნიოთ XIII საუკუნის დამლევი და XIV საუკუნის პირველი მეოთხედი. ამავე დროისად უნდა მივიჩნიოთ XXI ტაბულის დანარჩენი ალაპებიც:

- 20—ალაპი ივლიაძესა შვილისა მიქაელისა
- 157—ალაპი გიორგი დევიდარიანისა
- 158—ალაპი გობოძისა ავაგისა
- 159—ალაპი გობოძის ცოლისა მამქანისა
- 179—ალაპი მიქაელ ოდარიანისა და მისი მეუღლის ბორენასი
- 184—ალაპი მიქაელ ხუნთათიანისა
- 189—პანაშვიდი ნისიმესი, ეგნატის დედასა
- 190—პანაშვიდი ნისიმეს შვილის ყელგრძელისა

305—ალაპი არდაშელის შვილის დავითისა და მისი მეუღლის ხვარაშანისა

218—ალაპი მონასტრის ძმის მარკოზისა საფიქრებელია, რომ № 189 და № 190 ალაპების ნისიმე ერთი პირია. პირველ შემთხვევაში ის მოხსენიებულია როგორც ეგნატის დედა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი როგორც ყელგრძელის დედა.

არ დაშერი მოხსენიებულია აგრეთვე № 240 ალაპში. ამ ალაპის მიხედვით იგი XIII ს. II ნახევრის მოღვაწე შაპანშას შვილია. ამ ორი ალაპის არდაშერ-არდაშელი შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გობოძის ალაპები შესულია როგორც XXI ტაბულაში, ასევე ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში. ისინი ერთი დროის არიან, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს პირები ერთი ოჯახის წევრები იყვნენ.

12 (M—11), ტ ა ბ უ ლ ა LVIII

პანაშვიდი ბორენასი, აბუსერიძის სილედრისა. LVIII ტაბულაში, გარდა ბორენას ალაპისა, არის აგრეთვე მურვან ლობერის (ლობერის?) ალაპიც (№ 178), მაგრამ არც ერთისა და არც მეორე ალაპის დათარიღება არ ხერხდება, ვინაიდან ამ პირთა შესახებ ცნობები ვერ დავ-

¹ ვ-ის გრაფიკული აღრევა ფ-ში ნუსხურ დაწერილობაში ხშირია.

ძებნეთ სხვა წყაროებში. ამასთან არც პარალელური მოეძებნა ამ ალაპებს სხვა დათარიღებულ ალაპებში. პალეოგრაფიულად კი ტაბულა XIV საუკუნისა უნდა იყოს.

13 (M—12), ტაბულა II

ალაპი გრიგოლ მშვიდაისათვის და მის მიცვალებულთათვის. II ტაბულაში, გარდა გრიგოლ მშვიდაის ალაპისა, შედის აგრეთვე მარკოზეთ კვირიკეს ალაპი (№ 57), რომელმაც ჯვარისათვის სახლი ააშენა, რაზედაც 500 დრამა დახარჯა. გარდა ამისა 400 დრაჰკანი გაიღო აქაიას ასაშენებლად.

II ტაბულა პალეოგრაფიულად სენაქსარის ალაპების ძველი ფენაა. II ტაბულის ალაპები დაწერილია მეტად თავისებური ხელით, რომელიც უმთავრესად გავრცელებულია XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამაზე გვიან ის აღარ გვხვდება. ამ ხელის ერთერთ სახეობას წარმოადგენს ე. წ. გიორგი მციორის ხელიც (იხ. მისი გადაწერილი ხელნაწერი S—353). უფრო ფართოდ ეს ხელი თავისი ნაირსახეობით გავრცელდა შავი მთის სკოლაში. II ტაბულის ალაპები პალეოგრაფიულად XIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ჩვენი ფიქრით, ალაპები უფრო XII საუკუნის დამლევს განეკუთვნებიან. ამას მოწმობს კლასიკური ხანის დამწერლობისათვის დამახასიათებელი ასომთავრული ანი (შდრ. III ტაბულის ალაპები ათონის მონასტრის ამავე დროის ალაპებს).

მარკოზეთ კვირიკეს ალაპმა შემოგვინახა ერთი საყურადღებო ცნობა. მარკოზეთ კვირიკემ აქაიას საშენებლად მონასტრის მისცა 400 დრაჰკანი. როგორც ჩანს, აქაია ადგილის სახელწოდებაა, რომლის ფლობაც ჯვარის მონასტრისათვის მეტად სასურველი ყოფილა, ვინაიდან აქაიას ადგილი და მამული სხვა ალაპებშიც მოჩანს. ერთ-ერთი ალაპიდან ვგებულობთ, რომ გრიგოლ ფანასკერტელმა „მოსცა და შემოსწირა ჯვარის მონასტრისა აქაიას ადგილი“ რვაას დრაჰკანად ნაყიდი, რისთვისაც მას ხუთი ალაპი გაუჩინეს (№ 123). მეორედ გრიგოლ ფანასკერტელს კვლავ გაეგზავნა მურვანის ხელით „ოცდა ათჯერ ათასი“, რითაც მონასტრმა (24000 ათასად) აქაიას მამული იყიდა (№ 123ა ალაპი). გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები თარიღდება XIII საუკუნის დამლევით (იხ. ამ ალაპთა კომენტარები). მარკოზეთ კვირიკეს ალაპი კი უფრო ადრეული ჩანს.

როგორც ეტყობა, იქამდე, სანამ ქართველები გრიგოლ ფანასკერტელის მეოხებით შეიძენდნენ აქაიას ადგილსა და მამულს, ჯვარის მონასტრის რაღაც უფლებები მაინც ჰქონია ამ ადგილებზე. შესაძლებელია, ეს უფლებები მონასტრმა დაკარგა 1273 წელს მონასტრის დაკარგვისთან ერთად (ეგვიპტის სულთანმა ქართველებს ამ წელს წაართვა არა მარტო მონასტერი, არამედ ამ მონასტრის მთელი მოძრავი და უძრავი ქონებაც). შეიძლება ეს მოხდა უფრო ადრეც, ვინაიდან იერუსალიმის არც მუსლიმანი და არც ლათინი მმართველები არ თაკილობდნენ ამგვარ საქმიანობას, ხოლო უკვე გრიგოლ ფანასკერტელის დროს ხელმეორედ გახდა საჭირო ამ ადგილ-მამულების შეძენა, თუ უკან დაბრუნება.

14 (M—13), ტაბულა XX

ალაპი სეხნა მიქაძისთვის, ალაპის გამჩენია ნიკიფორე ჩოლაყაშვილი ჯვარის მამა (იერუსალიმში მოღვაწეობდა 1614—1626 წწ., ხოლო ჯვარის მონასტრის წინამძღვრად იყო 1643—1649 წლებში). ნიკიფორესთან ერთად ალაპში მოხსენიებულია თეოდოსე ეპისკოპოსი (რევიშვილი). ალაპი დაწერილია ნიკიფორეს ჯვარის მამობას, ე. ი. 1643—1649 წლებში. XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწე უნდა იყოს სეხნა მიქაძეც.

15 (M—14), ტაბულა XIX

ალაპი მეფეთ მეფე გიორგისთვის. ალაპის გამჩენია იოსებ არქიმანდრიტი და ჯვარის მამა, რომელიც ჯვარში მოღვაწეობდა XIV საუკუნის დამლევსა და XV საუკუნის დამლევს (იხ. № 6 ალაპის კომენტარი). გიორგი მეუფეთ მეფეთ, როგორც ვარკვეულია № 6 ალაპის კომენტარში, უნდა იყოს გიორგი ანდრონიკეს ძე, რომელიც შოკლეს თურქებმა 1373 წელს.

16 (M—15), ტაბულა XVI

ალაპი ივანე ქველივაძის შვილის ბასილისა. ალაპის საფასური იერუსალიმში ჩაუტანია ბასილის ძმას ტურლნის. საალაპე ოქროთი მონასტრის კრებულს „სპარსთავან დაჭირულნი ლელუნარნი“ დაუხსნია. XVI ტაბულის სამივე ალაპი დაწერილია მსხვილი არანწიგნობრული ხელით, რის გამოც პალეოგრაფიულად მისი დათარიღება ძნელია. XVI ტაბულის დათარიღებაში გვეხმარება VI ტაბულის ალაპები, სა-

დაც სულ ორი ალაპია გაერთიანებული: ივანე ქველივაძისა და მისი მეუღლის (№ 255) და ნიკოლოზის შვილის ქავთარისა (№ 62). VI ტაბულის ეს ორი ალაპი კი დაწერილია შესანიშნავი კალიგრაფიული და ამავე დროს მეტად თავისებური ნუსხურით, რომელიც გავრცელებული იყო XII და XIII საუკუნეებში. საფიქრებელია, რომ XVI ალაპის ივანე ქველივაძეც, ბასილის მამა, იგივე ივანე ქველივაძეცა, რომლისათვისაც განწესებულია № 255 ალაპი. მაშასადამე, ეს ორი ალაპი დიდი დროით არ არის ერთმანეთისაგან დაცილებული. მეორე მხრით, ბასილის ალაპის მიხედვით ჯვარის მონასტრის საალაპე ფულით მონასტრის კრებულმა „სპარსთაგან დაჭირულნი ლელუნარი“ დაიხსნა. აქ უნდა იგულისხმებოდეს „სპარსთაგან შეჭირვების“ დროს (ასე უწოდებენ ალაპებში ჯვარის მონასტრის მამულქთაგან მიტაცებას) წართმეული ლელუნარის გამოსყიდვა. მონასტრის უძრავი და მოძრავი ქონების გამოსყიდვის წებმთხვევები სხვა ალაპებშიც არის დადასტურებული (იხ. აქვე, გვ. 42). მონასტრის „დაჭირება“ გრძელდებოდა 1273 წლიდან 1305 წლამდე, რის მიხედვით ბასილის ალაპი დაწერილი უნდა იყოს XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში; ხილო ამაზე ცოტა უფრო ადრე, XIII საუკუნის 60—70-იან წლებში დაიწერებოდა ბასილის მამის ივანე ქველივაძის ალაპი. სხვათა შორის, VI ტაბულის მეორე ალაპი (№ 62), განწესებული ნიკოლოზის შვილის ქავთარისთვის, აგრეთვე „ჯვარის დაჭირების“ დროს ყოფილა დაწერილი, ისე რომ ეს გარემოებაც უჭერს მხარს XVI და VI ტაბულის თანადროულობას.

XVI ტაბულის დანარჩენი ორი ალაპიც—მოზ. დოდინისა (№ 212) და გერასიმე ჯვარის მტვირთელისა (№ 56)—XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით უნდა დათარიღდეს.

17 (M—16), ტაბულა XXVII

ალაპი ბაგრატი მეფისათვის. ბაგრატის ვინაობისა და ალაპის თარიღის შესახებ იხ. № 7 ალაპის კომენტარი.

18 (M—17), ნარევი ტაბულა IV

მოსახსენებელი ნაუას ძე ზოსიმე კუმურდოელია, მისი პატრონის ქეთაონ-ყოფილის ქრისტიანისი და ქეთაონის შვილთა: იოთამისა და გულქანისა. ეს მოსახსენებელი გან-

წესდა იმის გამო, რომ ზოსიმემ იერუსალიმში ჩაიტანა თავისი და ქეთაონ-ყოფილი ქრისტიანის საქონელი და ამ საქონლით ფრანგებისაგან წართმეული გოლგოთა დაიხსნა.

ზოსიმე კუმურდოელი ცნობილი პირია. ზოსიმეს ერთგულების წიგნი ქართლის კათალიკოს ბასილისადმი, დაწერილი 1519—29 წლებში, გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას (იხ. ქრონიკები, II, გვ. 345).

ალაპი № 18 განხილული აქვს მკვლევარ ქრისტიანე შარაშიძეს [იხ. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.): მასალები საქართველოსა და ქავეკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 212]. ქრ. შარაშიძეს, მიაჩნია, რომ ზოსიმე უნდა იყოს ძმა „პატრონის ქეთაონის გარდაღლის“ ზებედე ნაუასისა, რომლის დაწერილია ქეთაონ-ყოფილი ქრისტიანის სულთა მოსახსენებელი. უფრო სავარაუდებელია, რომ ზებედე ზოსიმეს ერისკაცობის სახელი იყო (იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსლეა, 1956, გვ. 0186, სქოლიო 3).

მოსახსენებელში არ ჩანს—ზოსიმე იერუსალიმში ქეთაონის სიკოცხლეშივე წავიდა, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ (ქეთაონი 1511 წელს ცოცხალი ჩანს, იხ. ქრ. შარაშიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 211). მოსახსენებლის დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს ცნობას, რომ ზოსიმე იერუსალიმში ჩავიდა იმ დროს, როდესაც ფრანგებს ქართველებსათვის გოლგოთა წაურთმევიათ. ზოსიმემ ოთხასი ფლური გაიღო და გოლგოთა დაიხსნა.

გოლგოთაზე ქართველებს ადრევე ჰქონდათ მოპოვებული უფლებები. უკვე XI ს. შუა წლებიდან აღდგომისა და გოლგოთის ეკლესიებში ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ჩანს, რომელიც სანწერლო საქმიანობას მისდევს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა XIV—XV სს-ებში ქართველთა უფლებრივი მდგომარეობა პალესტინის ამ უდიდეს სამლოცველოებში.

„გოლგოთის სენაქსარის“ 1400 წლის მინაწერში გამოჩნულია ქართველთა და ფრანგთა უფლებები აღდგომის ეკლესიასა და გოლგოთაზე: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა—ლთისაგან, ზეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი და გოლგოთა. ჯუარს ჯუარი დასხით, საპყრობილეს საპყრობილედ დასხით. გარდამოქსა (!) და სახლი ბირქას ზედა—ორი სახლი არის; ფრანგთაქენ—მათი, და ამიერ—ჩუენი, ორი კარი აბია. აღდგომისა კარსა ზედა

მარჯნით ჩუენია ჯდომა...“ (ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 41).

უფლებათა ამგვარი გამიჯვნა და მათი წერილობითი ფიქსაცია ამ დროისათვის მეტად საჭირო ყოფილა, ვინაიდან გამუდმებული ბრძოლა იყო ფრანგებს, ბერძნებს, ქართველებს, სირიელებსა და კობტებს შორის წმიდა ადგილების ფლობისათვის.

XV საუკ. II ნახევარში ამ ბრძოლას განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიუღია. რ. ჟანენი წერს: „ას ორმოცდა ათი წლის განძავლობაში ქართველები მშვიდობიანად ფლობდნენ გოლგოთას თხემის მთელ საგანე-სამლოცველოს. მხოლოდ XV საუკუნის დასასრულს ლათინებმა ჩამოართვეს მათ ამ დაწესებულების ნახევარი. 1475 წელში დასავლეთის სამღვდელთა სურდა დაესაკუთრებინა სრულიად ეს ადგილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა. ადგილობრივი სასამართლოს განაჩენით, 1492 წლის თარიღით, ქართველებს რჩებოდათ გოლგოთის თხემის ჩრდილოეთი მხარე, და ფრანგებს — სამხრეთისა“ (რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 18--19). 1475 წლის ძლიერი შემოტევისაგან დაუხსნია ქართველები ალექსანდრეს ემისწულს ბაგრატს. მისთვის განწესებული ალაპიდან ვგებულობთ, რომ მას 1476 წელს გოლგოთა „უშოვნია“ და მისი გუმბათიც აუშენებია (იხ. ალაპი № 252 და მისი კომენტარი). მაგრამ ამით არ დამთავრებულა პრეტენზიები ქართველთა უფლებებზე.

გოლგოთაზე ქართველთა უფლებების ენერგიულ დამცველად გვევლინება ბეენა ჩოლაყაშვილი, ავ-გიორგის ძიერ ჯვარის მამად გაგზავნილი იერუსალიმში: იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მინაწერებში მოიპოვება ბეენა ჩოლაყაშვილის რამდენიმე საინტერესო ჩანაწერი: „ძმანო, ნებითა ღთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავადებინე და მათი ყველა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმან ბეენა“. ჩანს, ბეენას ფრანგებთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა. ერთ ადგილას ის პირდაპირ წერს კიდევ: „დიდი ქირი და სასჯელი გარდამხდა“. ერთ-ერთი მინაწერიდან კი ვგებულობთ, რომ მას ქრონიკონსა სბ (ე. ი. 1514 წ.), დღესა სამშაბათსა, მეორესა ეანსა ღამისასა შეუბამს აღდგომის კარნი (ბეენას შესახებ იხ. ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაწილი, გვ. 241 და ტ. გაბაშვილი, მიმოხლვა, გვ. 085). ცხადია; ბეენა ნაშუაღამევს არ დაიწყებდა აღდგომის კარის შებმას, გარემოებას რომ არ აეცლებინა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამავე წლებში ჩასულა იერუსალიმს ზოსიმე კუმურდოელი. მორიგი შემოტევის დროს ფრანგებს გოლგოთა ჩაუვლიათ ხელში. ზოსიმე კუმურდოელმა ქართველთა უფლებები გოლგოთაზე გამოისყიდა 400 ფლურად და, მოსახსენებლის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „დოდი საქმე ქნა“.

19 (M—18), ტაბულას VI

ჯავახი აფაქის ძისა და მისი მეუღლე ბორენასთვის ჯვარის მამა იოსებს გაუჩენია დალოცვა „მესმესა“ ზედა. ჯავახ აფაქის ძეს კანდელაქის ხელით ჯვარის მონასტრისათვის გაუგზავნია 120 ფული და ამით „დაჭირების ეამსა და დიდ უღონობისას“ მოხმარებია მონასტერს.

ალაპი თარიღდება ჯვარის მამა იოსების საშუალებით, რომლის იერუსალიმში მოღვაწეობის წლებია XIV საუკუნის დამდეგი და XV საუკუნის დამდეგი (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია).

VI ტაბულაში, გარდა მე-19 ალაპისა, შედის კიდევ ერთი ალაპი № 209, განწესებული პატრონი მარეხისათვის. ეს ალაპიც პირველი ალაპის ქრონოლოგიური ფარგლებით უნდა შემოიფარგლოს, უფრო საფიქრებელია, რომ ალაპი XV ს. დამდეგს იყოს დაწერილი; ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: მარეხი მოხსენიებულია კიდევ ერთ ალაპში, რომელიც განწესებულია ზაქარია ფანასკერტელისათვის და მისი დის მარეხისთვის.

¹ ჯავახთან დაკავშირებით ლ. მუსხელიშვილი წერდა: „როგორც ეტყობა XIII საუკუნის დამდეგსა და XIV საუკუნის დამდეგს სამძივართა საგვარეულოში (უფთ ამ საგვარეულოს იმ მტოში, რომელიც დამკვიდრებულა თემის ხეობაში) შემოდის სახელი ჯავახი და შეიძლება უკვე XIV საუკუნის პირველ ნახევარში ისინი იწოდებოდნენ ჯავახი-შვილად“. ხოლო იქვე სქოლიოში შენიშნავდა: „სახელი „ჯავახი“ XIV საუკუნეზე უფრო ძველია (იხ. ნ. მარის გამოც. ჯვარის მონასტრის ალაპები № 16, საცა იხსენიება აფაქის ძე ჯავახი, მინაწერი ძველი ხელითაა გაკეთებული. შემდეგ შეადარე იქვე № 127 და 195, სადაც იხსენიება თორელი ჯავახი და გვ. XXXI-ზე № 15—ჯავახი ქილას ძე)“ (ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941 წ., გვ. 74 და ამავე გვერდზე სქოლიო 3). ლ. მუსხელიშვილის ვარაუდი ნაწილობრივ სწორია. მართლაც, თორელი ჯავახის ალაპები (იხ. ჩვენი გამოკვების № 129 და 197 ალაპების კომენტარები) XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით იფარგლებიან. მაშასადამე, ჯავახ თორელის ცხოვრების ხანად უნდა ვივარაუდოთ XIII საუკუნის მეორე ნახევარი. ასეთივე ვითარებაა ჯავახ კილაძის მიმართაც (იხ. T—22), ჯავახ აფაქისძის ალაპი კი, როგორც დავიანახეთ, XIV საუკუნის დამდეგითა და XV საუკუნის დამდეგით თარიღდება. ამგვარად ეს ალაპები თანადროული არ არიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზაქარია ფანასკერტელის და მარები და პატრონი მარები ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს ალაპები თითქმის თანადროული არიან. ზაქარია ფანასკერტელის ალაპი გაჩენილია პიმენ ჯვარის მამის მიერ და თარიღდება XV საუკუნის დამდეგით (ათიანი წლებით). პატრონი მარების ალაპი კი გაჩენილია იოსებ ჯვარის მამის დროს, რომელიც უშუალო წინამორბედი იყო პიმენ მაწყვერელისა და რომლის მოღვაწეობა ჯვარში ისაზღვრება XIV საუკუნის დამდეგითა და XV საუკუნის დამდეგით. საფიქრებელია, რომ XV საუკუნის დამდეგს არის დაწერილი მარების ორივე ალაპი.

20 (M—19), ტაბულა XX1

წირვა და ალაპი ივლიას შვილის მიქაელისთვის. არავითარი მონაცემები არ გავაჩნია ამ ალაპის ცალკე, დამოუკიდებელი, დათარიღებისათვის. მისი დათარიღება შესაძლებელია მხოლოდ XX1 ტაბულის ზოგადი ქრონოლოგიური ისაზღვრებით. XX1 ტაბულა კი დათარიღებულია XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი).

21 (M—20), ნარევი ტაბულა IV

ალაპი და შესანდობარი სერაპიონ კუმურდოელისათვის, ჯვარის ტრაპეზისა და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმაშენებლისათვის.

ისტორიულ წყაროებში სერაპიონ კუმურდოელის შესახებ ცნობებს ჩვენ ვერ მოვაკვლიეთ. ხელის მიხედვით კი ეს ალაპი XV საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება.

22 (M—21), ტაბულა IX

წირვა და ალაპი შალვა, ბექას შვილისათვის. შალვა არის ბექა პირველის (გარდ. 1306 წ.) უმცროსი შვილი. IX ტაბულაში, გარდა შალვასი, არის აგრეთვე ბექას მეორე შვილის ყვარყვარეს ალაპიც (№ 53). ამ ორი ალაპის საშუალებით IX ტაბულა შეიძლება დაახლოებით XIV საუკუნის სამოციანი წლებით შემოიფარგლოს (ყვარყვარე გარდაიცვალა 1361 წ., იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 186).

ამავე ფარგლებშია სავარაუდებელი ამ ტაბულის დანარჩენი ალაპების განწესებაც, ესენია:

ამირლამბარ ფანასკერტელის ალაპი (№ 105).

ალაპებში ჩვენ რამდენიმე ფანასკერტელი გვხვდება: პირველია გრიგოლ ფანასკერტელი, რომლის მოსახსენებელი შეტანილია სვინაქსარშიცა და ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძველ ფენაშიც. ამით იგი XIII საუკუნის დამლევით იფარგლება. მეორე ფანასკერტელია თაყა, მეუღლე დემეტრე მეფის ასულის რუსუდანისა, რომელიც 1306 წელს აშენებს ვაჩქორის ეკლესიის ეკვდრს (იხ. № 65 ალაპის კომენტარი). ეს თაყა ფანასკერტელი, „ემათა აღმწერლის“ ცნობით, იყო ტაოს ერისთავი, რომელსაც მოუხდა შებრძოლება თურქ აზატ-მოსესთან და რომლისაგანაც მან დამარცხება განიცადა (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, 1959, გვ. 311). ამგვარად, თაყა ფანასკერტელი და მისი მეუღლე რუსუდანი ბექა პირველის თანამედროვენი არიან. ხოლო IX ტაბულის მიხედვით, ამირლამბარ ფანასკერტელი ბექას შვილების ყვარყვარესი და შალვას თანამედროვე ჩანს. მაშასადამე, ამირლამბარი თაყას შემდეგი თაობაა.

გარდა ამირლამბარისა, IX ტაბულაში ერთიანდება აგრეთვე რუსუდან, ფანასკერტელის ცოლის, ალაპიც (№ 250). ვინ უნდა იყოს ეს რუსუდანი? შესაძლოა, ის იყოს დიმიტრი თავდადებულის ასული, მეუღლე თაყა ფანასკერტელისა, რომელიც № 65 ალაპში რუსუდანთან ერთადაა მოხსენიებული. დიმიტრი თავდადებულის ასული რუსუდანი 1274 წელზე ადრე ვერ დაიბადებოდა, ვინაიდან, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, დიმიტრი მეფეს პირველი ცოლი 1272—1273 წ. უნდა შეერთო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 215—220). ამიტომ რუსუდანს შეეძლო ეცხოვრა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე, ხოლო მისთვის ალაპი შეიძლება განწესებულიყო XIV ს. შუა წლებში. ჩანს, თაყა ფანასკერტელი რუსუდანზე ადრე გარდაცვლილა. მეორე მხრით, არ არის გამორიცხული არც ის, რომ ამირლამბარის მეუღლესაც რუსუდანი ერქვა და რომ ერთი და იმავე პირის მიერ ერთდროულად დაიწერა ამირლამბარისა და მისი მეუღლის ალაპები.

IX ტაბულაში გაერთიანებულია კიდევ რამდენიმე ალაპი: მირიან კოპაძისძისა (№ 192) და პატრიკ კოპაძისძისა და მისი მეუღლის ვახახისა (№ 121). ამ პირთა მოხსენიება სხვა წყაროებში არ შეგვხვედრია (შდრ. კოპაძეთა მოხსენებლებს: სამხრეთ საქართველოს მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამო-

კვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, 1961, გვ. 15, 76). ცნობილია მხოლოდ, რომ კოპაძენი ძველი გვარია. ბერთას სახარების XIV—XV საუკუნეების მინაწერებში მოხსენიებულნი არიან: ამბრი, შუბა, და ზაგრა კოპაისძენი (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი, 4 კოლექცია, ტ. II, გვ. 320).

ამავე ტაბულაშია აგრეთვე აღაპები შანშას ძმის ვაჰრამისა (№ 30) და შანშას ძმის აღბულასი (№ 29). სამი ძმა მხარგრძელები: შანშა, ვაჰრამი და აღბულა ჩანან XIV საუკ. პირველ ნახევარში (იხ. ალიშანის შედგ. მხარგრძელთა გენეალოგია). ესენი არიან: შაჰანშა II ამირსპასალარი (გარდ. 1320), მისი ძმა ათაბაგი ვაჰრამი (დამოწმებულია წყაროებში 1336, 1342 წლებში) და აღბულა II, უფალი (დამოწმებულია წყაროში 1301 წელს).

და ბოლოს, IX ტაბულის უკანასკნელი აღაპი განწესებულია სარგისის ცოლის თამარისა და მისი დედის ხათუასთვის (№ 97). ამ აღაპზე მოგვიხდება საგანგებო შეჩერება.

IX ტაბულის ყველა აღაპი რომ ერთი ხელითაა დაწერილი, ეს ეჭვს არ იწვევს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მწერლისათვის ასომთავრული ანის თავისებური მოყვანილობა, რომელიც ამ ტაბულის ყველა აღაპში საცვებით ერთნაირია. ამისდამიუხედავად № 97 აღაპი, თითქოს, არ თავსდება ამ ტაბულის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. ტაბულის აღაპები ერთი პირის მიერ, ჩვეულებრივ, სხვადასხვა დროს იწერება. ერთი ტაბულის აღაპთა შორის მანძილი შეიძლება იყოს 20—25 წელი, ე. ი. გადამწერის მონასტერში მოღვაწეობის შესაძლებელი საშუალო დრო. ამ ტაბულის ქრონოლოგიურ საზღვრებში შეიძლება ზოგი აღაპი შემომწირველის სიცოცხლეში იყოს დაწერილი, ზოგი კი შემომწირველის გარდაცვალების გამო. ამიტომ აღაპებში მოხსენიებულ პირთა ცხოვრების წლები არ შეიძლება ზუსტად ფარავდეს ტაბულის საერთო ქრონოლოგიურ საზღვრებს, მაგრამ ამ საზღვრებს დიდად ვერ გასცილდება. ამ თვალსაზრისით სარგისის ცოლის თამარისა და სარგისის დედის ხათუას აღაპიც ზოგადად ტაბულის ფარგლებით უნდა შემოიფარგლოს, ე. ი. XIV საუკუნის პირველი ნახევრით. ყველაზე ადრეულ საზღვრად ამ ტაბულისა შეიძლება ამავე საუკუნის დამდეგი მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, სარგისი და მისი დედა ხათუთა მოიხსენიებიან „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთ მინაწერში, რომლის ავტორად თვითონ სარგისია მიჩნეული (იხ. ვაჰანის ქვაბთა განგება

(XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1939, გვ. 57—58). ამ ტექსტის გამომცემელ-კომენტატორი ფიქრობს, რომ მინაწერის ავტორი უნდა იყოს „ეამთა აღმწერელთან“ არაერთგზის მოხსენიებული სარგის თმოგველი, რომელიც 1260 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს (ხსენ. გამოც. გვ. 17). ეპეი არ არის, რომ აღაპში და „ვაჰანის ქვაბის განგებაში“ მოხსენიებული სარგისი და მისი დედა ხათუთა ერთი და იგივე პირები არიან. მეორე მხრივ, IX ტაბულა, სადაც შედის სარგისის აღაპი, XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. „ვაჰანის ქვაბის განგების“ სარგისისეულ მინაწერს კი ათარიღებენ XIII საუკუნის შუა წლებით. აღაპები, როგორც წესი, ამა თუ იმ პირის გარდაცვალების უმაღლეს იდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ზრუნვას აღაპის განწესებაზე იწყებენ სიცოცხლეშივე. მაგრამ ჩვენ არ შეგვხვდარიან არც ერთი მაგალითი აღაპებში, რომ ამა თუ იმ პირის აღაპი მისი გარდაცვალების ნახევარი საუკუნის შემდეგ იყოს გაჩენილი. არის შემთხვევები, როდესაც აღაპი ამა თუ იმ პირისათვის იწერება მისი გარდაცვალების 20—30 წლის შემდეგ. ეს მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე გვარის წარმომადგენელი განაწესებს საოჯახო აღაპებს, ე. ი. მის მიერ შეწირული თანხებით განაწესებინებს აღაპებს თავისი მშობლებისათვის, ცოლ-შვილისათვის და უახლოესი წინაპრებისათვის (ბებინისა და პაპისათვის). საოჯახო აღაპები, ჩვეულებრივ, ერთი ხელითაა დაწერილი, ე. ი. ერთი პირის მიერ.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაშიც საოჯახო აღაპთან გვაქვს საქმე და რომ ვაჰრამ და აღბულა მხარგრძელებთან ერთად განწესებულა მათი ადრე გარდაცვლილი უახლოესი ნათესაების აღაპებიც—სარგისის ცოლისა და დედისა. მაგრამ დღესდღეობით მასალათა სიმცირის გამო ძნელია იმის თქმა, თუ რა ნათესაური ზიზარება იყო ვაჰრამ-აღბულასა და სარგისის შორის.

ამგვარ კომპრომისულ ვარაუდს ვირჩევთ ჩვენ იმიტომ, რომ უფრო ძნელია იმის დაშვება, რომ სარგისი XIV ს. დამდეგის მოღვაწე იყოს. შართალია ს. კაკაბაძე შეეცადა „ვაჰანის ქვაბის განგების“ ავტორი სარგისი XIV საუკ. დამდეგის მოღვაწედ გამოეყვანა, მაგრამ მკვლევრის ეს ვარაუდი მოკლებულია დამაჯერებელ არგუმენტებს (იხ. ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თბილისი, 1920, გვ. 62—67), თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საკითხის ამგვარი დასმისათვის აღაპთა IX ტაბუ-

ლის თარიღი ამჟამად იძლევა გარკვეულ საფუძველს.

23 (M-22), ტაბულა XII

წირვა და ალაბი ვაჩე ამამუქელის მეფულე ვანენესთვის. რაიმე ცნობები ამ პირთა შესახებ არ გაგვიჩნია. XII ტაბულაში ერთიანდება აგრეთვე გიორგი ხარაზის ალაბი (№ 34), რომელიც მონასტრის კრებულის წევრი ყოფილა, ვინაიდან ალაბში ძმად არის წოდებული. გიორგი ხარაზისთვის სვინაქსარში კიდევ რამდენიმე ალაბი არის განწესებული: №№ 33 და 211. ორივე ალაბის ტექსტი ძალზე გადასულია, ძლივს იკითხება, ამიტომ ისინი პალეოგრაფიულ აღბრუნებით ვერც შევითანეთ.

XII ტაბულის შესამე ალაბი № 146, განწესებულია აგრეთვე მონასტრის კრებულის წევრის ბასილისთვის. არც ამ შემთხვევაში გვაქვს რაიმე მასალა ალაბის დათარიღებისათვის. რჩება ერთი გზა—პალეოგრაფიული. ალაბები დაწერილია მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით, რომელიც გავრცელებულია უმთავრესად XIII საუკუნესა და XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ამაზე ზუსტად XII ტაბულისა და იქ შემავეალი ალაბების დათარიღება ვერ ხერხდება.

24 (M-23), ტაბულა XX

ალაბი ზაალ ღოღაბერიძისთვის. გაშენია ნიკიტორე ჩოლაყაშვილი ჯვარის მამა. ამის მიხედვით ალაბი თარიღდება 1643—49 წლებით. ხოლო ზაალ ღოღაბერიძე უნდა მივიჩნიოთ XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწედ.

25 (M-24), ტაბულა XXVI

ალაბი თურგლა ბიქილა გიას მეფულე ბორენასთვის. XXVI ტაბულის მეორე ალაბი კი დადებულია თვით თურგლა ბიქილა გიანისთვის (№ 27). თურგლა ბიქილას მონასტრისათვის მიუცია, როგორც ჩანს იერუსალიმში ყოფნისას, სადაპე და საპანაშვიდე ფული ორივე ალაბისთვის. ტაბულის ხელი ძველია. XIV საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს.

26 (M-25), ტაბულა XXXVII

წირვა და ალაბი მეფეთ მეფე გიორგისთვის, განწესებული 26 სექტემბერს. მეფეთ მე-

ფე გიორგის ვინაობის გარკვევაში გვეხმარება ამავე ტაბულის მეორე ალაბი, რომელიც განწესებულია მეფეთ მეფე და მოწამე დიმიტრისთვის (№ 202). აშკარაა, რომ აქ იგულისხმება დიმიტრი თავდადებული, რომელიც 1289 წელს აწამეს. ამავე ტაბულის მეფეთ მეფე გიორგი დიმიტრისთან ქრონოლოგიურად ყველაზე მახლობელა, მისივე შვილი გიორგი ბრწყინვალე უნდა იყოს (გარდაიცვალა 1346 წელს). ამავე XXXVII ტაბულაში კიდევ სამი ალაბია გიორგი მეფისათვის: № 126—გაჩენილი ქრისტეს შობის დღეს, № 149—ნათლისღებას, და № 258—იენისის 29-ს. ჩვეულებრივ, ერთი პირისათვის რამდენიმე ალაბი იწერება იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს მონასტრისადმი განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საქმით თუ ნივთიერი შემოწირულებით.

XXXVII ტაბულის 6 ალაბიდან 4 გიორგი მეფისაა. საფიქრებელია, რომ გიორგის ალაბები მის სიცოცხლეშივეა განწესებული. გიორგიმეფე თავის ალაბებთან ერთად თავისი მამის, დიმიტრი თავდადებულის ალაბიც დააწერინა, რის გამოც მამა-შვილის ალაბები ერთ ტაბულაში აღმოჩნდნენ.

ამავე ტაბულის უკანასკნელი ალაბი განწესებულია შანშეს შვილის ზაქარია ათაბაგისათვის (№ 75). ცხადია, ეს ზაქარია გიორგი ბრწყინვალის თანამედროვეთა შორის უნდა ვეცებოთ. ამდენად ის ვერ იქნება ზაქარია შანშეს ძე ამირსპასალარი, ულუ დავითის თანამედროვე, რომელიც აღბულა ვარამის ძესთან და სარგის თმოგველთან ერთად წაჰყვა ულუ დავითს ბათო ყენთან (ქართლის ცხოვრება, II, 1959 წლის გამოცემა, გვ. 219), ხოლო 1261 წელს ულუ-დავითის აჯანყებასთან დაკავშირებით მოკლულ იქნა მონგოლებისაგან (ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ისტორია, ტ. III, გვ. 170). ალაბის ზაქარია ათაბაგი უნდა იყოს ამირსპასალარ შანშას მხარგრძელის ძე, რომელიც ალიშანის მხარგრძელთა გენეალოგიის მიხედვით გარდაიცვალა 1320 წ. ზაქარია თანამედროვე ყოფილა გიორგი ბრწყინვალისა. ზაქარიას ცოლად ჰყოლია სადუნ ათაბაგის მანკაბერდელის ასული ვანენე (იხ. *წ. ს. სიქიანს. შერასკ... ქსნისისკ*, 1881, გვ. 75).

შანშასა და ზაქარიას შესახებ უფრო ვრცლად იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო: საისტორიო მოამბე, წ. 1, 1924, გვ. 140.

ამგვარად, XXXVII ტაბულის ალაბები XIV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

27 (M-26), ტაბულა XXVI

ალაბი და პანაშვიდი თურგლა ბიქილა გიანისა. ცნობები ამ ალაბის შესახებ იხ. № 25 ალაბის კომენტარში.

28 (M-27), ტაბულა XXVII

წირვა და ალაბი ნათელ დედოფლისა. ამ ალაბის დათარიღებისათვის გამოთქმული ვარაუდები იხ. № 7 ალაბის კომენტარში.

29 (M-28), ტაბულა IX

წირვა და ალაბი შანშას ძმის აღბუღასი. ამ ალაბის დათარიღებისათვის და შანშას ძმის აღბუღას პიროვნების გარკვევისათვის იხ. № 22 ალაბის კომენტარი.

30 (M-29), ტაბულა IX

წირვა და ალაბი შანშას ძმის ვაჟრამისთვის. შანშას ძმის ვაჟრამის პიროვნების ვინაობის გარკვევისათვის იხ. № 22 ალაბის კომენტარი.

31 (M-30), ტაბულა XXII

წირვა და ალაბი ვარდან ფავნელისთვის. ცნობები ვარდან ფავნელის შესახებ წყაროებში ვერ ვნახეთ. ასევე არაფერი ვიცით ამავე ტაბულის დანარჩენ ორ ალაბში მოხსენიებულ პირთა შესახებ, ესენია: ანტონი შეღელაძე (№ 167 ალაბი) და თომა და მისი ძმა მოსე (№ 267). ტაბულის ხელი ძველია. ალაპები დაწერილია XII-XIII საუკუნეების შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით. XXII ტაბულაში ალაპები პირობითაა გაერთიანებული, ვინაიდან ბოლომდგრ ვართ დაწერილი, რომ სამივე ალაბი ერთი პირის დაწერილი იყოს. ზოგიერთი განსხვავება დაწერილობაში შეიძინევა. ფავნელის ალაბი უფრო მსხვილი ნუსხურითაა ნაწერი, ვინემ დანარჩენი ორი.

32 (M-31), ნარევი ტაბულა III

ალაბი ზაქარია ამირეჯიბისთვის. ალაბი დაწერილია XV საუკუნის მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით.

33 (M-31), ტაბულა არა აქვს

ალაბი გიორგი ხარაზისა. ალაბის ტექსტი ცალზე გადასულია, ღლივს იკითხება. იხ. J23 ალაბის კომენტარი.

34 (M-32), ტაბულა XII

წირვა და ალაბი გიორგი ხარაზისთვის. იხ. № 23 ალაბის კომენტარი.

35 (M-33), ნარევი ტაბულა V

პანაშვიდი ჯვარის მონასტრის კრებულის წევრის ფილიპესთვის. ალაბი დაწერილია XIV-XV საუკუნეების, უფრო კი XV საუკუნის ხელით.

36 (M-34), ტაბულა XIII


ალაბი და პანაშვიდი ფალკოზის ძისა მარუშიანისა. მონასტრის კრებულმა მარუშიანისაგან მიიღო ათას ხუთასი დრამი. ამავე მარუშიანის მოსახსენებელია შეტანილი ალაბთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (T-17), სადაც ფალკოზისძე მარუშიანის მამაც არის მოხსენიებული—მარუშიანი ყოფილა გიორგის შვილი. ტიშენდორფისეულ ნუსხაში შეტანილია გიორგი ფალკოზისძისა და მისი მეუღლის თოვლას ალაბიც (T-44). ამგვარად, ალაბთა ტიშენდორფისეულმა ნუსხამ შემოგვიინახა მთელი ოჯახის ალაპები: გიორგი ფალკოზისძის, მისი მეუღლის თოვლასი და მისი შვილის მარუშიანისა. ტიშენდორფისეული ნუსხის ზემოდასახელებული ალაპები ამ ნუსხის ძირითად ნაწილშია შესული. ხოლო ამ ნაწილის დაწერა იფარგლება XIII საუკუნით. ნუსხის ამ ნაწილში დასახელებული პირები XI-XIII საუკუნის მოღვაწენი არიან. ამ დროის ფარგლებში უცხოვრიათ ჩვენთვის საინტერესო ფალკოზისძეებს. შესაძლებელია, ამ თარიღის დავიწროებაც. სენაქსარის ალაპებში კიდევ ორი ალაბია გაჩენილი ფალკოზისძეთათვის. ესენია: ალაბი ხაქიკ ფალკოზისძისა (№ 46) და შერგილ ფალკოზისძის შვილის შალვასი (№ 85). ორივე ალაბი XLVII ტაბულაშია გაერთიანებული. ეს ტაბულა კი XIII საუკუნის დამლევეთა და XIV ს. დამდეგით თარიღდება (იხ. 46 ალაბის კომენტარი). ამ ტაბულის ალაპებზე ადრეული უნდა იყოს XIII ტაბულის ალაპები შემდეგი მოსაზრებით: XIII ტაბულაში, გარდა ფალკოზისძეთა ალაპებისა არის აგრეთვე ალაბი, განწესებული ნათელ დანიანისთვის (№ 164). ეს ალაბი ნათელ დადიანისთვის თავისი სახსრით გაუჩენია იოანე მთავარეპისკოპოსს. მან მონასტერს ამისთვის „მოაწესნა 1000 თეთრი“. ალაბი დაწერილია იოანე ეპისკოპოსის პირით, ჩანს, მისი იერუსალიმში

ყოფნის დროს. ნათელ დადიანი XIII საუკუნის მანძილზე ერთია მხოლოდ ცნობილი. ეს არის შერგილ დადიანის მეუღლე და ცოტნე დადიანის დედა. ჩამოთვლილ პირთაგან „ქართლის ცხოვრება“ იცნობს მხოლოდ ცოტნე დადიანს, კობტას აჯანყების ცნობილ მოღვაწეს, რუსუდან დედოფლის თანამედროვეს. ერისთავთ ერისთავი შერგილი, მისი მეუღლე ნათელი და მათი შვილი ცოტნე გამოსახულნი არიან ხობის მონასტრის სამხრეთის კედელზე (თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 130); შერგილ დადიანისა და ნათელის მოსახსენებლები შეტანილია „სინის მთის სულთა მატრიანეშიც“ (იხ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 243. იხ. აგრეთვე: ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 227). თუ როდის გარდაიცვალა ნათელი, ცნობილი არ არის. არც ის ვიცით, იოანე ეპისკოპოსმა ნათელის ალაპი მის (ნათელის) სიცოცხლეში განაწესა, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს ეს, ალაპი დაახლოებით XIII საუკუნის შუა წლებში ან II ნახევარში გაჩენილად უნდა ვივარაუდოთ. ამავე დროით უნდა დათარიღდეს ამავე ტაბულის ალაპები: ფალქოზისძე მარუშიანისა (№ 36) და შერგილის დედის მელანიას ალაპიც (№ 37). ვინ უნდა იყოს ამ ალაპში მოხსენიებული შერგილის დედა? ხომ არ არის მელანია შერგილ დადიანის დედა და ნათელ დადიანის დედამთლილი? საეჭვოა. ნათელთან ერთად უფრო მოსალოდნელი იყო მისი მეუღლის მოხსენიება. ის გარემოება, რომ შერგილის დედის მელანიას ალაპი უშუალოდ მოსდევს ფალქოზისძის მარუშიანის ალაპს (ესენია: № 36 და № 37 ალაპები), გვაფიქრებინებს, რომ მელანიაც ფალქოზისძეთა ოჯახის წევრი უნდა ყოფილიყო. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ სეინაქსარის ერთ-ერთ ალაპში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შერგილ ფალქოზისძის ხსენებაც არის (№ 85). ალაპი განწესებულია შერგილ ფალქოზისძის შვილის შალვასთვის. ალაპი ერთიანდება XLVII ტაბულაში, რომელიც XIII საუკუნის დამლევით თარიღდება. მაშასადამე, დროის თვალსაზრისით შერგილის შვილი შალვა XIII ტაბულაში მოხსენიებულ ფალქოზისძეთა შემდეგი თაობაა. ასეთ პირობებში სავსებით გასაგებია, რომ შალვას ბებიის მელანიის (შერგილის დედის) ალაპი შესულია XIII ტაბულაში, რომელიც XIII საუკუნის შუა წლებით თარიღდება.

ვინაიდან მარუშიანისა და მელანიას ალაპები (№№ 36—37) ერთი ფორმით, ერთმანეთის მო-

მდევნოდ ერთდროულად არის დაწერილი, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მელანია და მარუშიანი მეუღლენი არიან.

XIII და XLVII ტაბულების მასალათა მიხედვით ფალქოზის ძეთა ნათესაური კავშირი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:



37 (M—35), ტაბულა XIII

შერგილის დედის მელანიას ალაპი. მელანიამ მონასტერს საალაპედ მისცა 1000 დრამა. ალაპი დაწერილი უნდა იყოს XIII საუკუნის შუა წლებში ან ცოტა უფრო გვიან (იხ. № 36 ალაპის კომენტარი).

38 (M—36), ნარევი ტაბულა III

წირვა და ალაპი ყვარყვარე ათაბაგის შვილის ბაადურისა. ბაადური გარდაიცვალა 1474 წელს [იხ. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII) სს., გვ. 203]. ამ წლის ახლო ხანებში მოსვლია ჯვარის მონასტერს საქართველოდან 500 ფლური ბაადურის ალაპის გასაჩენად.

39 (M—37), ტაბულა XI

ალაპი ლიპარიტ გაგელისა. ამ ალაპთან ერთად არის დაწერილი გადაბმით მომდევნო ალაპი—ქოსტანტინეს დედის რუსუდანიისთვის (№ 40). ამავე ტაბულაშია შემდეგი ალაპები: ალაპი სარგისის ასულის მარია მისთვის (№ 293), იოზ დეკანოზისა შოშლელისა (№ 86), ვარამის ცოლ-ყოფილისა თამარისთვის (№ 79), და ბურღიაშვილის (შურღიაშვილი) დავითისთვის (№ 11).

ამ ტაბულის ალაპებში მოხსენიებული პირები ჩვენთვის ცნობილ სხვა წერილობით წყაროებში ვერ დაიძებნა. პალეოგრაფიულადაც ამ ტაბულის დათარიღება ძნელდება. ვფიქრობ, ხელის მიხედვით იგი XIV—XV საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს.

40 (M—38), ტაბულა XL

ალაპი კოსტანტინეს დედის რუსუდაისთვის. (იხ. წინა ალაპის კომენტარი).

41 (M—39), ნარევი ტაბულა IV

მოსეს ძმის გიორგის საწირავი. ალაპის ხელი ისეთია, რომ მისი პალეოგრაფიულად დათარიღება ძირს. სვინაქსარში ჩაწერილია მოსეს კიდევ ორი ალაპი. ერთია ჯვარის იკონომოსი მოსე, აისა ებნი ავადის ძმა (№ 216). მეორე ალაპში კი მოხსენიებული არიან ვინმე თომა და მისი ძე მოსე (№ 267). პირველი ალაპი პალეოგრაფიულად XV საუკუნით თარიღდება, ხოლო მეორე — XII—XIII საუკუნეებით. ამ პირთა გაიგივება ამის გამო ვერ მოხერხდება. № 41 ალაპი პალეოგრაფიულად არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის XV—XVI საუკუნეებით უნდა შემოიფარგლოს.

42 (M—40), ტაბულა XXIIX

ალაპი დემეტრე მეფისა. XXIIX ტაბულის ალაპები დაწერილია თავისებური გამოკვეთილი ხელით. ტაბულა მოიცავს 19 ალაპს. უმრავლესობა ამ ალაპებში მოხსენიებული პირებისა ჩვენთვის უცნობია. ტაბულის დათარიღება ხერხდება № 95 ალაპის საშუალებით. ალაპი განწყობულია ჯვარის მამა საბასთვის, რომელიც, ჩვენის ვარაუდით, ის საბა უნდა იყოს, რომელიც სინის მთის სულთა მატრიანშია მოხსენიებული ჯვარის მამათა შორის. ჩვენი გამოანგარიშებით საბა ჯვარის მამა XIII საუკუნის 90-იან წლებში მოღვაწეობდა (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). მთელი ეს ტაბულა ამის მიხედვით შეიძლება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით შემოიფარგლოს. ამ ქრონოლოგიურ ფარგლებში კი დემეტრე მეფე უნდა იყოს დიმიტრი თავდადებული (გარდ. 1289), ხოლო ამავე ტაბულის გიორგი მეფე (№ 48) გიორგი ბრწყინვალე, თუ ვივარაუდებთ, რომ ალაპი განწყობულია მისი გამეფების პირველ წელს (1299 წ.), ანდა მისი მეორედ გამეფების დასაწყისში (1314—

1346). მაშინ გიორგი ბრწყინვალის ალაპი უნდა დადებულიყო მის სიცოცხლეში, ხოლო დიმიტრი თავდადებულისა კი მისი გარდაცვალების შემდეგ. გიორგი მეფის ალაპში შეიძლება ვივარაუდოთ გიორგი მცირე (1311—1313), ვინაიდან ისიც თავსდება XXIIX ტაბულის ქრონოლოგიურ ფარგლებში.

ამგვარად, XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულითა და XIV საუკუნის დამლევით უნდა დათარიღდეს XXIIX ტაბულის დანარჩენი ალაპებიც:

47—ალაპი სულემანის შვილისა ტფილელისა.

91	„	ასთაქსა ძოდელისაა.
109	„	ბასილი ქყონდიდის დეკანოზისა.
116	„	არსენი ჩიხუარელისა.
134	„	დავითაქსი.
143	„	ბასილი კაქაქსი.
194	„	ყუარყუარესი.
217	„	გიორგი წუერდიდისა.
231	„	არსენი გორაქს ძისაა
241	„	მიქაელ ფახულიანისა.
242	„	მახარებელ ქარცის ძისა.
243	„	ივანაქსი.
260	„	პავლე კლიაკის ძისა.
261	„	პავლესი და მისი ძმისწულის მახარებლისა.
271	„	რუსუდან გვრგვანაქსა ასულისა.
302	„	ივანე ქართლის ერისთვის ძმისა.

43 (M—41), ტაბულა LXI

ალაპი და წირვა ივანე აბუსერის ძისა. მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ ალაპის ივანე აბუსერისძე, შეიძლება, იგივე ივანე ერისთავთა ერისთავი იყოს, რომელიც 1206 წელს თურქთა ხელით იქნა მოკლული (იხ. აბუსერიძე ტბელი, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941, გვ. 26, სქ. 1). ხელის მიხედვით LXI ტაბულა, რომელშიც გარდა ივანე აბუსერისძის ალაპისა ერთიანდება აგრეთვე მზექალი კილაქსის ასულის ალაპიც, საკმაოდ არქაულია, ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნისა თამამად შეიძლება იყოს. ამიტომ № 43 ალაპის ივანე აბუსერიძე ერთნაირი წარმატებით შეიძლება იყოს რ. გორც აბუსერიძე ტბელის მამა ივანე (გარდაიცვ. 1206 წ.), ასევე აბუსე-

რიცხვების შვილი ივანეც (იხ. აბუსერიძეთა გენეალოგია დასახ. გამოცემაში).

44 (M—42), ნარევი ტაბულა III

წირვა და ალაბი სარგის ბოცოჲს ძისა. „უბოთა აღმწერელი“ ასახელებს ბოცო ჯაყელის რამდენიმე ვაჟიშვილს: მემნა ბოცოს ძეს და შალვა ბოცოს ძეს. ესენი რუსუდან დედოფლის თანამედროვენი არიან (იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959 წლის გამოცემა, გვ. 153). შეიძლება დაგვეშვა, რომ ამ ბოცოს შვილია სარგის ბოცოს ძეც. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ალის მონასტრის ხელნაწერის (S—1347) ერთი მინაწერი, სადაც მოხსენებული არიან სარგის და შალვა ბოცოს ძენი (იხ. ქრ. შარაშიძე, ალის მონასტრის საბუთები და ალაბები: სამხრეთ საქართველოს მასალები, დაუბეჭდავი ნაშრომი, გვ. 29. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილის დაუბეჭდავი ნაშრომი: აწყურის სვინაქსარი და მისი მინაწერები, 1928, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q—574). მაშასადამე, ბოცოს ყოლია ვაჟიშვილი სარგისიც, რომლის სახელი შემოგვინახეს ალის მონასტრის ხელნაწერის მინაწერმა და ჯვარის მონასტრის ზემოგანხილულმა ალაბმა. მეორე მხრით, № 44 ალაბი დაწერილია არაკალიგრაფიული ხელით, საკმაოდ უწიგნურად, რაც აძნელებს მის პალეოგრაფიულ დათარიღებას. ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნისათვის ამ ალაბის მიკუთვნება ხელით ძალზე გაჭირდება. ალაბებში გვხვდება ბოცო ბოცოს ძის ალაბიც, რომელიც თარიღდება XV ს. პირველი ათეულით (იხ. № 67 ალაბის კომენტარი). შესაძლებელია, სწორედ ამ ბოცოს ძე იყოს № 44 ალაბის სარგის ბოცოს ძე. ამ ვარაუდს ალაბის პალეოგრაფიული სახე უფრო უჭერს მხარს.

45 (M—43), ტაბულა XX

ალაბი გაჩენილია ნიკიფორე ჩოლაყაშვილისა და თეოდოსე ეპისკოპოსის (რევიშვილის) მიერ. ამის მიხედვით ალაბი დაწერილი უნდა იყოს 1643—49 წლებში (იხ. პირველი ალაბის კომენტარი).

ალაბი განწესებულია გიორგი მეფისა და მისი თანამეცხედრე თამარისთვის.

გიორგი მეფე უნდა იყოს იმერთა მეფე, როსტომ მეფის შვილი, მხეველისაგან ნაშობი (ვახუშტი, ხსენ. გამოც., გვ. 298), მამა ალექსანდრე იმერთა მეფისა. მისი მეუღლე ყოფილა თამარი.

გარდაიცვალა გიორგი 1639 წელს (ვახუშტი, გვ. 302). ხელნაწერ S—252-ის მიხედვით კი 1637 წელს [იხ. ქრონიკები, II, გვ. 452 და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. I, 1960 წ., გვ. 252]. გელათის ერთ-ერთ სიგელში ერთად არიან მოხსენიებული მეფე გიორგი და დედოფალი თამარი (ქრონიკები, II გვ. 451).

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 1619 წლით დათარიღებული ერთი საინტერესო შეწირულების წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ესე წიგნი, პირი და ნიშანი მოგახსენეთ თქვენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა, პატიოსანსა და ცხოველს-მყოფელსა ჯვარსა და წმიდა გოლგოთასა ჩუენ, მეფეთ მეფემ ბატონმან გიორგი და თანამეცხედრემ ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან თამარ, ძემან ჩუენმან პირმშომ ალექსანდრე, როსტომ და მამიამ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩუენად მოსარჩენლად და სადღეგრძელოდ და სულისა ჩუენისა სახსრად საოხად შემოგწირეთ საზანოს სამი კვამლი გლეხი მათის ყოვლისფერით სამართლიანით ბეგრით ხელშეუალად. და აგრევე მოვიდენ ჩუენსა წინაშე ჯვარის მამა პატრონი თეოდოსე და გვიაჯნეს და მოგვახსენეს. და რა-ცა სხვათა მეფეთა და დედოფალთაგან შეწირული მამული და ოციათავი ყოფილიყო, ის კიდევ ჩუენ ხელახლად შემოგწირეთ და სიგელიცა გაგიახლეთ, ასრე რომე ჩუენს საბატონოშიდ ქრისტეს საფლავსა და გორგოთას (!) შეწირული ჰქონდეს, ჩუენგან არა და(ა)კლდებოდეს რა. და ვინც თქვენი მოსაქმე იყოს, ყოველს წელიწადს აიღებდეს და თქვენს ტაძარს მოახმარებდეს. და არც თქვენს მოსაქმეს ხელი მოუშალოთ თქვენს სარგოსა და გამოსაღებზედ...“ (იხ. ისტორიული დოკუმენტი იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. წიგნი I, გამოც. შ. ბურჯანაძის მიერ, 1959, გვ. 22).

საბუთიდან ჩანს, რომ 1619 წელს ჯვარის მამად ყოფილა თეოდოსი რევიშვილი, რომელსაც ამ წელს უმოგზაურია დასავლეთ საქართველოში იერუსალიმის ქართული კოლონიის მამულებზე უფლებების გასაახლებლად და ახალ შეწირულებათა მისაღებად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ჯვარის მამა განაგებდა იერუსალიმის ყველა ქართული მონასტრის საქმეებს, მათ შორის გოლგოთის ქართული კრებულის მეურნეობასაც).

გიორგი მეფემ არა მარტო განაახლა ძველი სიგლები, არამედ ახალი შეწირულებაც გაიღო თავისი და თავისი მეუღლისა და შვილთა საოხად.

საფიქრებელია, რომ გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ამ შეწირულების წიგნის საფუძველზე ნიკიფორე ჩოლაყაშვილმა და თეოდოსე რევიშვილმა განაწესეს მისთვის და მისი მეუღლისთვის შემომოყვანილი ალაპი.

46 (M—44), ტაბულა XLVII

ალაპი და პანაშვიდი ხაქიკ ფალქოზის ძისა. XLVII ტაბულაში, გარდა ამ ალაპისა, ერთიანდება შემდეგი ალაპები:

გრიგოლ ფანასკერტელისა: №№ 182, 135, 123, 123ა

აფაქის ძის მარუშიანისა № 49

ნიანია ამაშუკელისა № 111

მიქაელ აფაქისძისა № 50

შერგილ ფალქოზისძის შვილის შალვასი № 85

ზოსიმე თარგმანისა № 155 და 183 (XIV ტაბულიდან)

ნიკოლოზ კათალიკოზის, ბედიელ-ყოფილისა № 100

ტაბულის ზოგადი დათარიღებისათვის შეიძლება გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები გამოვიყენოთ. როგორც ცნობილია, გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები შეტანილია ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაშიც (T—32, T—62, T—70). აქედან პირველი და მესამე ალაპი შესულია ამ ნუსხის ძირითად ნაწილში. T—70-ის თავდაპირველი ტექსტი საგანგებოდაა გადაშლილი და ძლივს იკითხება. გადაფხეილი ალაპის ადგილას ჩაწერილია ძირითადი ფენისაგან განსხვავებული ხელით მეფეთ მეფის გიორგის დედის ალაპი. გრიგოლ ფანასკერტელის გადაშლილი ალაპი კი განახლებულია ამავე გვერდის თავისუფალ ადგილას, ე. ი. ხელმეორედ არის ჩაწერილი იგივე ალაპი, ოღონდ სხვა ადგილას (იხ. T—62). ამგვარად, გრიგოლ ფანასკერტელის ორი ალაპი ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილშია, ხოლო მესამე კი, გარკვეული მიზეზების გამო, მეორე ფენაში აღმოჩნდა. თარიღისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ალაპები ნუსხის ძირითადი ფენიდანაა. როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილი XIII—XIV საუკ. მიჯნით იფარგლება. დროის ამ ფარგლებით უნდა შემოიზღუდოს XLVII ტაბულა ზოგადად. ტაბულის ამავე ქრონოლოგიურ საზღვრებს ადასტურებს სხვა მონაცემებიც. გრიგოლ ფანასკერტელის (№ 182) ალაპი სხვა მხრეა ც საინტერესოა. ამ ალაპის პირველი სამი სტრიქონი („ამავე დღესა

ალაპი“) დაწერილია მსხვილი ნუსხურით, ხოლო დანარჩენი — „საუკუნოა გრიგოლ ფანასკერტელისა“ — დაწერილია დასაწყისისაგან განსხვავებული წვრილი ნუსხურით. ერთი ალაპის ფარგლებში ორი სხვადასხვა ხელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ აქ ჩვენ ორ სხვადასხვა ალაპთან ვეაქვს საქმე. ამ ალაპის დასაწყისით იწყებოდა ზოსიმე თარგმანის ვრცელი ალაპი (იხ. № 183), რომელიც შემდეგ საგანგებოდ გადაუხეკიათ, დაუტოვებიათ ამ ალაპის ზოგადი ნაწილი, გამოსადეგი ყველა ალაპისათვის, და მისთვის უკვე სხვა დამწერს მიუწერია გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი. ჩანს, გრიგოლ ფანასკერტელის ალაპის დამწერს გრიგოლის ალაპისათვის სწორედ ზოსიმე თარგმანის ალაპის მიერ დაკავებული დღე ესაჭიროებოდა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ზოსიმეს ალაპი ამავე დამწერს სხვა ადგილას ჩაუწერია თავისივე ხელით (№ 155), ხოლო ზოსიმეს ალაპის ადგილას გრიგოლის ალაპი ჩაუწერია, იმიტომაც, რომ XLVII ტაბულაში გრიგოლ ფანასკერტელისა და ზოსიმე თარგმანის ალაპები ხელის მიხედვით გაერთიანდა. ხოლო ამავე დროს ზოსიმეს გადაფხეილი ალაპი (№ 183), მისი დასაწყისის მიხედვით, გაერთიანდა XIV ტაბულაშიც. ცხადია, რომ ზოსიმეს თარგმანის ალაპის თარიღი XIV ტაბულის მიხედვით უნდა გაირკვეს, ვინაიდან თავდაპირველად იგი მთლიანად XIV ტაბულის ხელით იყო დაწერილი. ამგვარად პალეოგრაფიულად ზოსიმეს ალაპი XIV ტაბულის კუთვნილებდა. ამგვარაა ისიც, რომ ზოსიმეს ალაპი უფრო ადრეული უნდა იყოს, ვინემ გრიგოლ ფანასკერტელისა. XIV ტაბულა კი, როგორც ეს № 60 ალაპის კომენტარშია გარკვეული, ისევე როგორც XLVII ტაბულა, თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით. ცხადია, ნაწილი ამ ტაბულის ალაპებისა უფრო ადრე, XIII საუკუნის დამლევის იწერებოდა, ნაწილი კი XIV საუკუნის დამდეგს. ამ ტაბულის ადრეულ ფენას უნდა ეკუთვნოდეს ზოსიმე თარგმანის ალაპი. როგორც ჩანს, დროის თვალსაზრისით გრიგოლ ფანასკერტელისა და ზოსიმე თარგმანის ალაპებს შორის მანძილი ნეტად მცირე იყო (გრიგოლ ფანასკერტელის ალაპთა დათარიღებისათვის იხ. № 13 ალაპის კომენტარი).

XLVII ტაბულის დათარიღების თვალსაზრისით განვიხილოთ კიდევ რაზდენიშვილ ალაპი. № 85 ალაპი განწესებულია შერგილ ფალქოზისძის შვილის შალვასისთვის. ფალქოზისძეთა ალაპები კი შეტანილია ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში. ჩვენი ვარაუდით შერგილ

ფალქოზისძე უნდა იყოს ტიშენდორფისეულ ნუსხაში მოხსენიებული ფარქოზისძეთა მეორე თაობა (ამის შესახებ იხ. № 36 ალაპის კომენტარი და იქვე ფალქოზისძეთა გენეალოგია). ასევე ერთი პირი უნდა იყოს ამ ტაბულის ხაეიკ ფალქოზისძე (№ 46) და ტიშენდორფისეული ალაპის ხაეიკ-ყოფილი ზოსიმე (T-53). ხაეიკი იშვიათი სახელია. ამ სახელის მოხსენიება ერთი დროის ალაპებში გვაფიქრებინებს, რომ აქ ერთსა და იმავე პირთან უნდა გვქონდეს საქმე. პირველ შემთხვევაში ხაეიკი მოხსენიებულია გვარით. შემდეგ ის ბერად შემდგარა და უკვე ორმაგი სახელითა ჩანს ტიშენდორფისეული ნუსხის ალაპში (ბერები გვარით, ჩვეულებრივ, არ იწოდებიან). საესებით შესაძლებელია, რომ ხაეიკი იერუსალიმში აღიკვეცა ბერად და იერუსალიმში ყოფნის დროს მანვე დააწერინა მის თანამედროვე დანარჩენ ფალქოზისძეთა ალაპები (იხ. № 72 ალაპის კომენტარი).

ყურადღებას იპყრობს ამავე ტაბულის № 100 ალაპი ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოზისთვის. ჩვენი ტაბულის ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით ეს უნდა იყოს XIII საუკუნის დამლევის კათალიკოზი. აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს ალაპი, „ქელმწიფის კარის ვარიგების“ ზოგიერთ ცნობასთან ერთად, მოწმობს, რომ აფხაზთა კათალიკოზი ბედიელიც ყოფილა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 112), თუ ამ ვარაუდს არ უშლის ხელს ის ვარაუდობა, რომ აქ ნიკოლოზ კათალიკოზი ბედიელ-ყოფილად არის მოხსენიებული. გარდა ამისა, დაახლოებით ამავე დროს—XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის პირველ მეოთხედში—განწესებულ № 11 ალაპში მოხსენიებულია მიქაელ გონგლიბაძე ბედიელი კათალიკოზის წოდების გარეშე. ამგვარად, XIII საუკუნეში, ჩანს, ბედიელები კათალიკოსებიც იყვნენ, მაგრამ მათი კათალიკოსობა არ იყო სავალდებულო (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113).

47 (M-45), ტაბულა XXIX

ალაპი გიორგი სულეიმანის შვილისათვის დიდელისა. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის მიწურულთა და XIV საუკუნის დამდეგით. ამ ტაბულის დათარიღება იხ. № 40 ალაპის კომენტარში. ამავე დროისა უნდა იყოს გიორგი თფილელის ალაპიც.

48 (M-46), ტაბულა, XXIX

ალაპი გიორგი მეფისა. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV

საუკუნის დამდეგით. ამ დროის მოღვაწე უნდა იყოს გიორგი მეფე, ვ. ი. აქ უნდა ვივარაუდოთ ან გიორგი ბრწყინვალე, თუ ალაპი დადებულია მისი გამეფების პირველ წელს, ან მისი მეორედ გამეფების პირველ წლებში, ანდა გიორგი მცირე (1311—1313 წწ.). ამ ტაბულის დათარიღება იხ. № 42 ალაპის კომენტარში.

49 (M-47), ტაბულა XLVII

ალაპი აფაქისძისა მარუშიანისა. XLVII ტაბულა ზოგადად თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით. ამავე დროისა უნდა იყოს აფაქისძე მარუშიანის ალაპიც (ტაბულის დათარიღება იხ. № 46 ალაპის კომენტარში).

50 (M-48), ტაბულა XLVII

პანაშვიდი მიქაელ აფაქისძისა. ტაბულა ზოგადად თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით. ამავე დროისა უნდა იყოს მიქაელ აფაქისძის ალაპიც.

51 (M-49), ტაბულა XX

ალაპი ვახტანგ ჩიჯავაძისა და მისი მეუღლე მიქელაძის ასული ხვარამზისთვის. ალაპის გამჩენები არიან: ნიკიფორე ჩოლაყაშვილი ჯვარის მამა და თეოდოსე ეპისკოპოსი რევიშვილი. ამის მიხედვით ვახტანგ ჩიჯავაძე და მისი თანამეცხედრე XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი არიან.

52 (M-50), ტაბულა XX

მარინესა და ბარბარეს შესანდობარი. ხელის მიხედვით ალაპი მოგვაგონებს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროს დაწერილ ალაპებს, რომლებიც XX ტაბულაშია გაერთიანებული. ამიტომ ეს ალაპიც ამავე ტაბულაში შევიტანეთ. ტაბულის მიხედვით ალაპი უნდა დათარიღდეს XVII საუკუნის პირველი ნახევრით.

53 (M-51), ტაბულა IX

წირვა და ალაპი ბექას შვილის ყვარყვარისი. ამავე ტაბულაში არის აგრეთვე ბექას მეორე შვილის შალვას ალაპიც (№ 22). ესენი არიან ბექა პირველის (გარდ. 1306) შვილები. ბექას ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: სარგისი, შალვა და ყვარყვარე. აქედან ორისათვის განწესებული ალაპები IX ტაბულაშია გაერთიანებული. ამ ალაპების მიხედვით IX ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის შუა წლებით (იხ. № 22 ალაპის კომენტარი).

54 (M-52), ტაბულა III

აღაპი ანტონ ალავერდელისა. III ტაბულაში, გარდა ანტონ ალავერდელის აღაპისა, არის აგრეთვე შოთა მეტურქლეთუხუცესის აღაპიც (№ 317). ერთი ხელით დაწერილი ეს ორი აღაპი, მსგავსია ფორმით. აღაპები დაწერილია ორ სტრიქონად. დღის აღნიშვნის შემდეგ დასმულია ორი წერტილი, შემდეგ კი მთავრული ანთ იწყება აღაპი. ხელი კლასიკური ხანის კალიგრაფიული ნუსხურია. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ დროისათვის მთავრული ანი (შდრ. II ტაბულის აღაპებს). ეს ხელი გაგრცელებულია XII—XIII საუკუნეების მანცილზე. უფრო ტიპურია XII საუკუნისათვის. III ტაბულის აღაპების თარიღი რომ XIII საუკუნეს ვერ გასცილდება, ამას კიდევ ერთი გარემოება მოწმობს: შოთა მეტურქლეთუხუცესის აღაპი გადასულია სვინაქსარიდან ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (იხ. ტიშენდორფისეული ნუსხის დანართი). ხოლო ნუსხის ეს ნაწილი დაწერილია XIII საუკუნის დამლევისათვის, არაუგვიანეს XIV საუკუნის პირველი წლებისა. ტიშენდორფისეული ნუსხის ეს ძირითადი ნაწილი მოიცავს XI—XIII საუკუნეების მოღვაწეთა აღაპებს. სვინაქსარში ჩაწერილი შოთა მეტურქლეთუხუცესის აღაპი წყაროა ტიშენდორფისეული ნუსხის აღაპისა, და მათსადაგე, ამ ნუსხის ძირითადი ნაწილის დაწერის დროზე უფრო ადრეულიც არის. ხელის მიხედვით კი ამ ტაბულის აღაპები XIII საუკუნის პირველ ნახევარს არ გასცდებიან (უფრო დაწერილებით ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 50). ისტორიულ წყაროებში ანტონ ალავერდელის შესახებ ვერავეთარ ცნობას ვერ მივაგენით.

55 (M-53), ტაბულა არა აქვს

აღაპი თავდგირიძე ფოცხვერისა. აღაპის ტექსტი გადასულია. მისი ფოტო ტაბულისათვის ვერ გაკეთდა. ნ. მარს მიანია, რომ ესა და წინა ორი აღაპი (№№ 54 და 53) სამი სხვადასხვა ძველი ხელითაა დაწერილი, ხოლო უძველესი ამ სამში უნდა იყოს № 55 (იხ. ნ. მარი, აღაპნი ჯუარის მონასტრისანი, გვ. 13). სინამდვილეში უძველესია № 54; № 55 აღაპი კი ყველაზე გვიანდელი ხელით არის დაწერილი. აღაპის ხელი XIV საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს.

56 (M-54), ტაბულა XVI

წირვა და აღაპი ჯვარის მტვირთელი გერასიმესთვის. XVI ტაბულა თარიღდება

XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (იხ. № 16 აღაპის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს გერასიმეს აღაპიც.

57 (M-55), ტაბულა II

აღაპი მარკოზეთ კვირიკესთვის. II ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 13 აღაპის კომენტარი). ამავე დროისაა მარკოზეთ კვირიკეს აღაპიც.

58 (M-56), ნარვეი ტაბულა IV

აღაპი სპირიდონისა და მისი მეუღლე თინათინისთვის. აღაპის ხელი გვიანდელია— XV—XVI სს. აღაპის ზოგადი ქრონოლოგიური ფარგლების შემოსაზღვრისათვის გამოდგება აღაპის ცნობა, რომ სფირიდონის შეწირული ფულით მონასტრის კრებულმა „ამბროსაულის თავსა ერთი ვენაჟი იყიდა“. ცხადია, „ამბროსაული“ ჯვარის მონასტრის მამულია, რომლის თავშიც მონასტრის კრებულს ვენახი უყიდა. „ამბროსაული“, ვეიქრობთ, უნდა ეწოდებოდეს იმ ადგილ-მამულს, რომელიც ამბროსემ იყიდა მზეკაბუქის გამოგზავნილი საქონლითა და ფულით და შესწირა მონასტრს. ამბროსეს საქმიანობა იერუსალიმში, და კერძოდ ჯვარის მონასტერში, ვრცლად არის აღწერილი „წიგნი“, რომელიც მონასტერმა დაუწერა „პატრონსა ათაბაგსა მზეკაბუქსა კურთხეულისა მათის ძმისა ქაიხოსროს სულის სამლოცველოდ“ (იხ. ტიშენდორფისეული აღაპი T-90). ივ. ჯავახიშვილის ცნობით, სიტყვა „წიგნი“ უძველეს ქართულ ძეგლებში საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა (იხ. მისი „ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები“, მიმოძიილელი, I, 1926, გვ. 74). ამ „წიგნიდან“ ვგებულობთ, რომ ამბროსემ 100 ფლურად ერთი დიდი ყანა იყიდა. ცნობა ყანის ყიდვის შესახებ სვინაქსარის ერთ-ერთ აღაპშიც არის (იხ. № 309 აღაპი). ვეიქრობთ, ამ ყანას შეარქვა ჯვარის მონასტრის კრებულმა „ამბროსაული“ მამული.

„ამბროსაული“, როგორც გარკვეული ადგილის სახელწოდება, სვინაქსარის კიდევ ერთ აღაპშია დადასტურებული. აქ კი უკვე ვკითხულობთ: „აღაპი საუკუნო კანდელაკისა ნიკოდიმესი, მათესი და ანტონესი. შემოვსწირეთ ჯუარსა პატიოსანსა ვენაჟი, ამბროსაულსა ვენაქსა ზედათ არის“. ამ აღაპში უკვე იგულისხმება ის ვენახი, რომელიც „ამბროსაულის“ თავში იყიდა სფირიდონმა. ანდა, შესაძლებელია, ამბროსაულის ყანა ამ დროი-

სათვის უკვე ვენახად იყო გაშენებული. ხოლო ამ ვენახის „ზედათ“ ვენახი უყიდა ნიკოდიმეს და შეუწირავს ჯვარის მონასტრისათვის. ამგვარად, ზემოთხსენებულ ცნობათა მიხედვით აქ განხილულ ალაპთა თანმიმდევრობა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: პირველად დაიწერა მხეცაბუჯის „წიგნი“ (საფიქრებელია 1501 წელს, ვინაიდან ქაიხოსრო ათაბაგი გარდაიცვალა 1500 წელს. [იხ. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გვ. 198]. ამის შემდეგ დაიწერებოდა სფირიდონისა და თინათინის ალაპი (№ 58), და ბოლოს—ნიკოდიმეს ალაპი (№ 161). ამგვარად, სფირიდონის ალაპი ვერ დაიწერებოდა XVI საუკუნის დამდეგზე ადრე. შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაზუსტებაც. მკვლევარ ქრ. შარაშინცს გარკვეული აქვს პატრონ სფირიდონის ვინაობა. სფირიდონი ყოფილა მეუღლე გიორგი VIII ასულის ელენესი, რომელიც 1514 წელს უკვე ცოცხალი აღარ ყოფილა. ელენეს გარდაცვალების შემდეგ სფირიდონი დაქორწინებულა იმერეთის ბეგე ალექსანდრეს ასულ თინათინზე [იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVII.). ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშინცისა. თბილისი, 1961, გვ. 69—70]. ამის მიხედვით პატრონ სფირიდონისა და თინათინის ალაპი უნდა განწყობულიყო 1514 წლის შემდეგ.

ტერმინი „ამბროსაული“ XVII საუკუნის ალაპებში აღარ გვხვდება.

59 (M—57), ტაბულა XXV

ალაპი ვახტანგ ზილიგანიანისა. გარდა საქველვეი ალაპისა, ტაბულაში გაერთიანებულია აგრეთვე შემდეგი ალაპები:

ლომა დადიან-გურიელისა და მისი მეუღლის ადუსაჯანის—№ 74 და № 133.

შანშა ნუგზარ ერისთვის შვილისა— № 139. ვირშელ ერისთავისა— № 193.

ალაპები დაწერილია არაკალიგრაფიული კუთხური ნუსხურიით. ეს ხელი XIV—XV საუკუნეებზე ადრეული არ უნდა იყოს, უფრო XV საუკუნისაა. ამის მიხედვით ტაბულაში შესული ვირშელ ერისთავის ალაპი (№ 193) ვირშელ III-ისთვის უნდა იყოს განწყობებული, ვინაიდან ვირშელ III XIV საუკუნის ზიჯნისა და XV საუკუნის 20-იანი წლების მოღვაწეა (იხ. აძვლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 315); ამის მიხედვით ტაბულის დანარჩენი ალაპების დაწერაც

XV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ვივარაუდოთ.

XXV ტაბულის ხელითაა დაწერილი ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის რამდენიმე ალაპი: T—95—T—98. აქედან 96-ე ალაპი ლომა დადიან-გურიელის სახელზეა გაჩენილი (ტიშენდორფისეული ნუსხის ამ ალაპთა დათარიღების შესახებ იხ. გამოკვლევა, გვ. 26).

60 (M—58), ტაბულა XIV

ალაპი და პანაშვილი ბეშქენ მანდატურთ-უხუცესისა, ვარდანისძისა. ბეშქენის ალაპის განწყობისათვის მისმა სიძემ ფურთუხ გარეყანის ძემ მონასტრის კრებულს მისცა ორი ათასი თეთრისა წითელი (ე. ი. ოქრო). ჯვარის მონასტრის ალაპთა განხილვის საფუძველზე პროფ. ს. კაკაბაძე ბეშქენ ვარდანისძეს 1325—1350-იანი წლების მოღვაწედ მიიჩნევს (იხ. ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები, თბილისი, 1914, გვ. 9). ვფიქრობთ, რომ პატივცემული მკვლევარი ცდება. ვრცლად ამის შესახებ იხ. № 283 ალაპის კომენტარში.

XIV ტაბულა მრავალი ალაპის შემცველია. გარდა ვარდანისძის ალაპისა, ტაბულაში ერთიანდება შემდეგი ალაპები:

ალაპი ფორთოხ გარეყანისძისთვის და მისი მეუღლე ხათუთასთვის, ბეშქენ ვარდანის ძის ასულისათვის—140

პიპა ვარდანის ძისათვის—187

ჯავახ თორელის ასულის ბობასთვის—129

ინა ბოცოვას ძისათვის—222

გობოასძეთა მიცვალებულთათვის—307

ყონდოს ჭახობის ძისათვის—313

სალირ ლაშხაასა შვილისათვის—312

ლისა ნისიმესთვის—141

მესტუმრე შალვა ხუტურის ძისათვის—303

ეგნატი ხობისა წინამძღვრისათვის—120

გიორგი მეფეთა მეფისათვის—280

ინასარ ინასარის ძისათვის—151

მიქაელ ქვაბისჯვარელისათვის—311

ერთი წყება აქ მოტანილი ალაპებისა მეორდება ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის 1 ნაწილის ძირითად ფენაში. ესენია: მიქაელ ქვაბისჯვარელის (311), გობოასძეთა მიცვალებულთა (307), სალირ ლაშხაას შვილისა (312) და ყონდოს ჭახობის ძისა (313). ტიშენდორფისეული ნუსხის ეს


ალაპები და მისი შესატყვისი ალაპები სვინაქსარიდან იხ. დანართში, ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძველი, ძირითადი ფენის ეს ალაპები, როგორც არაერთხელ ითქვა, XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით იფარგლებიან. ეს გვაძლევს უფლებას ზოგადად ამ დროით შემოფარგლოთ XIV ტაბულის დანარჩენი ალაპები. ტაბულის ამ თარიღს მხარს უჭერს ტაბულის კიდევ ერთი ალაპი, განწესებული ინასარ ინასარისძის მეუღლე აგუტი სათვის. ამ ალაპისათვის მონასტრის კრებულს მიუღია 1000 სურტნული დრამა მას ჟამსა „ოდეს სურტანმა ჯუარი მოგუა-ო“, ვკითხულობთ ალაპში. ჯვარის მონასტერი კი ქართველებმა დაიბრუნეს 1305 წელს (იხ. გამოკვლევა, გვ. 46).

ამგვარად, ტაბულის ზოგიერთი ალაპი განწესებული უნდა იყოს XIV საუკუნის დამდეგს. ამ დროისა უნდა იყოს გიორგი მეფის ალაპიც (№ 280). XIII—XIV საუკუნის მიჯნის ტაბულებში ჩვენ უკვე რამდენჯერმე შეგვხვდა გიორგი მეფის ალაპები. ეს, როგორც ჩანს, ერთი და იმავე გიორგისათვის განწესებული ალაპებია. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალის ალაპები, დადებული მისი გამეფების პირველ წელს (1299 წ.) ან მისი მეორედ გამეფების პირველ წლებში. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ალაპებში გიორგი მცირეც იგულისხმებოდეს. ამგვარად, XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით უნდა შემოიფარგლოს XIV ტაბულა.

ალაპის დასაწყისით XIV ტაბულას მიეკუთვნება ზოსიმე თარგმანის გადაფხეკილი ალაპი (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. № 46 და № 183 ალაპების კომენტარები).

XIV ტაბულაში ყურადღებას იპყრობს გარეყანისძეთა ალაპი (№ 140). ალაპი განწესებულია მაკარი გარეყანისძის შვილის ფორთოხისა და მისი მეუღლის ხათუთასთვის, რომელიც ბეშქენ ვარდანისძის ასული ყოფილა. ანავე დროს XIV ტაბულაში არის ბეშქენ ვარდანისძის ალაპიც (№ 60). ამგვარად ერთ ტაბულაშია სიძესიმამრის ალაპები. სვინაქსარის ალაპებში კიდევ არის რამდენიმე ალაპი გარეყანისძეთათვის განწესებული. ესენია: გარეყანის ძმის ფურთუხის ალაპი (№ 236, ტ. XXXII). გარეყანი, ვფიქრობთ, გვარის ფუძემდებელია. ამ გარეყანის შვილი უნდა იყოს მაკარი, ძმა—ფურთუხი, ხოლო შვილიშვილი—ფორთოხი (XIV ტაბულის ალაპი № 140). გა-

რეყანის ძმის ფურთუხისთან ერთად XXXII ტაბულაშია აგრეთვე გარეყანის მეორე ძის მარუშიანის ალაპიც (№ 268). ამიტომ, ვფიქრობთ, რომ XXXII ტაბულის ზემომოყვანილი გარეყანისძეთა ალაპები და XXXV ტაბულის ფილიპე გარეყანისძის ალაპი (№ 63) XIV ტაბულის ალაპთა თანადროული არიან (იხ. № 113 და 63 ალაპების კომენტარები). ცხადია, რომ ეს პირები ყველა გარეყანის ნათესავეები არიან. გარეყანი კი გარეყანისძეთა გვარის ფუძემდებელია. გარეყანის ძეთა ალაპების მიხედვით შესაძლებელია ამ გვარის გენეალოგიის შედგენა დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე.



61 (M—59)

ალაპი ივანე ქავთარისი, ე. ი. ივანე ქავთარის შვილისა. ალაპის ტექსტი ძალზე გადასულია. უნდა ვიფიქროთ, რომ № 61 ალაპის ქავთარი და მომდევნო № 62 ალაპის ქავთარი ერთი და იგივე პირია. პირველ შემთხვევაში ქავთარის შვილია ივანე, ხოლო მეორე შემთხვევაში ქავთარია ნიკოლოზის შვილი. მაშასადამე, ერთმანეთის შონდევნო ორ ალაპში განწესებულია მაშა-შვილის მოსახსენებლები. ნიკოლოზის შვილის ქავთარის ალაპი თარიღდება XIII ს. უკანასკნელი მეოთხედით (იხ. № 16 ალაპის კომენტარი). ამის მიხედვით XIII საუკუნის დამლევით უნდა დათარიღდეს ქავთარის შვილის ივანეს ალაპი. ალაპის ტექსტი ძალზე გადასულია, რის გამოც მისი ფორტობირი ვერ დაიბეჭდა.

62 (M—60), ტაბულა VI

ალაპი ქავთარის, ნიკოლოზის შვილისა თარიღდება VI ტაბულის მიხედვით XIII საუკუნის სამოცდაათიანი წლებით (იხ. № 16 ალაპის კო-

მენტარი). ნიკოლოზის შვილი ქავთარი უნდა იყოს წინა ალაპში (№ 61) მოხსენიებულ ივანეს მამა (იხ. № 61 ალაპის კომენტარი).

63 (M-61), ტაბულა XXXV

ალაპი ფილიპე გარეყანისძისა. ტაბულაში, გარდა ფილიპეს ალაპისა, არის აგრეთვე მიქაელ ქუთათლის ალაპიც (№ 2).

№ 60 ალაპის კომენტარში ჩვენ გამოთქმული გვაქვს ვარაუდი, რომ სვინაქსარის ალაპებში გარეყანისძენი გარეყანის შთამომავალი არიან (იხ. აგრეთვე გარეყანის ძმის ფურთუხის ალაპი № 236 და მისი კომენტარი). XIV და XXXII ტაბულების გარეყანისძეთა ალაპები XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით თარიღდებიან. ამავე დროისა უნდა იყოს ფილიპე გარეყანისძის ალაპიც. გარეყანისძეთა ნათესაური კავშირის სქემა, სვინაქსარის ალაპების მიხედვით შედგენილი, იხ. № 61 ალაპის კომენტარში.

64 (M-62), ტაბულა XVI

ივანე ჯავესიანის პანაშვიდი. ამ ტაბულაში პირობით არის გაერთიანებული ორი ალაპი, რომლებიც ხელით ერთმანეთს გვანან, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია პალეოგრაფიული და ენობრივი მონაცემებით ჭირს. ამ ალაპებში შეიმჩნევა ექვსი აღმწერელი ორთოგრაფიული სხვაობები. № 64 ალაპში წერია—პანაშუდი, ხოლო № 162 ალაპში—პანაშუდი. მეორე დაწერილობა მოგვიანოა. განურჩევლად იმისა, გაერთიანდება ეს ორი ალაპი ერთ ტაბულაში თუ არა, მათი დათარიღება მაინც ვერ ხერხდება. ხელის მიხედვით ალაპები შეიძლება XIV—XV საუკუნეებისა იყვნენ, შეიძლება უფრო გვიანდელიც.

65 (M-63), ტაბულა XLVIII

დალოცვა და პანაშვიდი ევაგრესთვის, რუსუდანისა და თაყაფანასკერტელისთვის. ალაპის გამჩენია სვიმონელელიქისძე ჯვარის მამა და აღდგომის მოძღვარი. ალაპი გვამცნობს, რომ სვიმონ ელმელიქისძემ, აღდგომის მოძღვარმა და დეკანოზმა, გააჩინა ამ სამი პირისათვის დალოცვა დიდნარხვის ყოველ წაბათსა და კვირას, ტაძრად მიყვანების დღესა და დიდ ხუთშაბათს იმის გამო, რომ დიმიტრი მეფის ასულს გამოეგზავნა „დიდსა დაჭირებასა შიგან“ შვიდი

ათასი თეთრი. ამის გარდა კიდევ ათასი თეთრი გამოეგზავნა საპანაშვილად.

როგორც ვხედავთ, მონასტრის კრებულს ბევრი მიუღია რუსუდანისგან და ბევრიც უკისრია თავის მხრივ. დალოცვა-პანაშვილების განგება, ჩანს, თვით შემომწირველს შეუდგენია.

ამ ალაპთან დაკავშირებით პირველ რიგში გასარკვევია, თუ ვინ არიან რუსუდანი, თაყაფანასკერტელი და ევაგრე.

ალაპში მოხსენიებული რუსუდან დემეტრეს ასული დიმიტრი თავდადებულის შვილი უნდა იყოს შემდეგი მოსახრებების გამო:

დიმიტრი თავდადებულის ცოლებისა და შვილების საკითხი არსებული მასალების მიხედვით ბოლომდე ნათელი არ არის. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით დიმიტრემ პირველი ცოლი—კომნენის ასული—შერთო 1272—1273 წლებში (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 215—220). კომნენის ასულისაგან დიმიტრის ჰყავდა ხუთი შვილი. დავითი პირმშო იყო. რუსუდანი მეორე შვილი რომ ყოფილიყო კიდევ, მისი დაბადება 1273—1274 წელზე ადრე მაინც ვერ ივარაუდებოდა, ხოლო მისი გათხოვებაც 1282—1284 წლებში ძალზე ნაადრევია. ამავე დროს, „ემათა აღმწერლის“ ცნობით, რუსუდანის გათხოვებამ ნიკოლოზ კათალიკოზის დიდი აღშფოთება გამოიწვია (ქართლის ცხოვრება, II 1959, გვ. 281), ხოლო ნიკოლოზ კათალიკოზის ზეობის წლებად მიჩნეულია 1240—1280 წლები. ამგვარად, ამ ორი თარიღიდან ერთი მცდარი უნდა იყოს. 1284 წელს რუსუდანი თითქოს ბუღას შვილის მეუღლეა. ამას ადასტურებენ სპარსული წყაროები, რომელთა მიხედვითაც ბუღა დიმიტრი მეფის მოყვარეცა და მზახალიც იყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 224). 1289 წელს, ბუღას შეთქმულების გამომეღვაწეების შემდეგ, არღუნმა მოკლა ბუღა, ხოლო მისი სახელეულნი წყალში ჩაყარა (ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 299). ამ დროს დაიღუპა რუსუდანის მეუღლეც. თუ რა ბედი ეწია რუსუდანს, ამის შესახებ არაფერი ვიცით. ამ საკითხს შუქს ფენს ჩვენი საკვლევი ალაპი № 65. ალაპის რუსუდანი რომ ნამდვილად დიმიტრი თავდადებულის ასულია და არა რომელიმე სხვა მეფე დიმიტრისა, ამას მხარს უჭერს XLVIII ქრონოლოგიური საზღვრები—XIII საუკუნის დამლევი და XIV საუკუნის პირველი მეოთხედი (ვრცლად ეს ტაბულა განხილული გვაქვს გამოკვლევაში, გვ. 41), ამავე ფარგლებშია დაწერილი რუსუდანისა და თაყაფანასკერტელის ალაპი. ეს ალაპი, როგორც ჩანს,

დაწერილია რუსუდანის სიცოცხლეში. ვინაიდან იერუსალიმში თვითონ რუსუდანს გაუგზავნია დიდი თანხა დალოცვის განსაწესებლად, ხოლო შემდეგ დამატებით გაუგზავნია საპანაშვიდე თანხაც.

სენიანქსარში რუსუდანის კიდევ რამდენიმე ალაპია ჩაწერილი: № 131 ალაპი რუსუდან, დემეტრე მეფის ასულისა; და № 250 ალაპი—ფანასკერტელის ცოლის რუსუდანისა. ვფიქრობთ, რომ № 65 ალაპის რუსუდანი, თაყა ფანასკერტელთან ერთად მოხსენიებული, იგივე დემეტრეს ასული და ფანასკერტელის ცოლი რუსუდანი უნდა იყოს (იხ. №№ 250, 105, და 118 ალაპების კომენტარები. უკანასკნელში მოთავსებულია ფანასკერტელთა გენეალოგია).

რუსუდან დემეტრეს ასული რომ ნამდვილად ფანასკერტელები გვართან იყო დაკავშირებული, ამას კიდევ ერთი საყურადღებო წარწერა უჭერს მხარს. ეს არის ვაჩეძორის დიდებული ტაძრის ერთი ეკვტერის წარწერა, სადაც იკითხება: „ქართველთა და აფხაზთა მეფისა დიმიტრის ასულ [ისა... პატრონი]სა¹ რუსუდანისა დაუთავეთ (!) ყ[ოვლითა]² და მათთა საქასოათა აღეშენა ეკუტერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მოძღურობასა შინა უჩ... გოდერძის ძისა, ქორონიკონსა ფკვ...“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1938, გვ. 58). ამ მიწაწერის ქორონიკონი უდრის 1306 წელს. ვაჩეძორის მონასტერი, ოლთისის ერთი უშესანიშნავესი ტაძარი, ფანასკერტელ ერისთავთა განმგებლობის ქვეშ იყო. ამას მოწმობენ ვაჩეძორის ეკლესიის მახლობლად მღვიმეში აღმოჩენილი საბუთები (ე. თაყაიშვილი, ხსენებ. წიგნი, გვ. 62—63).

თუ რატომ შეუდგა დემეტრეს ასული რუსუდანი ვაჩეძორის ეკლესიის ეკვტერის აშენებას, ამაზე ჯვარის მონასტრის ალაპი პასუხობს. აშკარაა, რომ რუსუდანი ქმრის სიკვდილის შემდეგ

¹ ეს სიტყვა წარწერაში არ იკითხება. იგი აღდგენილია ე. თაყაიშვილის მიერ. შეიძლება აქ იყო ფანასკერტელი და არა პატრონისა.

² ტექსტის დაზიანების გამო ექ. თაყაიშვილს ვერც ეს სიტყვა ამოუკითხავს. ჩანს, ამ სიტყვაში გარკვევით მხოლოდ ასო ყ იკითხება, დანარჩენი ასოები აღდგენილია. მკვლევარს ეგვიპტა წინა სიტყვის დაჯთმების წაკითხვაც რომ არ შეიძლება აქ ვივარაუდოთ სახელი თაყა, პირველი სიტყვის ბოლო თ-სა და მეორე სიტყვის დასაწყისი ასო—ყ—საგან შემდგარი? მით უმეტეს, რომ საფასის გამღები კონტექსტის მიხედვით ერთ კაცზე მეტი უნდა იყოს: „მათთა საფასოათა აღეშენა ეკუტერი ესე“—გვითხულობთ წარწერაში.

კვლავ დაბრუნებულა საქართველოში და აქ თაყა ფანასკერტელის მეუღლე გამხდარა, და, უკვე თავის სამფლობელოში, 1306 წელს შესდგომია ფანასკერტელთა უდიდესი ეკლესიის ვაჩეძორისათვის ეკვტერის მიშენებას. შესაძლებელია ეკვტერი სამწირველოდ იყო ნაგარაუდები მისთვის ან მისი მეუღლისათვის, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის თაყა, საფიქრებელია, უკვე მიცვლილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც მოხსენებული იქნებოდა სააღმშენებლო წარწერაში.

თუ ვინ არის ევაგრე, ალაპში პირველ ადგილას მოხსენიებული, ამის თქმა ცნელია, რაც შეეხება თაყას, ის, როგორც უკვე გამოიკვია, XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის დამდეგის მოღვაწეა, ფანასკერტელი ერისთავი. ეს ის თაყაა, რომელიც ეამთა აღმწერელის ცნობით თავგამოდებით ებრძოდა ახატ მოსესა და რუმის სულთნის მრავალრიცხოვან ლაშქარს, მაგრამ ვერაფერს გახდა. თურქებმა ტაო მაინც ააოხრეს (ქართლის ცხოვრება, II, 1959 წლის გამოც., გვ. 311).

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. დიდი შესაწირავები ჯვარის მონასტერს ამ დროისათვის მისდის სწორედ სამხრეთ საქართველოდან. ეს, როგორც ჩანს, შემთხვევითი მოვლენა არ იყო. „ეამთა აღმწერელის“ ცნობით, XIII საუკუნის უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ქართლის ოხრების გამო „არ იყო მათ ეამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“, რასაც სიმშლიობა მოჰყვა. მხოლოდ მესხეთი გადარჩა ამ საშინელ აოხრებას. ქართლიდან სამცხეში გარბოდა ხალხი თავის საშველად (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 256). დაახლოებით ამავე დროს ეგვიპტეშიც დიდი შიმშილი ყოფილა, და შემდეგ ამას შავი ქირიცი დაერთო 1299 წელს (ჰამერი, II, გვ. 100—101. ვიმოწმებ ი. ჯავახიშვილის დასახ. წიგნით, გვ. 256). შესაძლებელია ჯვარის მონასტრის კოლექტივის „დიდი დაქირება“ ერთის მხრივ ამასაც გული-სხმობდეს.

მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის XLVIII ტაბულის № 206 ალაპი. ეს ალაპი განწესებულია ვახტანგ მეფისა და მისი მეუღლე რიფსიმესთვის „მას ეამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო“. გამოკვლევაში გარკვეულია, რომ ვახტანგ მეფე არის ვახტანგ II (1298—1308 წწ.), რომელმაც მიიღო მონაწილეობა 1299 წლის ბრძოლაში მონგოლებთან ერთად ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. საფიქრებელია, რომ მაშინ გაუწია მან დახმარება მონასტ-

რის კოლექტივს. ამ ალაპიდანვე გაიკვავა, რომ ჯვარი დაუტყვევებიათ მამლუქებს 1273 წელს (იხ. გამოკვლევა, გვ. 42).

ჯვარის დატყვევებასთანაა დაკავშირებული ამავე ტაბულის № 255 ალაპიც, განწესებული ლუკა მოწამისათვის, რომელიც აწამეს ქართველები-სათვის მონასტრის წართმევის წელს. ლუკას ალაპი სვინაქსარში ჩაწერილი უნდა იყოს არა მისი სიკვდილის უმაღლეს, არამედ XIII საუკუნის დამლევს, შესაძლოა მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების შემდეგაც. საფიქრებელია, რომ სწორედ მონასტრის დაბრუნების შემდეგ განიზრახა მონასტრის კოლექტივმა წმიდათა რიცხვში ჩაერთობა და ალაპი გაეჩინა პირისათვის, რომელმაც თავი შესწირა მონასტრის დაცვას.

XLVIII ტაბულაში შედის აგრეთვე ჯვარის მამა სოლომონის ორი ალაპი: № 227 და 251. უკანასკნელი დაწერილია სოლომონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ჯვარის მამა სოლომონი ცოცხალი ჩანს ამავე ტაბულაში, ვინაიდან მისი განწესებულია თაყსა და რუსუდანის ალაპი.

კიდევ ორი ალაპია ამ ტაბულიდან დასათარიღებელი. ესენია ალაპი გიორგი დადიანისა (№ 304) და დიოფალთა დიოფალისა ხვაშაქისა (№ 276). ჩვენი ტაბულის ფარგლებში გიორგი დადიანი შეიძლება იყოს მხოლოდ გიორგი პირველი (გარდ. 1323 წელს, იხ. ვახუშტი, ხსენებული წიგნი, გვ. 276). ხვაშაქ დიოფალთა დიოფალი კი უნდა იყოს გიორგის დედა, ქართლის ერისთავის ბეგას ასული, მეუღლე ბედან დადიანისა. ცნობები ბედან დადიანისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ შემოგვინახეს ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერებმა. ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ღმრთის მშობელო დედოფალო, შენწე, მეოხ და მფარველ ეყავ გულს-მოდგინედ მამკობსა წმიდისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ერისთავთ-ერისთავსა მანდატურთ-უხუცესსა ბედანსა დადიანსა და დიოფალთ დიოფალსა ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიქედა ზურგი ესე“ (თ. ყორდანი, ქრონიკები, II, გვ. 129). ამავე ხატის მეორე წარწერაში მოხსენიებული არიან ბედანისა და ხვაშაქის შვილები: ერასაჰარი, გიორგი და ივანე (ქრონიკები, II, გვ. 130). თ. ყორდანი ვარაუდობს, რომ ამ წარწერის გიორგი დადიანად დასვა გიორგი ბრწყინვალემ; ვახუშტის ცნობით, გიორგი დადიანი გარდაიცვალა 1323 წელს (ქრონიკები, II, გვ. 132 და ვახუშტი, გვ. 276). მაშასადამე, № 304 ალაპის გიორგი დადიანი არის ბედანისა და ხვაშაქის ძე. ხოლო

ხვაშაქ დიოფალთ დიოფალი — გიორგის დედა (№ 276). ამგვარად, XLVIII ტაბულაში გაერთიანდა დედა-შვილის ალაპები.

ტაბულის უკანასკნელი ალაპი განწესებულია აფხაზთა მეფეთ მეფე კოსტანტინესთვის (№ 239). ეს უნდა იყოს იმერთა მეფე კოსტანტინე პირველი, რომელიც, ვახუშტის ცნობით, გარდაიცვალა 1327 წელს (ვახუშტი, ხსენებ. წიგნი, გვ. 276, იხ. აგრეთვე ჩვენი გამოკვლევა, გვ. 58). ვფიქრობთ, რომ კოსტანტინეს ალაპი განწესებულია მის სიცოცხლეში იმ დიდი სამსახურისათვის, რომელიც მას მონასტრისათვის გაუწევია; კოსტანტინე მეფის ინიციატივითა და სახსრებით ჩატარდა გარკვეული სამხატვრო-სააღმშენებლო მუშაობა, რასაც ქართველებისათვის ახლად დაბრუნებული მონასტერი დიდად საჭიროებდა. დაბრუნებული ჯვარის მონასტრის „ახლად აშენება“ დავით VIII-ს უკისრია (იხ. № 295 ალაპის კოშენტარი), ხოლო „ახლად შეკაზმვა“ თავს იდგა კოსტანტინემ; ეს უნდა ყოფილიყო ჯვარის მონასტრის დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 1305 წლის ახლო ხანებში.


ამგვარად, XLVIII ტაბულის ალაპები დაწერილია XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამლევს, პირველი მეოთხედის მანძილზე. ამ ტაბულის ალაპები დაწერილია სვინაქსარის განმაცხოველებლის ეფთვიმეს ხელით. განმაცხოველებლის სახელი ხელნაწერის რამდენიმე გაცხოველებული გვერდის კიდებზე მიწერილი (იხ. Jer—25, 223r, 225r.).

66 (M—64), ნარევი ტაბულა III

პანაშვიდი ვარამის ცოლის ესნათობისათვის. ალაპის ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება. ხელის მიხედვით ალაპი XIV—XV საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოთ. ალაპი ნაკლებია, აკლია დასაწყისი. ამიტომ არ ჩანს, თუ რა გაუჩინა კრებულმა შემომწირველს. ალაპის მეორე ნაწილში კი წერია „მისთვისა (ესნათობისთვის— ე. მ.) გავაჩინეთ შაბათ-კვრიაკეთა პანაშვიდი, ვითა რუსუდანის იყო“. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება წინა, № 65 ალაპი რუსუდან დემეტრეს ასულისა, სადაც მართლაც არის განწესებული დიდმარხვის შაბათ-კვირას რუსუდანისა და თაყას დალოცვა. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ № 66 ალაპი დაწერილია რუსუდანის ალაპის კვალობაზე, ამ ალაპის შემდეგ, ამ ალაპზე უფრო გვიან.

ალაპი ბოცო ბოცოჲს ძისა. XV ტაბულაში გაერთიანებულია ხუთი ერთმანეთის მომდევნო ალაპი (67—71). ალაპების ხელი, მათი შედგენის წესი და გარეგნული ფორმა სავსებით ერთნაირია. ტაბულების დათარიღება ხერხდება № 68 და № 69 ალაპების საშუალებით. № 68 ალაპი გაჩენილია ხელას ძმის გოგნიასთვის, ხოლო № 69 ალაპი თვით ხელა მოლარეთუხუცესისათვის. ხელა მოხსენიებულია აგრეთვე სხვა ტაბულების ალაპებშიც. № 200 ალაპი განწესებულია ხელას ძმის გოგნიას მეუღლე ქექლუცისათვის (ნარევი ტაბულა III), № 124 ალაპი კი ხელასთვის. ამ უკანასკნელი ალაპის გამჩენია პიმენ ჯვარის მამა და კრებული. ხელასთვის კრებულს გაუჩენია ერთი კანდელის დაკიდება ქრისტეს საფლავზე. თუ რა დამსახურებისთვისაა ეს განწესებული, ალაპში არ ჩანს. სამაგიეროდ ამის შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის „გოლგოთის სვინაქსარის“ ერთი მინაწერი. მინაწერში ვკითხულობთ: „მე აღდგომელმან მახარებელმან წიგნი გავგზავნე საქართველოს ზეთისათჳს[ს] ხელ[ა]სა წინაშე, და მას გამოეგზავნა ასი ფლური ქრისტეს საფლავისთვის, და ჯუარელთა დაიჭირეს, და მონასტერმან, მმ მ[ა]მ[ა]მან პიმენ, მოძღუარმან იოანე, კანდელაკმან ნიკოლოზ და სრულად კრებულთა და კელოსანთა—კელარმან ვეენარ და მეწისქვილემან—ყოველთავე დაუეჩინეთ: ზეთი თორმეტი ლიტრა ყოველთა წელიწადთა მიეცემოდეს ქრისტეს საფლავსა ჯუარისა მონასტრისაგან. და ვინცა აღდგომელ იყოს, ანთებდეს ერთსა კანდელსა დღე და ღამე დაუესებელად ქრისტეს საფლავსა ზედა და არავინ მოუშალოს, არცა შეცვალოს ხელასთვის, სადამდის ესე ჯუარისა მონასტერი ეგოს და მონაზონნი იყუნენ“ (ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XV—B, გვ. 41). აშკარაა, რომ № 124 ალაპი და „გოლგოთის სვინაქსარის“ ზემომოყვანილი მინაწერი ერთსა და იმავე ხელას ეხება, რომელსაც გაუგზავნია ქრისტეს საფლავისათვის 100 ფლური. ეს თანხა დაუქავებია ჯვარის მონასტერს, სამაგიეროდ ჯვარის კრებულს უკისრია ყოველწლიურად ქრისტეს საფლავისათვის 12 ლიტრა ზეთის მიცემა, ხოლო ხელასათვის კი ქრისტეს საფლავზე ერთი კანდელის ანთება. ეს ვალდებულება ცალ-ცალკე ასახეს ჯვარის მონასტრის კრებულმა ალაპში, ხოლო საფლავის მსახურმა აღდგომელამ „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერში. ხელას 100 ფლური სი-

ცოცხლეში გამოუგზავნია. მის სიცოცხლეშია დაწერილი ალაპი და სვინაქსარის მინაწერიც. მოტანილი ცნობებით ხელას მოღვაწეობის დროის განსაზღვრა შესაძლებელია. მინაწერშიც და ალაპშიც მოხსენიებულია პიმენ მაწყვერელი ჯვარის მამა. პიმენის ჯვარის მამად მოღვაწეობის ხანა XV საუკუნის ათიანი წლები (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). ხელას ვინაობას აჩენს მცხეთის ორი სიგელი, გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას მიერ. № 121 დოკუმენტში ვკითხულობთ: „...ქათალიკოზს ელიოზს ესე უტრუველი და უზაკველი... წერილი დაგიწერე მე თაველისძე მასათა და ჩემმა მეუღლემან სოსანამან და ჩუენთა შვილთა: მოლარეთუხუცესმან ხელ(ა)მან და მესტუმრემან გოგნიამან... და თქვენ გამიჩინეთ ალაპი: მირქმასა დღესა ასათისა გარდაივდებოდეს, მეროგესა დღეს—სოსანასთვის... კარგალებული ალაპი უნაკლულა“ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 207). საბუთიდან ჩანს, რომ მოლარეთუხუცესის ხელას გვარი თაველისძე ყოფილა. ალაპებისა და მოტანილი საბუთის მიხედვით თაველისძეთა ორი თაობა გამოვლინდა.



ერთი ოჯახის წევრებზე ერთი ხელით დაწერილი ალაპები ერთდროულად იწერებოდა. ჩვეულებრივ იგზავნებოდა შესაწირავით საგანგებო პირი ოჯახის ან გვარის რამდენიმე წევრისთვის ალაპის გასაჩენად. ზოგი ამ ოჯახის წევრთაგან ცოცხალი იყო ამ დროისათვის, ზოგი კი გარდაცვლილი, ზოგი უფროსი, ზოგი უმცროსი. მაგრამ ალაპები მაინც ერთდროულად იწერებოდა, ზოგ შემთხვევაში სამი თაობისაც კი: მამისა, შვილისა და შვილიშვილისა. ამიტომაც, რომ ერთი ხელით დაწერილ საოჯახო ალაპთა ტაბულებში უფრო დიდი ქრონოლოგიური საზღვრებია, ვინემ სხვადასხვა პირისათვის დაწერილი ალაპების ტაბულებში.

ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ დანარჩენი ალაპების განხილვაზე. ხელას ალაპებმა XV ტაბულა დაათარიღა XV საუკუნის დამდეგით. ამ ტაბულის ზოგად ქრონოლოგიურ ფარგლებად შეიძლება ვივარაუდოთ XV საუკუნის დამდეგი—XV საუკუნის პირველი მეოთხედი.

№ 67 ალაპი განწესებულია ბოცო ბოცო მსახურის. ბოცო ბოცოს ძე ჯაყელი „ემთააღმწერელთან“ არაერთგზის მოიხსენება ლაშა გიორგისა და რუსუდანის მეფობის დროს (შესაძლოა ამ ბოცოს ძე სარგისი იყოს მოხსენებული № 44 ალაპში, თუმცა პალეოგრაფიულად ამის მტკიცება გაკირდებოდა (იხ. ამ ალაპის კომენტარი). მაგრამ „ემთააღმწერელის“ ბოცო ბეგრად უფრო ადრეულია და ამიტომ მისი გაიგივება № 67 ალაპის ბოცოსთან ვერ მოხერხდება. ეს ორი სხვადასხვა ბოცოა, ერთი საუკუნით ერთმანეთს დაშორებული.

საინტერესოა № 70 ალაპი, დადებული ქუცნა გაბელიძისთვის. როგორც გამოკვეთულია სამეცნიერო ლიტერატურაში, XV საუკუნიდან გაბელიძეთა გვარის გაამირეჯიბება მოხდა. პირველი ამირეჯიბი ამ გვარიდან იყო ქუცნა გაბელიძე: „ამირეჯიბობა ამ გვარში სწორედ ქუცნას დროიდან იწყება XV საუკუნის პირველი ათეულიდან. არც ერთ წინაპარს ქუცნა ამირეჯიბობით არ იხსენიებს“ (იგულისხმება ქუცნა ამირეჯიბის ცნობილი სიგელი, გამოკვეთებული თ. ჟორდანიას მიერ ქრონიკების II ტომში, გვ. 208—209. იხ. ნ. ბერძენი შვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 65). ამიტომ ალაპი დაწერილი უნდა იყოს იქამდე, სანამ ქუცნა ამირეჯიბობას მიიღებდა. სხვათა შორის, ქუცნა ამირეჯიბის შვილის რამინის ალაპი შემოგვინახა. ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხამ (იხ. I—91),

XV ტაბულის უკანასკნელი ალაპია № 71, დადებული მათაყასა და ჩოლაყასთვის. ამ ორი პირის ერთად მოხსენიება ალაპში უნდა იქნას მოწმობდეს, რომ ისინი ან მამა-შვილი არიან, ანდა ძმები. აქ არ შეიძლება არ გაეიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: „ქახეთს ჩოლაყაშვილი და მათაყაშვილი იტყვიან ირუფაქიძობას“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წლ. გამოც., გვ. 25). სახელი მათაყა ადრევე ჩანს წერილობით ძეგლებში (იხ. „ისტორ. და აზმანი“; ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 518). ჩვენი ალაპის ჩოლაყა კი არის ამ სახელის უძველესი წერილობითი დამოწმება, რაც გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლებელია, ეს ჩოლაყა იყო ჩოლაყაშვილთა გვარის ფუძემდებელი, ვინაიდან XVI საუკუნის დასრულებისათვის ჩოლაყაშვილი უკვე გვარია. 1512 წლის მინაწერში მოხსენიებულია: „ცოდელი ირუბახის ჩოლაყას შვილი ბენა“ (იხ. ა. ცაგარელი, Памятники, გვ. 168. იხ. აგრეთვე ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 35). რო-

გორც ჩანს, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ან სულაც XV—XVI სს. მიჯნიდან, პირველად ბენასთან დაკავშირებით ჩნდება ჩოლაყაშვილის გვართან ირუბაქი (ირუბაქი ბენას მამის ზედწოდება ხომ არ იყო?).

68 (M—66), ტაბულა XV

ალაპი ხელას ძმისა გოგნიასი და მისი მეუღლის კეკლუცას შესანდობარი. ამ ტაბულის შესახებ იხ. № 67 ალაპის კომენტარი.

69 (M—67), ტაბულა XV

ალაპი ხელა მოლარეთუხუცესისა. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 67 ალაპის კომენტარი.

70 (M—68), ტაბულა XV

ალაპი ქუცნა გაბელიძისა. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 67 ალაპის კომენტარი.

71 (M—69), ტაბულა XV

ალაპი მათაყასა და ჩოლაყასი. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 67 ალაპის კომენტარი.

72 (M—70), ტაბულა XLIV

ალაპი თამარის ასულისა და ხაჭიკის მეუღლის ხვარაშანისა. ამავე ტაბულის მეორე ალაპი განწესებულია ძაგან აბულეთის ძისთვის (№ 318). ძაგან აბულეთის ძე ცნობილი პიროვნებაა. მისი გაცემულია 1260 წ. სიგელი. ის უნდა გარდაცვლილიყო 1282 წლის მახლობლად (იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 145).

ძაგან აბულეთის ძის ალაპის მიხედვით ტაბულა უნდა დათარიღდეს XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით. ამავე დროით უნდა შემოიფარგლოს ტაბულის მეორე, ჩვენთვის საინტერესო ხვარაშანის ალაპიც. ხვარაშანის ალაპთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში შეტანილია ხაჭიკ-ყოფილი ზოსიმეს ალაპი (I—53). ეს ალაპიც დაწერილი უნდა იყოს XIII საუკუნის დამლევის ან XIV საუკუნის პირველ წლებში. ამავე დროისაა ხაჭიკ ფალქოზისძის ალაპიც (№ 46). ეს კი გვაძლევს უფლებას ვივა-

რადღობთ, რომ ხაეიკ ფალქოზისძე და ხაეიკ-ყოფილი ზოსიმე ერთი და იგივე პირია. ხოლო ხვარაშანი არის ხაეიკ-ყოფილი ზოსიმეს მუდღე. ხვარაშანის ალაბი განწესებულია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხაეიკი ერისკაცი იყო. ვფიქრობთ, რომ ხაეიკი იერუსალიმში აღიკვეცა ბერად და იქვე ეწეოდა მოღვაწეობას. სვინაქსარის ერთ-ერთი ალაბის (№ 122) დამწერი ვინმე ხაეიკია. ეს ჩვენი ხაეიკი ან ხაეიკ-ყოფილი ზოსიმე ან ხაეიკ ფალქოზისძე ხომ არ არის? (იხ. № 46 და 122 ალაბების კომენტარები).

• 73 (M—71), ტაბულა LXI

მზექალი ჭილაძის ასულის ალაბი. ამავე ტაბულაშია ივანე აბუსერიძის ალაბიც (№ 43). ალაბთა ხელი საკმაოდ არქაულია. ხელის მიხედვით ისინი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ XIII საუკუნეს. ამ ფარგლებში კი ივანე აბუსერის ძე ერთნაირად შეიძლება იყოს როგორც აბუსერიძე ტბელის მამა, ივანე ერისთავთ ერისთავი (მოკლეს 1206 წ.), ასევე აბუსერიძე ტბელის შვილი (იხ. № 43 ალაბის კომენტარი). ორივე შემთხვევაში ალაბები XIII საუკუნეს ვერ გასცილდებიან. პალეოგრაფიულად ტაბულა უფრო XIII ს. II ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ალაბის ტექსტი საკმაოდ დაზიანებული და გადასულია, რის გამოც შეიძლება ჩვენი ვარაუდი არ იყოს დაზღვეული შეცდომისაგან. მეორე მხრით, XIII ს. დამლევისა და XIV საუკ. დამდგვის ჭილაძეთა ალაბები სხვაც არის როგორც სვინაქსარში, ასევე ალაბთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში (იხ. T—22 და ამასთან დაკავშირებით გამოკვლევა, გვ. 22; იხ. აგრეთვე № 113 ალაბი და მისი კომენტარი). ამგვარად, ჭილაძეთა გვარის წარმომადგენელთა მოხსენიების უძველესი შემთხვევები გვარის მონასტრის ალაბებში შემოგვინახა. ამ მასალას ჭილაძეთა გვარის ისტორიის გათვალისწინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ჭილაძეთა შესახებ ისტორიულმა წყაროებმა მეტად მცირე ცნობები შემოგვინახეს. აქამდე უძველესად ითვლებოდნენ ტყვირის ეკლესიის აღმშენებელი, XIV ს. დამლევისა და XV ს. დამდგვის მოღვაწენი, ძმები: ქველი, კახაბერი და ჩუბინი (იხ. ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობა სამეგრელოში, ძვ. საქართველო, III, გვ. 4). ჭილაძეები კი, როგორც ჩანს, XIII—XV საუკუნეებში ძლიერი მთავრები იყვნენ და ფლობდნენ

დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუა (ე. თაყაიშვილი, იქვე. გვ. 3).

74 (M—72), ტაბულა XXV

ალაბი ლომა დადიან-გურიელისა. XXV ტაბულა თარიღდება XV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 59 ალაბის კომენტარი). ამავე დროისაა ლომა დადიან-გურიელის ალაბიც. XXV ტაბულაში ერთიანდება ლომას მეორე ალაბიც (№ 133). ლომას ალაბი შეტანილია ალაბთა ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილშიც (I—96).

75 (M—73), ტაბულა XXXVII

ალაბი შანშეს შვილისა ზაქარია ათაბაგისა. ალაბი, XXXVII ტაბულის სხვა ალაბებთან ერთად, XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. № 26 ალაბის კომენტარი).

76 (M—74), ტაბულა XXVII

ალაბი ვანენესი. XXVII ტაბულა XIV საუკუნის მეორე ნახევრისაა. დროის ამავე ფარგლებში უნდა იყოს დაწერილი ვანენეს ალაბიც (იხ. ტაბულის დათარიღებისათვის № 7 ალაბის კომენტარი).

77 (M—75), ტაბულა LXI

ალაბი ამირა გურგენის შვილისა. LXI ტაბულა თარიღდება XIII ს. (იხ. № 43 ალაბის კომენტარი).

78 (M—76), ნარევი ტაბულა IV

ალაბი იჩქით გურგენის ძისა. იჩქით გურგენის ძე, როგორც წუნდის ეკლესიის აღმშენებელი, მოხსენიებულია ამ ეკლესიის სააღმშენებლო წარწერაში: „სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იჩქითმან, გურგენის ძემან, აღვაშენე ეკლესიად ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემელისასა, სალოცავად სულისა ჩემათაჲს და შობელთა ჩემათა“ (იხ. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, 1959, გვ. 47—48). საეპიგრაფიკო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ წუნდის წარწერა XII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს (ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნა-

შრომი, გვ. 49). არქიტექტორი ც. გაბაშვილი წუნდის ეკლესიას XII საუკუნით ათარიღებს [ც. გაბაშვილი, ვარძია, (გზამკვლევი) 1945, გვ. 26]. იჩქით გურგენის ძის ალას ტაბულა არ გააჩნია, ამის გამო მისი დათარიღება სხვა ალაპებთან შეპირისპირებით ვერ ხერხდება. მაგრამ ხელი საკმაოდ არქაულია. სავსებით შეიძლება, ის XIII საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

79 (M-77), ტაბულა XL

ალაპი თამარისა, ვარამის ცოლ-ყოფილისა. ამ ტაბულის შესახებ იხ. № 39 ალაპის კომენტარი.

80 (M-78), ტაბულა XIX

ალაპი იოსებ ქერიმადინის შვილისა. ამ ალაპის გაგრძელებას წარმოადგენს № 81 ალაპი. ამ ალაპთა დათარიღებისათვის იხ. № 6 ალაპის კომენტარი.

81 (M-78^a), ტაბულა XIX

ალაპი წარმოადგენს წინა ალაპის გაგრძელებას. ამ ალაპში მოხსენებულია ჯვარის მამა ქერაბინი (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). ალაპის თარიღისთვის იხ. № 6 ალაპის კომენტარი.

82 (M-79), ტაბულა XIX

ჯვარის მამა იოსების დალოცვა. ალაპის დათარიღება იხ. № 6 ალაპის კომენტარში.

83 (M-80), ტაბულა V

ალაპი სილხან ხეაშაქის გაზრდილისა. V ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის მეორე ნახევრით (იხ. № 3 და № 8 ალაპების კომენტარები). ამავე დროისაა № 83 ალაპიც.

84 (M-81), ნარევი ტაბულა III

წირვა და ალაპი ჯვარის მამა ელმელიძის ძისა. სვიმონ ელმელიძის ძე ჯვარის მამად უნდა ყოფილიყო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). სვიმონთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე № 65 ალაპის კომენტარი.

85 (M-82), ტაბულა XLVII

წირვა და ალაპი ფალქოზის ძისა შეკ. გილის შვილის შალვასი. ტაბულა თარიღდება XIII ს. დამდეგითა და XIV ს. დამდეგით. (იხ. № 46 ალაპის კომენტარი).

86 (M-83), ტაბულა XL

ალაპი იობ დეკანოზისა შოშილელისა. ამ ტაბულის დათარიღების შესახებ იხ. № 39 ალაპის კომენტარი.

87 (M-84), ტაბულა XXXIV

წირვა და ალაპი ბაადურ ირუბაქის ძისა ჩოლაყაშვილისათვის. ბაადურმა იერუსალიმში გააგზავნა ორასი „ველენტიური“ (ვენენტიური?) ფლური, რისთვისაც მამა მაკარემ მას გაუჩინა ერთი ალაპი და ერთი კანდელი გოლგოთაზე. მამა მაკარეს სახელი ალაპში დიდი გაქირვებით იკითხება, ვინაიდან იგი საგანგებოდ ამოფხეკილია. მაგრამ სანამ მაკარეს საკითხს შევხებოდეთ, განვიხილოთ ბაადურის შესახებ არსებული ცნობები. ბაადურის შესახებ ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“ წერს: „წმიდის თევდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ ჩოლოყაშვილისა არს აშენებული“ (მიმოსლვა, 1956 წლის გამოც., გვ. 81). ეს ცნობა თევდორეს მონასტრის საღმრთაწინააღმდეგობა წარწერიდან მომდინარეობს. ეს წარწერა იერუსალიმში ყოფნის დროს უნახავთ ნ. ჩუბინაშვილსა და ა. ცაგარელს. მაგრამ იმ დროისათვის წარწერა დაზიანებული ყოფილა და ამიტომ მისი ამოკითხვა გაძნელებულა. „მიმოსლვის“ უკანასკნელი გამოცემის გამოკვლევაში გარკვეულია, რომ ტიმოთეს ცნობა თევდორეს მონასტრის კტიტორების შესახებ ზუსტი უნდა იყოს (მიმოსლვა, გვ. 0233, სქ. 1). ასევე ზუსტია ა. ცაგარელის მიერ მოწოდებული მონასტრის აშენების თარიღი—1635 წელი (ა. ცაგარელი, Памятники, გვ. 251, Н. Чубинов, Описание Крестного монастыря: А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, გვ. 44). თევდორეს მონასტრის ერთ-ერთი კტიტორისთვის არის განწესებული № 87 ალაპი. საღმრთაწინააღმდეგობა წარწერის თარიღი გამოდგება ჩვენი ალაპის თარიღად. საფიქრებელია, რომ ბაადურის ალაპი დაიდვა სწორედ მის მიერ ჩატარებული საღმრთაწინააღმდეგობისათვის, ე. ი. თევდორეს მონასტრის აშენების

გამო. რაკი ბაადურის ალაპის თარიღი (1635 წ. გაირკვა. ეს საშუალებას გვაძლევს ამ ალაპის გამჩენის ჯვარის მამა მაკარეს მოღვაწეობის წლებად მივიჩნიოთ XVII საუკუნის 30-იანი წლები. გარკვეულია, რომ 1620 წელს ჯვარის მამად იყო ნოფიტე (იხ: ჯვარის მამათა ქრონოლოგია, გვ. 39), ხოლო 1643 წლიდან კი ნიკიფორე ჩოლაყაშვილი. მათ შორის ჯერ-ჯერობით არაფერ ჩანს, ისე რომ მაკარე უნდა მივიჩნიოთ ნიკიფორეს წინამორბედ ჯვარის მამად. ბაადურ ირუბაქიძე ჩოლაყაშვილის ალაპის დათარიღება საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ XXXIV ტაბულის მეორე ალაპიც, განწესებული გარსევან ჩოლაყაშვილისათვის (№ 163). გარსევანისათვისაც ალაპი გაჩენილია მაკარე ჯვარის მამის მიერ. გარსევანს ისევე, როგორც ბაადურს, ჯვარისათვის გაუგზავნია ორასი „ველენტური“ ფლური, რისთვისაც მას გაუჩინეს ალაპი და ერთი კანდელის დაკიდება გოლგოთას. ამგვარად გარსევანის ალაპიც მაკარე ჯვარის მამობის წლებით უნდა შემოიფარგლოს, ე. ი. 1620—1643 წლებით. ამგვარად ალაპის გარსევან ჩოლაყაშვილი XVI საუკ. პირველი ნახევრის მოღვაწეა. ეს გარსევან ჩოლაყაშვილი აკად. კ. კეკელიძეს მიაჩნია „ნარგიზოვანისა“ და „ხილთა ქების“ ავტორად. ამიტომ მისი მოღვაწეობის წლების გარკვევაზე პატ. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება თავის ლიტერატურის ისტორიის II ტომში. იმის დასამტკიცებლად, რომ გარსევანი XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა, კ. კეკელიძეს მოჰყავს რამდენიმე საბუთი. ერთ-ერთი საბუთია ჩვენს მიერ განხილული ალაპი. მაგრამ მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ ალაპში მოხსენიებული ჯვარის მამის სახელი ნ. მარის მიერ არ არის სწორად ამოკითხული და რომ აქ უნდა იყოს არა მაკარი, არამედ მიკიფორე, როგორც ეს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის ზოგიერთ ალაპშიაო, ვინაიდან, მისი აზრით, მაკარე „ასეთი არც სახელია და არც ჯვარის მამა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1953, გვ. 621, სქ. 1). სინამდვილეში მაკარე ალაპში სრულიად გარკვევით იკითხება და ამ მაკარეს თავისი ადგილი აქვს ჯვარის მამათა ქრონოლოგიაში. ამგვარად, აკად. კ. კეკელიძემ არასწორი დაშვების მიუხედავად დასკვნა საფუძვლით სწორი მიიღო. გარსევან ჩოლაყაშვილი ნამდვილად XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.

88 (M—85), ნარევი ტაბულა VI

წმ. ბარბარეს სახელწოდების დღეს განწესებულია ალაპი ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მშობლე-

ბის ომან და ბარბარე ჩოლაყაშვილებისთვის, ნიკიფორეს ძმის, ცნობილი მხედართმთავრის ქაიხოსრო ჩოლაყაშვილისათვისა და ომანის ძმის იოვანესთვის (იხ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935, გვ. 141).

ალაპი განწესებულია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მიერ 1643—49 წლებში.

89 (M—86), ნარევი ტაბულა V

წირვა და პანაშვიდი ხეანჩასი. ტექსტი ძალზე გადასულია. პალეოგრაფიულად მისი დათარიღება ვერ ხერხდება. ის უფრო XV საუკუნისა უნდა იყოს. არ გაგვაჩნია არც სხვა მასალა ამ ალაპის დასათარიღებლად. ალაპის ხელი XVIII ტაბულის ხელს მოგვაგონებს.

90 (M—87), ნარევი ტაბულა VI

წირვა და ალაპი კრიტივამძისა ბარბარესი. ამ ალაპის დათარიღება შესაძლებელია მხოლოდ პალეოგრაფიულად. ხელის მიხედვით ალაპი XIV—XV სს. არ უნდა სცილდებოდეს.

91 (M—88), ტაბულა XXIX

ალაპი ასფამსა ძოდელისაჲ. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 42 ალაპის კომენტარი).

92 (M—89), ტაბულა XLIX

პანაშვიდი ნავროზისთვის. ამავე ტაბულაშია გურანდუხტის დის მართას ალაპი (№ 265). ალაპთა ხელი მეტად თავისებურია და საკმაოდ არქაულიც პალეოგრაფიულად, XIV საუკუნეს ვერ გადასცდება. სხვა მონაცემები ალაპთა დათარიღებისათვის არ გაგვაჩნია.

93 (M—90), ტაბულა XX

ალაპი ევდემონ ჯაიანის ძისა, დრანდელ-ყოფილისა წალენჯიხელისა. ალაპი განაწესეს ჯვარის მამა ნიკიფორემ და საბას მონასტრის თეოდოსე ეპისკოპოსმა, პაპა მარკოზმა, პაპა აბრამმა და ელიამ. ეს კოლექტივი ხშირად ჩანს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროინდელ ალაპებში. ალაპი შედგენილია ნიკიფორე ჩოლაყაშვილის მამობის დროს (1643—1649 წლებში).

ევდემონ წალენჯიხელი ნიკიფორე ჩოლაყაშვილის თანამედროვე ცნობილი პირია, იგი წალენჯიხის ეკლესიის ლევან II დადიანის ეკვდერის მომხატველი ყოფილა. ეკვდერის ერთ-ერთ წარწერაში წერია: „მე ებისკოპოსმან წალენჯიხელმან ევდემონ ჯაიანმა დავახატე ეკვდერის კარი ჩუენის კელმწიფის დადიანის ლევანის სადღეგრძელოდ და კურთხეულის დედოფლის ნესტან-დარეჯანის სულისათვის. დახატა კარი ესე დროსა და ჟამშია დიდისა კელმწიფისა დადიანისა ბატონის ლევანისათა ქრწესა სამას ოცდა თექვსმეტსა“ (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზაურობა საეგრელოში: ძველი საქართველო, III, გვ. 216). წარწერის ქორონიკონი უდრის 1648 წელს. ამ წელს ევდემონ წალენჯიხელი ცოცხალია. საფიქრებელია, რომ ნიკიფორე ჩოლაყაშვილი პირადად კარგად იცნობდა ევდემონს, ვინაიდან ნიკიფორეც ერთხანს ლევან II დადიანის კარზე მოღვაწეობდა.

94 (M-91), ტაბულა LVII

ალაბი საბა მაწყვერელისა. საბა მაწყვერელი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს. ხელის მიხედვით ტაბულა XV საუკუნისა უნდა იყოს. XV საუკუნეში რამდენიმე მაწყვერელია ცნობილი: გერასიმე მაწყვერელი (1420—1438 წწ., იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 226—227 გვ.). სვიმონ მაწყვერელი, XV საუკუნის დამლევეს (ქრონიკები, II, გვ. 223).

ტაბულაში, გარდა საბა მაწყვერელის ალაბისა, არის აგრეთვე ოთარ ვარაზას ალაბიც (№ 106). ამ პირის შესახებაც ცნობები არ მოგვეპოვება. ორივე ალაბისათვის დამახასიათებელია დაუქარაგმებელ სიტყვებთან ქარაგმების ხმარება.

95 (M-92), ტაბულა XXIX

ალაბი ჯვარის მამა საბასთვის. საბას ჯვარის მამობის წლებია XIII საუკუნის დამლევი (მისი მოღვაწეობის დროის შესახებ იხ. № 42 ალაბის კომენტარი და ჯვარის მამათა ქრონოლოგია).

96 (M-93), ტაბულა LXII

ალაბი მაკარიძე სამადავლესი, გაუჩინა მისმა მეუღლე-ყოფილმა ფოტიანემ, რომელმაც საალაპედ მონასტერს მისცა 1000 დრამა. ალაბი განაწესეს: ჯვარის მამამ და არქიმანდრიტმა იოსებმა, ზოდვარმა გიორგიმ და ჭყონდიდელმა გიორგიმ. ალაბი თარიღდება იოსების

მამობის მიხედვით. იოსები ჯვარის მამად იყო XIV საუკუნის დამლევეს. XV საუკუნის დასაწყისში ის უკვე მიცვლილია (იხ. № 6 ალაბის კომენტარი და ჯვარის მამათა ქრონოლოგია).

LXII ტაბულაში, გარდა ზემოთ განხილული ალაბისა, არის აგრეთვე შემდეგი ალაბები: სარიჯან ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის ორბოძელის ქალის თამარისა (№ 110). აქაც ალაბის გამჩენია იოსებ მამა და არქიმანდრიტი, გიორგი მოძღვარი და გიორგი ჭყონდიდელი. საალაპე 1000 დრამა მონასტერს მისცა სარიჯანისა და თამარის ასულმა ხვარაშან-ყოფილმა ფოტიანემ. საეარაუდოა, რომ № 96 ალაბის სამადავლე მაკარისძის მეუღლე-ყოფილი ფოტიანე იგივე ხვარაშან-ყოფილი ფოტიანეა, სარიჯანისა და თამარის ასული.

ამავე ტაბულაშია: ალაბი ერისთავთ ერისთავისა ცოტნე დადიანისა (საალაპე ფული მონასტერს მისცა გურიელის ასულმა მარიამ-ყოფილმა მაკარინემ, № 247); დალოცვა მარიამ-ყოფილი მაკარინესი, რომელმაც მონასტერს მისცა 2000 თეთრი (№ 149).

ცნობები ამ პირთა შესახებ იხ. ამ ალაბთა კომენტარებში.

97 (M-94), ტაბულა IX

წირვა და ალაბი სარგისის ცოლის თამარისა და მისი დედის ხათუთასი.

IX ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის პირველი ნახევრით. ამავე დროს უნდა იყოს დაწერილი ეს ალაბიც. დაწვრილებით ამ ალაბის შესახებ იხ. № 22 ალაბის კომენტარში.

98 (M-95), ტაბულა არა აქვს

ალაბი ძალზე გადასულია, არ იკითხება.

99 (M-96), ტაბულა XX

ალაბი ქაიხოსრო წულუკიძისთვის, რომელმაც ქრისტეს საფლავთან ააშენა ნიკოლოზის ეკლესია სამოცი სახლით და მონასტრის უძრავი ქონება დაიხსნა. ამისთვის ჯვარის მამა ნიკიფორე ჩოლაყაშვილმა დაახატინა იგი ჯვარის მონასტრის კედელზე, დაუკიდა კანდელი ქრისტეს საფლავთან და გოლგოთაზე და ჩაწერა მისი სახელი ყველა მოსახსენებელში. ნიკიფორესთან ერთად ალაბში მოხსენიებული არიან: თეოდოსე

ემისკოპოსი, პაპა კირ მარკოზი, აბრაამი, მათეო-ზი და ელია.

ქაიხოსრო და პაატა წულუკიძეები მოხსენებული არიან ტიმოთე გაბაშვილის „მომოსლვაში“: „მეორე წმიდა ნიკოლოზ ჯვარის მონასტერთან აღუშენებია წულუკიძეს პაატას და ქაიხოსროს“ (გვ. 81). ჯვარის მონასტრის მხატვრობასთან დაკავშირებით კი ტიმოთე წერს: „მუნ ხატია წულუკიძენი პაატა და ქაიხოსრო“ (მომოსლვა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 81—82). ტიმოთე იმეორებს ალაპის ცნობებს, ოღონდ მას ნიკოლოზის მონასტრის ადგილმდებარეობაზე, ჩანს, არაზუსტი ცნობები ჰქონია. ტიმოთე მონასტრის კტიტორებად ასახელებს ქაიხოსროსა და პაატას, ალაპი კი—მარტო ქაიხოსროს, შესაძლოა იმიტომ, რომ აქ მხოლოდ ქაიხოსროსთვისაა განწყობული ალაპი, პაატასთვის კი ცალკე იქნებოდა. ქაიხოსრო და პაატა ძმები ჩანან. პაატა მოღვაწეობდა გიორგი იმერთა მეფისა და ლევან დადიანის კარზე. პაატა წულუკიძის არც თუ სასიქადულო საქმიანობას ვრცლად გვიხასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი (საქართველოს ცხოვრება, ხსენებ. გამოც., გვ. 299—305; იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, ისტორიულ პირთა სურათები ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან: საბჭოთა ხელოვნება, 1958, № 8, გვ. 8). ქაიხოსროს ალაპი დაწერილია ჯვარის მონასტრის მონათესაის შემდეგ, ე. ი. 1643—1649 წლებში.

100 (M—97), ტაბულა XLVII

წირვა და ალაპი ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოზისა. ნიკოლოზი უნდა იყოს XIII საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის კათალიკოზი. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. № 46 ალაპის კომენტარი.

101 (M—98), ნარევი ტაბულა VI

ალაპი ჩაისელ-ბედიელისა და აფხაზეთის კათალიკოზის იოვაკიმისა. აფხაზეთის კათალიკოზი იოვაკიმე მოხსენებულია „მცნება სარჯულში“. საეკლესიო სამართლის ეს საინტერესო ძეგლი შედგენილია იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის მიერ იმერთა მეფის ბაგრატ VI და შამადავლე დადიანის დროს (შამადავლეს დადიანობის წლებია 1470—1474). ამ დოკუმენტის მიხედვით, ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე კათალიკოზად აკურთხა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (იხ.

ს. კაკაბაძე, მცნება სარჯულს, თბილისი, 1913, გვ. 4).

102 (M—99), ნარევი ტაბულა IV

ალაპი და პანაშვიდი ერისთავთ ერისთავისა შერგილ დადიანისა. შერგილისა და მისი მეუღლის ნათელ დადიანის სხვა ალაპებიც არის სვინაქსარში (იხ. № 186 ალაპის კომენტარი). ესენი არიან ცნობილი ქართველი მოღვაწის, მონგოლთა წინააღმდეგ მოწყობილი კობტას შეთქმულების მონაწილის ცოტნე დადიანის მშობლები. ვფიქრობთ, რომ № 102 ალაპშიც ცოტნეს მამაა მოხსენიებული. პალეოგრაფიულადაც შერგილის ალაპი თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ XIII საუკუნეს.

103 (M—100), ტაბულა XVIII

წირვა, ალაპი და დალოცვა ვარამ დიასამიძისა. მან მონასტერს 100 მუტყალი ოქრო გაუგზავნა. XVIII ტაბულაში ერთიანდებია აგრეთვე ალაპი მარკოზ ბედიელისათვის, რომლისაგანაც მონასტერმა მიიღო: ოცი სომი, ათი თანგა, ათი ფლური, ორი ვერცხლის სარტყელი, რისთვისაც მას დალოცვა გაუჩინეს (№ 228).

ალაპი ბა...ანასთვის, რომელსაც ოქროს მაშრაბა გაეგზავნა მონასტრისათვის. ალაპი გადასულია, ცუდად იკითხება (№ 119).

ალაპი ქნა-ყოფილი ქრისტინე ლაკლაქთა ქალისთვის (№ 279).

ალაპი წინამძღვარ დანიელისთვის (№ 115), რომელსაც 200 მუტყალი გაეგზავნა მონასტრისათვის საალაპედ, 6 მუტყალი დედაბერთათვის (ვენახის საყიდლად) და 10 სომი—მღვდელთათვის. ვერც ერთს ზემოდასახელებულ პირს ჩვენ სხვა წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. საყურადღებოა, რომ ამ ტაბულის ალაპებში ფულის ერთი და იგივე საზომებია დასახელებული: სომი, მუტყალი, თანგა.

ხელის მიხედვით XVIII ტაბულა XV საუკუნისა უნდა იყოს. ამავე დროით უნდა განგსაზღვროთ ვარამ დიასამიძის მეუღლის თამარის ალაპიც, რომელიც სვინაქსარში მისდევს ვარამის ალაპს (№ 104).

104 (M—101), ნარევი ტაბულა V

ალაპი ვარამ დიასამიძის მეუღლის თამარისათვის. თარიღდება ისევე, როგორც წინა № 103 ალაპი, ე. ი. XV საუკუნით.

105 (M—102), ტაბულა IX

ალაპი ამირლამბარ ფანასკერტელისა. ამირლამბარის კიდევ რამდენიმე ალაპია ჩაწერილი

სენაქსარში. ესენია: №№ 136 და 138. ეს ორივე ალაპი გაერთიანებულია LIX ტაბულაში, რომელიც პიმენის ჯვარის მამაობის ხანით თარიღდება, ესე იგი XV საუკუნის პირველი ათეულით. № 105 ალაპის ამირლამბარი კი XIV ს. პირველი ნახევრის მოღვაწედ ჩანს (იხ. № 22 ალაპის კომენტარი). ამდენად აქ ჩვენ ორ სხვადასხვა ამირლამბართან უნდა გვქონდეს საქმე.

საკვლევი ალაპის ამირლამბარი ბექას შვილთა თანამედროვეა და დემეტრე მეფის ასულის რუსუდანის მეუღლის თაყა ფანასკერტელის მომდევნო ფანასკერტელია (იხ. № 22 ალაპის კომენტარი და ფანასკერტელთა გენეალოგია № 118 ალაპის კომენტარში).

ამავე IX ტაბულაში არის დემეტრე მეფის ასულის რუსუდან ფანასკერტელის ალაპიც (იხ. № 65 ალაპის კომენტარი).

ამირლამბარ ფანასკერტელ-ციციშვილზე ცნობებს გვაწვდის ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“: „მონასტერი დედათი წმიდისა ეკატერინესი ფანასკერტელ-ციციშვილისა ამილამბარი, და მაჩაბელთ (აშენებული), მოქსენება (მუნ) არს. ესე მონასტერი დედათი არს“ (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წლის გიმოცემა, გვ. 81). ტიმოთე გაბაშვილის ცნობა მონასტრის აღმაშენებელთა შესახებ სანდოა, ვინაიდან იგი მას მონასტრის მოსახსენებლებიდან ამოუკითხავს, ძნელი სათქმელია, თუ რომელი ამირლამბარი უნდა იყოს ამ მონასტრის კტიტორი—XIV საუკუნის პირველი ნახევრისა თუ XV საუკუნის დამდეგის. ყოველ შემთხვევაში ამ ორი თარიღის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ მონასტრის აშენება.

106 (M—103), ტაბულა LVII

ალაპი ოთარ ვარაზასი. ამავე ტაბულაშია საბა მაწყვერელის ალაპიც (იხ. № 94). ცნობები ამ პირთა შესახებ ვერ დაიძებნა. ალაპები დაწერილია XV—XVI საუკუნეთა ხელით.

107 (M—104), ტაბულა LI

წირვა და ალაპი თამარ-ყოფილი თომიდასი, გიორგი დადიანის მეუღლე-ყოფილისათვის. ამ ალაპის გასაჩენად „ერთობ დიად ებოდა დადიანსა გიორგის“. ალაპი გიორგი დადიანის სიკაცხლეშია განწესებული. ამავე ტაბულაშია გიორგი დადიანისა და მის შვილთა მოსახსენებელი. გიორგი დადიანს საგანგებოდ გაუგზავნია იერუსალიმში ვინმე გიორგი ჯიხეთელი, რომელ-

საც იერუსალიმში დაუყვია ერთი წელი. მონასტრისათვის მიუცია ოქროს მანიაკი და ორი სომი, რის გამოც მონასტრის კრებულს გიორგი დადიანისთვის და მისი შვილებისათვის დალოცვა გაუჩენია (იხ. № 245 ალაპი). ორივე ალაპი გიორგის სიკაცხლეშია დაწერილი. № 10 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ ალაპები №№ 10, 107, 213 და 245 განწესებულია XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე გიორგი დადიანისთვის, მისი მეუღლე თამარ-ყოფილი თომიდასისთვის და მათ შვილთათვის.

გარდა ამ გიორგი დადიანისა ალაპებში მოჩანს მეორე გიორგი დადიანი (№ 156), რომლის ალაპიც XXI ტაბულაში ერთიანდება და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება. ამავე გიორგისაა № 304 ალაპიც XLVIII ტაბულიდან, რომელიც აგრეთვე XIV საუკუნის პირველი მეოთხედით იფარგლება. ამ ორ ალაპში მოხსენიებული გიორგი არის გიორგი დადიანი პირველი, რომელიც ვახუშტის ცნობით, გარდაიცვალა 1323 წელს (ერცლად ამის შესახებ იხ. ამ ალაპთა კომენტარებში).

გიორგი დადიანი და მისი მეუღლე თამარი მოხსენიებულნი არიან ზუგდიდის ეკლესიის ერთ-ერთი ხატის წარწერაში: „ადიდნეს ღმერთმან დადიანი გიორგი და თანამეცხედრე მათი დედოფალი თამარ და ძე მათი აღზარდნეს ღმერთმან“, ექვთ. თაყაიშვილი ვარაუდობს, რომ ხატის წარწერის გიორგი არის ლევან I-ის ძე, რომელიც გარდაიცვალა 1582 წელს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ წარწერისა და ალაპთა გიორგი დადიანისა და თამარის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება (იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოგზაურობა სამეგრელოში; ძველი საქართველო, III, გვ. 195).

108 (M—105), ტაბულა XVII

ალაპი პირნათელ ქველივიაჲს ძისა. ამავე ტაბულაშია აგრეთვე რუსუდანის გაზრდილის სალომეს ალაპიც (№ 220). დამატებითი ცნობები ამ პირთა შესახებ არ გაგვაჩნია. პალეოგრაფიულად ტაბულა შეიძლება დათარიღდეს XIV—XV საუკუნეებით.

109 (M—106), ტაბულა XXIX

ალაპი ჭყონდიდის დეკანოზის ბასილისა. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულით და XIV საუკუნის დამდეგით.

ამავე დროისა ბასილის ალაპიც (იხ. № 42 ალაპის კომენტარი).

110 (M—107), ტაბულა LXII

წირვა და ალაპი სარიჯან ჯავახიშვილისა. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის მიწურულით მამა იოსებისა და სხვათა საშუალებით (იხ. № 96 ალაპის კომენტარი). სარიჯან ჯავახიშვილისა და მისი მეუღლე თამარისთვის საალაპე თანხა გადაიხადა მათმა ასულმა ხვარაშან-ყოფილმა ფოტინემ. ალაპის გამგენია ჯვარის მამა იოსები, მოძღვარი გიორგი, ჭყონდიდელი გიორგი და ერთსულობით კრებული. ამ პირთა მოხსენიება საკმარისია იმისთვის, რომ № 110 ალაპი XIV საუკუნის დამლევით დათარიღდეს. მაგრამ არსებობს სარიჯან ჯავახიშვილის შესახებ კიდევ ერთი საბუთი, დათარიღებული 1344 წლით, გაცემული გიორგი ბრწყინვალის მიერ. აქ მოხსენიებულია ჯავახიშვილი გამრეკელი და მისი შვილი სარიჯანა (საქართველოს სიძველენი, II, გვ. 10). პროფ. ს. კაკაბაძის ვარაუდით, სარიჯანა აქ სულ ახალგაზრდა უნდა იყოს. ამის მიხედვით მისი ქალიშვილი ხვარაშანი მონაზვნად შედგებოდა არა უადრეს 1371—1375 წლებისა (ს. კაკაბაძე, წერილი შტუდიები, 1914, გვ. 5), და ამ დროისათვის ჩავიდოდა ის იერუსალიმში. ხვარაშანი მართლაც იერუსალიმში მყოფი ჩანს ალაპის გაჩენის დროს: ხვარაშანმა „მოგუჯა (შესაწირავი— ე. მ.) და გაუჩინეთ“, ვკითხულობთ ამ ალაპში. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხვარაშან-ყოფილი ფოტინე 80—90-იან წლებში უნდა ყოფილიყო იერუსალიმში, ვინაიდან ამ დროის მოღვაწედ ჩანს ჯვარის მამა იოსები, რომლის გაჩენილიც არის სარიჯან ჯავახიშვილის ალაპი.

აღსანიშნავია, რომ ამავე LXII ტაბულაში ერთიანდება № 96 ალაპიც, რომელიც განწესებულია სამადავლე მაკარის ძისთვის მისი მეუღლე-ყოფილის ფოტინეს გაღებული შეწირულებით.

საფიქრებელია, რომ სამადავლე მაკარისძის მეუღლე-ყოფილი ფოტინე და სარიჯანის ასული ხვარაშან-ყოფილი ფოტინე ერთი და იგივე პირია. № 96 ალაპი ფოტინეს გაუჩენია თავისი მეუღლისათვის. აქაც, ისევე როგორც სარიჯანის ალაპში, ფოტინე ალაპის განწესების დროს იერუსალიმში იმყოფება: „მისმან მეუღლე-ყოფილმან ფოტინე მოგუჯა ათასი დრამაჲ“— ვკითხულობთ ალაპში. ამ ორი ფოტინეს იგივეობას მხარს უჭერს ისიც, რომ ორივე ალაპი ერთი ხელითაა დაწერილი იოსებ ჯვარის მამისა და მის თანამოღვა-

წეთა—გიორგი მოძღვრისა და გიორგი ჭყონდიდლის—დროს.

111 (M—108), ტაბულა XLVII

პანაშვიდი ნიანია ამაშუკელისა. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით. დროის ამავე ფარგლებშია დაწერილი ნიანია ამაშუკელის ალაპიც (იხ. № 46 ალაპის კომენტარი).

112 (M—109), ტაბულა I

ალაპი განწესებული თამაზ-ყოფილი თადეოზის სასულიეროდ. საალაპე ფული გაგზავნილი თამაზის ძმის ვარაზსურხანის შვილის მიერ ფილიპე შაქარაშვილის ხელით.

გარდა ამ ალაპისა ვრცელი ცნობები ფილიპე შაქარაშვილის იერუსალიმსა და ათონზე მოგზაურობისა და მოღვაწეობის შესახებ შემოგვინახა ათონის ივერიის მონასტრის ერთმა „ალაპ-დაწერილმა“ და „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერმა (იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, 1901, გვ. 275—276 და ე. მეტრეველის წერილი: იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 43). ეს დოკუმენტები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ფილიპეს მოგზაურობაზე. ათონის ალაპის მიხედვით, ფილიპე 1565 წელს წასულა სამცხიდან იერუსალიმში, ხოლო „გოლგოთის სვინაქსარით“ ის იერუსალიმში ჩასულა 1567 წელს. ფილიპეს იერუსალიმში დაუყვია წელიწადნახევარი. ამგვარად „გოლგოთის სვინაქსარის“ 1567 წელი შაქარაშვილის იერუსალიმში ჩასვლისა და იქ ყოფნის თარიღია.

ჯვარის მონასტრის განსახილველ ალაპში მოხსენიებულია აგრეთვე ეპიტანე, რომელიც ამ დროს ჯვარის მამა ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: ალაპის დასაწყისში ზოგადად წერია, რომ ფილიპემ ორი ფლური მისცა ჯვარის მამას საწირავად. ჯვარის მამის სახელი აქ მოტანილი არ არის. ხოლო უფრო ქვემოთ, როდესაც დაწერილებითაა გადმოცემული ფილიპეს საქმიანობა, ალაპში ვკითხულობთ, რომ ფილიპემ ორი ფლური მისცა ეპიტანეს საწირავად. აშკარაა, რომ ზემოთ მოხსენიებული ჯვარის მამა, რომელმაც ორი ფლური მიიღო საწირავად, და ეპიტანე ერთი და იგივე პირია. ეპიტანე ჯვარის მამა სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება. მისი ჯვარის მამობა დადასტურებულია 1593 წელსაც (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია, გვ. 38).

ალაპში მოხსენებულია აგრეთვე შილა — გოლგოთის ქართული კრებულის წევრი. „გოლგოთის სვინაქსარის“ ერთი ვრცელი მინაწერიდან ირკვევა, რომ შილა ყოფილა მღვდელ-მონაზონი აღდგომელა, რომელსაც აღდგომის ეკლესიაში მოღვაწეობის დროს მრავალი რამ შეუწირავს გოლგოთისთვის (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H—1661, 3v). ბიო.ყოფილი შილას მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე სინის მთის სულთა მატიანეში (ივ. ჯავახიშვილი, სინის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 243).

ამავე ტაბულაშია მონასტრის ძმის ისკანდერ აღაბეგას შვილის ალაპი (№ 266). ეს ალაპი, ისევე როგორც ფილიპე მაქარაშვილისა, განწესებულია ეპიფანე ჯვარის მამის მიერ. ეპიფანეს ჯვარის მამის წლებია 1567—1593 (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია, გვ. 40).

113 (M—110), ტაბულა XXXII

ალაპი ბეშქენ ჭილაქსძისა. აღბულა ენტლევისა და ჩაფხუტის ხელით ბეშქენს მონასტრისთვის გაუგზავნია 1000 თეთრი.

XXXII ტაბულა აერთიანებს 12 ალაპს. ესენია: ალაპი დავით მეფეთა მეფისა, მონასტრის მეორედ აღმაშენებლისა, რომელმაც „მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალეული ეკლესიადვე შეცვალა და კულად აგო ნათესავსა ქართველთასა“ (№ 295). ეს უნდა იყოს დავით VIII (1293—1311 წწ.), ამის შესახებ ვრცლად იხ. გამოკვლევაში, გვ. 43.

პანაშვიდი გარეყანის ძმის ფურთუხისა (№ 236). ფურთუხი ნათესავი უნდა იყოს XIV ტაბულის გარეყანისძეებისა (იხ. 60 ალაპის კომენტარი). ამ ტაბულის ალაპები კი თარიღდებიან XIII საუკუნის დასასრულითა და XIV საუკუნის დამდეგით.

პანაშვიდი მიქაელ ქვაბისჯვარელისა (№ 174). მიქაელის კიდევ ერთი ალაპია შეტანილი სვინაქსარში (№ 311). ეს ალაპი XIV ტაბულაში ერთიანდება (იხ. № 60 ალაპის კომენტარი). გარდა ამისა, როგორც უკვე გარკვეულია, ამავე მიქაელის ალაპი, ოლონდ ოდნავ დამახინჯებული (ქვაბისჯვარელის მაგივრად ხუედისჯვარელი წერია) შესულია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძველ ფენაში (იხ. T—23, და დამატება, გვ. 109). ეს ფენა კი XIII საუკუნის დამდეგით იფარგლება. ამგვარად, XXXII ტაბულის ზემოგანხილული ალაპების მიხედვით, ეს ტაბულა უნდა

დათარიღდეს XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით.

ამგვარად, ბეშქენ ჭილაქსძის ალაპი ამ დროისაა. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბეშქენი XIII საუკ. II ნახევრის მოღვაწეა ისევე, როგორც ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ჯავახ ჭილაქსძე (იხ. T—22 და გამოკვლევა, გვ. 22).

ჭილაქსძეთა გვარის ყველაზე ადრეულ წარმომადგენლებად აქამდე ცნობილი იყვნენ ქველი ჭილაქ და მისი ძმები—კახაბერი და ჩუბინი—ტყვირის ეკლესიის აღმაშენებლები, XIV საუკ. დამდეგისა XV საუკ. დამდეგის მოღვაწენი (იხ. ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 4).

ამიერიდან ჭილაქსძეთა გვარის XIII საუკუნის II ნახევრის წარმომადგენლებიც იქნებიან ცნობილი.

XIII საუკ. დამდეგითა და XIV ს. დამდეგით უნდა დათარიღდნენ XXXII ტაბულის დანარჩენი ალაპებიც:

ალაპი ძმისა მიქაელისა (№ 160)

„ დავით მანციქერტელისა (№ 198)

„ შანმას შვილისა არდაშერისა (№ 240)

„ ათანასე ჯვარელისა (№ 169)

„ მარტუშიანი გარეყანისძის მეუღლე მელანიასი (№ 268)

114 (M—111), ტაბულა VII

წირვა და ალაპი ბატონ სფირიდონის შვილის იორამისა.

ამავე ტაბულაშია მოსახსენიებელი მამქანყოფილი მარინესი, რომელსაც აუშენებია ჯვარის მონასტრის გალავნის ბურჯი სამამოსაქენ. ალაპში მოხსენიებული არიან აგრეთვე მამქანყოფილი მარინეს მეუღლე თაყა და მარინეს ძმა როინი (№ 210).

№ 114 ალაპის დათარიღებაში გვეხმარება სამხრეთ საქართველოს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სადაც არაერთგზის არიან მოხსენიებულნი სპირიდონი და მისი შვილი იორამი. ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში წერია: „ღმერთო და მადლო ოთხთავთაო! პატრონი სფუკრიდონ აცოცხლე და აღდგარძელე და ძე მათი, პატრონი იორამ ამოდ უმყოფილე. დაიწერა ესე განმანათლებელი სულისა და ჯორცისა ოთხთავი ქორანი-

კონსა ორას და ორსა“, ე. ი. 1514 წელს (ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 214). მეორე ხელნაწერის ანდერძში კი ამავე სფირიდონის მოსახსენებელია: „სულსა პატრონისა ბანაშვილისა პატრონისა სფირიდონისა და თანამეცხედრისა მათისა პტნისა მეფეთ მეფისა ასულისა ელენესი, შეუნდვნეს ღმერთმან, ძესა მათსა სახელოანისა, ღმთისმოყუარისა, მკნე-უძლეველისა, პტნისა იორამისა, შეუნდვნეს ღმერთმან“ (ქრ. შარაშიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 214). აშკარაა, რომ ჩვენი ალაპისა და ხელნაწერთა ანდერძების პატრონი სფირიდონი და მისი ძე იორამი ერთი და იგივე პირები არიან.

ქრ. შარაშიძეს გარკვეული აქვს, რომ სფირიდონ ბანაშვილი ყოფილა მეფეთ მეფის ასულის ელენეს მეუღლე და რომ სფირიდონი უნდა გარდაცვლილიყო 1514—1515 წლებში (ქრ. შარაშიძე, ხსენებ. ნაშრ., გვ. 214—215). ამგვარად, № 114 ალაპი უნდა დაწერილიყო XVI საუკუნის დამდეგს. სფირიდონისა და მისი მეუღლის მოსახსენებლები შეტანილია „გერგეტის სულთა მატინეშიც“ (ქრ. შარაშიძე, დასახ. შრომა, გვ. 234). აქვე არიან მოხსენიებული სფირიდონის მშობლებიც.

საინტერესოა, რომ VII ტაბულის მეორე ალაპი № 210-ც პარალელს პოულობს „გერგეტის სულთა მატინესთან“. ეს შეხვედრა დაჭერილი აქვს ქრ. შარაშიძეს (ქრ. შარაშიძე, ხსენებ. ნაშრომი, გვ. 236). „გერგეტის სულთა მატინეში“ ეკითხულობთ: „სულსა უჯარმელის ძისა თაყიადინისა შეუნდვნეს ღმერთმან. სულსა მათისა მეუღლისა ვახუშტის ასულსა ნესტანჯარს... ძესა მათსა როინს შეუნდვნეს ღმერთმან“; ალაპში კი ეკითხულობთ: „მე... თმოგველ-უჯარმელთა ასულმა მამქან-ყოფილმან მარინე ჯელ-გუავ და აღვაშენე ჯუარის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი სამამოსაჲენ... ჯუარო პატიოსანო! შეიწყალე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა ძმისა როინისა და მისთა დედა-მამათა“. აშკარაა, რომ მამქან-ყოფილი მარინე არის უჯარმელ თაყიადინისა და ნესტანდარეჯანის ასული, და როინისა და მეუღლე თაყა ფანასკერტელისა.

ამასთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძე სვამს საკითხს: „ხომ არ არის თაყიადინის მეუღლე ნესტანჯარ იმ ვახუშტის ასული, რომელსაც ჩვენ ქეთეონ-ქრისტინეს ქმრობით ვიცნობთ?“ (ქრ. შარაშიძე, ხსენებ. ნაშრ., გვ. 236). ამ ვარაუდის დადებითად გადაწყვეტას მხარს უჭერს ზემოთ განხილული ალაპები. VII ტაბულაში გაერ-

თიანებულია მხოლოდ ზემოთ განხილული ორი ალაპი. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ორივე, როგორც ერთი ოჯახის წევრთა ალაპები (სპირიდონი და ვახუშტი ქვისლები იყვნენ), საფიქრებელია, ერთი პირის მიერაა ერთ დროს დაწერილი.

მამქან-ყოფილი მარინეს მოსახსენებელი შეტანილია აგრეთვე სინის მთის სულთა მატინეში: „ციციშვილს ფარსადანს შეუნდოს ღმერთმან... და თანამეცხედრესა გულდამს შეუნდოს ღმერთმან... და მათსა ძმასა ამილდამბარს შეუნდოს ღმერთმან და მათსა რძალსა მამქან-ყოფილსა მარინეს შეუნდოს ღმერთმან“ (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 243). თუ გერგეტის სულთა მატინეში მარინეს ძმა და მშობლები არიან მოხსენიებული, სინის სულთა მატინეში მოხსენიებული არიან მამქანის ნათესავები მისი ქმრის, თაყას, მხრიდან. ირკვევა, რომ თაყა ფანასკერტელს ჰყოლია ძმები: ფარსადან და ამილდამბარ. ფარსადანის მეუღლე ყოფილა გულდამი. ყველა ესენი ცხოვრობდნენ XV საუკუნის მეორე ნახევარში და XVI საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებში ზოგადად.

ჯვარის მონასტრის განხილულმა ალაპებმა „სინის მთის სულთა მატინის“ ეს მოსახსენებლებიც დაათარილა.

115 (M—112), ტაბულა XVIII

წირვა, ალაპი და დალოცვა დანიელ წინამძღვარისა. ცნობები ამ პირის შესახებ არ გაგვაჩნია. ასევე არაფერი ვიცით ამავე ტაბულის სხვა ალაპებში მოხსენიებულ პირთა შესახებ. ხელის მიხედვით ალაპები XV საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყვნენ (იხ. № 103 ალაპის კომენტარი). ხომ არ არის დანიელ წინამძღვარი იგივე დანიელ ნიქოზელი, შემდეგ ჯვარის მამა, რომლის ალაპი დაუცავს ტიშენდორფისეულ ნუსხას (T—94)? ასე რომ იყოს კიდევ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სენაქსარის ალაპი დაწერილია დანიელის ჯვარის მამობამდე.

116 (M—113), ტაბულა XXIX

ბანაშვიდი არსენი ჩიხუარელიისა. XXIX ტაბულის ქრონოლოგიური საზღვრებია XIII საუკუნის 90-იანი წლები და XIV საუკუნის პირველი ოცეული. ამავე დროისა უნდა იყოს არსენის ალაპიც (იხ. № 42 ალაპის კომენტარი).

პანაწიდი რუსი ჩხეტის ძისა. რუსი ჩხეტისძეს მონასტრისათვის მიუცია 500 თეთრი დიდ დაქირვების დროს, „მას ეამსა, ოდეს ჯუარი შემოგუაქციეს“—ვკითხულობთ ალაპში. ეს ცნობა ათარილებს ალაპსა და ტაბულას. „ჯუარის შემოქცევა“ ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნებას ნიშნავს. ეს კი მოხდა 1305 წელს (იხ. გამოკვლევა, გვ. 45). ამგვარად, ალაპიცა და ტაბულაც უნდა დათარიღდეს XIV საუკუნის დასაწყისით.

ტაბულაში, გარდა განხილული ალაპისა, არის აგრეთვე ეფრემ დმოთიარის (ან დმოთიარის) ალაპი (№ 188), და ვარდან საღირის ძის ალაპი (№ 203). ვარდან საღირისძისათვის არის დადებული მომდევნო ალაპიც (№ 204), რომელიც სრულიად გადასულია და გაქირვებით იკითხება. შესაძლოა, № 203 ალაპი წარმოადგენდეს № 204 ალაპის განახლებულ ალაპს.

118 (M—115), ნარევი ტაბულა V

წირვა და ალაპი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა, რომელსაც მონასტრის გაქირვების დროს იერუსალიმში „დიადი საქონელი“ გაუგზავნია. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი XV საუკუნის ცნობილი მოღვაწეა. ის 1484 წელს ცოცხალი ჩანს (ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გამოც. გვ. 346—347).

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი თავის ძე იყო (დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 107), ზაზას მეძვიდრენი არიან: ქაიხოსრო, სიაოშ, მერაბ, და ზაქარია (საქ. ცენტრ. არქივის საბუთი, ფონდი 226, საბუთი № 64. ვიზოწმებთ დ. ბერძენიშვილის დასახ. წერილით გვ. 108). ფანასკერტელებთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა აქ თავი მოუყაროთ იმ ცნობებს, რომელთაც გვაწვდიან ჯვარის მონასტრის ალაპები.

ალაპებში მოხსენიებულ ფანასკერტელთა შორის ყველაზე ადრეულია გრიგოლ ფანასკერტელი, რომლის ალაპები განწესებულია XIII საუკუნის დასაწყისს, არა უგვიანეს XIV საუკუნის პირველი წლებისა (იხ. № 13 და № 46 ალაპთა კომენტარები). ამგვარად, გრიგოლ ფანასკერტელი XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. მის შესახებ ცნობები სხვა წერილობით წყაროებს არ

შემოუნახავს. გრიგოლ ფანასკერტელს დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ჯვარის მონასტრისათვის, რის გამოც მონასტრის კრებულმა სენაქსარში მას ხუთი ალაპი გაუჩინა.

გრიგოლის ალაპთა შორის ყველაზე ვრცელია № 123 ალაპი და მისი გაგრძელება № 123 ა. ამ ალაპში აღწერილია, თუ რას მოხმარდა გრიგოლის მიერ იერუსალიმის ჯვარის მონასტრისათვის შეწირული თანხები. გრიგოლს 800 დრაჰკანად ნაყიდი აქაიას ადგილი შეუწირავს მონასტრისათვის, რისთვისაც მონასტრის კრებულს მისთვის ხუთი ალაპი პანაწიდითა და წირვით გაუჩენია. ამავე დროს იერუსალიმის ქართველებს ერთმანეთში გაუნაწილებიათ გრიგოლისვე გამოგზავნილი 7000 თეთრი. მონასტრის კრებულმა გრიგოლისვე სახსრებიდან იერუსალიმის პატრიარქსა და მის მონასტრებს მისცა 2000 თეთრი. ამ ალაპიდან ირკვევა, რომ გრიგოლის ეს შეწირულება იერუსალიმში ჩაუტანიათ ანტონ მოძღვარს, მერჩასა და ვასაკს. მაგრამ ამით არ დამთავრებულა გრიგოლის სამსახური ჯვარის მონასტრისადმი. გრიგოლს „მეორედ გამოგზავნა ზურვანის ქელითა ოცდაათჯერ ათასი“, საფიქრებელია, თეთრი. ამ ფულით მონასტრის კრებულს უყიდა აქაიას მამული (24000 ათასად) და სხვა—სალოცავად გაუცია. როგორც ვხედავთ, გრიგოლ ფანასკერტელის მიერ იერუსალიმში გაგზავნილი თანხები მეტად დიდია, რაც გრიგოლის დიდ ქონებრივ ძალას მოწმობს.

XIV საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებში დადებული თაყა ფანასკერტელის ალაპები. ეს ის თაყა ფანასკერტელია, რომელიც „ეამთა აღმწერელის“ ცნობით თავგამოდებით ებრძოდა აზნატ მოსესა და რუმის თურქთა მრავალიცხოვან ლაშქარს, მაგრამ ბრძოლაში დამარცხდა. ამ თაყას მეუღლე ყოფილა დემეტრე თავდადებულის ასული რუსუდანი (იხ. № 65 ალაპის კომენტარი). ამგვარად, თაყა ფანასკერტელი გრიგოლ ფანასკერტელის უმცროსი თანამედროვეა.

XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა ამირლამბარ ფანასკერტელი (იხ. № 105 ალაპის კომენტარი). ზემოთ მოხსენიებული თაყა ფანასკერტელი იყო ბექა მანდატურთუხუცესის თანამედროვე, ამირლამბარი კი ბექას შვილთა თანამედროვეა (იხ. № 22 ალაპის კომენტარი).

XV საუკუნის დასაწყისს (პირველი ოცეულის ფარგლებში) პიმენ ჯვარის მამის მიერ განწესებულია ალაპი ზაქარია ფანასკერტელისა და მისი დის მარიხისთვის (№ 136). ამავე

ალაპი და წირვა ბა...ანასი. ტექსტი გადასულია, ცუდად იკითხება. ტაბულა დაწერილი უნდა იყოს XIV—XV საუკუნეების ხელით. ამ ტაბულაში მოხსენიებულ პირთა შესახებ დამატებითი ცნობები არ გაგვაჩნია (იხ. № 103 ალაპის კომენტარი).

ალაპი ეგნატი ხოპის წინამძღვრისა. XIV ტაბულაში ერთიანდება 14 ალაპი. ტაბულა თარსლდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით. ამავე დროს არის დაწერილი ეგნატი ხოპის წინამძღვრის ალაპიც (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

პანაშვიდი პეტრიკ კოპაძისა და მისი მეუღლის ვახახისტვის. IX ტაბულა თარსლდება XIV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. 22 ალაპის კომენტარი).

ალაპი ესენბულა თურმანისძისათვის, დაწერილი ხაჯიკის მიერ. ესენბულას შესახებ ცნობებს სხვა წყაროებში ვერ მივუყვლიეთ. ხელის მიხედვით ალაპი XIV საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ხაჯიკი იგივე ტიშენდორფისეული ნუსხის ხაჯიკ-ყოფილი ზოსიმეა (T-53), და იგივე ხაჯიკია, რომელიც № 72 ალაპში ხეარაშანის მეუღლედ არის წოდებული, ხოლო № 46 ალაპში კი ფალქოზისძედ მოიხსენება, მაშინ თურმანისძის ალაპი უნდა დათარიღდეს XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 72 ალაპის კომენტარი).

ალაპი გრიგოლ ფანასკერტელისათვის. ამ ალაპის გაგრძელებას წარმოადგენს № 123ა ალაპი, რომელიც დაწერილია XLVII ტაბულისაგან განსხვავებული ხელით. მაგრამ ვინაიდან ამ ორი ალაპის დაცილება ერთმანეთისაგან არ შეიძლება იმის გამო, რომ შემომწირველი მხოლოდ № 123 ალაპში ჩანს, ამიტომ ჩვენ № 123ა ალაპიც ამავე ტაბულაში გავაერთიანეთ.

ალაპში ახალი აბზაცით გამოყოფილია ამირლამბარისა და მისი შვილის დალოცვა: „მე ფანასკერტელისა ცოლ-ყოფილმა რიფსიმე შემოვსწირე ორი მაშრაბაჲ, ერთი ამირლამბარისა სულისა სამლოცველოდ და ერთი მათისა შვილისა ზაქარიას სადღეგრძელოდ“, ე. ი. ერთსა და იმავე ალაპში ზაქარია და მარეხისათვის განწესებულია საუკუნო ალაპი, ხოლო ამირლამბარისა და მისი შვილი ზაქარიასთვის დალოცვა და დღეგრძელობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ალაპის დაწერის დროისათვის გარდაცვლილი ყოფილან ზაქარია ფანასკერტელი და მისი და მარიხი, ხოლო ცოცხალი — ამირლამბარი, რიფსიმე და მათი შვილი ზაქარია.

№ 138 ალაპში იმავე პიმენ ჯვარის მამას საბარებასა ზედა დალოცვა განუწესებია ამირლამბარ ფანასკერტელისა, მისი ცოლისთვის და შვილისთვის (რიფსიმე და ზაქარიასთვის). № 136 ალაპის მიხედვით, ზაქარია ან მამა არის ამირლამბარისა, ან მამა, უფრო მამა, რომლის სახელიც დაურქმევია ამირლამბარს თავისი შვილისთვის. ამგვარად, XIV საუკუნის დამლევისა და XV საუკუნის დამდეგს ორი ერთმანეთის მომდევნო ფანასკერტელი ჩანს ალაპებში: ზაქარია ფანასკერტელი და ამირლამბარ ფანასკერტელი (იხ. №№ 136 და 138 ალაპთა კომენტარები).

XV საუკუნის დამდეგს უკვე სხვა წყაროთა მიხედვით ჩანს აგრეთვე თაყა ფანასკერტელი. ნიზამ ედ-დინ შამის ცნობით, თემურ ლენგის 1401 წლის ლაშქრობის დროს თორთუმისა და მისი მიმდგომი მხარის, ე. ი. ტაოს, მფლობელად თაყა ყოფილა. ეს თაყა დ. ბერძენიშვილს ფანასკერტელი ჰგონია (დ. ბერძენიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 104). თაყა და ზემოთ მოხსენებული ამირლამბარ ფანასკერტელი დაახლოებით ერთი დროისა არიან.

XV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ზაზა ფანასკერტელისთვისაც არის გაჩენილი იერუსალიმის სვინაქსარში ალაპი (№ 118). ზაზა და მისი შვილები, საბოლოოდ ქართლში გადმოსულები, ქმნიან ფანასკერტელ-ციციშვილების ქართლის შტოს. ამავე დროისა, ოლონდ ტაოელი ფანასკერტელები, უნდა იყვნენ № 114 ალაპსა და „გერგეტის სულთა“ მატიანეში მოხსენიებული: თაყა ფანასკერტელი, მისი მეუღლე — მამქან-ყოფილი მარინე და თაყას ძმები: ფარსადან, ცოლით გულდამით, და ამილღაბარ („სინის სულთა მატიანე“).

№ 123 ალაპში ჩამოთვლილია გრიგოლ ფანასკერტელის შეწირულებანი მონასტრისათვის. მან რეაას დრაჰკნად ნაყიდი აქიას ადგილი შესწირა ჯვარს, რისთვისაც ჯვარის კრებულმა მას ხუთი ალაპი გაუჩინა. გარდა ამისა, მისივე გაგზავნილი 7000 თეთრი გაუყვიათ იერუსალიმში მყოფ ქართველებს. ხოლო 2000 თეთრი კრებულს მიუცია იერუსალიმის პატრიარქისა და მისი მონასტრებისათვის. შეწირულებანი იერუსალიმში ჩაუტანია ანტონ მოძღვარს, მერჩასა და ვასაკს. № 123 ა ალაპში კი ნათქვამია, რომ გრიგოლს მეორეჯერ გაუგზავნია იერუსალიმში შესაწირავი—30000 თეთრი. აქედან 24000 მონასტერს დაუხარჯავს აქიას მამულის საყიდლად, დანარჩენი კი სალოცავად გაუცია.

ამავე XLVII ტაბულაშია გრიგოლ ფანასკერტელის კიდევ ორი ალაპი: № 135 და № 182.

ზოგადად XLVII ტაბულა XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით თარიღდება (იხ. № 46 ალაპის კომენტარი). მაგრამ გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები ამ ტაბულის ადრეული ფენა უნდა იყოს, ე. ი. XIII საუკუნის უკანასკნელი წლებისა, ვინაიდან გრიგოლის ალაპები შეტანილია ალაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხის ძირითად ფენაში, რომელიც XIII საუკუნით იჯარგლება. ნუსხის ეს ნაწილი XIV საუკუნის პირველ წლებზე გვიან ვერ დაიწერებოდა (იხ. გამოკლევა. გვ. 20). ამდენად გრიგოლის ალაპები XIII საუკუნით უნდა შემოიფარგლოს, ხოლო მისი მოღწეწობის დრო XIII საუკუნის მეორე ნახევრით (იხ. ფანასკერტელთა გენეალოგია № 118 ალაპის კომენტარში).

123 ა (M—121), ტაბულა XLVII

ამ ალაპთან დაკავშირებით იხილეთ № 123 ალაპის კომენტარი.

124 (M—122), ნარევი ტაბულა II

ალაპი ხელა მოლარეთუხუცესისათვის. ალაპი თარიღდება XV საუკუნის ათიანი წლებით. ხელასა და მისი ნათესავების შესახებ ვრცლად იხ. № 67 ალაპის კომენტარში.

125 (M—123), ტაბულა XIX

წირვა და ალაპი შვენიერ-ყოფილი მაკრინესთვის. შვენიერ-ყოფილი მაკრინე უნდა იყოს მეფეთ მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილის

მეუღლე. ალაპი თარიღდება XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (ვრცლად ამის შესახებ იხილეთ № 6 ალაპის კომენტარში).

126 (M—124), ტაბულა XXXVII

ალაპი და წირვა მეფეთ მეფე გიორგისთვის. მეფე გიორგი, ჩვენის დაკვირვებით, უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე, რომლისათვისაც ალაპი მის სიციცხლეშივე გაუჩენიათ ან, შესაძლებელია, მისი გამეფების დასაწყისშივე (ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. № 26 ალაპის კომენტარში).

127 (M—125), ნარევი ტაბულა I

ალაპი ნიკოლოზ გულაბერისძისთვის. ალაპი დაწერილია XII საუკუნის წერილი შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით. ალაპი მრავალმხრივ არის საყურადღებო. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ გულაბერისძე კათალიკოზად იყო დაახლოებით 1150—1178 წლებში (კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 298). ხოლო შემდეგ, როგორც ამას მოგვითხრობს თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი, „სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოსობისაგან“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 117) და წავიდა იერუსალიმში. ხოლო გამეფდა თუ არა თამარი (1184 წ.), მან „აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზ გულაბერისძესა“ (იქვე, გვ. 117), რათა კვლავ კათალიკოზად დაეყენებინა მიქაელის (1178—1190) მაგივრად. ნიკოლოზმა კათალიკოზობაზე უარი განაცხადა. საქართველოში კი დაბრუნდა და ანტონ საღირისძე ქუთათელთან ერთად ხელმძღვანელობდა საეკლესიო კრებას, რომელიც თამარმა მოიწვია ეკლესიის მსახურთა გადახალისების მიზნით (კ. ქეკელიძე, ხსენ. წიგნი, გვ. 298 და ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 118). გარდაიცვალა ნიკოლოზი 1190 წლისათვის (კ. ქეკელიძე, ხსენებ. წიგნი, გვ. 298).

საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებზე ზრუნვა ნიკოლოზ გულაბერისძეს არ შეუწყვეტია საქართველოში დაბრუნების შემდეგაც. ამას მოწმობს ათონის ივერიის მონასტრის ერთი ალაპი: „თუესა კე, მიცვალებასა წმიდისა ანნაჰსა განგჳწესებია თამარ დედოფლისა და ალაპი, რამეთუ, ოდეს კელინნი დაგუწუნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს გაგზავნენით, თამარს მოეცა ევლოგიად კლუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოცსა დრაჰკანსა სჯობდეს, და კუალად ნი-

კოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე კ პერპერაა რუესა წაქდომილისა შესაკაზხავად და წისქვილისა და ბოსტნისა შესაკმენლად“ (ათონის კრებულო, გვ. 258—259). სხვათა შორის ჯვარისა და ათონის ეს ორი ალაპი ხელითაჲ ძალზე ჰგავს ერთმანეთს.

ნიკოლოზ გულაბერისძის ალაპთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ნიკოლოზის ალაპის ხელი, ისევე როგორც პროხორე ჯვარის აღმაშენებლისა და ანასულის ალაპების ხელი, სვინაქსარში აღარ მეორდება. შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ტაბულაში (III ტ). კი მხოლოდ ორი ალაპია გაერთიანებული იმ დროს. როდესაც XIII საუკუნისა და შემდეგი დროის ალაპთა ტაბულები მრავალ ალაპს აერთიანებენ, ე. ი. ერთი დამწერი წლების მანძილზე მრავალ ალაპს წერს. ეს იმას მოწმობს, რომ XI—XII საუკუნეებში ალაპები დიდი შერჩევით, განსაკუთრებულ შემთხვევაში იწერებოდა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ალაპთა წერა ძალზე გახშირებულია. ამიტომაც, რომ XI—XII საუკუნეების ალაპები სვინაქსარში მხოლოდ ერთეულგზით, მომდევნო საუკუნეებისა კი ძალიან ბევრი.

ალაპი განწესებულია ნიკოლოზ გულაბერისძის „დაწერილის“ საფუძველზე მისსავე სიცოცხლეში. ნ. გულაბერისძის „დაწერილი“, ჩანს, მონასტერში ინახებოდა: „წაგებული მისგან (ნიკოლოზისაგან—ე. მ.) ამას მონასტერსა შინა მისისა დაწერილისაგან სცნათ“—ვეკითხოვლობთ ალაპში. ალაპიდან ვგებულობთ, რომ ნიკოლოზს „უკმოუსყიდია“ მონასტრის ვენახი (დაწერილებით ამის შესახებ იხ. გამოკვლევაში, გვ. 56—57).

128 (M—126), ტაბულა XXXIX

ალაპი ჯანიბეგ ზედგინიძისთვის. ჯანიბეგ ზედგინიძის ალაპი შეტანილია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილშიც (იხ. T—57, T—77 და გამოკვლევა გვ. 24—25). აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით ჯანიბეგ ზედგინიძე ალექსანდრე დიდის უფროსი თანამედროვეა, XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე (ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 7).

XXXIX ტაბულაში შესულია აგრეთვე: ჯანიბეგის მეორე ალაპი (№ 130), ეჯიბ აფაქისძის მეუღლისა და ძის ალაპი (№ 277) და ივანეს შვილის გულქანის ალაპი (№ 294). ეს ალაპებიც უნდა დათარიღდეს XV საუკუნის პირ-

ველი ნახევრით, ე. ი. ისევე, როგორც ჯანიბეგის ალაპი.

129 (M—127), ტაბულა XIV

ალაპი ბობა, ჯავახ თორელის ასული-სათვის. XIV ტაბულა იფარგლება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 60 ალაპის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს ბობას ალაპიც.

130 (M—128), ტაბულა XXXIX

ალაპი ჯანიბეგ ზედგინიძისთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 128 ალაპის კომენტარი.

131 (M—129), ტაბულა ნარევი II

დემეტრე მეფის ასულის რუსუდანის ალაპი. № 65 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ რუსუდანი არის დემეტრე თავდადებულის ასული და თაყა ფანასკერტელის მეუღლე. მისი ცხოვრების ხანა უნდა შემოიფარგლოს XIV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. აგრეთვე № 22 ალაპის კომენტარი).

132 (M—130), ტაბულა LIX

წირვა და ალაპი ელემპი გოხაზისთვის. ტაბულა თარიღდება XV საუკუნის პირველი ათეულით (იხ. № 136 ალაპის კომენტარი). ამავე დროით უნდა დათარიღდეს ელემპი გოხაზის ალაპიც.

133 (M—131), ტაბულა XXV

წირვა და ალაპი ლომა დადიან-გურიელისა და მისი მეუღლის აღუსაჯანისთვის. ამავე ტაბულაშია ლომას მეორე ალაპიც (№ 74). ლომას ალაპი შეტანილია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილშიც (T—96), რომელიც დაწერილია აგრეთვე XXV ტაბულის ხელით (იხ. გამოკვლევა, გვ. 27). ვირშელ ერისთვის ალაპის მიხედვით ტაბულა თარიღდება XV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 59 ალაპის კომენტარი).

134 (M—132), ტაბულა XXI

პანაშვიდი დავითაძისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუ-

კუნის დამდეგით (იხ. № 42 ალაპის კომენტარი) ამავე დროისა უნდა იყოს დავითაჲს ალაპიც.

135 (M—133), ტაბულა XLVII

წირვა და ალაპი გრიგოლ ფანასკერტელი სათვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 123 ალაპის კომენტარი.

136 (M—134), ტაბულა LIX

ალაპი ზაქარია ფანასკერტელისა და მისი დის მარიხისათვის. ეს ალაპი განწესებულია ჯვარის მამა პიმენისა და ოქროპირ კანდელაკის მიერ. ამავე ალაპში წერია, რომ ფანასკერტელის ცოლ-ყოფილ რიფსიმეს მონასტრისათვის შეუწირავს ორი მამრბაბა, ერთი—ამირლამბარის სულის სამლოცველოდ, ხოლო მეორე—მისი შვილის სადღეგრძელოდ.

№ 138 ალაპი, რომელიც ამავე ტაბულაში ერთიანდება და აგრეთვე ჯვარის მამა პიმენის განწესებულია, აზუსტებს № 136 ალაპის ცნობებს. ამ ალაპიდან ვგებულობთ, რომ რიფსიმე ყოფილა ამირლამბარის ცოლ-ყოფილი, ხოლო ზაქარია—მათი შვილი. ჩანს, № 136 ალაპის დაწერის დროს რიფსიმე, ამირლამბარი და მათი შვილი ზაქარია ცოცხლები ყოფილან, ხოლო ალაპის დასაწყისში მოხსენებული ზაქარია ფანასკერტელი და მისი და მარიხი—მიცვლილები. საფიქრებელია, რომ გარდაცვლილი ზაქარია ფანასკერტელი ამირლამბარის მამა იყო, რომლის სახელი აწილამბარმა თავის შვილს დაარქვა (ეს ჩვეულებრივი წესი იყო). იხ. ამასთან დაკავშირებით № 105 და 118 ალაპების კომენტარები.

№ 136 და № 138 ალაპები თარიღდებიან ჯვარის მამის პიმენის მამობის წლებით, ე. ი. XV საუკუნის ათიანი წლებით. ასევე უნდა დათარიღდეს ამავე ტაბულის დანარჩენი ალაპებიც.

137 (M—135), ნარევი ტაბულა VI

ალაპი მირიან კოპაჲს ძისტვის, რომელმაც მონასტრს 1000 თეთრი მისცა. სვინაქსარში მირიან კოპაჲსძისა და მისი ცოლის კიდევ ერთი ალაპია (№ 192). ეს ალაპი ერთიანდება IX ტაბულაში, რომელიც XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (იხ. № 22 ალაპის კომენტარი). ასევე უნდა დათარიღდეს № 137 ალაპიც.

138 (M—136), ტაბულა LIX

პიმენ ჯვარის მამამ სახარებასა ზედა დლოცვა გაუჩინა ამირლამბარ ფანასკერტელს, მის მეუღლე-ყოფილს რიფსიმეს და მათ შვილს ზაქარიას. სამივე პირი ამ დროისათვის ცოცხალია (ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 136 ალაპის კომენტარი). ეს ალაპი ისევე, როგორც № 136 ალაპი, თარიღდება ჯვარის მამა პიმენის მამობის წლებით, ე. ი. XV საუკუნის ათიანი წლებით.

139 (M—137), ტაბულა XXV

ალაპი ნუგზარ ერისთვის შვილის შანშასი. XXV ტაბულა თარიღდება ვირშელ ერისთვის ალაპით (იხ. № 59 ალაპის კომენტარი), XV ს. პირველი ნახევრით. ამავე დროისა უნდა იყოს ნუგზარ ერისთვის შვილის შანშას ალაპიც.

140 (M—138), ტაბულა XIV

ალაპი შაკარი გარეყანისძის შვილის ფორთოხისთვის და მისი მეუღლის ბეშქენვარდანიძის ასულის ხათოთასთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დამდეგით (ვრცლად გარეყანისძეთა შესახებ იხ. № 60 და № 63 ალაპთა კომენტარები).

141 (M—139), ტაბულა XIV

ალაპი მონაზონ ნისიმესთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

142 (M—140), ტაბულა XXXIII

წირვა და ალაპი საღირ ბუზაკის ძისტვის. XXXIII ტაბულაში, გარდა ამ ალაპისა, ერთიანდება აგრეთვე ბასილი თბილელის ალაპიც (№ 147). ცნობებს ბასილი თბილელის შესახებ ვერ მივაკვლიეთ. პალეოგრაფიულად ტაბულა ძველია, XIII საუკუნეს ვერ გასცილდება.

143 (M—141), ტაბულა XXIX

პანაშვიდი ბასილი კაქაჲსთვის. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის 90-იანი წლებით.

ბითა და XIV საუკუნის 20-იანი წლებით. ამავე დროით უნდა დათარიღდეს ბასილი კაპაქს ალაპიც. სხვა ცნობები ამ პირის შესახებ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ. ტაბულის თარიღისათვის იხ. № 42 ალაპის კომენტარი.

144 (M—142), ნარევი ტაბულა IV

ალაპი მეფეთ მეფისა მელქისედეგისათვის. მეფე მელქისედეგის მოსახსენებელი შეტანილია „სინის მთის სულთა მატიანეშიც“ მეფე გიორგი ალასტანელის შემდეგ და მეფე ანდრონიკეს წინ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 242).

მეფე ანდრონიკეს პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შეთანხმებული თვალსაზრისი არ არსებობს. ე. თაყაიშვილს ის ალასტანელ მეფედ მიაჩნია: „ალასტანელ მეფეთა შორის ეხლა ცნობილია დავით მეფე და მელქისედეგ XIII საუკუნეში, ანდრონიკე—XIV საუკუნეში, და აგრეთვე ცნობილია მეფე გიორგი, რომლის დრო მეფობისა დანამდვილებით არ ვიცით. სინას მთის სულთა მატიანეში ის მოხსენებულია დავით აღმაშენებლის შემდეგ. შეიძლება ის იყოს პირველი ალასტანელი მეფე-ო“ (ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, II, 42, 1913, ვიმოწმებ ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის III ტომით). ივ. ჯავახიშვილს ამ საკითხის თაობაზე გარკვეული მოსაზრება გამოთქმული არა აქვს. ს. კაკაბაძეს მელქისედეგ მეფე მიაჩნია გიორგი მცირის ძედ. მეფე მელქისედეგი და მეფე ანდრონიკე მოხსენებული არიან ისტორიულ დოკუმენტებში XIV ს. პირველ ნახევარში. ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით მელქისედეგის ძმა ანდრონიკე გამეფებულა 1339—1340 წლებში. ანდრონიკეს მეფობას წინ უსწრებდა მელქისედეგის მეფობა (იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო: საისტორიო მოამბე, წ. 1, 1924, გვ. 138—145). ხელის მიხედვითაც მელქისედეგის ალაპი XIV საუკუნეზე ადრეული არ არის.

145 (M—143), ნარევი ტაბულა VI

ალაპი მსახურთუხუცესის არიშიანისთვის, — სვანთ ერისთვის ვარდანის ძისა. არიშიანმა მონასტერს მისცა ათას ხუთასი თეთრი მას ეპისა, ოდეს მონასტერი „სპარსთა დამპყროვით ჰქონდათ“... და ძმანი მეტოქში იყვნენ

გადასული. ამ ფაქტის მიხედვით ალაპი უნდა დათარიღდეს 1273—1305 წლებით. ამ დროს ჯვარი ქართველებისა არ იყო. ჯვარს ფლობდნენ ეგვიპტელი მამულები. იგი მიზგითად იყო გადაქცეული (იხ. გამოკვლევა, გვ. 43). ჯვარი ქართველებს დაუბრუნდა 1305 წელს (იხ. გამოკვლევა, გვ. 45). ამ დროისა უნდა იყოს არიშიანისთვის გაჩენილი ალაპი.

146 (M—144), ტაბულა XII

პანაშვიდი მონასტრის ძმის ბასილისთვის. XII ტაბულაში, გარდა ამ ალაპისა, ერთიანდება აგრეთვე ალაპები: № 23 და 34. რაიმე ცნობები ამ ალაპთა დასათარიღებლად არ გაგვაჩნია. ალაპები დაწერილია მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით, რომელიც ტიპიურია XIII საუკუნისთვის.

147 (M—145), ტაბულა XXXIII

ალაპი ბასილი თბილელისათვის. ამავე ტაბულაშია კიდევ № 142 ალაპი. ტაბულა თარიღდება მხოლოდ პალეოგრაფიულად. ტაბულის ხელი არქაულია, XIII საუკუნეს ვერ გაცვილებდა (იხ. № 142 ალაპის კომენტარი).

148 (M—146), ტაბულა XXXI

ალაპი სუმბატ ლასურისძისა და მისი მეუღლის ნათელისთვის. XXXI ტაბულაში კიდევ ერთი ალაპია— შანშას შეილის შეილის აღბულასი (№ 273). ამ ალაპში მოხსენებული აღბულა ვერ იქნება სჯულმდებელი აღბულა, ვინაიდან ის ბექა მანდატურთუხუცესის შეილიშვილია და არა შანშასი (იხ. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექასი და აღბულას ვინაობა, 1912, გვ. 4—7). ლ. ალიშანის შედგენილ მხარგძელთა გენეალოგიის მიხედვით შაჰანშა I-ს ჰყოლია შეილიშვილი აღბულა. შაჰანშა I, რომელსაც ცოლად ჰყავდა სადუნის ასული, მიიცვალა 1261 წელს. მის შვილს ივანე II-ს ჰყოლია ხუთი შვილი, მათ შორის ერთი აღბულა, რომელიც ცოცხალი ჩანს ლ. ალიშანის მიხედვით 1301 წელს (იხ. ლ. ალიშანის დასახ. გენეალოგია).

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, ამ ალაპის აღბულა XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის დამდეგის მოღვაწეა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს კიდევ ერთი გარემოება: სვინაქსარში ჩაწერილია აღბულას კიდევ ერთი ალაპი, რომელიც IX ტაბულაში ერთიანდება. IX ტაბულაში სხვა

ალაპებთან ერთად შესულია ორი ალაპი: ერთი—შანშას ძმის ვაჰრამისა (№ 30), და მეორე—შანშას ძმის ალბულასი (№ 29). ეს ორი ძმა, როგორც გარკვეული გვაქვს № 22 ალაპის კომენტარში, არიან შაჰანშა II ამირსპასალარის ძმები. სამივე კი არიან ივანეს შვილები და შაჰანშა I-ის შვილიშვილები. აშკარაა, რომ № 29 ალაპისა და № 273 ალაპის ალბულა ერთი და იგივე პირია. თუ როდის გარდაიცვალა ალბულა, არ ვიცით. მისი ცხოვრების წლების შემოფარგულაში გვეხმარება სუმბატ ლასურისძის ალაპი.

ლასურისძენი ჩანან მესხეთის თავდადების ცნობილ სიაში: „ლონგოსენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ლასურისძეთა აქუს“ (ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიება საქართველოს ისტორიის შესახებ, 1920, გვ. 6). ლასურისძეთა ოჯახი ბეჟა მანდატურთუხუცესის კართან ყოფილა დაახლოებული. მათ საფარის საბას ტაძრის სანერკლოს ქვემო სართულში თავისი ეკვდერი ჰქონიათ. ეს სამლოცველო ბეჟას უბოძებია ლასურისძეთათვის სამარხად (ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 56). ამ ეკვდერის ფრესკების წარწერებში მოხსენიებული არიან: ლასურ მსახურთუხუცესი, ნიკოლოზი და სუმბატი (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56). ამ ფრესკების თავზე გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „ოჲ მეუფეო ქრისტე ღწერთო, რომელი აღიდებ ნაღიდებელთა შენთა, აღიდე ორთავე სუფევათა შინა პატრონი ჩუენი მანდატურთა უხუცესი ბეჟა და ძენი მისნი, რომელმან უღირსნი მიწობისა და მათისნი ღირს-გუყვნა და გუიბოძანა (!) საფლავნი ლასურისძესა ლასურს და ძმათა მისთა საუკუნოდ“ (ვ. ბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57). აშკარაა, რომ ფრესკის წარწერებში მოხსენიებული ლასურ, ნიკოლოზ და სუმბატ—ემები არიან. ერთი მათგანია ჩვენი ალაპის სუმბატ ლასურიძე. ლასურისძეთა ფრესკები XIII—XIV საუკუნეების მიჯნით თარიღდება (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57). ამიტომ სუმბატისა და მისი მეუღლე ნათელის ალაპიც XIV საუკუნის დამდეგზე გვიანდელი ვერ იქნება. ასევე უნდა შემოიფარგლოს შაჰანშას შვილიშვილის ალბულას ალაპიც, რომელიც წყაროებში 1301 წელს არის დამოწმებული. ჩანს, ამ წლის ახლო ხანებში ის მიცვლილა კიდევ.

149 (M—147), ტაბულა XXXVII

ალაპი მეფეთ მეფე გიორგისთვის. ეს უნდა იყოს, ჩვენი ვარაუდით, გიორგი ბრწყინ-

ვალე. ამავე ტაბულაში მეფე გიორგის კიდევ სამი ალაპია. ვრცლად ამ ალაპის დათარიღების შესახებ იხ. № 26 ალაპის კომენტარი.

150 (M—148), ტაბულა IV

ალაპი ელმიხრიკის ძისა. ამავე ტაბულაშია კიდევ ერთი ალაპი, განწესებული უნდულ მამლაქანის ძის ასულის თამარისთვის (№ 315). თამარ მამლაქანის ძის ასულის ალაპი შესულია ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაშიც (I—64). ეს ალაპი ისევე, როგორც რამდენიმე სხვა, სვინაქსარიდანაა გადატანილი ამ ნუსხაში არაუგვიანეს XIV საუკუნის პირველი წლებისა (იხ. დამატება და გამოკვლევა, გვ. 17). ტიშენდორფისეული ნუსხის ეს ძირითადი ფენა მოიცავს ალაპებს XI საუკუნის 60-იანი წლებიდან XIII საუკუნის დამლევაამდე. ხელის მიხედვით IV ტაბულა XII—XIII საუკუნეებისა უნდა იყოს.

ამ ალაპთა მწერლისათვის დამახასიათებელი იოტის ხმარების წესის დარღვევა. ასე, მაგ., ალაპებში ვხვდებით: *ყოს, გარდაჯადოს, მპყრას*.

151 (M—149), ტაბულა XIV

ალაპი ინასარ ინასარის ძისა და მისი მეუღლე აგუტისთვის. ინასარ ინასარისძეს მონასტრისთვის შეუწირავს 1000 სურტნული ღრამა მას ეამსა, „ოდეს სურტანმა ჯუარი მოგუტაო“, ე. ი. 1305 წელს, როდესაც ეგვიპტის სულთანმა 1273 წელს წართმეული ჯვარი კვლავ ქართველებს დაუბრუნა (იხ. გამოკვლევა, გვ. 45). ამავე დროისა უნდა იყოს ინასარ ინასარისძის ალაპი (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

152 (M—150), ტაბულა VIII

წირვა და ალაპი ბეჟა მანდატურთუხუცესისთვის. ამ ტაბულაში სამი ალაპია, სამივე ბეჟასთვისაა განწესებული; ე. ი. ეს ტაბულა ბეჟას მოღვაწეობის წლებით იფარგლება. ბეჟა მანდატურთუხუცესი გარდაიცვალა 1306 წელს. XIV საუკუნის პირველ ათეულში უნდა იყოს დაწერილი ეს ალაპები.

153 (M—151), ტაბულა XXVII

წირვა და ალაპი ალბულასთვის. XXVII ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის მეორე ნა-

ხევრით (იხ. № 7 ალაპის კომენტარი). ეს თარიღი კი სავსებით უდგება აღბულა სჯულმდებლის ცხოვრების წლებს (იხ. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექას და აღბულა ვინაობა, 1912, გვ. 4—7). აღბულა ათაბაგი XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. 1386 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალია. ამგვარად, ალაპის აღბულა სჯულმდებელი უნდა იყოს, თუმცა სხვა რაიმე დამატებითი ცნობები ამის სასასარგებლოდ ალაპში არ არის.

154 (M—152), ტაბულა X

წირვა და ალაპი სარგისის შვილის შაშია არტანუჯელისათვის. ს. კაკაბაძე სამართლიანად ვარაუდობს, რომ ჩვენი ალაპის შაშია არტანუჯელი უნდა იყოს ის შაშია, რომელიც ბექა-აღბულას სამართლის შესავალშია მოხსენებული, როგორც აღბულას ბიძის ძე, ე. ი. ბექა მანდატურთუხუცესის შვილიშვილი, სარგისის შვილი (ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექას და აღბულას ვინაობა, გვ. 5). ამგვარად, შაშია არტანუჯელი აღბულას თანამედროვე -- XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა.

X ტაბულაში, გარდა შაშიას ალაპისა, შესულია აგრეთვე: ალაპი მეფეთ მეფის გიორგი ანდრონიკეს შვილისა, ალასტანელისა (№ 289), რომელიც თურქებმა მოკლეს 1373 წელს, და მისი მეუღლის დედოფალ შეენიერისა (№ 290). აქვეა ალაპი ამილახორ ქვენიფნეველისა, რომელიც გიორგი ანდრონიკეს შვილთან ერთად მოკლეს თურქებმა (№ 291). ამ სამი ერთმანეთის მომდევნო ალაპთა შესახებ ვრცლად იხ. № 6 ალაპის კომენტარში. X ტაბულის ალაპები, ამ სამი ალაპის მიხედვით, XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უნდა იყვნენ დაწერილი. ტაბულის უკანასკნელი ალაპია ბეგნია მეჯინიბეთუხუცესის ალაპი (№ 288), რომელიც აგრეთვე XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ. X ტაბულის ყველა ალაპი ერთმანეთის მომდევნოა (№№ 288—291) და საფიქრებელია, რომ ერთდროულადაც არის დაწერილი. ხშირად იერუსალიმში შესაწირავით ჩამოდიოდა ერთი რომელიმე პირი და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ალაპებს აწესებდა. ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე X ტაბულაშიც.

155 (M—153), ტაბულა XLVII

ალაპი ზოსიმე თარგმანისათვის. XLVII ტაბულაში შესულია ზოსიმეს კიდევ ერთი

ალაპი (№ 183). ეს ალაპი საგანგებოდ არის გადაფხეკილი, დატოვებულია მისი მხოლოდ დასაწყისი ნაწილი, გამოყენებული მეორე ალაპისათვის, რომელიც გრიგოლ თანასკერტელისათვის არის განწესებული (№ 182).

№ 183 ალაპი დაწერილი ყოფილა XIV ტაბულის ხელით, რასაც მოწმობს ამ ალაპის დარჩენილი პირველი სამი სტრიქონი. ამრიგად, ზოსიმეს ერთი ალაპი XLVII ტაბულიდანაა, ხოლო მეორე XIV ტაბულიდან (ვრცლად ამის შესახებ იხ. № 46 ალაპის კომენტარში). ორივე დასახელებული ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდევით. ზოსიმეს ალაპი ამ ტაბულათა ადრეული ფენა ჩანს—XIII საუკუნის დამლევისა.

ზოსიმეს ეპიტეტით თარგმანი მოწმობს, რომ ის თავისი დროის სახელმწიფო მთარგმნელი და მწიგნობარი ყოფილა. ამ საპატიო წოდების ღირსი სხვათა შორის გიორგი მთაწმიდელიც გამხდარა, ხელნაწერთა ანდერძებსა და სხვა ისტორიული ხასიათის ძეგლებში გიორგი თარგმანად იწოდება. ამგვარად, ზოსიმე თარგმანი XIII საუკუნის დღემდე უცნობი მთარგმნელია, რომლის თარგმნილი ძეგლები გამოვლინებასა და შესწავლას თხოვლობს.

156 (M—154), ტაბულა XXI

ალაპი გიორგი დადიანისთვის. XXI ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი). გიორგი დადიანის ალაპი ამ ტაბულის გვიანდელი ფენაა, ვინაიდან გიორგი დადიანი I, რომელიც ამ ალაპში უნდა იგულისხმებოდეს, გარდაიცვალა 1323 წელს (იხ. № 11 ალაპის კომენტარი).

XXI ტაბულის სხვა ალაპებს შორის არის ერთმანეთის მომდევნო ოთხი ალაპი, რომლებიც ერთდროულად უნდა იყოს ჩაწერილი სვინაქსარში, ესენია №№ 156—159. დანარჩენ ალაპებთან შედარებით ეს ოთხი ალაპი, რომელთა შორის არის გიორგი დადიანის ალაპიც, დაწერილი უნდა იყოს XIV საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებში.

157 (M—155), ტაბულა XXI

პანაშვიდი გიორგი დევდარიანისა. ეს ალაპი დაწერილი უნდა იყოს XIV საუკუნის პირ-

ველი მეოთხედის ფარგლებში (იხ. № 156 ალაპის კომენტარი).

158 (M—156), ტაბულა XXI

ალაპი ავაგ გობოასძისთვის. ავაგის მეუღლე უნდა იყოს მომდევნო ალაპის გობოასძის ცოლი მამქანი. მეუღლეთა ალაპები ჩვეულებრივ ერთად, ერთმანეთის შემდეგ იწერება. ავაგ და მამქანი გობოასძეთა ალაპებიც XIV საუკუნის პირველი მეოთხედის ფარგლებშია დაწერილი (იხ. № 156 ალაპის კომენტარი). შესაძლებელია, ნათესაური კავშირი არსებობდეს ამათსა და იმ გობოასძეთა შორის, რომლებიც მიცვლილად არიან მოხსენიებული სვინაქსარის № 307 ალაპში. ესენი არიან ზვიად, ივანე, კეკე, ბეშქენი და სარგისი. ეს ალაპი გადასულია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (იხ. T—65 და დამატება) და თარიღდება XIII საუკუნის დამლევით. ამგვარად, სავსებით შესაძლებელია, რომ № 158 და № 307 ალაპების გობოასძენი ამ გვარის ორი თაობის წარმომადგენლები იყვნენ.

159 (M—157), ტაბულა XXI

ალაპი გობოისძის ცოლის მამქანისთვის. მამქანი უნდა იყოს ავაგ გობოისძის მეუღლე (იხ. № 158 ალაპის კომენტარი).

160 (M—158), ტაბულა XXXI

ალაპი და წირვა მონასტრის იმის მიქაელისთვის. XXXI ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 113 ტაბულის კომენტარი). ამავე დროისაა მიქაელისთვის განწესებული ალაპიც.

161 (M—159), ტაბულა LXIII

ალაპი ნიკოდიმე კანდელაკის, მათესა, და ანტონისთვის. ნიკიფორე კანდელაკის კიდევ ერთი ალაპი ჩაწერილია ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილში (იხ. T—88). ხელი ორივე ალაპისა გვიანდელია. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ XVI საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება. ამ თარიღს მხარს უჭერს კიდევ ერთი გარემოება. ალაპში აღნიშნულია, რომ ნიკოდიმე კანდელაკს ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს ვენახი „ამბროსაულსა ვენახსა ზედათ“. „ამბროსაული“ უნ-

და იყოს ის ადგილი, რომელიც ამბროსემ, მზექაბუჯ ათაბაგის გაზრდილმა, იყიდა და შესწირა ჯვარის მონასტრის ქაიხოსრო ათაბაგის სულის მოსახსენებლად (იხ. № 90 და № 309 ალაპები). „ამბროსაული ვენახი“ კი ის ვენახი უნდა იყოს, რომელიც პატრონმა სფირიდონმა „ამბროსაულის თავსა“ იყიდა (იხ. № 58 ალაპის კომენტარი). ქაიხოსროს ალაპი (№ 309) დაწერილია ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1500 წლის მომდევნო წლებში. ქაიხოსროს ალაპის შემდეგაა დაწერილი სფირიდონის ალაპი და ბოლოს ნიკოდიმე კანდელაკისა. აშკარაა, რომ ნიკოდიმე კანდელაკის ალაპი XVI ს. დამდეგამდე ვერ დაიწერებოდა.

ამავე ტაბულაშია როდამ-ყოფილი რიფსიმეს ალაპი (№ 215), რომელიც აგრეთვე XVI საუკუნის დამდეგისა უნდა იყოს (იხ. ამ ალაპის კომენტარი).

162 (M—160), ტაბულა XLVI

პანაშვილი თადეოზ ხოპელისათვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 64 ალაპის კომენტარი.

163 (M—161), ტაბულა XXXIV

ალაპი გარსევან ირუბაქისძე ჩოლავაშვილისთვის. ეს ალაპი დაწერილებით არის განხილული № 87 ალაპის კომენტარში.

164 (M—162), ტაბულა XIII

ალაპი ნათელ დადიანისთვის. ალაპი დაწესა იოანე მთავარეპისკოპოსმა. ნათელ დადიანი XIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის ცოტნე დადიანის დედაა. ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. № 36 ალაპის კომენტარი.

165 (M—163), ნარევი ტაბულა VI

ალაპი ანტონ იშხნელისათვის. ცნობებს ანტონ იშხნელზე ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სხვა წყაროებში. ხელის მიხედვით ალაპი XIII საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს. სვინაქსარში ანტონ იშხნელის კიდევ ერთი ალაპია შეტანილი (№ 173), მაგრამ ეს ალაპი ძალზე დაზიანებულია, ტექსტი ძლივს ირჩევა. პალეოგრაფიულად ამ ალაპის დათარიღება შეუძლებელია.

ერთი ანტონ იშხნელი მოჩანს იშხნის ტაძრის წარწერებში. მას გაუახლებია ტაძარი 1032 წელს

(იხ. E. Такайшвили. Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952, გვ. 28—29). ექვთ. თაყაიშვილის ვარაუდით, იგივე ანტონი უნდა იყოს მოხსენებული ამჟამად სვანეთში დაცულ სვიმეონ მესვეტის ერთი ხატის წარწერაში; წარწერის მიხედვით ანტონ ცაგარელს იშხანში ყოფნის დროს იშხნის მახლობლად აუშენებია სვიმეონ მესვეტის სახელზე ეკლესია და მოუქედვინებია ამ ეკლესიისათვის სვიმეონ მესვეტის ხატიც (იქვე, გვ. 29). იშხნის ტაძრის წარწერის მიხედვით ანტონ იშხნელი XI საუკ. II მეოთხედის მოღვაწეა. მისთვის ალაპის განწესება შეიძლება გვევარაუდა XI საუკ. მეორე ნახევარში, თუ დავუშვებთ, რომ წარწერისა და ალაპის ანტონ იშხნელი ერთი და იგივე პირია. ასეთი სიძველის ალაპი სვინაქსარში მხოლოდ ერთია. ეს არის პროხორე ჯვარის აღმაშენებლის ალაპი.

ანტონ იშხნელის ალაპის XI საუკუნით დათარიღებას ეწინააღმდეგება ალაპის პალეოგრაფიული სახე. პალეოგრაფიულად ის XIII საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ უფრო სავარაუდებელია იშხნელ-ყოფილი საქურქლის მწიგნობარი ანტონი, რომლის ხელრთვა აქვს „არსენ კყონდიდის დაწერილს“. არსენის დაწერილი თარიღდება 1241—42 წლებით (იხ. ნ. შოშიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის: მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII—B, 1954, გვ. 123).

ალაპი, ჩანს, წინ უსწრებს „არსენ კყონდიდელის დაწერილს“, ვინაიდან ალაპში ანტონი ჯერ კიდევ იშხნელია, „დაწერილში“, კი იშხნელ-ყოფილი.

166 (M—164), ნარევი ტაბულა I

ალაპი ლამის თვეითა და ტრაპეზით მამა პროხორესთვის. ეს ალაპი, დაწერილი კალიგრაფიული მთავრულით, განკუთვნილია ჯვარის მონასტრის აღმაშენებლისათვის—პროხორე შავშელისთვის, რომელიც გარდაიცვალა 1066 წელს. ალაპი ხელის მიხედვით ხელნაწერის თანადროულია, ე. ი. XI საუკუნის მეორე ნახევრისაა (ერცლად ამის შესახებ იხ. გამოკვლევა, გვ. 30). ეს არის პირველი ალაპი, შეტანილი ამ სვინაქსარში. საფიქრებელია, რომ ეს სვინაქსარიც საგანგებოდ იმისთვის გადაიწერა, რომ იქ განწესებულიყო პირველი ჯვარის მამის ალაპი და ამით საფუძველი ჩაყარდა ჯვარის მონასტრის პირველ საალაპე წიგნს.

167 (M—165), ტაბულა XXII

ანტონი ბეღელაის ძისათვის განწესებული ალაპი. ანტონმა მონასტერს შესწირა 1000 დრამა. XXII ტაბულაშია აგრეთვე № 267 ალაპი, განწესებული თომასთვის და მისი ძმის მოსესთვის, და ალაპი ვარდან ფავნელისა (№ 31). ამ პირთა შესახებ სხვა წყაროებში დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ. ტაბულის ალაპები დაწერილია XII—XIII საუკუნეების შესანიშნავი კალიგრაფიული წერილი ნუსხურით.

168 (M—166), ტაბულა LXIV

ალაპი ათანასე ჯვარელისთვის. ალაპის ტექსტი გადასულიც არის და საგანგებოდ გადაშლილიც. მომდევნო № 169 ალაპიც აგრეთვე ათანასე ჯვარელისთვის არის განწესებული და, საფიქრებელია, რომ იგი № 168 ალაპის განახლებას წარმოადგენს. № 169 ალაპი თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 169 ალაპის კომენტარი). ამის მიხედვით ათანასე ჯვარელი XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით უნდა დათარიღდეს ამავე ტაბულის მეორე ალაპი (№ 61), რომელიც ივანე ქავთარისთვის არის განწესებული (იხ. ამ ალაპის კომენტარი). ალაპთა დაზიანების გამო მათი ფოტოპირები (LXIV ტაბულა) ვერ დაიბეჭდა.

169 (M—167), ტაბულა XXXII

ალაპი ათანასე ჯვარელ მოძღვრისათვის. XXXII ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით. ამავე დროისაა ათანასე ჯვარელის ალაპიც, ამის მიხედვით ათანასე ჯვარელი ჯვარის მონასტრის XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ. სვინაქსარში არის ათანასე ჯვარელის მეორე ალაპიც (იხ. № 168 ალაპის კომენტარი).

170 (M—168), ტაბულა XLIII

ალაპი გიორგი თბილელისთვის. ტაბულაში ორი ალაპი ერთიანდება. ერთი გიორგი თბილელისა, ხოლო მეორე—ეფთჳმე კათალიკოსისა (№ 172). ორივე ალაპი დაწერილია შესანიშნავი კალიგრაფიული მსხვილი ნუსხურით XIII—XIV საუკუნეებისა. ამის მიხედვით ეფთჳმე უნდა იყოს ეფთჳმე III კათალიკოსი (1310—

1335 წწ.), ე. ი. ეფთხემეს ალაპი უნდა დაწერილიყო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე დროით უნდა დათარიღდეს გიორგი თბილელის ალაპიც.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკის № 156 ბერძნული ხელნაწერის ერთმა მინაწერმა შემოგვიანა ცნობა, რომ ეფთხიმე კათალიკოსს 1334 წელს პალესტინის საბაწმიდის მონასტრისათვის გაუგზავნია შეწირულება (მინაწერი გამოქვეყნებულია, იხ. A. Παπαδόπουλος Κεραμύδης, 'Ἱερισσιολογία καὶ ἱστορία', ტ. II, 1894, გვ. 250—251. ცნობა მოგვაწოდა მკვლევარმა ე. ი. გრანსტრემმა). საფიქრებელია, რომ ამავე დროს გააგზავნა ეფთხიმემ შეწირულება ჯვარის მონასტრისთვისაც, რის გამოც მას განუწესეს ალაპი.

171 (M—169), ნარევი ტაბულა II

ალაპი პატრონის შურიასთვის, რომელმაც 200 მუტყალი ოქრო უბოძა ქსარეშავილის (!) ხელით მონასტერს „მას ეამს, ოდეს დიდ იწრობასა და სპარსთაგან მიჭირვებასა“ განიცდიდა მონასტერი. ალაპი დაწერილია არაკალიგრაფიული მსხვილი ნუსხურით. ალაპს ახასიათებს ანტიტობა. ხელის მიხედვით ის XV საუკუნისა უნდა იყოს. მასთანადავე, სპარსთაგან მიჭირვება აქ მონასტრის სულტანისაგან წართმევას არ უნდა გულისხმობდეს, რასაც ადგილი ჰქონდა 1273 წელს. აქ მონასტრის მუსულმანებისაგან შევიწროების სხვა შემთხვევასთან უნდა გვეკონდეს საქმე, რომელსაც ადგილი ჰქონია XV საუკუნეში. ჩივილი „იწროებაზე“ XIV—XV საუკუნეების ალაპებშიც ხშირად ისმის.

172 (M—170), ტაბულა XLIII

ალაპი ეფთხიმი კათალიკოსისთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. ამავე ტაბულის მეორე ალაპის № 170-ის კომენტარი.

173 (M—171), ტაბულა არა აქვს.

ტაბულა ანტონ იშხნელისათვის. ალაპის ტექსტი ძალზე გადასულია. მისი ტაბულაში გაერთიანება ამის გამო ვერ ხერხდება. სვინაქსარში ანტონ იშხნელის კიდევ ერთი ალაპია № 165 (იხ. ამ ალაპის კომენტარი).

174 (M—172). ტაბულა XXXII

პანაშვიდი მიქაელ ქვაბისჯვარელისთვის. მიქაელ ქვაბისჯვარელის კიდევ ერთი

ალაპია სვინაქსარში № 311, რომელიც XIV ტაბულაში ერთიანდება. მიქაელ ქვაბისჯვარელის ალაპთა შემცველი ორივე ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 311 ალაპის კომენტარი). № 311 ალაპი სვინაქსარიდან გადასულა ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში, რაც საშუალებას იძლევა მიქაელის ალაპის დაწერის დრო შემოგვარგლოთ XIII საუკუნის მიწურულით.

175 (M—173), ნარევი ტაბულა V

ალაპი მიქაელ ხუნთანიანისთვის და პანაშვიდი მისი ძის სარგისისთვის. სვინაქსარში ცალკეა შეტანილი მიქაელ ხუნთანიანის მეუღლის აგურანდას ალაპიც, რომელიც XXI ტაბულაში ერთიანდება (№ 184). XXI ტაბულა კი XIII ს. და XIV საუკუნეთა მიჯნით თარიღდება (იხ. № 11 ალაპის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს № 175 ალაპიც.

176 (M—174). ტაბულა XXXII

პანაშვიდი ინასარისძე ჯოდანისა და მისი შვილის სარგისისთვის. ალაპი თარიღდება ტაბულის ზოგადი ქრონოლოგიური საზღვრებით—XIII საუკუნის დამლევისა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 113 ალაპის კომენტარი).

177 (M—175), ნარევი ტაბულა V

ალაპი ქორთოდის ასულის ეკატერინასთვის. ხელის მიხედვით ალაპი XVI საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს, უფრო კი XVII ს. პირველი ნახევრისაა. ხელი მოგვაგონებს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის დროს განწესებულ ალაპებს (შდრ. XX ტაბულას).

ცაიშის ერთმა ხელნაწერმა შემოგვიანა ცნობები დიდი ბატონის როსტომ ქორთობიძისა და მისი ასულის ანიკას შესახებ (იხ. ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზაურობა სამეგრელოში; ძველი საქართველო, III, გვ. 187—188). სომ არ არის ეკატერინეც როსტომის ასული? როსტომ ქორთობიძე, ე. თაყაიშვილის გამოკვლევით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა.

178 (M—176), ტაბულა LVIII

ალაპი მურვან ლობერისთვის. ამავე ტაბულაშია აბუსერისძის სიდედრის ბორენას

ალაპიკ (№ 12). ალაპებში მოხსენებულ პირთა შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. ხელის მიხედვით ტაბულა XIV საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება ლობერი || ლობიერი დაუკავშირდეს სამცხის ლობიეთს (იხ. ვახუშტი, გეოგრაფია, 1941, გვ. 127).

179 (M—177), ტაბულა XXI

პანაშვიდი მიქაელ ოდარიანისა და მისი მეუღლე ბორენასთვის. ალაპი თარიღდება XXI ტაბულის ქრონოლოგიური ფარგლებით XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი).

180 (M—178), ტაბულა XXVIII

წირვა და ალაპი დედოფალთა დედოფლისა შეენიერ-ყოფილი მაკრინესთვის. ალაპი განწესებულია მისი მიცვალების დღეს. ამავე ტაბულაშია გაერთიანებული ალაპი დავით მეფისა, რომელმაც მონასტერს გაუგზავნა ორასი მუტყალი ოქრო, რითაც მონასტერი დიდი ვალისაგან იხსნა (№ 196). შეენიერ-ყოფილი მაკრინეს ალაპები სვინაქსარში კიდევ ორია შეტანილი. ესენია: № 125 და № 208. ეს ორი ალაპი გაერთიანებულია XIX ტაბულაში, რომელიც XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება. № 1 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ შეენიერ-ყოფილი მაკრინე არის გიორგი ანდრონიკეს შვილის ალასტანელის მეუღლე, მონაზვნად შემდგარი გიორგის გარდაცვალების შემდეგ. ამავე ალაპის კომენტარში XIX ტაბულა დათარიღებულია XIV საუკუნის მეორე ნახევრით. ამ დროის ფარგლებში დავით მეფე უნდა იყოს დავით IX (1346—1360 წწ., იხ. დავითთან დაკავშირებით № 7 ალაპის კომენტარი).

181 (M—179), ტაბულა XX

ალაპი გურიელის შვილის ოტიასთვის. ალაპის გამჩენია ნიკიფორე ჩოლაყაშვილი ჯვარის მამა. ამის მიხედვით ალაპი თარიღდება XVII საუკუნის პირველი ნახევრით.

182 (M—180), ტაბულა XLVII

ალაპი გრიგოლ ფანასკერტელისთვის. გრიგოლის ალაპთა დათარიღებისათვის იხ. № 123 და № 118 ალაპის კომენტარები.

183 (M—181), ტაბულა XLVII და XIV

ალაპი ზოსიმე თარგმანისთვის. ზოსიმე თარგმანის ამ ალაპის შესახებ იხ. № 155 ალაპის კომენტარი.

184 (M—182), ტაბულა XXI

პანაშვიდი მიქაელ ხუნთანიანისთვის და მისი მეუღლე აგურანდასთვის. სვინაქსარში შეტანილია კიდევ ერთი ალაპი მიქაელ ხუნთანიანისა და პანაშვიდი მიქაელის შვილის სარგისისთვის (იხ. № 175 ალაპის კომენტარი). № 184 ალაპი თარიღდება XXI ტაბულის ზოგადი ქრონოლოგიური საზღვრებით—XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი).

185 (M—183), ტაბულა XLII

ალაპი ქილას ძის ცოლ-ყოფილისა კანდაკესთვის. შემადინ ქილაძის ცოლ-ყოფილ კანდაკესთვის ალაპი შეტანილია აგრეთვე ტიშენდორფისეული ნუსხის მეორე ნაწილშიც (T—86). კანდაკეს ალაპი თარიღდება XLII ტაბულის მეორე ალაპით, რომელიც ათაბაგ ქაიხოსროსთვის არის განწესებული (№ 309). ქაიხოსრო ათაბაგი გარდაიცვალა 1530 წელს. ალაპი დაიწერებოდა 1501 წლისათვის, ვინაიდან მხეჭაბუკ ათაბაგმა ქაიხოსროს გარდაცვალების უმაღლეს გაგზავნა იერუსალიმში თავისი გაზრდილი ამბროსე შესაწირავებით ქაიხოსროს ალაპისათვის. ამგვარად, შემადინ ქილაძის ცოლ-ყოფილის ალაპიც XVI საუკუნის დამდეგით უნდა დათარიღდეს.

186 (M—184), ტაბულა LIV

ალაპი შერგილ დადიანისა და მისი მეუღლე ნათელისთვის. ტაბულაში, გარდა დადიანთა ალაპისა, ერთიანდება აგრეთვე ბარამ უშაფათელის ძის ალაპი (№ 232).

შერგილ და ნათელ დადიანები არიან XIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის ცოტნე დადიანის მშობლები. ნათელ დადიანის ალაპი სვინაქსარში სხვაც არის (№ 164), ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში კი შეტანილია ცოტნესა და მისი დედის ნათელის ალაპი (T—25). ალაპი დაწერილია XIII საუკუნის შესანიშნავი ნუსხურით. ვრცლად შერგილ და ნათელ დადიანთა შესახებ იხ. № 36 ალაპის კომენტარში.

ალაპი პიპა ვარდანის ძისათვის. XIV ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით. ამავე დროისა უნდა იყოს № 187 ალაპიც. XIV ტაბულაში, გარდა პიპას ალაპისა, არის აგრეთვე ბეშქენ ვარდანის ძის ალაპიც. ამ ალაპისათვის მისმა სიძემ ფურთუხ გარეყანისძემ ორი ათასი თეთრის წითელი მისცა მონასტერს (№ 60). ამავე ტაბულაშია მაკარი გარეყანის ძის შვილის ფორთოხისა (იგივე ფურთუხისა) და მისი მეუღლის—ბეშქენ ვარდანის ძის ასულის ხათუთას ალაპი (№ 140). საფიქრებელია, რომ XIV ტაბულის პიპა ვარდანისძე ენათესავება ბეშქენ ვარდანისძეს და ამდენად ამავე ტაბულის გარეყანისძეებსაც (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

188 (M—186), ტაბულა XLV

პანაშვიდი ეფრემ დმოთიარისთვის. XLV ტაბულაში, გარდა ეფრემის ალაპისა, არის აგრეთვე ორი ალაპი: ვარდან საღირისძისა (№ 203) და რუსი ჩხეტისძისა (№ 117). ამ უკანასკნელი ალაპით შესაძლებელი გახდა XLV ტაბულის დათარიღება XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 117 ალაპის კომენტარი). ამავე დროის უნდა იყოს ეფრემ დმოთიარის ალაპიც.

189 (M—187), ტაბულა XXI

პანაშვიდი ნისიმესი ეგნატის დედისა. XXI ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი). ამავე დროისაა ნისიმეს ალაპიც. საფიქრებელია, რომ ამავე ტაბულის მეორე ალაპი (№ 190) იმავე ნისიმეს შვილის ყელგრძელისთვის არის განწესებული (იხ. მომდევნო ალაპი).

190 (M—188), ტაბულა XXI

პანაშვიდი ნისიმეს შვილის ყელგრძელისთვის. ალაპი ტაბულის მიხედვით თარიღდება XIV საუკუნის პირველი მეოთხედით. ნისიმე ყელგრძელის დედა და ნისიმე ეგნატის დედა ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ორი ერთმანეთის მომდევნო ალაპები ერთიანდება ერთ ტაბულაში. ამგვარად, ყელგრძელი და ეგნატი ძმები არიან. (იხ. № 189 და № 11 ალაპთა კომენტარები).

ალაპი დავით ბურდიაშვილისთვის. ალაპის დათარიღებისათვის იხ. № 40 ალაპის კომენტარი.

192 (M—190), ტაბულა IX

წირვა და ალაპი მირიან კოპაძისთვის. IX ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის პირველი ნახევრით. ამავე დროისაა № 192 ალაპიც. IX ტაბულაში, მირიან კოპაძის ალაპის გარდა, შედის აგრეთვე პატრიკ კოპაძის ალაპიც (№ 121). ერთდროულად და ერთი ხელით დაწერილი ალაპები უნდა ეკუთვნოდნენ არა მარტო თანამედროვეებს, არამედ კოპაძეთა ერთი ოჯახის წევრებსაც.

193 (M—191), ტაბულა XXV

წირვა და ალაპი ვირშელ ერისთვისთვის. XXV ტაბულის ხუთი ალაპი დაწერილია არაკალიგრაფიული კუთხური ნუსხურით. ეს ხელი XIV—XV საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება. ამის მიხედვით ალაპის ვირშელ ერისთავი ვირშელ III უნდა იყოს—XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის 20-იანი წლების მოღვაწე. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 59 ალაპის კომენტარი.

194 (M—192), ტაბულა XXI

ალაპი ყვარყვარესთვის. XXI ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულითა და XIV საუკუნის დამდეგით. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენი ალაპის ყვარყვარე, რომლის ცხოვრების წლები უდგებოდეს XXI ტაბულის ქრონოლოგიურ ფარგლებს. ყვარყვარე ჯაყვლების საგვარეულო სახელია. თუ ჩვენი ყვარყვარეც ჯაყელია, მაშინ ის უნდა იყოს ბექა მანდატურთუხუცესის მეორე ვაჟიშვილი, რომელიც საფარის საბას ტაძრის კედელზეა გამოხატული სარგის პირველთან და ბექა მანდატურთუხუცესთან ერთად ჯერ კიდევ ყრმა, უწვერ-ულვაშო (ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 50—51). თუ № 194 ალაპის ყვარყვარეში ბექას შვილს ვივარაუდებთ, მაშინ ის ალაპი მის სიცოცხლეში ყოფილა განწესებული.

• 195 (M—193), ტაბულა XXVII

წირვა და ალაპი დავით მეფისთვის. № 7 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ № 195

ალაპის დავით მეფე არის დავით IX (1346—1361 წწ.).

196 (M—194), ტ ა ბ უ ლ ა XXVIII

წირვა და ალაპი დავით მეფისათვის. № 180 ალაპის კოპენტარში გარკვეულია, რომ ამ ალაპის დავით მეფე არის დავით IX (1346—1361 წწ.). ამ ალაპის მიხედვით დავითს მონასტრისთვის მიუცია ორასი მუტყალი ოქრო და ამით მონასტერი დაუსხნია ვალისაგან. იგივე ცნობა დავითის მიმართ მეორდება № 286 ალაპში. № 196 ალაპთან დაკავშირებით იხ. № 180 და № 7 ალაპების კომენტარები.

197 (M—195), ტ ა ბ უ ლ ა LIII

ალაპი და პანაშვიდი ჯავახ-ყოფილი სვიმონ თორელისთვის. მისგან მონასტერს აუღია ათას ხუთასი თეთრი. ჯავახ-ყოფილი სვიმონი, ჩანს, ჯვარის მონასტერში მოღვაწეობდა ბერად შედგომის შემდეგ. ამას მოწმობს ალაპის ერთი ადგილი: „ალაპი თორელისა ჯავახისა და აწ სამონაზვნოდ სუმონისა პანაშვიდითა“. ამასვე მოწმობს ალაპის მეორე ადგილი—„ავიდეთ ათას ხუთასი თეთრი...“ კრებულს თითქოს უშუალოდ ჯავახისაგან მიუღია ფული. ჯავახ თორელის ალაპის დათარიღებაში გვეხმარება № 129 ალაპი, რომელიც ჯავახ თორელის ასულის ბობასთვის არის განწესებული. ეს ალაპი XIV ტაბულაში ერთიანდება. ტაბულა კი თარიღდება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დამდეგით. ამავე დროისა უნდა იყოს დაახლოებით ჯავახ თორელის ალაპიც. შესაძლებელია იერუსალიმში მოღვაწე ჯავახმა იზრუნა მისივე ასულის ალაპის განწესებაზე.

№ 197 ალაპის დათარიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამავე ტაბულაში არის სალომე ქართველის მოსახსენებელი, „რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კჳლად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თავი წარეკუთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“ (№ 274). აქამდე არ იყო ცნობილი, თუ რა დროის მოწამეა სალომე ქართველი. LIII ტაბულის დათარიღებამ გაარკვია, რომ სალომე XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ყოფილა, ხოლო უწამებიათ იგი ამავე საუკუნის დამდეგს, საფიქრებელია, მამლუქებს ისევე, როგორც ლუკა ჯვარის მამა იერუსალიმელი. იერუსალიმის სენიაც-

სარის ცნობას სალომე იერუსალიმელის შესახებ პირველად მიაქცია ყურადღება ტიმოთე გაბაშვილმა. მან ეს მოსახსენებელი თითქმის უცვლელად შეიტანა თავის „მიმოსლვაში“ სხვა იერუსალიმელ ქართველ მოღვაწე-მოწამეთა ცხოვრებების გვერდით: „იელისა კ მუნ (იერუსალიმში—ე. მ.) წამებულია წმიდა სალომე, რამეთუ შეუპყრისთ უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდენ რა, განბასრა სარწმუნოება მათი მწენგან მან. ამისა შემდგომად ცეცხლითა და მახვილითა უწამებიათ სანატრელი იგი“ (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 83).

„მიმოსლვის“ გამოკვლევაში ჩვენ ვწერდით: „ჯერჯერობით მიუკვლეველი რჩება სალომე იერუსალიმელის ცხოვრება. იერუსალიმის ხელნაწერთა შემდგომი შესწავლა ალბათ ამ ტექსტსაც გამოაღლენს რომელიმე სენიაცსარში“ (იქვე, გვ. 0214). ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტიმოთეს თავისი ცნობისათვის სალომეს წამების სრული ტექსტი უნდა ჰქონოდა ხელთ. სინამდვილეში ტიმოთეს ცნობა სენიაცსარის ზემოთმოყვანილ სალომეს მოსახსენებელს არაფერს უმატებს. ტიმოთეს, რომ ვრცელი ცხოვრების ტექსტი ჰქონოდა, ის ისევე ვრცლად მოგვაწოდებდა მის შინაარსს, როგორც ის მოიქცა პროზორე ჯვარის მამის, ნიკოლოზ დვალისა და ლუკას ცხოვრება-წამებების მიმართ, რომელთა სენიაცსარული ცხოვრების ტექსტები მის განკარგულებაში იყო. როგორც ჩანს, იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა შესახებ ცნობებისთვის ტიმოთე სარგებლობდა მხოლოდ ჩვენი ალაპების შემცველი სენიაცსარით, საიდანაც მას ამოუღია ცნობები როგორც პროზორეს, ნიკოლოზ დვალისა და ლუკას შესახებ მათი სენიაცსარული ცხოვრებებიდან, ასევე სალომე იერუსალიმელის შესახებ ამავე სენიაცსარის ზემოთ მოტანილი მოსახსენებლიდან.

198 (M—196), ტ ა ბ უ ლ ა XI

ალაპი ალბულა ქავთარაზისათვის. ამ ალაპის დათარიღება ხერხდება XI ტაბულის მეორე ალაპით, რომელიც დადებულია გიორგი ანდრონიკეს შვილისათვის, რომელიც მოიკლა თურქთაგან 1373 წელს (იხ. № 154 ალაპის კომენტარი). XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება ამის მიხედვით XI ტაბულა და მასში შემავალი № 198 ალაპიც.

199 (M—197), ტ ა ბ უ ლ ა XXXVIII

ალაპი დანიელ კოპასძისთვის. ამავე ტაბულაშია კიდევ ორი ალაპი: თურმანისძის

ნონისა და მისი მეუღლის ჯავარის (№ 259) და აისა ებნი ავადისა და მისი ძის მოსე ჯვარის იკონომოსისა. (№ 216). ამ ალაპებში დასახელებულ პირთა შესახებ ცნობები ვერ დაიძებნა. ამიტომ ამ ტაბულის დათარიღება შესაძლებელია მხოლოდ პალეოგრაფიულად. დაწერილია ალაპები XV საუკუნის გაუმართავი ნუსხურით.

200 (M—198), ნარევი ტაბულა VI

ალაპი ხელას ძმის გოგნიას მეუღლე ქეკლუცასთვის. ვრცლად ხელასა და მისი ოჯახის წევრების შესახებ იხ. № 67 ალაპის კომენტარში.

201 (M—199), ტაბულა არა აქვს

შემომწირველთა და მოალაპეთა ზოგადი მოსახსენებელი. ანალოგიური მოსახსენებლები სეინაქსარში ბევრია შეტანილი. ყველა დაწერილია ერთი ხელით.

202 (M—200), ტაბულა XXXVII

ალაპი მეფეთა მეფისა და მოწამისა დიმიტრისთვის. ეს არის დიმიტრი თავდადებულის ალაპი, რომელიც აწამეს 1289 წელს. ტაბულის შესახებ ცნობები იხ. № 26 ალაპის კომენტარში.

203 (M—201), ტაბულა XLV

ალაპი ვარდან საღირის ძისთვის. მისთვისევა დადებული მომდევნო ალაპიც (№ 204), რომლის ტექსტი ძალზე გადასულია, ძლივს იკითხება. შესაძლოა, № 203 ალაპი წარმოადგენდეს საღირისძის გადასული ალაპის განახლებას. XLV ტაბულა თარიღდება 1305 წლის ახლო ხანით (იხ. № 117 ალაპის კომენტარი). ამავე დროით უნდა დათარიღდეს № 203 ალაპის კომენტარიც.

204 (M—201a), ტაბულა არა აქვს

ალაპი ვარდან საღირის ძისათვის. ამ ალაპის შესახებ იხ. № 203 ალაპის კომენტარში.

205 (№—202), ტაბულა არა აქვს

ალაპი გადასულია. არ ჩანს თუ ვისთვის არის ის განწესებული.

206 (M—203), ტაბულა XLVIII

ალაპი და პანაშვიდი მეფეთა მეფის ვახტანგისა და მისი მეუღლე რიფსიმესთვის. ალაპი დადებულია მას ეამსა, „ოდეს ჯუარის მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაელო, მაშინ რეჟი თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სვიმონ მოვანმარეთ მონასტერსა“—კეითხულობთ ალაპში. გამოკვლევაში ამ ალაპს საგანგებოდ ევებით. იქ გარკვეულია, რომ ვახტანგ მეფე არის ვახტანგ II (1298—1308 წწ.), რომელმაც 1299 წელს მიიღო მონაწილეობა მონგოლებთან ერთად ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში და, როგორც ჩანს, ამავე წელს იყო იერუსალიმში და აღმოუჩინა ჯვარის მონასტრიდან გაძევებულ ქართველ ბერებს დახმარება (გამოკვლევა, გვ. 42). ამ ალაპის შესახებ ვრცლად იხ. აგრეთვე № 65 ალაპის კომენტარში.

207 (M—204), ნარევი ტაბულა I

ალაპი ვარდანის ძისა დაასა (!) და ასულისა მარიამისთვის. ალაპი განწესებულია ჯვარის მამა იოანეს მიერ XV საუკუნის მეორე მეოთხედში (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია).

208 (M—205), ტაბულა XIX

დალოცვა შეენიერ-ყოფილი მაკრინესი, რომლისაგანაც მონასტერს მიუღია სამოცდა თოთხმეტი სომი და ორას ორმოცდა ათი მუტყალი ოქრო. დალოცვა გაუჩინა ჯვარის მამა იოსებმა, რომლის მამობის წლებია: XIV საუკუნის მიწურული და XV საუკუნის დამდეგი (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). შეენიერ-ყოფილი მაკრინე ყოფილა გიორგი ანდრონიკეს შვილის მეუღლე. ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. № 6a ალაპის კომენტარში.

209 (M—206), ტაბულა LVI

დალოცვა მარეხ პატრონისა. LVI ტაბულაშია აგრეთვე ჯავახ აფაქისძისა და მისი მეუღლის ბორენას დალოცვა (№ 19), რომელიც დაუწესებია ჯვარის მამა იოსებს. ამის მიხედვით ალაპი თარიღდება XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დამდეგით. ამავე დროისა უნდა იყოს პატრონ მარიხის ალაპიც. პატრონი მარიხი შესაძლოა იყოს ზაქარია ფანასკერტელის და, რომლისთვისაც

ალაპი გაუჩინია ჯვარის მამა პიმენ მაწყვერელს (№ 136 ალაპი). ამ ალაპში ზაქარია ფანასკერტელი და მისი და მარინი ერთად არიან მოხსენიებული. პიმენ მაწყვერელი იოსების მომდევნო ჯვარის მამაა. მისი მამობის წლებია XV საუკუნის ათიანი წლები. ამგვარად, დროის თვალსაზრისით ეს ალაპები სავსებით ხედებიან ერთმანეთს. იოსების განწესებული ალაპი რამდენიმე წლით უფრო ადრეული უნდა იყოს, ვინემ პიმენის განწესებული ალაპი. ამას, სხვათა შორის, ალაპებიც მოწმობენ: იოსების დროს დაწერილია მარეხის დალოცვა, ე. ი. მარეხი ამ დროისათვის ცოცხალი ყოფილა. ხოლო პიმენმა კი ზაქარია ფანასკერტელსა და მის და მარეხს საუკუნო ალაპი გაუჩინა. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის ორივე მიცვლილია (იხ. № 118, № 19 და № 136 ალაპთა კომენტარები).

M-207, ტაბულა არა აქვს

ალაპი № 207 არის შემომწირველთა ზოგადი დალოცვა, რომელიც ჩვენ ალაპებში შეტანილი არა გვაქვს იმის გამო, რომ აქ არ არიან პირები მოხსენიებული (იხ. № 201 ალაპის კომენტარი).

210 (M--208), ტაბულა VII

თ მო გველ-უჯარმელთა ასულმა მამქან ყოფილმა მარინემ ააშენა ჯვარის გალავნის ბურჯი სამამოსაქენ და გაიღო აგრეთვე 60 ფლური თაყა ფანასკერტელის, მისი მეუღლე მარინეს, მარინეს ძმის როინისა და მშობელთა სულის შეწყალებისათვის. ამ პირთა ვინაობა გარკვეულია № 114 ალაპის კომენტარში.

211 (M-209), ტაბულა არა აქვს

პანაშვიდი მონასტრის ძმის გიორგი ხარაზისათვის ალაპის ტექსტი გადასულია, რის გამოც ალაპის ფოტო ტაბულებში ვერ შევიტანეთ. გიორგი ხარაზისათვის სვინაქსარში კიდევ ორი ალაპია განწესებული: № 33 და № 34. უკანასკნელი ალაპი ერთიანდება XII ტაბულაში, რომელიც პალეოგრაფიულად XIII საუკუნით თარიღდება (იხ. № 23 ალაპის კომენტარი).

212 (M-210), ტაბულა XVI

ალაპი გიორგი მოზდოდინისთვის, რომელმაც ჯვარის მონასტრის საალაპედ ათასი

დრამა მისცა. XVI ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (იხ. № 16 ალაპის კომენტარი).

213 (M-211), ტაბულა XXX

ალაპი და პანაშვიდი ერისთავთ ერისთავის გიორგი და დიანისთვის. № 10 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ № 213 ალაპის გიორგი და დიანი არის გიორგი II და დიანი, რომელიც გარდაიცვალა 1384 წელს. ალაპი ძალზე დაზიანებულია, რის გამოც ტაბულაში მისი ფოტოპირის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

214 (M-212), ტაბულა XXX

მეფეთ მეფე გიორგის გან მონასტერმა მიიღო 100 ფლური, რისთვისაც მას გიორგობა დღეს (23 აპრილს) გაუჩინეს კარგალებული ალაპი თამის წირვით. № 10 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ გიორგი მეფე უნდა იყოს ალექსანდრე იმერთა მეფის ძე, რომელიც გამეფდა ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, 1389 წელს, და დაიღუპა ვამეყ დადიანთან ბრძოლაში 1392 წელს.

215 (M-213), ტაბულა LXIII

თაყა ამილახორის ქალმა როდამყოფილმარი ფსიმემ იყიდა მონასტრის გაყიდული მალ... ი(ტ)ი, ოხერი წისკილი ხელმეორედ ააშენა ბორბლითა და ქვითა და ყველაფერი ეს შეუწირავს მონასტრისთვის. ამისთვის როდამყოფილი რიფსიმე თხოულობს შენდობას თავისთვის და მისი სულიერი შვილის თეკლასთვის, მშობელთათვის და ძისათვის.

ვინ უნდა იყოს ამ ალაპის თაყა ამილახორი და მისი ასული როდამყოფილი რიფსიმე? ხელის მიხედვით ალაპი XV—XVI საუკუნეებისაა. მეორე მხრით, სვინაქსარის ალაპებში ჩანს ამილახორ ფანასკერტელის ცოლ-ყოფილი რიფსიმე. ხომ არ არის რიფსიმე იგივე თაყა ამილახორის ქალი როდამყოფილი რიფსიმე? ამის თქმა ვაჭირდება, ვინაიდან ამილახორის ალაპი XV საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება, როდამყოფილი რიფსიმეს ალაპი კი უფრო გვიანდელი ჩანს ხელის მიხედვით. ამავე ტაბულის მეორე ალაპი (№ 161) XVI ს. დამდგზე ადრე არ უნდა იყოს დაწერილი (იხ. ამ ალაპის კომენტარი). ამიტომ № 215 ალაპისათვის ქრონოლოგიურ საზღვრად XV—XVI სს. მიჯნა უნდა მივიჩნიოთ. უფრო დასაშვებ-

ბია, რომ ჩვენი ალაპის თაყა ამილახორი იყოს ის თაყა, რომელიც XV ს. 40-იან წლებში ჩანს ისტორიულ საბუთებში (ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 41 და 63, აგრეთვე ქრონიკები, II, 236, 240). შეიძლება დავუშვათ, რომ თაყა ამილახორის ასული XV საუკ. უკანასკნელ ოცეულში შედგა მონაზვნად (საფიქრებელია იერუსალიმში) და გარკვეული თანხა გაიღო ჯვარის მონასტრის სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც მას ალაპი განუწესეს.

ამ ალაპთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ტერზინის საკითხიც, რომელიც ამ ალაპს შემოუნახავს. ალაპში ვკითხულობთ: „თაყა ამილახორის ქალმან როდამ-ყოფილმან რიფსიმე ვიყიდე მალ... რი(ტ)ა გასყიდული, და მეორედ კიდევ ქუისათუი დაარღუევდეს და კიდევ მეორედ ვიყიდე“.

„მალ... რი(ტ)ა ალაპში გადასულია, ცუდად იკითხება. ის ვერ ამოუკითხავს ნ. მარს ხელნაწერში, მით უფრო ძნელი ამოსაკითხავია იგი ჩვენს ხელთ არსებულ ფოტოში. ამიტომ ამ სიტყვის მნიშვნელობის აღდგენა მხოლოდ ვარაუდით შეიძლება. აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია რაღაც ქვის ნაგებობაზე, რომელიც პირველად გაუყიდათ, ხოლო მეორედ ქვისათვის დაუნგრევიათ. ის შენობა, საფიქრებელია, რაღაც სამეურნეო ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან რიფსიმეს შეუსყიდა და კვლავ მონასტრისთვის შეუწირავს ისევე, როგორც მის მიერვე ხელმეორედ აშენებული „ოხერი“ წისქვილი. ფეიქრობთ, რომ გადასული სიტვის მაგივრად თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მალარიკონი, ან ამ სიტყვის რაიმე ადგილობრივი ვარიანტი. ამ სიტყვის დასაწყისი მალ გარკვევით ჩანს, შემდეგ არ იკითხება ერთი ან ორი ასო. შემდეგ აშკარად იკითხება რი და ბოლოში ა. რი-სა და ა-ს შორის თითქოს ტ იკითხება, მაგრამ ეს წაკითხვა ძალზე საეჭვოა. ამგვარად, ალაპის გადასული სიტყვის შემონახული დასაწყისი და შუა ასოები საფუძველს გვაძლევენ აქ სიტყვა მალარიკონი ვივარაუდოთ.

გასარკვევია ამ სიტყვის მნიშვნელობა და ისიც, თუ რამდენად შეეფერება ეს მნიშვნელობა ალაპის კონტექსტს.

სიტყვა მალარიკონი დამოწმებულია საბასთან. საბასთვის ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა უცნობია, მაგრამ თავის ლექსიკონში მას მოტანილი აქვს ამ სიტყვის შემცველი ციტატა „დიდი ტვიპიკონიდან“: „არა ვსუამთ სატრაპეზოთ ღვინოსა, არამედ შეიზავების მალარიკონსა შინა ღვინოა და

მიეცემის ეკლესიის მშენებელთა“. ეს ციტატა ამოგლეჯილია ტექსტიდან, ამიტომ აზრი ბოლომდე გასაგები არ არის. ერთი კი აშკარაა, რომ მალარიკონი არის ნაგებობა, სადაც ზავდება ღვინო, ხოლო საბერძნეთში ღვინის შეზავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, საბას ციტატა ამოღებულია ბერძნულიდან თარგმნილი სამონასტრო ტიპიკონიდან (თუ რომელი ტიპიკონი ჰქონდა საბას ხელთ, ეს ჯერ გარკვეული არ არის). სავარაუდოა, რომ მალარიკონი რაღაც ნაგებობის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც ქართულში ბერძნულის გზით უნდა შემოსულიყო. მართლაც, ახალ ბერძნულში ეს სიტყვა ახლაც იხმარება: μαζήριχο το ნიშნავს სასადილოს, სამზარეულოს. შესაძლებელია სამონასტრო კოლექტივში მას უფრო ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა და ნიშნავდა დამზარე სამონასტრო ნაგებობას, სადაც სამეურნეო საქმეები გვარდებოდა და პირველ რიგში კი ღვინო ზავდებოდა. ეს სამონასტრო ნაგებობა, რომ ღვინის დაყენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამას, ჩვენი ფიქრით, ზემოთ განხილული ალაპიც უჭერს მხარს, ალაპიდან ვგებულობთ, რომ როდამ-ყოფილ რიფსიმეს მოუთხოვია, რომ გაწეული სამსახურისთვის „რაა მაჰარი დაიდგომოდეს (ეს ჩვენ მიერ მოტანილი ცნობით მალარიკონში ხდებოდა, მალარიკონი კი რიფსიმემ შესწირა მონასტერს), ერთი ხუცესი ჟამსა მიწირევდინ და ალაპი გარდაიდებოდეს საუკუნო“ მისთვის და მისი სულიერი შეილისთვის. ამგვარად, როდამ-ყოფილი რიფსიმე თხოულობს, რომ მის მიერ განახლებულსა და მონასტრისათვის შეწირულ მალარიკონში დაყენებული მაჰარის თანხებით მას გადაუხადონ ჟამის წირვა და ალაპი. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთსავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნიკოლოზ გულაბერისძის ალაპშიც. ნიკოლოზ გულაბერისძეს მონასტრის გაყიდული ვენახი გამოუსყიდა და კვლავ მონასტრისთვის შეუწირავს, ამის სანაცვლოდ მონასტრის კრებულს განუწესებია, რომ „მისგან უკმოსყიდულისა ვენახისა ღვინოა თავის თვე შთაიხმიდის, ალაპსაცა ივმარებდის, და ვინცა მას დღესა ნიკოლოზისთვის შეიმოსებოდეს ხუცესი, მათცა მიეცემოდეს თითო ლიტრაჲ ღვინო, და სხვაჲ რომელი დარჩეს, მონასტერმან ივმაროს“ (№ 127). აქაც, ისევე, როგორც როდამის ალაპის შემთხვევაში, მონასტერი შემომწირველის ნაამაგვეიდან იხდიდა ალაპის საფასურს. პირველ შემთხვევაში როდამის გამოსყიდულ მალარიკონში დაყენებული ღვინოა სააღაპედ განუწესებული, მეორე შემთხვევაში კი ნიკოლოზის მიერ უკმოსყიდული ვენახის ღვინო.

ვეფქრობთ, რომ არ უნდა იწვევდეს ექვს ის, რომ როდამ-ყოფილი რიფსიმეს ალაპის გადასული სიტყვა მალარიკონს უნდა ნიშნავდეს. ამ სიტყვის შინაარსის გახსნამ კი შესაძლებელი გახდა საბას ერთი განუმარტავი სიტყვის ახსნაც. მალარიკონი ნიშნავს მონასტრის სამეურნეო ნაგებობას, რომელსაც ღვინის დასაყენებლად იყენებდნენ. ჩანს, ის მარნის ფუნქციებს ასრულებდა. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის გაშლილი მეურნეობისათვის მარანი, რა თქმა უნდა, მეტად საჭირო იყო, ამიტომ მის გამოსყიდვა-გაშენებაზე ზრუნვა სავსებით ბუნებრივია.

216 (M—214), ტაბულა XXXVIII

ალაპი აისა ავად ებნისა და მისი ძის, ჯვარის იკონომოსის მოსესთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 199 ალაპის კომენტარი.

217 (M—215), ტაბულა XXI

ალაპი გიორგი წვერდიდისა. ტაბულისა ქრონოლოგიური ფარგლებია: XIII საუკუნის უკანასკნელი ათეული და XIV საუკუნის მეორე ათეული (იხ. № 42 ალაპის კომენტარი). ამავე დროს უნდა იყოს გიორგი წვერდიდის ალაპიც.

218 (M—216), ტაბულა XXI

ალაპი ჯვარის მონასტრის ძმის მარკოხისთვის. XXI ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 11 ალაპის კომენტარი). ამავე დროს უნდა დათარიღდეს მარკოხის ალაპიც.

219 (M—217), ტაბულა XXXVI

ალაპი ტაიბულა ლონგოხს ძისა და მისი მეუღლე ბურდუხანისთვის. ამავე ტაბულაშია კიდევ № 269 ალაპი, განწესებული სიქანელიძის ასულ აფა-ყოფილ ანასთვის. ცნობები ამ პირთა შესახებ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ. ტაბულა პალეოგრაფიულად ძველია. XIII საუკუნის II ნახევრითა და XIV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა შემოიფარგლოს.

220 (M—218), ტაბულა XVII

ალაპი რუსუდანის გაზრდილის სალომესთვის. ამავე ტაბულაშია ალაპი ქველივა-

დის პირნათელისთვის (№ 108). ალაპები დაწერილია XIV—XV საუკუნეების მსხვილი ნუსხურით. სხვა მონაცემები ამ ალაპთა დასათარიღებლად არ გაგვაჩნია.

221 (M—219), ნარევი ტაბულა II

დალოცვა ქრისტიანი ტყვე ქალისა ელენესი, რომელიც ჯვარის მონასტერში მივიდა და შესწირა მას ერთი შესამოსელი. პალეოგრაფიულად ალაპი XIV—XV საუკუნეებისა უნდა იყოს.

222 (M—220), ტაბულა XIV

პანაშვიდი ბოცოვის ძისა ინასი და მისი მეუღლისათვის. XIV ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის 20-იანი წლებით (იხ. № 60 ალაპის კომენტარი). ამავე დროსა უნდა იყოს ბოცოვის ძის ინასი და მისი მეუღლის ალაპიც.

223 (M—221), ტაბულა LII

ალაპი ივანე ათაბაგის დის, დედოფლის ნათია-ყოფილის ნისიმესთვის. ივანე ათაბაგის ვინაობის გარკვევაში გეგმარება მომდევნო ალაპი (№ 224), რომელიც აგრეთვე LII ტაბულაში ერთიანდება. ამ ალაპიდან ვგებულობთ, რომ ივანე ათაბაგს ჯვარის მონასტრის კრებულისათვის გაუგზავნია ფასი თურქთაგან დაჭრილი მისი ლაშქრის მოსახსენებლის განწესებისათვის: „აქა მოგვეიდა ფასი ივანე ათაბაგისგან თურქთაგან დაჭრილთათვის კვიციანის თუესა სამსა მისთა ლაშქართა მართლმადიდებელთა... გაუჩინეთ დალოცვა მე, მამამან პიშენ, და კრებულმან... „პიშენ მაწყვერელი, შემდეგ ჯვარის მამა, იერუსალიმში ჩასულა 1400 წელს (იხ. ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 44). პირველ ხანებში ის მონასტერში როგორც მაწყვერელი მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ იგი ჯვარის მამად აურჩევიათ. მისი ჯვარის მამობის ხანაა დაახლოებით XV საუკუნის ათიანი წლები. ამავე დროს სამცხეში მოღვაწეობდა ივანე ათაბაგი, აღბუღას ძე, რომელიც გიორგი VII-სთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა თემურ ლენგს, რის გამოც მას თემური დიდად ემტერებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 303). თემურ ლენგმა რამდენჯერმე ააოხრა სამცხე. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სამცხისთვის მისი მეორე შემოსევა, რომელსაც ადგილი

ქონდა 1393 წელს (ქართლის ცხოვრება, II, 1959 წლის გამოცემა, გვ. 233). ამ შემოსევის დროს თემური მთელი თავისი ძალით დააცხრა სამცხეს და მრავალი ხალხიც იმსხვერპლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ივანეს მიერ განწყობებული ალაპი სწორედ ამ ბრძოლის დროს დაჭრილებს ეხება. ალაპში დღეც კია აღნიშნული, თუ როდის გადაიხადეს ქართველებმა ეს ზიმი ბრძოლა. ივანე ათაბაგის და ალაპში დედოფლად არის წოდებული. ვისი გეულღე უნდა ყოფილიყო ნათია-ყოფილი ნისიმი, ძნელი სათქმელია. ხომ არ იყო ნათია-ყოფილი ნისიმი გიორგი VII-ის პირველი ცოლი, შემდეგ ზონაზენად შემდგარი? ამითაც ხომ არ აიხსნება ივანე ათაბაგის ერთგულება გიორგი VII-სადმი?

224 (M-222), ტაბულა LII

კვირიკობის სამს დალოცვა თურქთაგან დაჭრილ ლაშქართა. დალოცვის საფასური ჯვარის მონასტრის კრებულმა მიიღო ივანე ათაბაგისაგან (იხ. წინა (№ 223) ალაპის კომენტარი).

225 (M-223ii), ნარევი ტაბულა V

ამირა თავდირიძისთვის არის განწყობებული № 225 და № 226 ალაპები. ალაპები დაწერილია სხვადასხვა ხელით. პალეოგრაფიულად ორივე ალაპი XV საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს.

226 (M-223b), ნარევი ტაბულა V

ალაპი ამირა თავდირიძისთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. წინა (№ 223) ალაპის კომენტარი.

227 (M-224), ტაბულა XLVIII

ალაპი, პანაშვიდი და წირვა ჯვარის მამა სოლომონისთვის. ამ ტაბულის ალაპები დაწერილია XIII საუკუნის დამლევისა და XIV საუკუნის პირველ მეოთხედში (იხ. № 65 ალაპის კომენტარი). სოლომონის ჯვარის მამობის წლებია XIII საუკუნის დამლევი და XIV საუკუნის დამლევი. მისი გარდაცვალების გამოა განწყობებული № 227 ალაპი მონასტრის კრებულის მიერ.

№ 228 (M-225), ტაბულა XVIII

დალოცვა მარკოზ ბედიელისა, რომლითაგანაც მონასტრის კრებულს მისვლია დიდი შე-

საწირავი. XVIII ტაბულა თარიღდება XIV—XV საუკუნეებით (იხ. № 103 ალაპის კომენტარი).

229 (M-226), ტაბულა V

ალაპი მახარებლისა და სვიმონისთვის. რომელთაც ჯვარის მონასტრის შესწირეს 1000 დრამა. V ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის შუა წლებით (1250—1260 წწ.). ამ ალაპთან დაკავშირებით იხილეთ № 3 ალაპის კომენტარი.

230 (M-227), ტაბულა LV

პანაშვიდი არსენი ცონცურიკაათისა და რომელმაც შესწირა ეკლესიას 1 ოთხთავი, 1 საწინასწარმეტყველო, 1 მარხვანი და ერთი ზატყი. ამ ალაპის დამწერისთვის დამახასიათებელია უნის მაგივრად ონის წერა. ამავე ტაბულაში პირობით გავერთიანეთ № 283 ალაპი, ვინაიდან ამ ორი ალაპის ხელი ძალიან მსგავსია, მაგრამ ალაპები განსხვავდებიან მართლწერის თვალსაზრისით. ორივე ალაპი პალეოგრაფიულად XV—XVI საუკუნეების ხელითაა დაწერილი.

231 (M-228), ტაბულა XXIX

ალაპი არსენი გორაძისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 42 ალაპის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს არსენი გორაძის ალაპიც.

232 (M-229), ტაბულა LIV

პანაშვიდი და წირვა უშაფათელისძის ბარამისთვის. ამავე ტაბულაშია № 186 ალაპი, განწყობული შერგილ დადიანისთვის, რომელიც კობტას აჯანყების (1247 წ.) ცნობილი მონაწილის ცოტნეს მამაა. ამის მიხედვით ტაბულა XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ამავე დროისა უნდა იყოს უშაფათელის ძის ბარამის ალაპიც.

233 (M-230), ტაბულა არა აქვს

პანაშვიდი მონასტრის ძმის საბასთვის. ალაპის ტექსტი გადაფხევილია. ამის გამო მისი ფოტოს დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. საბასთვის კიდევ ერთი ალაპია განწყობული სვინაქსარში (№ 235). ეს ალაპი XXIV ტაბულაში ერთიანდ-

ბა, რომელიც XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (იხ. № 234 და № 170 ალაბთა კომენტარები). ამავე დროისა უნდა იყოს № 233 ალაპიც.

234 (M-231), ტაბულა XXIV

პანაშვიდი ქართლის კათალიკოზის ეფთვი-მესთვის. ეს უნდა იყოს ეფთვიმე III, რომლის ზეობის ხანაა 1310—1335 წლები (იხ. № 170 ალაბის კომენტარი). ამის მიხედვით ტაბულა უნდა დათარიღდეს XIV საუკუნის პირველი ნახევრით.

235 (M-232), ტაბულა XXIV

პანაშვიდი მონასტრის ძმის საბასთვის. შესაძლებელია, ეს ალაპი წარმოადგენდეს № 233 გადაფხეილი ალაბის განახლებას. ასეთი შემთხვევები სვინაქსარში ხშირია. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 234 ალაბისა და № 170 ალაბის კომენტარები).

236 (M-233), ტაბულა XXXII

ალაპი გარეყანის ძმის ფურთუხისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით. გარეყანის ძმა ფურთუხი ნათესავი უნდა იყოს XIV ტაბულის გარეყანისძეებისა (იხ. № 60 ალაბის კომენტარი და იქვე გარეყანისძეთა გენეალოგია).

237 (-M), ტაბულა I

შესანდობარი მეფის ძმის გიორგისთვის. ალაპი ხელის მიხედვით XV საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს.

ერთმანეთის მომდევნო ორი ალაპი (№№ 237 და 238) ერთი ხელითაა დაწერილი, როგორც ჩანს, ერთდროულად. ეს ორი ალაპი ერთმანეთს ავსებებს კიდევ. ასე მაგ. № 237 ალაპში მოხსენიებულია მეფის ძმა გიორგი, მაგრამ, თუ რომელი მეფის ძმა იგი, აქ აღნიშნული არ არის. მეორე ალაპი კი განწესებულია მეფეთ მეფე ალექსანდრესთვის. ცხადია, ერთდროულად განწესებულ ალაპებში აღარ სცნეს საჭიროდ მეფის სახელის გამეორება. განწესებულა ალაპი მეფეთ მეფე ალექსანდრესთვის და მისი ძმის გიორგისთვის, რომელიც, ჩანს, თვითონ მეფე არ ყოფილა, მაგრამ ძმა ყოფილა სახელოვან მეფეთა მეფის ალექსანდრესი. XV საუკუნის მეფეთ მეფე ალექსანდრე უნდა იყოს ალექსანდრე დიდი, რომელსაც მართლაც ჰყავდა ძმა გიორგი (იხ. ი. ჯავახი-

შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV. გვ. 26).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამავე პირებს უკავშირდება 1476 წელს დაწერილი ერთი საგულისხმო ალაპი ალექსანდრეს ძმისწულის ბაგრატიანსა (იხ. № 252 ალაბის კომენტარი). ნ. მარის გამოცემაში ალაპი № 237 გამოჩენილია.

238 (M-234), ტაბულა I

მეფეთ მეფის ალექსანდრეს მოსახსენებელი. ალექსანდრე მეფეთ მეფე უნდა იყოს ალექსანდრე დიდი (1412—1443). იხ. წინა ალაბის კომენტარი.

239 (M-235), ტაბულა XLVIII

ალაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფის კოსტანტინესთვის, რომელმაც ჯვარის მონასტერი ახლად შეკაზმა. XLVIII ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის მიწურულთა და XIV საუკუნის დამლევით (პირველი მეოთხედის მანძილზე). იხ. ამ ტაბულისა და ალაბის დათარიღება № 65 ალაბის კომენტარსა და აგრეთვე გამოკვლევაში, გვ. 43.

გამოკვლევაში გარკვეულია, რომ № 239 ალაპის აფხაზთა მეფე კოსტანტინე უნდა იყოს იმერთა მეფე კოსტანტინე პირველი, რომელიც ვახუშტის ცნობით გარდაიცვალა 1327 წელს.

240 (M-236), ტაბულა XXXII

ალაპი და წირვა შაჰანშას შვილის არდაშერისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 113 ალაბის კომენტარი). ჩვენი ალაპის არდაშირი უნდა იყოს შვილი შაჰანშა I-ის (გარდ. 1261 წ. დ. ალიშანის გენეალოგიის მიხედვით). არდაშერი მოხსენიებულია აგრეთვე № 305 ალაპში (იხ. № 11 ალაბის კომენტარი).

241 (M-237), ტაბულა XXI

ალაპი მიქაელ ფახულანისათვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულით და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 42 ალაბის კომენტარი). ამავე ტაბულაში ერთიანდება მომდევნო ორი ალაპიც.

242 (M-238), ტაბულა XXI

ალაპი ქარციის ძისათვის მახარებლისა. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულითა და XIV საუკუნის დამლევით (იხ. № 42 ალაბის კომენტარი). ამავე დროისაა მახარებლის

ალაპიც. ამავე ტაბულაში ერთიანდება წინა და მომდევნო ალაპები.

243 (M—239), ტაბულა XXIX

პანაშვიდი ივანაძესთვის (იხ. № 241 ალაპის კომენტარი).

244 (M—240), ტაბულა ნარევი IV

ალაპი სულა-ყოფილი სერაპიონ ხურსიძისთვის. ალაპის ტექსტი გადასულია, ძნელად იკითხება. ხელის მიხედვით XV საუკუნისა უნდა იყოს. ცნობები სულა-ყოფილი სერაპიონ ხურსიძის შესახებ ჩვენ არ გავაჩნია.

245 (M—241), ტაბულა LI

დალოცვა პატრონის გიორგი დადიანისა და მის შვილთა. ამავე ტაბულაშია გიორგი დადიანის მეუღლე-ყოფილის, თამარ-ყოფილი თომაიდას, ალაპიც (№ 107). ორივე ალაპი გიორგი დადიანის სიცოცხლეშია განწესებული. № 10 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ № 245 ალაპის გიორგი დადიანი არის გიორგი II დადიანი, რომელიც 1384 წელს გარდაიცვალა (იხ. აგრეთვე № 107 ალაპის კომენტარი).

246 (M—242), ტაბულა XXXII

პანაშვიდი ათაბაგ სარგის ჯაყელისთვის, რომელსაც ალაპი მისმა მეუღლე თეკლამ გაუჩინა. აქვე, ამავე დღეს განწესებულია წირვა და ალაპი მანდატურთუხუცესის ბექასთვის. ალაპის სარგისი არის სარგის პირველი ათაბაგი, რომელიც 1285 წლისთვის მიცვლილია, ხოლო ბექა — მისი შვილი მანდატურთუხუცესი (გარდ. 1306 წ.).

247 (M—243), ტაბულა LXII

ალაპი მანდატურთუხუცესისა, ერისთავთ ერისთვის ცოტნე დადიანისთვის. გურიელის ასულმა მარიამ-ყოფილმა მაკრინემ საალაპედ ათასი თეთრი „მოაქსენა“ ჯვარის მონასტრის კრებულს. ამავე ტაბულაში არის მარიამ-მაკრინეს დალოცვა (№ 249), რომელსაც მონასტრისათვის 2000 თეთრი მიუცია. საფიქრებელია, მარიამ-ყოფილი მაკრინე ცოტნე დადიანის ცოლ-ყოფილია. ამავე ტაბულის № 96 ალა-

პით თარიღდება მთელი ტაბულა. ეს ალაპი სამადავლე მაკარისძეს გაუჩინა მისმა მეუღლე-ყოფილმა ფოტინემ ჯვარის მამა იოსების დროს. იოსების ჯვარის მამობის წლებია—XIV საუკუნის დამლევი და XV საუკუნის პირველი წლები. ამავე დროისა უნდა იყოს ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ცოტნე დადიანის ალაპიც. ამ ცოტნეს გაიგივება კობტას აჯანყების ცოტნე დადიანთან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

248 (M—244), ტაბულა XXXII

ალაპი ათაბაგ სარგის ჯაყელისთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 246 ალაპის კომენტარი.

249 (M—245), ტაბულა LXII

მარიამ-ყოფილი მაკრინეს დალოცვა. მარიამ-ყოფილი მაკრინე, საფიქრებელია, არის ცოტნე ერისთავთ ერისთავის. დადიანის მეუღლე-ყოფილი (იხ. № 247 ალაპის კომენტარი).

250 (M—246), ტაბულა IX

ალაპი ფანასკერტელის ცოლის რუსუდანიისთვის. რუსუდანი, როგორც ეს გარკვეულია № 65 ალაპის კომენტარში, არის დიმიტრი თავდადებულის ასული და თაყა ფანასკერტელის მეუღლე.

251 (M—247), ტაბულა XLVIII

ალაპი სოლომონისთვის. ამავე ტაბულაშია აგრეთვე ალაპი, განწესებული ჯვარის მამა სოლომონისთვის (№ 227). საფიქრებელია, რომ ეს ერთი და იგივე პირის ალაპებია. სოლომონის ჯვარის მამობის წლებია—XIII საუკუნის დამლევი და XIV საუკუნის პირველი წლები (იხ. № 227 ალაპის კომენტარი).

252 (M—248), ნარევი ტაბულა II

ალაპი განწესებულია ალექსანდრეს ძმისწულის ბაგრატიისთვის, რომელმაც 1476 წელს იშოვა გოლგოთა და ააშენა მისი გუმბათი. ამ რთული საქმის გაძღოლა შეეძლო მხოლოდ გავლენიანსა და შეძლებულ პიროვნებას. ვინ შეიძლება ყოფილიყო ასეთი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ უთუოდ მეფე ან მეფის საგვარეულოს წევრები უნდა იგულისხმებოდნენ. ყოველგვარი ტიტულის გარეშე ალექსანდრეს მოხსენება ამ პირის დიდ

პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ შე-
მთხვევაში, ისევე როგორც № 237 ალაპში,
ალექსანდრე დასახელებულია როგორც საყოველ-
თაოდ ცნობილი პირი, რომლის ძმისა თუ ძმის-
წულის ვინაობა ალექსანდრესთან მიმართებით
უნდა გახდეს ცნობილი მკითხველისათვის. ასეთი
დიდი და სახელმძღვანელო მეფე XV საუკუნეში
ალექსანდრე დიდი იყო. ამგვარად, № 237 ალა-
პი განწესებულია ალექსანდრე დიდის ძმის გიორ-
გისთვის, ხოლო ალაპი № 252 ალექსანდრეს ძმის-
წულის ბაგრატისთვის. 1476 წელს შეფობდა ბაგ-
რატ VI. 1466 წელს, იმის შემდეგ, რაც გიორგი
VIII ყვარყვარე ათაბაგმა ტყვედ ჩაიგდო, იმერე-
თიდან გადმოვიდა ბაგრატი და ლიხთამერისა და
ლიხთიმერის ტახტების მფლობელად და მეფეთა
მეფედ გახდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი
ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 97).

სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც არ არის
დადგენილი ბაგრატ VI ვინაობა. ვახუშტის ის
დღიური იმერთა ერისთვის ძედ მიაჩნია (ვახუშ-
ტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გა-
მოც. 1913, გვ. 280, 281). ბაგრატ VI ვინაობის
სპეციალური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ
ის არის არა დღიური ერისთავის ძე, არამედ
გიორგის ძე (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი
ერის ისტ., ტ. IV, გვ. 80; ს. კაკაბაძე, გენეა-
ლოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მე-
ფისა, თბილისი, 1912, გვ. 4). თუ ვინ არის
ბაგრატის მამა გიორგი, ამის შესახებ სამე-
ცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გა-
ვრცელებული. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ
გიორგი პირადად მეფე არ უნდა ყოფილიყო;
ხოლო ბაგრატი დედის მხრით რუსუდანის შთა-
მომავლობის ბაგრატიონთა საგვარეულოს იმ
შტოს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოს გა-
ერთიანების შემდეგ დამცრობილ იქნა (ივ. ჯა-
ვახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 83). ს. კაკაბა-
ძის ვარაუდით კი ბაგრატი არის ალექსანდრე
დიდის ძმის (ბაგრატ აფხაზთა მეფის) ძის (გიორ-
გის) ძე (იხ. ს. კაკაბაძის დასახ. წერილი,
გვ. 8).

№ 252 ალაპის მიხედვით, ბაგრატ VI არის
ალექსანდრეს ძმისწული. მეორე მხრით № 237—
238 ალაპებში მოხსენიებული არიან მეფეთა მეფე
ალექსანდრე და მისი ძმა გიორგი. თუ № 252
და № 238 ალაპების ალექსანდრე ერთი და იგი-
ვე პირია, მაშინ შეიძლება დაეუწვათ, რომ ალექ-
სანდრეს ძმა გიორგი (ალაპი № 237) ბაგრატ
VI-ის მამაა.

თუმცა არ არის გამოჩენილი არც ის შესა-
ძლებლობა, რომ № 237 და № 238 ალაპებში
მოხსენიებული იყვნენ არა ალექსანდრე დიდი
და მისი ძმა გიორგი, არამედ იმერთა მეფე ალექ-
სანდრე V (ვახუშტით) და მისი ძმა გიორგი პირ-
ველი (იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება,
დასახ. გამოც., გვ. 279). მაშინ ამ ალაპთა და-
კავშირება ბაგრატ VI ალაპთან (№ 252) ვერ მო-
ხერხდება.

ალაპის მიხედვით, ბაგრატ VI-მ 1476 წელს
იშოვა გოლგოთა და ააშენა მისი გუმბათი.

XV საუკუნეში ქართველები მართლაც ფლობ-
დნენ გოლგოთას. რ. ჟანენი წერს: „ას ორმოცდა
ათი წლის განმავლობაში ქართველები შვედო-
ბიანად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სა-
ვანე-სამლოცველოს. მხოლოდ XV საუკუნის და-
სასრულს ლათინებმა ჩამოართვეს ამ დაწესებუ-
ლების ნახევარი. 1475 წელს დასავლეთის სამ-
ღვდელოებას სურდა დაესაქუთრებინა სრულად
ეს ადგილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ
დაჩა. ადგილობრივ სასამართლოს განაჩენით,
1492 წლის თარიღით, ქართველებს რჩებოდათ
თხემის ჩრდილოეთის მხარე და ფრანგებს სამხრე-
თისა... ამ დაეაზე 2000 დინარი დახარჯულა“
(რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 1921,
გვ. 18—19). ჩვენი ფიქრით, № 252 ალაპში სწო-
რედ 1475 წლის ამბავია ნაგულისხმევი, — ბერძენ-
თა მორიგი გალაშქრება ქართველთა უფლებების
წინააღმდეგ, რომელიც 1476 წელს, ალაპის თანა-
ხმად, ქართველთა სასარგებლოდ გადამწყდარა.
გოლგოთაზე ქართველთა უფლებების დაცვა უკის-
რია ალექსანდრეს ძმისწულს ბაგრატს, რომელსაც
გოლგოთა „უშოვია“, და შემდეგ მისი გუმბათიც
აუშენებია.

№ 252 ალაპის ცნობა გამოიყენა როგორც ისტო-
რიული წყარო ტიმოთე გაბაშვილმა თავის „მი-
მოსლვაში“: „გოლგოთა, სადა ჯვარს აცვეს უფა-
ლი, ეს ადგილი ბაგრატ მეფეს, ალექსანდრეს
ძმისწულს, უშოვინა დიდის საფასით არაბთაგან“
(მიმოსლვა, 1956 წ. გამოც., გვ. 80).

253 (M—249), ტაბულა XX

ალაპი დადიანის ასულ ხვარამზის-
თვის. ალაპი განწესებულია ნიკიპორე ჯვარის
მამა ჩოლაყაშვილისთვის. ამის მიხედვით ალაპი
თარიღდება XVII საუკუნის პირველი ნახევრით.

254 (M—250), ტაბულა XXVII

ალაპი და წირვა ბაგრატ მეფისთვის.
ამავე ტაბულაშია ბაგრატის კიდევ ორი ალაპი:

№ 17 და № 297. № 7 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ დასახელებულ ალაპთა ბაგრატი მეფე არის ან ბაგრატი IX (1360—1390 წწ.), ან ბაგრატი იმერთა ერისთავი, რომელიც 1372 წელს გარდაიცვალა.

255 (M—251), ტაბულა VI

ალაპი ივანე ქველივანის ძისთვის. ეს ალაპი თარიღდება XIII საუკუნის 70-იანი წლებით (იხ. № 16 ალაპის კომენტარი).

256 (M—252), ტაბულა XLVIII

ალაპი და ლამის თვეა ღირსისა მამისა და მონაწილისა ლუკასთვის. ალაპი განწესებულია XIII საუკუნის დამლევის. ლუკას მოღვაწეობისა და ამ ალაპის თარიღის შესახებ იხ. გამოკვლევა, გვ. 32 და № 65 ალაპის კომენტარი.

257 (M—253), ტაბულა XX

კარგადებული ალაპი ქართლის დედოფალ მარია მისთვის. ალაპი განწესებულია ნიკიფორე ჯვარის მამის ჩოლაყაშვილის მიერ 1643—1649 წლებში. ამავე ალაპის გასწვრივ, მარცხენა მხარეს იმავე ხელით მიწერილია: „და სული დადიანისა მანუჩარისი“. ეს მანუჩარი უნდა იყოს მარიამისა და ლევან II დადიანის მამა, რომელიც, ვახუშტის ცნობით, ნადირობის დროს მოკვდა 1611 წელს (ვახუშტი, დასახ. გამოც., გვ. 375).

258 (M—254), ტაბულა XXXVII

წირვა და ალაპი მეფეთ მეფე გიორგისთვის. ალაპის გიორგი არის გიორგი ბრწყინვალე (იხ. № 26 ალაპის კომენტარი). ამავე ტაბულაშია გიორგი ბრწყინვალის კიდევ სამი ალაპი: № 26, № 126 და № 149.

259 (M—255), ტაბულა XXXVIII

პანაშვიდი ნონი თურმანის ძისა და მისი მეუღლე ჯავარისთვის. ტაბულა თარიღდება მხოლოდ პალეოგრაფიულად XV საუკუნით (იხ. № 199 ალაპის კომენტარი).

260 (M—256), ტაბულა XXI

ალაპი პავლე ჭლიაკის ძისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი

ათეულითა და XIV საუკუნის დამლეგით (იხ. № 42 ალაპის კომენტარი). ამავე დროისაა № 260 ალაპის კომენტარი.

261 (M—257), ტაბულა XXI

ალაპი პავლესთვის და მისი ძმისწული მახარებლისთვის. ამ ალაპის პავლე წინა ალაპის პავლე ჭლიაკის ძე უნდა იყოს, ვინაიდან ორივე ეს ალაპი ერთი ტაბულიდან არის, დაწერილია ერთი ხელით (იხ. № 260 და № 42 ალაპთა კომენტარები).

262 (M—258), ნარევი ტაბულა III

ალაპი ათაბაგ ამირსპასალარის, პატრონ ყვარყვარესთვის. ალაპში წერია, რომ ყვარყვარეს ერთი დარი (არაბულად სახლს ნიშნავს) უყიდა „ივანეს დარს მოკიდებით“. გარდა ამისა „მეუწირავს ფული და საეკლესიო ინვენტარიც. ეს შემოწირულებანი მას გაუგზავნია იერუსალიმში ათანასე ბანელისა და მესტუმრე ჯალალ გიორგის ხელით. ალაპიდან არ ჩანს, თუ რომელ ყვარყვარესთვის არის ალაპი განწესებული. ხელის მიხედვით ალაპი XV—XVI სს. განეკუთვნება. ალაპში ათანასე ბანელის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ალაპი დაწერილია სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დამყარებამდე (XVI ს. 80-იანი წლები), სანამ ბანა ქრისტიანული ეკლესია იყო, ხოლო ბანელი ამ ეკლესიის ეპისკოპოსი.

შიეძლება ეს თარიღი კიდევ უფრო დავიწროვდეს. ცნობილია, რომ „1555 წელს ირან-ოსმალეთის ზავის შედეგად სამცხე-საათაბაგო ორად გაგლეჯილი აღმოჩნდა. ქვეყნის უდიდესი ნაწილი ირანს ხვდა. მაგრამ მის დასავლეთ მხარეს (ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს) მალე ოსმალეთი წამოეჭიდა“ (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, გვ. 319). შესაძლებელია, ეს თარიღი დაიდვას ალაპის ზემო ქრონოლოგიურ საზღვრად, ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ალაპი განწესებულია ყვარყვარე დიდისათვის (გარდაიცვალა 1498 წელს).

263 (M—259), ნარევი ტაბულა VI

წირვა და ალაპი ხუტლუ ბულა სადუნის შვილისთვის. ხუტლუ ბულა, ძე სადუნ მანკაბერდელისა, დიმიტრი თავდადებულის დროინდელი ცნობილი მოღვაწეა. სადუნის სიკვდილის შემდეგ (1280 წ.) დიმიტრი მეფემ მამის მა-

მულები და სპასპეტობა ხუტლუ ბუღას მიუბოძა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226).

264 (M-260), ტაბულა XXX

ალაბი და მოხსენიება ქუთათელ ოქროპირისა და მისი ძმისწულის ქუთათელ მახარებლისა. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის მიწურულითა და XV საუკუნის დამდეგით. ეს ორივე ქუთათელი XIV საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ყოფილა (იხ. № 10 ალაბის კომენტარი).

265 (M-261), ტაბულა XLIX

ეამის წირვა გურანდუხტის დის მართასთვის. ტაბულა პალეოგრაფიულად XIII—XIV საუკუნეებით, უფრო კი XIV საუკუნით უნდა დათარიღდეს. სხვა ცნობები ამ ალაბის დასათარიღებლად არ გაგვაჩნია (იხ. № 92 ალაბის კომენტარი).

266 (M-262), ტაბულა L

ალაბი ალაბეგას შვილის ისკანდერისთვის. „დიდ შეჭირვებაში ვიყენით,—ვკითხულობთ ალაბში—ვენაჭი და რაც საყდრისა იარალი არის, ყვალა ამანათად (ე. ი. დაგირაგებული—ე. მ.) იყო, ამან დაიქნა, რვაასი ღუკატი დახარჯა“. ამისთვის ისკანდერს ალაბი და ორი კანდელის დანთება გაუჩინეს. ალაბის გამჩენია ეპიფანე ჯვარის მამა, რომლის მამობის წლებია 1567—1593 (იხ. № 112 ალაბის კომენტარი).

267 (M-263), ტაბულა XXII

წირვა და ალაბი თომასთვის და მისი ძმის მოსესთვის. ტაბულა თარიღდება პალეოგრაფიულად XII—XIII საუკუნეებით (იხ. № 31 ალაბის კომენტარი).

268 (M-264), ტაბულა XXXII

წირვა და ალაბი გარეყანისძის მარუშიანისა და მისი მეუღლე მელანისასთვის. XXXII ალაბი თარიღდება XIII საუკუნის დამდეგითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 113 ალაბის კომენტარი). გარეყანისძეთა შესახებ იხ. აგრეთვე № 63 ალაბის კომენტარი).

269 (M-265), ტაბულა XXXVI

ალაბი სიქანელის ძის ასულის აფაყოფილი ანასთვის. ტაბულა პალეოგრაფიულად შეიძლება შემოითარგლოს XIII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 219 ალაბის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს № 269 ალაბიც.

270 (M-266), ნარევი ტაბულა II

ალაბი მიქაელის ძის მიქაელისთვის. ალაბის ხელი XV საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს. სხვა ცნობები მიქაელის ძის მიქაელის შესახებ არ გაგვაჩნია.

271 (M-267), ტაბულა XXIX

ალაბი რუსუდან გვირგვინაის ასულისთვის, რომელმაც ათას ორასი დრამა შესწირა მონასტერს. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 42 ალაბის კომენტარი).

272 (M-268), ტაბულა XXX

ალაბი დიოფალთა დიოფალის ქურდაბისისთვის, რომლის დედა ჩასულა იერუსალიმში ამ ალაბის გასაჩენად. ალაბი დაწერილია XIV საუკუნის დამდეგის (იხ. № 10 ალაბის კომენტარი).

273 (M-269), ტაბულა XXXI

ალაბი შანშას შვილის ალბუღასთვის. ალაბი თარიღდება XIV საუკუნის დამდეგით. ალბუღას ვინაობის შესახებ ვრცლად იხ. № 148 ალაბის კომენტარი.

274 (M-270), ტაბულა LIII

ალაბი იერუსალიმის მოწამე სალომე ქართველისთვის. ვრცლად ამ ალაბის შესახებ იხ. № 197 ალაბის კომენტარი.

275 (M-271), ტაბულა XXXIII

ალაბი არსენ მოძღვრისთვის, რომელსაც „ღია დაქირვების“ ეამს მიუცია მონასტრისთვის 97 „სურული დრაჰმანი“. პალეოგრაფიულად ტაბულა XIII საუკუნისა უნდა იყოს, თუმცა მას ანმეტობა ახასიათებს.

ალაბი დიოფალთა დიოფალ ხვაშაქის-თვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით (იხ. № 65 ალაბის კომენტარი). დიოფალთ დიოფალი ხვაშაქი უნდა იყოს ბედან დადიანის მეულლე და გიორგი დადიანის (გარდ. 1323 წ.) დედა (იხ. ამის შესახებაც № 65 ალაბის კომენტარი).

277 (M-273), ტაბულა XXXIX

ალაბი ეჯიბ აფაქისძისთვის და მისი მეულლე ნებისმყოფელისთვისა და მათი ძისთვის. ტაბულა თარიღდება XV საუკუნის ნახევრით (იხ. № 128 ალაბის კომენტარი).

278 (M-274), ტაბულა ნარევი IV

პანაშვილი და ალაბი მარინა დევთუბნელისთვის. ალაბი დაწერილია XIV საუკუნის ნუსხურით. სხვა დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ არ გაგვაჩნია.

279 (M-275), ტაბულა XVIII

ალაბი ლაკლაკთა ქალის ქონა-ყოფილ ქრისტიანასთვის. ტაბულა პალეოგრაფიულად XIV—XV საუკუნეებით თარიღდება (იხ. № 103 ალაბის კომენტარი). ეს ალაბი ტაბულაში პირობით არის გაერთიანებული, ვინაიდან დანამდვილებით მისი გაიგივება ამავე ტაბულის სხვა ალაპების ხელთან გვიჭირს.

280 (M-276), ტაბულა XIV

ალაბი გიორგი მეფეთა მეფისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით. ალაბის გიორგი მეფე უნდა იყოს ან გიორგი მცირე (1300—1313 წწ.) ან გიორგი ბრწყინვალე, თუ ამ უკანასკნელის ალაბი დაწერილია მის სიცოცხლეში, მისი გამეფების პირველ წლებში (ამ ალაბთან დაკავშირებით იხ. № 60 ალაბის კომენტარი).

281 (M-277), ტაბულა XXIII

ალაბი დულაისთვის. ტაბულა და ამდენად ეს ალაბიც თარიღდება XIII საუკუნით (იხ. № 275 ალაბის კომენტარი).

ალაბი სალაროს მოლარის სეფედავლესთვის. ტაბულა თარიღდება ამავე ტაბულის მეორე ალაბით, რომელიც განწესებულია გრიგოლ დრანდელისთვის. გრიგოლ დრანდელის ალაბი იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც სვინაქსარიდან ალაბთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში გადავიდა. ამის მიხედვით ეს ალაბი იფარგლება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV ს. დამდეგით. (იხ. № 306 ალაბისკომენტარი და გამოკვლევა, გვ. გვ. 16—17).

283 (M-279), ტაბულა LV

ალაბი მაკარისძის ასულ შვენიერ-ყოფილ ანუსიასთვის და მისი მეულლე მაყა ვარძიელისთვის. ამავე ტაბულაში პირობით ერთიანდება არსენ ცონცურიკათის ალაბი (№ 230, იხ. ამ ალაბის კომენტარი). პალეოგრაფიულად ტაბულის ალაპები XV—XVI სს. უნდა იყოს. ჩანს, შვენიერ-ყოფილის ანუსიასა და მაყა ვარძიელისთვის ალაბი განწესებულია მათ მიერ ჩატარებული დიდი სააღმშენებლო მუშაობისათვის, ვინაიდან ალაბში წერია: „მალრიბი აშენეს მეორედ“-ო. რას უნდა გულისხმობდეს ზუსტად ეს გამოთქმა, ძნელი სათქმელია. LV ტაბულაში № 230 და № 283 ალაპები პირობითაა გაერთიანებული. ალაპები ერთი ხელით ნაწერს ჰგავს, მაგრამ გადაჭრით ამის მტკიცება გაჭირდება. შესაძლებელია № 283 ალაბი უფრო ადრეული იყოს, ვინემ № 230.

284 (M-280), ტაბულა არა აქვს

წირვა და ალაბი გიორგი მეფეთა მეფისათვის. ალაბი ძალზე გადასულია, ძნელად იკითხება. მისი ფოტო სურათის დამზადება ამის გამო ვერ მოხერხდა. ალაბი დაწერილი ყოფილა სინგურით (იხ. ნ. მარი, ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, გვ. 70, სქ. 1, სინგურით დაწერილი ალაპები სვინაქსარში სულ რამდენიმეა). დაზიანების გამო ალაბი ვერც პალეოგრაფიულად თარიღდება.

285 (M-280 a), ტაბულა XI

წირვა და ალაბი ფერისცვალებას (6 აგვისტოს), განწესებული მეფეთა მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილისთვის. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით, ვინაიდან გიორგი თურქთაგან მოიკლა 1373 წელს. 6 აგვისტო კი არის მისი სიკვდილის დღე.

ვრცლად ამ ალაპისა და გიორგი ანდრონიკეს შესახებ იხ. № 6, № 154 და № 198 ალაპთა კომენტარებში.

286 (M—280 h), ტ ა ბ უ ლ ა XXVII

წირვა და ალაპი დავით მეფისთვის. ალაპი ჯვარის მონასტრის კრებულმა გაუზიანა იმის გამო, რომ მან 200 მუტყალი ოქრო გაუგზავნა მონასტერს. ალაპის დავითი უნდა იყოს დავით IX, ვრცლად ამის შესახებ იხ. № 7 ალაპის კომენტარში.

287 (M—280h), ნ ა რ ე ვ ი ტ ა ბ უ ლ ა I

ალაპი ანასუღლისა და მისი შვილი იაღისთვის. ანასუღლის მონასტრის კრებულისთვის მიუცია 130 დუკატი. გარდა ამისა მან 80 დუკატად ოქროს ჯვარი „შეკმნა“ და საკურთხეველში დაასვენა. ამის შემდეგ იერუსალიმის მეფე გასწყრომია ჯვარის მონასტრის კრებულს, რაცა მონასტრისა იყო სულ „დაუქირა“, ოქროს სთხოვდა. მონასტერს მეფის დასაოკებელი ოქრო არ ჰქონდა. ამ „უღონობისაგან“ მონასტერი კვლავ ანასუღლიმ დაიხსნა. მას კიდევ 100 დუკატი გადაუცია მონასტრისთვის. ყველა ამ საქმისთვის მონასტერმა ანასუღლსა და მის შვილს ალაპი განუწყესა.

ალაპი XII საუკუნისაა, ამას მოწმობს ალაპის ხელი და ალაპში დასახელებული მონეტები. ანასუღლის კიდევ ერთი ალაპია ჩაწერილი ივერიის მონასტრის საალაპე წიგნში¹. ორივე ალაპის მიხედვით ანასუღლიმ მდიდარი შეწირულება გადასცა მონასტრებს. ჯვარის მონასტერს ოქროს დუკატების სახით², ხოლო ივერიის მონასტერს ასი „დრაჰჰანი ბოტანოტისი“.

ოქროს დუკატი და „დრაჰჰანი ბოტანოტი“ ბიზანტიური მონეტებია. პირველი დაკავშირებულია მიხეილ VII დუკას სახელთან (1070—1078 წ.). დუკატი თავდაპირველად ოქროს მონეტა იყო. შემდეგ მისი ვერცხლის მონეტაც გავრცელდა.

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1077 წლის ხელნაწერი ალაპებით, გვ. 264. ალაპთა ამ გამოცემაში ანასუღლის მაგივრად შეცდომით დაბეჭდილია ანასუღლი. დედანმიმკვიდრად იკითხება ანასუღლი.

² ანასუღლიმ მონასტერს გადასცა 230 ოქროს დუკატი და 80 დუკატიანი ოქროს ჯვარი. თუ რა დიდ თანხას წარმოადგენდა ეს შეწირულება ჩანს იქიდან, რომ დაახლოებით ამავე წლებში წმიდა საფლავის კანონიკმა 480 ბიზანტიური ოქროთი საბას მონასტრისაგან გამოისჯიდა სამი სოფელი (იხ. А. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, I, 1903, გვ. 126).

ალაპებში დუკატი ორჯერ გვხვდება. პირველ შემთხვევაში როგორც ოქროს მონეტა ანასუღლის ალაპში, ხოლო მეორე შემთხვევაში გვიანდელ, XVI საუკუნის ალაპში (№ 26). ამ ალაპში კი დუკატი ვერცხლის მონეტა უნდა იყოს, ვინაიდან შემომწირველს მონასტრისათვის შეუწირავს 800 დუკატი (ოქროს მონეტისათვის ეს მეტად დიდი რაოდენობაა). ბოტანიატის მონეტის მოქრა დაკავშირებულია ნიკიფორე III ბოტანიატის (1078—1081 წ.) სახელთან. გარდა ანასუღლის ალაპისა ეს მონეტა დასახელებულია ივერიის მონასტრის კიდევ ერთ ალაპში (№ 30), რომელიც ალაპთა ძველი ფენის (XII ს.) კუთვნილებაა.

№ 287 ალაპი დაწერილია იერუსალიმში ლათინთა სამეფოს არსებობის წლებში (1099—1188 წ.) ზოგადად, უფრო მინიშნებით ბოლდუინ IV დროს, ე. ი. 1173—1185 წლებში (იხ. ამასთან დაკავშირებით აქვე, გვ. 57).

288 (M—281), ტ ა ბ უ ლ ა X

წირვა და ალაპი მეჯინიბეთუხუცესის ბეგნიასთვის. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (იხ. № 154 და № 6 ალაპის კომენტარები). ამავე დროის უნდა იყოს მეჯინიბეთუხუცესის ბეგნიას ალაპი.

289 (M—282), ტ ა ბ უ ლ ა X

წირვა და ალაპი გიორგი ანდრონიკეს შვილისთვის. ეს არის ის გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, რომელიც მოიკლა თურქთაგან 1373 წელს 6 აგვისტოს (ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. № 6 ალაპის კომენტარი და № 154 და № 285 ალაპთა კომენტარები).

290 (M—283), ტ ა ბ უ ლ ა X

წირვა და ალაპი დედოფალ შვენციერისთვის. ეს იგივე შვენციერ-ყოფილი მაკრინეა გიორგი ანდრონიკეს შვილის მეუღლე, რომელიც გიორგის დაღუპვის შემდეგ შედგა მონაზუნად. ვრცლად ამის დასაბუთება იხ. № 6 და № 154 ალაპთა კომენტარებში.

291 (M—284), ტ ა ბ უ ლ ა X

წირვა და ალაპი ქვენციფნეველ ამილახორისთვის. ქვენციფნეველი ამილახორი გიორგი ანდრონიკეს შვილთან ერთად მოიკლა თურქ-

თაგან 1373 წელს. ვრცლად ამ ალაპისა და X ტაბულის შესახებ იხ. № 6 ალაპის კომენტარში.

292 (M—285), ტაბულა XX

ალაპი განწესებულია ბატონ დადიანის ასულ დარეჯანისთვის და მის ღედა-გამდლის თინათინისთვის. განწესებულია ალაპი ნიკიფორე ჯვარის მამა ჩოლაყაშვილის მიერ. ამის მიხედვით ალაპი XVII საუკუნის პირველი ნახევრით იფარგლება, უფრო ზუსტად 1643—1649 წლებით.

293 (M—286), ტაბულა XL

ალაპი სარგისის ასულის მარიამისთვის. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. №№ 39—40 ალაპთა კომენტარები.

294 (M—287), ტაბულა XXXIX

ჯვარის მამამ და მონასტრის კრებულმა ივანეს შვილს გულქანს გაუჩინა „გესამანიაში“ საუკუნო კანდლის დანთება. ტაბულა თარიღდება XV საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. № 128 ალაპის კომენტარი).

295 (M—288), ტაბულა XXXII

წირვა და ალაპი დავით მეფეთ მეფისა და მონასტრის მეორედ აღმაშენებლისთვის, რომელმაც „სარკინოზთაგან წარტყუსული მონასტერი და ეკლესია მისხითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კვალად აგო ნათესავსა ქართველთასა“. აქ იგულისხმება ჯვარის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1305 წელს (იხ. გამოკვლევა, გვ. 45). ხოლო დავით მეფე უნდა იყოს დავით VIII (1293—1311 წწ.). იხ. გამოკვლევა, გვ. 43 და № 7 ალაპის კომენტარი.

296 (M—289), ტაბულა XXVII

წირვა და ალაპი ბაგრატ მეფისა. ალაპის ბაგრატი უნდა იყოს ან ბაგრატ V (1360—1390) ან ბაგრატ იმერთა ერისთავი, რომელიც გარდაიცვალა 1372 წელს. ვრცლად ამის შესახებ იხ. № 7 ალაპის კომენტარში.

297 (M—290a), ტაბულა XXVII

პანაშვიდი შეენიერისა. ტაბულა თარიღდება XIV საუკუნის მეორე ნახევრით. ამავე დრო-

ისა უნდა იყოს შეენიერის ალაპი (იხ. № 7 ალაპის კომენტარი).

298 (M—291), ტაბულა XXXII

ალაპი დავით მანჭკერტელისა. XXXII ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 113 ალაპის კომენტარი).

299 (M—292), ტაბულა XXX

ალაპი აფხაზთა კათალიკოზის დანიელისა და მისი შვილის გიორგი ჭყონდიდლისთვის. გიორგი ჭყონდიდელი ალაპებში არაერთხელ არის მოხსენიებული როგორც ჯვარის მონასტრის კოლექტივის წევრი, იოსებ ჯვარის მამასთან და გიორგი მოძღვართან ერთად. იოსების მამობის წლებია—XIV საუკუნის უკანასკნელი ათეული და XV საუკუნის დამდეგი (იხ. ჯვარის მამათა ქრონოლოგია). ამ დროის მოღვაწეა გიორგი ჭყონდიდელი, ე. ი. ამ დროს უნდა ყოფილიყო გიორგი ჭყონდიდელი იერუსალიმში. აფხაზეთის კათალიკოზს დანიელსა და მის შვილს გიორგი ჭყონდიდელს გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ს. კაკაბაძემ, სადაც მათი ვინაობის საკითხი ავტორს ჯვარის მონასტრის ალაპთა მოშველიებით აქვს გარკვეული. ავტორი გიორგი ჭყონდიდლის იერუსალიმში მოღვაწეობის ხანად მიიჩნევს XIV საუკუნის დამლევს, 80-იან წლებს. ჩვენის დაკვირვებით კი გიორგი იერუსალიმში 90-იან წლებში უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია უფრო კომპრომისული დასკვნაც მივიღოთ და გიორგის იერუსალიმში მოღვაწეობის ხანად 80—90-იანი წლები მივიჩნიოთ. პროფ. ს. კაკაბაძეს დანიელ კათალიკოსი კი მიაჩნია აქამდე უცნობ აფხაზეთის კათალიკოზად, რომელიც კათალიკოზად უნდა ყოფილიყო არსენის შემდეგ (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის კათალიკოზი დანიელ: წერილი შტუდიები, 1914, გვ. 6). ვრცლად ამ პირთა შესახებ იხ. № 10 ალაპის კომენტარში.

300 (M—293), ტაბულა არა აქვს

ალაპი პატრონ სფირიდონის შვილის იორამისთვის, ალაპი ძალზე გადასულია, ადგილები სულ არ იკითხება. სვინაქსარში სფირიდონისა და მისი შვილის კიდევ ერთი ალაპია (№ 114). ამ ალაპის კომენტარში გარკვეულია სფირიდონისა და იორამის ვინაობა.

წირვა და პანაშვიდი აბედ ებნუ სურუ-რისი. ალაპი საკმაოდ უწიგნურად არის დაწერილი. ეს პირი უნდა იყოს იგივე ობედ ებნი სურურ ებნუ სალა, რომლისთვისაც განწესებულია № 4a ალაპი. ამ ალაპის დათარიღება იხ. № 4a ალაპის კომენტარში.

301 a (M—295), ტაბულა XLI

ჯვარის მონასტრის მამა (სიმონა ციდა-შვილი ამოწმებს აბედ ებნუ სურურის ალაპის (№ 301) სისწორეს. სიმონა ციდაშვილის ვინაობისა და ამ ალაპის თარიღის შესახებ იხ. № 4 a ალაპის კომენტარი.

301 b (M—297), ტაბულა XLI

ზოსიმე მოძღვარი ამოწმებს აბედ ებნუ სურურის ალაპის სისწორეს. ამ ალაპთან დაკავშირებითაც იხ. № 4 a ალაპის კომენტარი.

302 (M—296), ტაბულა XXIX

ივანე ქართლის ერისთვის ძმის ალაპი. XXIX ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულითა და XIV საუკუნის დამდეგით. (იხ. № 42 ალაპის კომენტარი).

ალაპიდან არ ჩანს—ივანე ქართლის ერისთვის სახელია, თუ მისი ძმის. ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი სახელი ჩვენთვის უცნობია.

თუ ივანე ქართლის ერისთვის სახელია, მაშინ შეიძლება დაეუშვათ, რომ იგი არის ძაგან აბულეთისძის მამა ივანე ერისთავთ ერისთავი, რომელიც 1260 წლის საბუთში მოხსენიება (იხ. თ. ჟორდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 146). ამავე სიგელში მოხსენიებულია ივანეს ძმა გიორგი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ალაპი სწორედ ამ გიორგისთვის არის განწესებული. XXIX ტაბულის ქვემო ქრონოლოგიური საზღვარია XIII ს. 90-იანი წლები, ხოლო ძაგან აბულეთის ძის საბუთი კი გაცემულია 1260 წელს. ამრიგად სავსებით დასაშვებია, რომ 1290-იან წლებისათვის გიორგისთვის მის შვილებს, ან სხვა ნათესავებს, განეწესებინათ ალაპი.

თუ ივანე ერისთვის კი არა, არამედ მისი ძმის სახელია, მაშინ ამ პიროვნების დადგენა უფრო რთულია, ვინაიდან არ ჩანს, თუ რომელი ერისთვის ძმა იყო ივანე.

ალაპი მესტუმრე შალვა ხუტურის ძისთვის. ტაბულა თარიღდება XIII საუკუნის დამლეგითა და XIV საუკუნის დამდეგით (იხ. № 60 ალაპის კომენტარი). ამავე დროისა უნდა იყოს № 303 ალაპიც.

304 (M—299), ტაბულა XLVIII

ალაპი და პანაშვიდი გიორგი დადიანისთვის. № 65 ალაპის კომენტარში გარკვეულია, რომ № 304 ალაპის გიორგი არის პირველი გიორგი დადიანი, რომელიც გარდაიცვალა 1323 წელს.

305 (M—300), ტაბულა XXI

ალაპი არდაშერის შვილის დავითისა და მისი მეუღლის ხეარაშნისთვის. XXI ტაბულა იფარგლება XIII საუკუნის მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით. ამავე დროს არის დაწერილი დავითისა და მისი მეუღლის ალაპიც.

306 (M—301), ტაბულა LX

ალაპი გრიგოლ დრანდელისთვის. ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. № 282 ალაპის კომენტარსა და გამოკვლევაში, გვ. 16—17.

307 (M—302), ტაბულა XIV

პანაშვიდი გობოხსძეთათვის. ალაპში მოხსენებული არიან: ზვიადი, ივანე, ქექე, ბეშქენი და სარგის გობოხსძენი. მათი საპანაშვიდე ფული გაიღო ბორენამ. ბორენა ალაპში წერს პირველი პირით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბორენას იერუსალიმში ყოფნის დროს გაუცია ეს ფული. ამ ალაპს პარალელი ეძებნება ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში T—35, რომლის დაწერა XIII საუკუნის მიწურულით იფარგლება. ამავე დროისა უნდა იყოს გობოხსძეთა ალაპიც.

308 (M—303), ნარევი ტაბულა II

ალაპი პატრონ ორქანდისთვის. ეს ალაპი ეკუთვნის სვინაქსარში მარხვა-ზატის დღეებზე განწესებულ იმ ალაპთა რიცხვს, რომლებიც არ გადასულან ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში. ამის გამო ეს ალაპები XII

საუკუნის შემდეგ არიან დაწერილნი (იხ. გამოკვლევა, გვ. 18). ხელის მიხედვით ალაპი XV საუკუნისაა. საფიქრებელია, რომ ალაპის პატრონი ორჯანდი არის დედისიმედისა და ყვარყვარეს შვილი, მოხსენიებული ბაადურისათვის განწესებულ ალაპში. აქ ბაადურის მშობელთა და ნათესავთა შორის დასახელებულია ყვარყვარეს შვილი პატრონი ორჯანდი (იხ. ათონის კრებული, გვ. 267—268). ორჯანდას მოსახსენებელია ჩაწერილი სამხრეთ საქართველოში გადაწერილ ერთ-ერთ სვინაქსარში (A—193): „სულსა ათაბაგსა ამირსპასალარსა ბატონსა ორჯანდას შნს ღნ და თანამეცხედრესა სულკურთხეულსა ბატონსა გულბუდალს“ (იხ. Ф. Хорланннн, Описание рукописей церковного Музея, გვ. 217).

309 (M—304), ტაბულა XLII

ალაპი და წირვა ქაიხოსრო ათაბაგისთვის. რომლის სააღაპე ფულით მონასტრის კრებულმა ყანა იყიდა. სააღაპე ფული და შესაწირავეები იერუსალიმში ჩაიტანა მზექაბუჯ ათაბაგის დავალებით მისმა აღზრდილმა ამბროსემ (იხ. T—90). ქაიხოსრო გარდაიცვალა 1500 წელს. ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი მისი ალაპი. ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. გამოკვლევა, გვ. 18 და № 185 ალაპის კომენტარი.

310 (M—305) ტაბულა VIII

ალაპი ბექა მანდატურთუხუცესისთვის. VIII ტაბულაში გაერთიანებულია სამი ალაპი. სამივე ბექასთვის არის განწესებული. ბექა გარდაიცვალა 1306 წელს. ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს ეს ალაპი დაწერილი (ამ ტაბულასთან დაკავშირებით იხ. № 5 ალაპის კომენტარი და აგრეთვე გამოკვლევა გვ. 18).

311 (M—306), ტაბულა XIV

ალაპი მიქაელ ქვაბის ჯვარელისთვის. ეს ალაპი მარხვა-ზატიკის დღეებზე განწესებულ სხვა ალაპებთან ერთად სვინაქსარიდან გადასულია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში (T—23), რომლის დაწერაც XIV საუკუნის პირველ წლებს ვერ გადასცდება (იხ. გამოკვლევა გვ. 17 და № 60 ალაპის კომენტარი).

312 (M—307), ტაბულა XIV

ალაპი საღირ ლაშხაძეს შვილისთვის. ალაპი შესულია ტიშენდორფისეული ნუსხის ძი-

რითად ფენაშიც (იხ. დანართი, გვ. 109 და T—36), რის გამოც თარიღდება XIII საუკუნის დასაწყისითა და XIV საუკუნის პირველი წლებით (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

313 (M—308), ტაბულა XIV

ალაპი ყონდოს ქახუბის ძისთვის. ალაპი სვინაქსარიდან გადასულია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (T—41), ამიტომ ამ ალაპის დაწერის დრო XIV საუკუნის პირველ წლებს ვერ გადასცდება (იხ. № 60 ალაპის კომენტარი).

314 (M—309), ტაბულა XXI

პანაშვიდი იოსებ ხავთაის ძისათვის. ალაპი გადასულია სვინაქსარიდან ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (T—48), რის გამოც მისი დაწერა XIV საუკუნის პირველ წლებს ვერ გადასცდება (იხ. ამის შესახებ გამოკვლევა, გვ. 17 და № 11 ალაპის კომენტარი).

315 (M—310), ტაბულა IV

ალაპი უნდულ მამლაქინის ძის ასულის თამარისთვის. ალაპი სვინაქსარიდან გადატანილია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში (T—64), რომლის დაწერა იფარგლება XIV საუკუნის პირველი წლებით. ხელის მიხედვით ტაბულის ალაპები XII—XIII საუკუნეებისაა (ამ ალაპთან დაკავშირებით იხ. № 150 ალაპის კომენტარი).

316 (M—311), ტაბულა არა აქვს

ალაპის 23 სტრიქონიანი ტექსტი ისეა გადაჩეხილი, რომ არაფრის ამოკითხვა არ შეიძლება. ამ ალაპის დღის შესატყვის ადგილას (მარხვის მეშვიდე შაბათს) ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში შეტანილია გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი. ვინაიდან მარხვა-ზატიკის კვირეებზე განწესებულ ალაპთა დიდი ნაწილი სვინაქსარიდან ამ ნუსხაშია გადასული, ამიტომ ვფიქრობთ, რომ გადასული ალაპიც გრიგოლ ფანასკერტელისა უნდა ყოფილიყო, რომელიც შემოგვიწინა ტიშენდორფისეულმა ნუსხამ (ამ ალაპის შესახებ ვრცლად იხ. გამოკვლევაში, გვ. 17).

317 (M—312), ტაბულა III

შოთა მეტურქლეთუხუცესის ალაპის დათარიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაი-

დან მკვლევართა ერთი ნაწილი ალაპის შოთას აიგივეებს შოთა რუსთაველთან, ხოლო ალაპს იხილავს როგორც შოთას ბიოგრაფიის წყაროს (იხ. აქვე, შენიშვნები შოთა მექურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთაველის ფრესკის ირგვლივ).

III ტაბულაში გაერთიანებულია ორად ორი ალაპი: ა) შოთა მექურჭლეთუხუცესისა და ბ) ანტონი ალავერდელისა (№ 54). ორივე ალაპი დაწერილია ერთი ხელითა და ერთი ფორმით—ორ გრძელ სტრიქონად. ალაპისათვის განწესებული დღის აღნიშვნის შემდეგ, მოსახსენებლები იწყება ორივე შემთხვევაში მთავრული ასოებით.

გამოკვლევაში აღნიშნული გვაქვს, რომ სვინაქსარის მარხვა-ზატიკის დღეებზე განწესებული ათი ალაპი, მათ შორის შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპიც, გადასულია ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში, რომლის დაწერა იფარგლება XIII საუკუნის დამლევით. ამ ნუსხის ძირითადი ნაწილი მოიცავს XI—XIII სს. ალაპებს. ამათში ყველაზე ადრეულია ჯვარის აღმაშენებლის პროხოროს ალაპი, დანარჩენები XI—XIII სს. განეკუთვნებიან. (იხ. გვ. 17—18).

სვინაქსარიდან გადმოსული ათი ალაპიდან რამდენიმე ერთი ხელითაა ჩაწერილი სვინაქსარში (იხ. ტაბულა XIV, ალაპები: №№ 307, 311, 312, 313), დანარჩენები კი სხვადასხვა ხელითაა. სვინაქსარის ალაპები უფრო ადრეულია, ვინემ ტიშენდორფისეული ნუსხისა, სადაც სხვა ალაპებთან ერთად სვინაქსარის ალაპებიც არის შესული. ტიშენდორფისეულმა ნუსხამ შესაძლებლობა მოგვცა ზემო ქრონოლოგიური საზღვარი დაგვედვა ამ ნუსხაში გადასული სვინაქსარის ათი ალაპისათვის. მაგრამ თვითეული ამ ალაპის თარიღის დავიწროება-დაზუსტებისათვის ისევ სვინაქსარის პირველ ჩანაწერს უნდა მივმართოთ.

შოთა მექურჭლეთუხუცესის სვინაქსარის ალაპის დათარიღებისათვის პალეოგრაფიული ნიშნების გარდა სხვა არაფერი გაგვაჩნია. მაგრამ პალეოგრაფიულად ეს ალაპი მკაფიო სახეს ატარებს და, ისევე როგორც ნიკოლოზ გულაბერისძის ალაპი

XII საუკუნის კლასიკური ნუსხის ნიმუშს წარმოადგენს.

ახლა, როდესაც ჩვენ ხელთ გვაქვს სვინაქსარის ფოტოები და ამდენად ალაპის პალეოგრაფიული შესწავლისა და შემოწმების საშუალება, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ XIII საუკუნის პირველი ნახევარი არის უკიდურესი საზღვარი შოთას ალაპის დაწერისათვის. ალაპი პალეოგრაფიულად XII საუკუნეს განეკუთვნება და მისი დაწერა XIII საუკუნის დამდეგს არ უნდა სცილდებოდეს. ყველაზე დამახასიათებელია ამ ალაპისათვის ასომთავრული ა-ნი. ზუსტად ასეთივე ანია ჯვარის მონასტრის № 13 და № 57 ალაპებში და ათონის ივერიის მონასტრის № 153 ალაპში. ათონის დასახელებული ალაპი განწესებულია თამარ მეფისა და ნიკოლოზ გულაბერისძისათვის. შოთა მექურჭლეთუხუცესისა და თამარის ალაპის ხელს შორისაც დიდი მსგავსებაა.

ამგვარად, შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპი დაწერილია XII საუკუნეში ან XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ვრცლად ამ ალაპის შესახებ იხ. აქვე: „შენიშვნები შოთა მექურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთაველის ფრესკის შესახებ“.

318 (M—313), ტაბულა XLIV

ალაპი ძაგან აბულეთის ძისა. ძაგან აბულეთის ძე ცხოვრილი პირია. მისი გაცემულია 1260 წლის სიგელი. ის უნდა გარდაცვლილიყო 1282 წლის მახლობლად (იხ. თ. ეორდანი, ქრონიკები, II გვ. 145). ამის მიხედვით ალაპი თარიღდება XIII ს. უკანასკნელი მეოთხეულით.

№ 318 ალაპი ეკუთვნის იმ ალაპთა რიცხვს, რომლებიც სვინაქსარიდან ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაშია გადასული (იხ. დამატება, გვ. 109).

ძაგან აბულეთის ძის ალაპის მიხედვით XIII საუკ. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება XLIV ტაბულა (იხ. № 72 ალაპის კომენტარი).

ტაბულების აღწერილობა

- ტაბულა I 237, 238
 ტაბულა II 13, 57
 ტაბულა III 54, 317
 ტაბულა IV 150, 315
 ტაბულა V 3, 8, 83, 229
 ტაბულა VI 62, 255
 ტაბულა VII 114, 210
 ტაბულა VIII 5, 152, 310
 ტაბულა IX 22, 29, 30, 53, 97, 105, 121, 192, 250
 ტაბულა X 154, 288, 289, 290, 291
 ტაბულა XI 198, 285
 ტაბულა XII 23, 34, 146
 ტაბულა XIII 36, 37, 164
 ტაბულა XIV 60, 120, 129, 140, 141, 151, 187, 222, 280, 303, 307, 311, 312, 313
 ტაბულა XV 67, 68, 69, 70, 71
 ტაბულა XVI 16, 56, 212
 ტაბულა XVII 108, 220
 ტაბულა XVIII 103, 115, 119, 228, 279
 ტაბულა XIX 6, 15, 80, 81, 82, 125, 208
 ტაბულა XX 1a, 14, 24, 45, 51, 52, 93, 99, 181, 253, 257, 292
 ტაბულა XXI 11, 20, 156, 157, 158, 159, 179, 184, 189, 190, 218, 305, 314
 ტაბულა XXII 31, 167, 267
 ტაბულა XXIII 275, 281
 ტაბულა XXIV 234, 235
 ტაბულა XXV 59, 74, 133, 139, 193
- ტაბულა XXVI 25, 27
 ტაბულა XXVII 7, 17, 28, 76, 153, 195, 254, 286, 296, 297
 ტაბულა XXVIII 180, 196
 ტაბულა XXIX 42, 47, 48, 91, 95, 109, 116, 134, 143, 194, 217, 231, 241, 242, 243, 260, 261, 271, 302
 ტაბულა XXX 10, 214, 264, 272, 299
 ტაბულა XXXI 148, 273
 ტაბულა XXXII 113, 160, 169, 174, 176, 236, 240, 246, 248, 268, 295, 298
 ტაბულა XXXIII 142, 147
 ტაბულა XXXIV 87, 163
 ტაბულა XXXV 2, 63
 ტაბულა XXXVI 219, 269
 ტაბულა XXXVII 26, 75, 126, 149, 202, 258
 ტაბულა XXXVIII 199, 216, 259
 ტაბულა XXXIX 128, 130, 277, 294
 ტაბულა XL 39—40, 79, 86, 191, 293
 ტაბულა XLI 4a, 4c, 4b, 301, 301a, 301b
 ტაბულა XLII 185, 309
 ტაბულა XLIII 170, 172
 ტაბულა XLIV 72, 318
 ტაბულა XLV 117, 188, 203
 ტაბულა XLVI 64, 162
 ტაბულა XLVII 46, 49, 50, 85,
- 100, 111, 123a, 123, 135, 155, 182
 ტაბულა XLVIII 65, 206, 227, 239, 251, 256, 276, 304
 ტაბულა XLIX 92, 265
 ტაბულა L 112, 266
 ტაბულა LI 107, 245
 ტაბულა LII 223, 224
 ტაბულა LIII 197, 274
 ტაბულა LIV 186, 232
 ტაბულა LV 230, 283
 ტაბულა LVI 19, 209
 ტაბულა LVII 94, 106
 ტაბულა LVIII 12, 178
 ტაბულა LIX 132, 136, 138
 ტაბულა LX 282, 306
 ტაბულა LXI 43, 73, 77
 ტაბულა LXII 96, 110, 247, 249
 ტაბულა LXIII 161, 215
 ნარევი ტაბულა I 127, 166, 207, 287
 ნარევი ტაბულა II 124, 131, 171, 221, 252, 270, 308
 ნარევი ტაბულა III 32, 38, 44, 66, 84, 262
 ნარევი ტაბულა IV 18, 21, 41, 58, 78, 102, 122, 144, 244, 278
 ნარევი ტაბულა V 9, 35, 89, 104, 118, 175, 177, 225, 226
 ნარევი ტაბულა VI 88, 90, 101, 137, 145, 165, 200, 263

ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ს ა მ ი ე ბ ე ლ ი

(პირთა, ეთნიკური და გეოგრაფიული)

ა

აბაზასძე საბა, იხ. საბა აბაზასძე
აბედ ებნუ სურურ სალიმ 301
აბრამ, პაპა 51, 93, 99
აბულეთისძე ძაგან, იხ. ძაგან აბულეთისძე
აბუსერიძე 12
აბუსერიძე ივანე, იხ. ივანე აბუსერიძე
აგოტი, ინასარ ინასარიძის მეუღლე 151
აგუტი, ვარდან დადიანის დედა I 30
ადუსაჯანი, ლომა დადიან-გურიელის მეუღლე
74,133
ავაგ გობოასძე 158
ავად ებნი აისი 216
ავთანდილ ზედგინიძე I 78, I 93
ათაბაგი-ამირსპასალარი ყუარყუარე იხ. ყუარყუ-
არე
ათაბაგი ზაქარია, შანშას შვილი 75
ათაბაგი ივანე, იხ. ივანე ათაბაგი
ათაბაგი მზექაბუჯი, იხ. მზექაბუჯი ათაბაგი
ათაბაგი ქაიხოსრო, პატრონი, იხ. ქაიხოსრო ათა-
ბაგი
ათაბაგი ყუარყუარე, იხ. ყუარყუარე ათაბაგი
ათაბაქი სარგის, იხ. სარგის ჭყეელი
ათანასე, ბანის მოძღუარი 262
ათანასე ჭუარელი 168, 169
აისა ებნი ავად 216
ალავერდელი ანტონ, იხ. ანტონ ალავერდელი
ალექსანდრე, ბაგრატიის ბიძა 252
ალექსანდრე კოსტანტინეს შვილი I 13
ალექსანდრე მეფეთ მეფე I 76, I 81, 1,238
ამაშუკელი ვაჩე, იხ. ვაჩე ამაშუკელი
ამაშუკელი ნიანია, იხ. ნიანია ამაშუკელი
ამბროსაული (ადგილი, მამული) 58

ამბროსე, მზექაბუჯი ათაბაგის გაზრდილი I 90
ამილახორი თაყა, იხ. თაყა ამილახორი
ამილახორი იმარინდო, იხ. იმარინდო ამილახორი
ამილახორი ქუნიფნველი 291
ამირა, გვრგენის შვილი 77
ამირა თავდირისძე 225, 226
ამირეჯიბი ზაქარია, იხ. ზაქარია ამირეჯიბი
ამირეჯიბი რამინ, იხ. რამინ გაბელისძე
ამირეჯიბი რუსა, იხ. რუსა ამირეჯიბი
ამირლამბარ ფანასკერტელი 105, 136, 138
ანასულლი 287
ანნა აფა-ყოფილი, იხ. აფა-ყოფილი ანნა სიქა-
ნელისძე
ანტონ ალავერდელი 54
ანტონ, მოძღვარი 123, 123a
ანტონ იშხნელი 165, 173
ანტონ შედელაას ძე 167
ანუსია შუენიერ-ყოფილი 283
ანჯაუთი I 93
არდაშელი, დავითის მამა 305
არდაშერი, შვილი შაჰანშასი 240
არდაშირ-ყოფილი ათანასე მახას ძე I 99
არიშონი ვარდანისძე, სვანთ ერისთავი, მსა-
ხურთუხუცესი 145
არმასიას ღვთისმშობლის მონასტერი 299
არსენი გორაასძე 231
არსენი მოძღუარი 275
არსენი ჩიხუარელი 116
არსენი ცონცურიკაძი 230
არსლან აფრიდონისძე I 14
არქიმანდრიტი ჭვარისა იოსებ 96, 110
არქიმანდრიტი ჭვარისა ოსებ 15

ასფა ძოდელი 91
 აფაქისძე, იხ. ეჯიბ, მარუშიანი, მიქაელ, ტაიბუ-
 ლა. ჩარგაზ, ცოტნე. ჯავახ აფაქისძე
 აფა-ყოფილი ანნა სიქანელისძე 269
 აფრილონიძე არსლან, იხ. არსლან აფრილონიძე
 აქაიას მამული (ადგილი) 123, 123a
 აქია (იგივე აქაია) 57
 ალაბეგა, ისკანდერის მამა 266
 ალბულა 153
 ალბულა, შანშას შვილიშვილი 273
 ალბულა, შანშას ძმა 29
 ალბულა ენტელეგისძე 113
 ალბულა ქობულისძე I 45
 ალბულა ქავთარაზი, 198
 აღდგომელა I 75
 აღდგომის ეკლესია 65

ბ

ბაადური, ყვარყვარე ათაბაგის შვილი 38
 ბაადური ჩოლაყასშვილი, ირუბაქისძე 87
 ბა...ანა 119
 ბაგრატ მეფე 17, 254, 296
 ბარათა I 6
 ბარამ უშაფათელისძე 232
 ბარბარა, ომან ჩოლაყასშვილის მეუღლე, მონა-
 ზონი 88
 ბარბარე, კრიტივასძის დედა 90
 ბასილი ბუელუეს ძე I 66
 ბასილი თბილელი 147
 ბასილი კაქაა 143
 ბასილის (წმ.) მონასტერი I 85
 ბასილი ქველივასძე 16
 ბასილი, ძმა 146
 ბასილი, ჭყონდიდის დეკანოზი 109
 ბატონი დადიანი, იხ. დადიანი
 ბატონი თამაზ, იხ. თამაზ-ყოფილი თადეოზ
 ბატონი სფირიდონი, იხ. სფირიდონი
 ბატონი, იხ. მარიამ ქართლის დედოფალი
 ბეგნია მეჭინბეთუხუცესი 288
 ბედანი, ნათელის მამა I 73
 ბედანი ჭილასძე I 86
 ბედიელი მარკოზ, იხ. მარკოზ ბედიელი
 ბედიელი მელიქზედეგი, იხ. მელიქზედეგ ბედი-
 ელი
 ბედიელი მიქაელ გონგლიბასძე, იხ. მიქაელ
 გონგლიბასძე
 ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოზი, იხ.
 ნიკოლოზ კათალიკოზი
 ბეთლემა, იობის ბიძა I 48

ბერასა ძე გალინოზი, იხ. გალინოზი ბერასა ძე
 ბეჟა I 4, I 19, 22
 ბეჟა მანდატურთუხუცესი 5. 152, 246, 310
 ბეჟა, ყვარყვარეს შვილი 53
 ბეშქენ გობოასძე I 65, 307
 ბეშქენ ვარდანისძე, მანდატურთუხუცესი 60, 140
 ბეშქენ მქეცისძე, მოლაპრეთუხუცესი I 10
 ბეშქენ ჭილასძე 113
 ბიქილა გიაი 25
 ბჯგრატ, ალექსანდრეს ძმისწული 252
 ბატო (ბატონი) ხუარამზე 253
 ბობა, ინა ლასურისძის მეუღლე 148
 ბობა, ჯავახ თორელის ასული 129
 ბორენა 307
 ბორენა, აბუსერისძის სიდედრი 12
 ბორენა, ბიქილა გიაის მეუღლე 25
 ბორენა, მიქაელ ოდარიანის მეუღლე 179
 ბორენა, ყვარყვარეს მეუღლე 273
 ბორენა, ჯავახ აფაქისძის მეუღლე
 ბოცო ბოცოასძე 67
 ბოცოვასძე ინა, იხ. ინა ბოცოვასძე
 ბოცოვასძე სარგის, იხ. სარგის ბოცოვასძე
 ბოცოვადე ბოცო, იხ. ბოცო ბოცოვადე
 ბარბარე 52
 ბუელუესძე ბასილი, იხ. ბასილი ბუელუესძე
 ბუზაკის ძე საღირ, იხ. საღირ ბუზაკის ძე
 ბურღია, დავითის მამა 191
 ბურღუხანი, ტაბულა ლონგოვასძის მეუღლე 219

გ

გაბელისძე ამირეჯიბი რამინ, იხ. რამინ გაბელის-
 ძე
 გაბელიძე ქუცნა, იხ. ქუცნა გაბელიძე
 გაზნისძე ვარდან, იხ. ვარდან გაზნისძე
 გაზნისძე თაბა, იხ. თაბა გაზნისძე
 გალინოზი ბერასაძე I 21
 გამრეკელი, კახას მამა I 11
 გამრეკელი ლობიარი, ერისთავთ ერისთავი იხ.
 ლობიარი გამრეკელი
 გარეყან, ფურთუქის ძმა 236
 გარეყანისძე იხ. მაკარი, მარუშიანი, საღირ, ფი-
 ლიბე, ფორთოხი, ფურთუხ გარეყანისძე
 გარსევან ირუბაქიძე-ჩოლაყასშვილი 163
 გერასიმე, ჯვარის მტვირთველი 56
 გესამანია I 85, I 101, 294
 გესამანიელი ნათელ, იხ. ნათელ გესამანიელი
 გიორგი ანდრონიკეს შვილი, მეფეთ მეფე 285,
 289

გიორგი დადიანი 107, 156, 304
 გიორგი დადიანი, ერისთავთ ერისთავი 213
 გიორგი დადიანი, პატრონი 245
 გიორგი დევდარიანი 157
 გიორგი თფილელი 170
 გიორგი თფილელი, სულეიმანის შვილი 47
 გიორგი ლაშხის შვილი I 50
 გიორგი მეფე 48
 გიორგი მეფეთ მეფე I 28, I 69, 15, 26, 126, 149, 214, 258, 280, 284
 გიორგი, მეფის ძმა 237
 გიორგი მოზღლოდიანი 212
 გიორგი, მოსეს ძმა 41
 გიორგი მოძღუარი 96, 110
 გიორგის (წმ.) ეკლესია 112
 გიორგი სულეიმანის შვილი, თფილელი 47
 გიორგი ფალქოზისძე I 44, I 54
 გიორგი წუჭრიდი 217
 გიორგი ჭყონდიდელი 96, 110
 გიორგი ჭყონდიდელი, დანიელ აფხაზეთის კათალიკოსის შვილი 299
 გიორგი ხარაზი 33
 გიორგი ხარაზი, ძმა 34, 211
 გიორგი ქელმწიფე-მეფე 45
 გიორგი ჯავესიანი. I 20
 გიშელი ლიპარიტ, იხ. ლიპარიტ გიშელი
 გობოასძე, იხ. ავაგ. ბეშქენ, ზვადი, ივანე, კუშპე, სარგის, საღირ გობოასძე
 გობაძე, ხუარამზეს თანამეცხედრე 253
 გოგნია, ხელას ძმა 68, 200
 გოლგოთა 18, 58, 87, 99, 112, 114, 163, 252, 300
 გოლგოთას კლდის განხეთქა 266
 გონგლობაასძე მიქაელ, იხ. მიქაელ გონგლიბაასძე
 გორაასძე არსენი, იხ. არსენი გორაასძე
 გოხაზი ელემპი, იხ. ელემპი გოხაზი
 გოხასძე ელემპი, იხ. ელემპი გოხასძე
 გრიგოლ დრანდელი. ეპისკოპოსი I 3, 306
 გრიგოლ მშვდაძე 13
 გრიგოლ ფანასკერტელი I 32, I 62, I 70, 123, 135, 182
 გრიგოლი, მიქაელის ძმა I 26
 გრიგოლი. სვინაქსარის შემკაზმავი I 103
 გურანდუსტი, მართას და 265
 გულაბერისძე ნიკოლოზ, იხ. ნიკოლოზ გულაბერისძე
 გულქან, ქეთაონ-ყოფილი ქრისტეს ასული 18
 გულქან, ივანეს შვილი 294
 გულშარ. ავთანდილ ზედგინიძის მეუღლე I 78, I 93

გურგენისძე იჩქით, იხ. იჩქით გურგენისძე
 გურიელი, ბატონი 181
 გურიელი ვახტანგ, იხ. ვახტანგ გურიელი
 გურიელი, მაკრინე მარიაშ-ყოფილის მამა 247, 249
 გურიელი პატა, იხ. პატა გურიელი
 გვრგენი, ამირას შვილი 77
 გვრგუნაძე რუსუდანის მამა 271

დ

დადიანი, ბატონი 292
 დადიანი, ხუარამზეს მამა 253
 დადიანი გიორგი, იხ. გიორგი დადიანი
 დადიან-გურიელი ლომა, იხ. ლომა დადიან-გურიელი
 დადიანი ლიპარიტ, იხ. ლიპარიტ დადიანი
 დადიანი ნათელ, იხ. ნათელ დადიანი
 დადიანი შერგილ, იხ. შერგილ დადიანი
 დადიანი ცოტნე, იხ. ცოტნე დადიანი
 დავითა 134
 დავით, არდაშერის შვილი 305
 დავით ბურდიასშვილი 191
 დავით მანჭკერტელი 298
 დავით მეფე I 12,7, 195, 286
 დავით მეფე, რუსუდანის ძე I 16
 დავით მეფეთ მეფე 196, 295
 დანიელ, აფხაზეთის კათალიკოსი 299
 დანიელ კოპასძე 199
 დანიელ ნიქოზელი, ჯვარის მამა I 94
 დანიელ წინამძღუარი 115
 დარეჯან. დადიანის ასული 292
 დედაბერი 115
 დედოფალთა დედოფალი ნესტანდარეჯან, იხ. ნესტანდარეჯან დედოფალთა დედოფალი
 დედოფალთა დედოფალი შუენიერ-ყოფილი მაკრინე, იხ. შუენიერ-ყოფილი მაკრინე, დედოფალთა დედოფალი
 დედოფალი, იხ. თამარ, ნათელ, ნათია-ყოფილი ნისიმე, რუსუდან, შუენიერი
 დევდარიანი გიორგი, იხ. გიორგი დევდარიანი
 დევთუბნელი მარიაშ, იხ. მარიაშ დევთუბნელი
 დეკანოზი მიქაელ ფახულანი, იხ. მიქაელ ფახულანი
 დეკანოზი იობ შოშილელი, იხ. იობ შოშილელი
 დეკანოზი ჭყონდიდისა ბასილ, იხ. ბასილი ჭყონდიდის დეკანოზი
 დემეტრე მეფე, მოწამე 42, 65, 131, დიმიტრი 202
 დიასამისძე ვარამ, იხ. ვარამ დიასამისძე

დოფალთა დიოფალი თამარ-ყოფილი თომი-
და, იხ. თამარ-ყოფილი თომიდა, დიოფალ-
თა დიოფალი
დიოფალთა დიოფალი ქურდაბისი, იხ. ქურდაბი-
სი, დიოფალთა დიოფალი
დიოფალთა დიოფალი ხუაშაქ, იხ. ხუაშაქ დი-
ოფალთა დიოფალი
დმოთიარი ეფრემ, იხ. ეფრემ დმოთიარი
დრანდელი გრიგოლ, იხ. გრიგოლ დრანდელი
დრანდელ-ყოფილი წალენჯიხელი, იხ. ევდემონ
ჯაიანი
დუდა ლლტისძის ასული I 15
დულაა 281

ე

ებნი აისა ავად 216
ეგნატი, ნისიმეს შვილი 189
ეგნატი, ხობის წინამძღვარი 120
ევაგრე I 102,65
ეკატერინე ქორთოძის ასული 177
ევდემონ ჯაიანი, დრანდელ-ყოფილი წალენჯი-
ხელი 93
ეკლესია (იგულისხმება ეკლესია ჭვარის მონას-
ტერთან) 187, 214, 230, 265, 295, 307. იხ.
აგრეთვე: მიქაელ მთავარანგელოზის, აღდგო-
მისა, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის
ელემპი გოხაზი (იგივე გოხასძე უნდა იყოს) 132
ელემპი გოხასძე I 94
ელენე 221
ელენე, შოთა ვაცას ძის დედა I 98
ელია 99
ელია იკონომოსი 51, 93
ელია მთავარანგელოზი 99
ელმელიქის ძე სვიმონ, იხ. სვიმონ ელმელიქის ძე
ელმინიკის ძე 150
ენტელეგისძე აღბულა, იხ. აღბულა ენტელეგის ძე
ეპისკოპოსი გრიგოლ დრანდელი, იხ. გრიგოლ
დრანდელი
ეპისკოპოსი თეოდოსე, იხ. თეოდოსე ეპისკოპოსი
ეპისკოპოსი თეოდოსე წმ. საბას მონასტრისა 93
ეპიფანე ჭვარის მამა, 112, 266
ერისთავთ ერისთავი გიორგი დადიანი, იხ. გი-
ორგი დადიანი
ერისთავთ ერისთავი გამრეკელი, იხ. გამრეკელი
ლობიარი
ერისთავთ ერისთავი ცოტნე დადიანი, იხ. ცოტ-
ნე დადიანი

ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი, იხ. შერ-
გილ დადიანი
ერისთავი ვირშელ, იხ. ვირშელ ერისთავი
ერისთავი ნიკოლოზ, იხ. ნიკოლოზ ერისთავი
ერისთავი ქართლისა 303
ერისთავი შალვა ქენიფნეელი, იხ. შალვა ქენიფ-
ნეელი
